კახა

სულოუაშვილი

როგორ

ერთიერთმიმდევრობა

თოვს

(თბილისს ვაოვებ ალიოსხვ 2)

4Love.Ge

როცა ერთაწმინდაში თოვს

კახა სულუაშვილი

როცა ერთაწმინდაში თოვს

არის უფალი... ჰოდა, ვეძებ, როგორც ჟივაგო

და ვიცი, ვნახავ, უფრო ადრე, ვიდრე პასტერნაკს,

ოღონდ მანამდე, მტერს თავისი მინდა მივაგო,

რათა მოყვასი გადაურჩეს ავს და ფათერაკს...

დიდია ღმერთი, ჩემი ნებაც მისი ნებაა,

ხოლო სიამე მიწიერი - სულის წამება...

თუ საქართველოს სიყვარულიც მხოლოდ ვნებაა,

ამ მავნე სენით მომიხდება გარდაცვალება...

ხუთსართულიანი სახლის ეზოში, ჭერმის ხის ქვეშ მაგიდას ხუთნი უსხდნენ. ოთხი დომინოს თამაშობდა. დროდადრო „ანგლობდნენ“...

მეხუთე სპორტულ გაზეთს კითხულობდა გულდასმით.

- პარტია! - დომინოს ქვა მაგიდას დაანარცხა შუახნის ტანმორჩილმა მამაკაცმა. - და, საერთოდ, წადით, შვილოსა, თამაში ისწავლეთ და მერე მოდით, „ბოქსი“ ხომ არა არის, ნოკაუტში ჩაგაგდოთ?!

- კარგი რა, ვალიკო ბიძია, გაგივარდება ხოლმე ხანდახან ყარაულის თოფივით და ეგ არის, - ღიმილით გამოეპასუხა ერთ-ერთი ახალგაზრდა მოწინააღმდეგე.

- ვის ეუბნები შე მამაძაღლო, მე? ბიჭო, დომინო რომ ჭადრაკი იყოს და მე - ქალი, ნონა ვიქნებოდი გაფრინდაშვილი, იცი შენა?

- ვაა, რას არ გაიგებ ამ ქვეყანაზე, - არ უთმობდა ბიჭი, - მოდი მაშინ და თუ ეგეთი მაგარი ხარ, მე და მერაბი დავჯდებით სათამაშოდ. ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, დომინოს დანახვაზე ტანზე გამოგაყაროთ.

- დავცხოთ, მერაბ? - მიუბრუნდა ბიჭი მეხუთეს.

- ეჰ, აბა ეგ რა თქვი, ჩემო უჩა, მე და დომინო ისე ვართ, როგორც ზებრა და კენტერბერული ჭენება. - მერაბ ბარათაშვილმა გაზეთი დაკეცა.

- თანაც წუთი-წუთზე ავთოს ველოდები, საქმეზე მივდივართ. აი, მოვიდა კიდეც.

ეზოში სწრაფად შემოსული ნივა პირდაპირ მაგიდასთან გაქვავდა.

- ჩემი კომერციული სალამი ზედმეტად კაი კაცების ბრიგადას! - მკვირცხლად გადმოხტა მანქანიდან თვალშისაცემად მაღალი და მხარბეჭიანი, თავგადაპარსული ავთო გელაშვილი.

- გაუმარჯოს ავთოს! - ყველას დაასწრო ეშმაკურად მომღიმარმა ვალიკომ. - ბიჭო, როგორ დაგსიებია ეგ კუნთები, არ გაწუხებს მაინც? თმა რომ არ გქონდეს გადაპარსული, ნამდვილი შვარცენეგერი ხარ, რაღა!

- მაგას გადაპარსული კი არა, შემოპარსული აქვს. თმები მხოლოდ კეფაზე და საფეთქლებზე ამოსდის, ამისთანებზე ამბობენ - „ფეხშიშველა თავი აქვსო!“ - რეალურად შეაფასა მეგობრის ვიზუალური მონაცემები მერაბმა.

- იცინეთ, იცინეთ. განა არ ვიცი, რომ გშურთ. იმიტომ, რომ თმა ნიჭიერ ხალხს სცვივა. - აუღელვებლად უპასუხა ავთომ და უჩას თვალი ჩაუკრა.

- აბა რა, აინშტაინი შტერი იყო და შენ ნიჭიერი ხარ. - ისევ გამოეპასუხა მერაბი და მანქანისკენ გაემართა. - ჰა, წავედით?

- წავედით! - უპასუხა ავთომ. იქ მყოფთ ხელი აუწია, საჭეს მიუჯდა და მანქანა დაძრა.

- საით, ოფისში?

- ჰო, წყნეთში გველოდება. შენზე ისეთები ველაპარაკე, ისეთი რეკლამა გაგიკეთე, კინაღამ მე დამითხოვა: - ის თუ ეგეთი მაგარია, შენ რაღაში მჭირდებიო?!

- კაი, კაცო! - გაეცინა მერაბს, - ეგეთი რა უთხარი?

- სიმართლე: სამხედროში, სასაზღვრო ჯარებში მსახურობდა, ხელჩართულ ბრძოლაში ნაწილში ბადალი არ ჰყავდა-მეთქი. მერე იყო და სოხუმში ალყაში ჩარჩენილი ბიჭების გამოყვანას ხელმძღვანელობდა-თქო. რამდენიმე წელი სწრაფი რეაგირების სპეცრაზმში რომ ირიცხებოდა, ისიც ვუთხარი.

- მერე არ გკითხა, სამსახურიდან რატომ წამოვიდაო?

- მკითხა.

- მერე?

- რა მერე, ვუთხარი 140 ლარად ოჯახის რჩენა უჭირდა-მეთქი. აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, ჯიბეში შარის მაგნიტი უდევს-მეთქი. - ჩაიროხროხა გელაშვილმა.

- კიდევ რა გკითხა? მაგათ შენნაირი გოლიათები აჰყავთ მცველად. მე, მაგ მხრივ, რბილად რომ ვთქვათ, არ გამოვირჩევი.

- მაგაზე არც იფიქრო. რაიმონდი მენდობა. თანაც მედალს ორი მხარე აქვს. მაგის მტრები ჩემთან ერთად რომ დაგინახავენ, იფიქრებენ აბა, ეს იქნება ქვეყნის ამომგდებიო.

არც შეცდებიან, არც ჯანი გაკლია და არც სისწრაფე.

- ეჰ, წავიდა ის დრო, ჩემო ავთო. სამ ათიანს გადავაბიჯე და „ეს სულაც არ იყო გუშინ...“

- არაფერიც არ წავიდა. რა ისეთი ასაკი ჩვენ გვაქვს, ცოტას წაივარჯიშებ და ისევ ძველი მერაბა იქნები, აგერ ნახავ. თუ გეზარება, სხვა საქმეა. ისე, ხუთას დოლარად, რომლის გადახდასაც შენთვის აპირებს რაიმონდი, თავის შეწუხება ღირს.

- რა ჰქვია?

- რაიმონდი. რაიმონდ ბერეხი.

- სადაურია?

- ეგ არავინ იცის. სიმართლე გითხრა, არც მაინტერესებს. მთავარია, ფული გადამიხადოს და თუ გინდა პერუელი ინდიელი იყოს.

- ყოჩაღ, როგორც ვატყობ, გეოგრაფიისთვის მოგიკიდია ხელი. ის თუ იცი, პერუ სადაა?

- შედარება მოგეწონა?

- აღფრთოვანებული ვარ.

- აბა, რა მნიშვნელობა აქვს პერუ სადაა? მუშაობას რომ ვიწყებდი, გოგამ მითხრა, ფული გადაგიხადოს და გინდა პერუელი ინდიელი იყოსო და დამამახსოვრდა.

- ეგრეც ვიცოდი. -

გაიცინა მერაბმა.

- ისე, თბილისშია დაბადებული და გაზრდილი. ოქროსუბნელია. სულ რაღაც 12 წელია, საქართველოდან წავიდა. 89-ში რუსეთში გადაბარგდა. იქიდან შტატებში ამოყო თავი და ბოლოს ავსტრიაში დაამუხრუჭა. თბილისში 7 თვის წინ დაბრუნდა. ქართულად, რუსულად და ინგლისურად ერთნაირად ლაპარაკობს.

- შენ რა იცი, ინგლისურად როგორ ლაპარაკობს?

- ეე, როგორ არ ვიცი. უცხოელებს ხშირად ხვდება. იცი რას უბერავს? ერთი ეგ არის, წინადადების ბოლოში, ხანდახან, „შე ჩემას“ ამატებს ხოლმე.

- ჰო, ახლა მჯერა, ეგ ინგლისელების საყვარელი სიტყვაა. განსაკუთრებით არისტოკრატულ წრეებშია მიღებული. - გულიანად გადაიხარხარა მერაბმა.

- რა ქნას, თბილისელია მაინც.

- შე კაი კაცო, თბილისელი კოტე მახარაძეც იყო. ისე, შენ როგორ გეძახის ხოლმე:“ „ავთო, ქომონ ფლიზ, შე ჩემა?“”

- ეე, შენ თუ რამე დაიჭირე, მორჩა. იცინე ეხლა წყნეთამდე.

- კაი, კაი ნუ ბრაზობ. - დაცხრა მერაბი. - შენ ის მითხარი, ოჯახითაა აქ თუ მარტოა?

- გააჩნია, შენ ოჯახს რას უძახი? ერთი თბილისელი გოგო მოიყვანა, ერთი თვის წინ სახლში, რაიმონდმა. თარჯიმნად გაგვაცნო. თათია კი ამბობს, ცოლი ვარო. მაგარი ვინმეა. ასე 25 წლამდე იქნება. შეხედული ქალია. ბუზს არ ისვამს ერთ ადგილზე. მოსამსახურეს თვალებით და ჟესტებით ელაპარაკება. ხმას იშვიათად თუ ამოიღებს. თავიდან მუნჯი მეგონა, მარა მერე რაიმონდმა რომ თქვა თარჯიმანიაო, გადავიფიქრე. მუნჯი თარჯიმანი ვის გაუგია? ისე ერთი გამკვირვებია, ეს კაცი ყველა ენაზე ლაპარაკობს და თარჯიმანი რა ჯანდაბადღა უნდა?

- სულ ეგ არის ოჯახი?

- არა. ერთი გერმანული ნაგაზი ჰყავს კიდეევ „სიმბა“. წინა შაბათს 2 წლის გახდა. რაიმონდმა ისეთი დაბადების დღე გადაუხადა, ლიკა ჟვანიას რომ უხდიდა მამამისი, ამასთან შედარებით, შესვენებაზე მუშების წახემსებად მოგეჩვენებოდა.

- ეგეთი რა იყო?

- რა იყო და თბილისში თუ ვინმე უცხოელი დადის, ყველა იქ იყო თავისი ძაღლიანად, ორმოც კაცზე მეტი მოგროვდა.

- ძაღლებს ალბათ ცალკე სუფრა ჰქონდათ?

- რა სუფრა? ა ლა ფურშეტი მოაწყო რაიმონდამ და უნდა გენახა, რა საგიჟეთი იყო. ერთ ხელში შამპანურის ფუჟერები ეჭირათ „ფირმებს“, მეორეთი - გატუტუცებული ძაღლები და კლასიკური მუსიკის ფონზე ეზოში დაბორიალობდნენ. ერთი-ორჯერ ძაღლები ისე წაიკიდნენ, ძლივს გააშველეს. მერე ისევ რაიმონდამ იყოჩაღა: სტუმრებს უთხრა, ძაღლები მანქანებში ჩაკეტეთო. კიდევ კარგი, დაუჯერეს, თორემ დაჭამდნენ ერთმანეთს. ისე ძაღლებს კაცებზე უარესი სიმთვრალე ცოდნიათ.

- კაი დამთხვეული ყოფილა ეგ შენი რაიმონდი.

- გმადლობთ, არა უშავს. მაგრამ მთავარია, ფული გადაიხადოს და ისე უქნია, ქვები უსვრია.

- თანახმა ვარ, ოღონდ, მაინცდამაინც მე ნუ დამიმიზნებს.

- ნურც მე! - გადაიხარხარა ავთომ თავისებურად, ზღაპრის კეთილი გოლიათივით. გოლიათებიც დადიოდნენ, ალბათ, ოდესღაც ქვეყანაზე. სიკეთე, ყველაზე ხშირად, ზღაპრებში იმარჯვებს. ამიტომ მადლიერმა თანამედროვეებმა იქ მიუჩინეს გოლიათებს ადგილი. სიკეთე გადასაშენებლად და სამარცხებლად ვერ გაიმეტეს, რადგან სიკეთე სიყვარულის მსახურებაა! ჰოდა, განა გაიმეტებს მას ღვთისშვილი მოსაკლავად!

- დოდო ვნახე გუშინ. - წამით ფიქრებში წასული მერაბი ავთოს ხმამ დააბრუნა რეალობაში.

- ვინ დოდო?

- ვინაა დოდო?! ჩვენი დამრიგებელი.

- ჰოო. როგორაა, ხომ არ დაბერდა?

- ისე რა, მეტ-ნაკლებად. როგორ მენატრებოდა თურმე და ვერ ვხვდებოდი. ალბათ იმიტომ არ ვნახე ამდენი ხანი, თორემ სახლი არ ვიცი თუ სკოლის გზა დამავიწყდა?

- ბედნიერი კაცი ხარ.

- ვითომ რატომაო?

- იმიტომ, რომ მაგის თქმა შეგიძლია, რაც თქვი.

- შენც თქვი და შენც იყავი ბედნიერი, რა, ძნელია?

- ვიტყვი, მაგრამ არ ვიქნები მართალი. ნამდვილი ბედნიერება კი მხოლოდ სიმართლეშია. თუ ჭეშმარიტი ბედნიერება გსურს, მართალი უნდა იყო.

- მართალი კი არა, შეყვარებული უნდა იყო. - დაიღრიჭა ავთო.

- შეყვარებულზე მართალი კაცი არ არსებობს. უბრალოდ, შენ ეს ჯერ არ იცი.

- და ალბათ, არც არასოდეს მეცოდინება.

- ეგ არ არსებობს.

- რატომ?

- იმიტომ, რომ არ იბადება ისეთი ადამიანი, რომელსაც სიყვარული არ შეუძლია.

- ესე იგი, მე ადამიანი არ ვარ? - ისევ გამოაჩინა კბილები ავთომ.

- გარეგნულად მაინცდამაინც არ გავხარ, - გაიღიმა ბარათაშვილმაც, - მაგრამ, მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ შენ ადამიანი ხარ და თანაც დიდი, ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით.

- კომპლიმენტისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ცოლს მაინც არ მოვიყვან.

- რათა, კაცო, - გულიანად გაიცინა მერაბმა. - მე მეგონა, მარტო თვალები გქონდა ცისფერი.

- ჯერ ერთი, მე თვალები ცისფერი კი არა, მწვანე მაქვს, რუხში

გარდამავალი და მეორეც, შენ ერთადერთი სულიერი ხარ, ვისაც ეგ სულელური აზრი მოუვიდა თავში. ბედი შენი, რომ ქალი არ ხარ, „თორო ვნახავდი შენს ბუმბულს, გაშლილს, გაფანტულს ველადა...“

- ოჰ, კაი ახლა, კაი, არ გამომეცხადა კაზანოვა?!

- კაცო, კაზანოვა ვარ თუ კუზანოვი, ვინც საჭიროა რომ იცოდეს, იცის და, საერთოდ, “ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!”

- გაიარეთ, გაიარეთ. - ზორბა ბეჭზე დაარტყა ხელი მერაბმა ბავშვობის მეგობარს.

***

ეზო, რომელშიც არცთუ ახალი, მაგრამ გემოვნებით ნაგები ორსართულიანი სახლი იდგა, ფართობით არ გამოირჩეოდა, შუაზე ტუფის ქვის ბილიკით იყო გაყოფილი და კარგად მოვლილი. ორივე მხარეს, ძველი კრამიტით ამოშენებული ღობეების გასწვრივ წითელი ვარდების შვიდ-შვიდი ძირი ხარობდა. მარჯვნივ, ზუსტად ვარდების გასწვრივ, ორიოდე მეტრის სიგანეზე მოასფალტებული მონაკვეთი სახლში ჩაყოლებული ავტოფარეხის კარებთან მიდიოდა. ეზოს მარცხენა ნაწილს, თეთრი მარმარილოს შადრევანი ამშვენებდა. ღობის გარეთ დიდი ტირიფი იდგა, რომელიც შიგნით, ეზოში „ტიროდა“ და მის ქვეშ მდგარ მოგრძო მაგიდას მთლიანად ჩრდილავდა. მთელ ეზოში ფარდაგივით გაფენილიყო კოხტად გაკრეჭილი ხასხასა ჰოლანდიური ბალახი.

სახლი ნახევარი საუკუნის მაინც იქნებოდა. ორივე სართულს, მთელ სიგრძეზე, ძველი თბილისური სტილის რიკულებიანი აივანი ამშვენებდა და „ძველი თბილისიც“ იქვე მთავრდებოდა. ინტერიერი რადიკალურად განსხვავდებოდა სახლის გარეგნული იერისაგან. შიგნით, ორივე სართულზე, დასავლეთის, თუ გნებავთ, ევროპის თაყვანისმცემელი კაცის სუნთქვა იგრძნობოდა. გემოვნებით, როგორც ჩანს, პროფესიონალი დიზაინერის მითითებითა და უშუალო მონაწილეობით იყო მოპირკეთებული სასტუმრო, სასადილო, სამზარეულო და ოთხი საძინებელი ოთახი. გარდა ამისა, ორიგინალური ჰოლი, ორი სააბაზანო, კაბინეტი და საკუჭნაოც კი.

პირველი სართულის აივანს მიწისაგან ოთხი საფეხური აშორებდა. იმ დროს, როდესაც ავთოს მანქანა შავად შეღებილ რკინის ჭიშკარს მიადგა, ხანში შესული, წელში მოხრილი ქალი, სწორედ ზემოთხსენებულ კიბეებს წმენდდა სველი ტილოთი.

ავთომ ჯიბიდან დისტანციური მართვის პულტი ამოიღო და ჭიშკარს მიუშვირა. კარი ხმაურით გაიღო.

- ოჰო, სიმ-სიმ, გაიღე? - გაიღიმა ბარათაშვილმა, - შიგნით, ალბათ, ორმოცი ყაჩაღი ცხოვრობს?

- არა, მხოლოდ ერთი. მმაგრამ ქონებით იმათაც არ ჩამოუვარდება. - ავთომ მანქანა დაძრა და ეზოში შეიყვანა. ქალი, რომელიც კიბეებს ასუფთავებდა, წელში გასწორდა, მოტრიალდა და ყურადღებით შეაცქერდა მანქანიდან გადმოსულ მერაბს.

- დეიდა სონა, სადაა ბატონი რაიმონდი?

- ახლავე, ავთო. - ქალს დაასწრო აივანზე გამოსულმა შუახნის, საშუალო სიმაღლის, ხმელმა, შავგვრემანმა მამაკაცმა. მერაბს წამით ზევიდანვე შეავლო თვალი და უკანვე გაუჩინარდა. წუთიც და ღია კარში მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თავი გამოჩნდა: - გამარჯობათ, თქვენ ბრძანდებით მერაბი?

- დიახ, - მოკლედ უპასუხა მერაბმა.

- სასიამოვნოა. რაიმონდი, - ხელი ჩამოართვა ბერეხმა.

- გამარჯობათ. ჩემთვისაც სასიამოვნოა.

- თქვენზე ავთომ ბევრი მიამბო. ფაქტიურად დაუსწრებლად გიცნობთ. აქეთ მობრძანდით, მშვენიერი ამინდია, ტირიფის ქვეშ მაგიდასთან ჩამოვჯდეთ - წინ გაუძღვა მასპინძელი სტუმარს. ავთოც უკან გაყვა.

- სონიჩკა, დატრიალდი! - გასძახა ქალს ბერეხმა და ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ.

ქალმა სველი ტილო მოკეცა და შენობაში გაუჩინარდა.

- მაშ, ასე. როგორც გითხარით, ბევრი რამ უკვე ვიცი თქვენს შესახებ. თუმცაღა არის რამდენიმე დეტალი, რომელზეც, ასე ვთქვათ, პირადი კონტაქტის გარეშე... თავადაც მოგეხსენებათ...

- რასაკვირველია, - უპასუხა მერაბმა. - გისმენთ!

- პირველ რიგში, ალბათ, გეცოდინებათ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ ჩემი თანმხლები, ან სახლის მეთვალყურე პირი შეიარაღებული იყოს. ეს ჩემს პიროვნულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, ადამიანი, რომელიც ჩემთან იმუშავებს, უნდა გამოირჩეოდეს, როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური მონაცემებით.

მერაბმა ავთოს გადახედა. ბარათაშვილმა თვალებით თავისი წელანდელი ვარაუდი შეახსენა მეგობარს: „გაბარიტებით დამიწუნებსო ბერეხი“. უცებ უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა. წამით მოსვლა ინანა. თქმით კი ესღა თქვა:

- ბატონო რაიმონდ, გონებრივ მონაცემებს არასოდეს ვუჩიოდი. ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე გაჩენილ არცერთ ეჭვს ჩემამდე არ მოუღწევია. ხოლო, რაც შეეხება ფიზიკურ მონაცემებს, თქვენ თუ გაბარიტები გაქვთ მხედველობაში, აქ სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით, რადგან დარწმუნებული ვარ, როგორც არ უნდა მოვინდომო, ველარ გავიზრდები. - მშვიდად წარმოთქვა ბარათაშვილმა და ფეხზე წამოდგა. - მერწმუნეთ, ვწუხვარ, რომ გაგაწბილეთ. ბოდიშს გიხდით, უნდა დაგტოვოთ. - და მერაბი, ისე, რომ ავთოსკენ არც გაუხედავს კარისკენ დაიძრა.

- მოითმინეთ, მერაბ. თქვენ ვერ გამიგეთ. მე სულაც არ მითქვამს, რომ გოლიათს ვეძებ. დაბრძანდით, გთხოვთ.

მერაბი შედგა, უხმოდ დაემორჩილა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

- მინდა იცოდეთ, რომ თქვენს გონიერებაში ეჭვი მაშინაც არ შემპარვია, როცა შორიდან გიცნობდით. მე ავთოსი მჯერა. ახლა კი ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი. ფიზიკურ მონაცემებში

კი მე უფრო გამძლეობას, ამტანობას ვგულისხმობდი და ამ მხრივ რომ პრობლემა არ გაქვთ, უბრალოდ, პირადად თქვენგან მინდოდა მომესმინა. ეს არის და ეს. მე გამოცდილი კაცი ვარ. ვიცი რა მჭირდება, რამდენი ხნით და რა ღირს ის, რაც მჭირდება. გარდა ამისა, საკმაოდ კარგი ინტუიცია მაქვს.

იმ საქმეში, რომელსაც მე ვემსახურები, ორი მომენტია აუცილებელი: ერთგულება და პატიოსნება. ამ კაცის უახლოესი მეგობარი, - რაიმონდმა ავთოზე მიანიშნა, - გამორიცხულია ამ ღირსების ნაკლებობას განიცდიდეს. თანაც, თქვენ ყოფილი სამხედრო ხართ და, იმედია, სხვაზე უკეთ გესმით მოვალეობის გრძნობა. ასე არ არის?! სამხედროები ხომ ფიცს დებენ სამსახურში ჩადგომამდე? - იუმორი მოიშველია ბერეხმა.

- ფიცს სამხედროები სამშობლოს წინაშე დებენ, ბატონო რაიმონდ, ქვეყნის წინაშე და თუ თქვენ საკუთარი დროშა და ჰიმნი გაგაჩნიათ, მზად ვარ დავიფიცო, - ოდნავ ირონიულად უპასუხა ბარათაშვილმა.

- მშვენიერია. ნამდვილად არ შევმცდარვარ. ძალიან ვაფასებ ადამიანში იუმორის გრძნობას. სათქმელი არაფერი მაქვს. უბრალოდ გაგაცნობთ, რისი კეთება მოგიწევთ და თუ თქვენთვის მისაღები აღმოჩნდება, ჩათვალეთ, რომ უკვე ჩემთან მუშაობთ.

- გისმენთ.

- საქმე, რომელიც თქვენ გევალებათ, არც ისე რთულია. თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. როგორც წესი, იოლ სამუშაოს გამოუცდელი ადამიანები ზერელედ ეკიდებიან და შედეგიც ხშირად სავალალოა. ეს, მე ვფიქრობ, თქვენ არ გეხებათ. მაშ ასე: თქვენ ყოველ დილით სახლიდან ჩემს გასვლამდე უნდა გამოცხადდეთ აქ და თავისუფალი მხოლოდ ჩემი შინ დაბრუნების შემდეგ იქნებით. ჩემი არყოფნის პერიოდში კი სახლში ჩიტიც ვერ უნდა შემოფრინდეს. მაგრამ თუ მოხდა და მაინც შემოფრინდა, ჩემს მოსვლას აქვე უნდა დაელოდოს. ეს ერთი. მეორე: ის, რასაც ჩემი სახლის წიაღში წააწყდებით, რასაც თქვენი თვალი შესწვდება, საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ასეა საჭირო ერთი უბრალო მიზეზის გამო. - არ მინდა ქალაქში თვალში საცემად მდიდარი კაცის სახელი გამივარდეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველაფერი რასაც აქ ხედავთ - ტელევიზორით დაწყებული და სახლით დამთავრებული, მე კი არა, იმ ავსტრიულ ფირმას ეკუთვნის, რომელსაც მე ვემსახურები. გარდა ამისა, დაუფიქრებელმა საუბარმა შეიძლება კრიმინალთა ინტერესთა სფეროშიც მოგვაქციოს. ეს კი არც ფირმისთვის, არც პირადად ჩემთვის და არც თქვენთვის სასიკეთოს არაფერს მოიტანს. და ბოლოს, თუ არ ვცდები, თქვენ პროფესიით ისტორიკოსი ხართ?

- ვერ ვიტყვი, რომ მთლად ასეა. მეორე კურსზე მივატოვე ეგ საქმე. მას შემდეგ, ორჯერ შევიცვალე ინსტიტუტიც და პროფესიაც.

- ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, თქვენმა ნაცნობებმა იციან, რომ თქვენ ისტორიასთან, როგორც მეცნიერებასთან სერიოზული კავშირი გქონდათ. ჰჰოდა, როცა ახალი სამუშაოს შესახებ გკითხავენ, იტყვით, რომ მუშაობთ ავსტრიულ კომპანიაში, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიას ეცნობა.

ოფისი კი ამ კომპანიას, როგორც იცით, წყნეთში აქვს. - გაიღიმა რაიმონდმა. - ასეთმა გასაიდუმლოებამ შეიძლება გაფიქრებინოთ, რომ რაიმე არალეგალურ ბიზნესს ვეწევი, მაგრამ ასე რომ არ არის, ძალიან მალე დარწმუნდებით.

- თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ, ბატონო ჩემო, მაგრამ მეჩვენება, რომ თქვენს ბიზნესზე იქამდე უნდა მქონდეს წარმოდგენა, ვიდრე მუშაობას დავიწყებ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი წეღანდელი საუბარი ერთგულებასა და პატიოსნებაზე მხოლოდ მე მავალდებულებს. მე კი მხოლოდ მისი ერთგული ვარ, ვინც ამას იმსახურებს. არც ის მსურს, ჩემი პატიოსნება ვინმემ თავისი ნაკლებპატიოსანი საქმეების მოსაგვარებლად გამოიყენოს.

ისიც მინდა იცოდეთ, რომ თუ თქვენთან მუშაობას დავიწყებ, არავითარი ლეგენდების შეთხზვა ჩემი საქმიანობის შესახებ არ დამჭირდება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ გახლავართ. არც შინ და არც გარეთ სერიოზულად არავინ მეკითხება, სად ვიყავი, რას ვაკეთებ ან რას ვფიქრობ. ჩემს ირგვლივ ყველას კარგად მოეხსენება, რომ ვინც ჩემს შესახებ რაიმე უნდა იცოდეს ან უკვე იცის, ან მაშინ გაიგებს, როცა მე ჩავთვლი საჭიროდ. - დაასრულა მონოლოგი ბარათაშვილმა და რაიმონდს თვალებში შეხედა. - ვიცი, რომ ჩემი შემცვლელის პოვნა არ გაგიჭირდებათ, მაგრამ თუ არჩევანს მაინც ჩემზე შეაჩერებთ, მინდა ვიცოდე არა მხოლოდ პირადი უფლება-მოვალეობანი, არამედ ისიც, რას და ვის ვემსახურები. ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ ჩემს პრინციპებში გამონაკლისს ვერ დავუშვებ.

- საკვირველია პირდაპირ, - რატომღაც ჭიშკრისკენ გაიხედა მასპინძელმა, - რა ტიპის ადამიანს არ შეხვდები კაცი. მე ალბათ ამ ქვეყნის ამომგდები გგონივართ. მე ვხედავ თქვენ, მიუხედავად თქვენი ახალგაზრდული ასაკისა, საკმაოდ წინდახედული და გამოცდილი ბრძანდებით. რა დასამალია, თქვენი თვითდაჯერებული და კატეგორიული ტონი ცოტა გამაღიზიანებელია, თუმცა ეს თქვენს პიროვნებას უფრო საინტერესოს ხდის. კეთილი, მე გეტყვით იმას, რაც გაინტერესებთ, მაგრამ ეგებ

გატყუებთ. ეს არც ისე ძნელია. მაშინ?

- ეგ საკმაოდ ძნელია, ბატონო რაიმონდ. მე თბილისელი ვარ. ამდენად, ამ ქალაქში არსებულ ნებისმიერ ბიზნესზე მაქვს მეტ-ნაკლები წარმოდგენა. თუ თქვენ მეტყვით, რით ბრძანდებით დაკავებული, მე რამდენიმე დღე დამჭირდება თქვენი რეალური შემოსავლის წყაროს გასარკვევად.

- როგორ?

- ძალიან ადვილად. თბილისი არც ისე დიდი ქალაქია და არ არსებობს საქმიანობის სფერო, სადაც „ჩემიანი“ არ მეგულებოდეს. მე დიდი და ძლიერი სამეგობრო მყავს. თითოეულ ჩემს მეგობარს იქით ჰყავს მეგობარი, იმ მეგობარს - კიდევ მეგობარი და ასე...

აქამდეც შემეძლო თქვენზე ყველაფერი მცოდნოდა, მაგრამ მორალური უფლება არ მქონდა. თუ თქვენს ბანაკში აღმოვჩნდები და თქვენი საქმის კეთება მომიწევს, უფლებას ვიტოვებ, გავარკვიო ყველაფერი. კიდევ ერთხელ მაპატიეთ, მაგრამ ბოლომდე მხოლოდ მათი მჯერა, ვინც მიყვარს. ჩემს მოტყუებას მხოლოდ მათ ვაპატიებ.

კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ, თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ ამ სიტყვებს, ნურც ჩემი ტონი გაგაღიზიანებთ. პირდაპირი კაცი ვარ. ან ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ, ან საერთოდ არაფერს ვამბობ. მინდა, ობიექტური წარმოდგენა შეგექმნათ ჩემზე.

- ბატონო მერაბ, - ხმა ამოიღო ბერეხმა, - გამოგიტყდებით, პირველად ვხვდები ადამიანს, რომელიც სამსახურს ეძებს, ამის თითქმის ასპროცენტიანი შანსი ეძლევა და თავის თავს ასეთი ფორმით სთავაზობს დაინტერესებულ მხარეს. შეიძლება ვერ აცნობიერებთ, მაგრამ გაღიზიანებული, შურისსაძიებლად გამზადებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ. მეჩვენება, რომ ცხოვრება ვერ აგეწყოთ, რამაც აგრესიული გაგხადათ. თუ ასეა, მიზეზს კონკრეტულ პიროვნებებში ნუ მოიძიებთ. ეგებ, არც ისინი არიან უკეთეს დღეში.

მერაბმა მზერა რაიმონდიდან ავთოზე გადაიტანა, მაგრამ იგი ახლა მეგობარს ვერ ხედავდა. ის წამით ჩაფიქრდა, ამ ასაკოვანი კაცის ნათქვამზე. რა თქმა უნდა, ბერეხი მთლად მართალი არ იყო, მაგრამ რატომ იმოქმედა ასე მწარედ მისმა სიტყვებმა?

„მთლად მართალი“ - გაუელვა თავში ბარათაშვილს. ესე იგი ბერეხის სიტყვებში სიმართლის მარცვალი მაინც იყო. ნუთუ ამაზე არასდროს დაფიქრებულა?

„ამ დროში რომ კაცი ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობს, ჩემი აზრით, კაი კაცი არ უნდა იყოს.“ - გაახსენდა უცებ თავისივე სიტყვები. ეს ფრაზა მან ერთი საკმაოდ ცნობილი და შეძლებული კაცის ოჯახში თქვა თავყრილობაზე, სადაც საკმაოდ „მსუყე“ საზოგადოება იყო შეკრებილი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მაშინ ეს სიტყვები არავის წყენია. პირიქით, დაეთანხმნენ კიდეც.

მერაბმა მაშინ ის ოჯახი, მალე დატოვა. მოდიოდა ჩაბნელებულ ქუჩაში ოდნავ შეზარხოშებული და ფიქრობდა, რომ ამ ადამიანებს, ხუთ-ხუთი მანქანა, ამდენივე მიკროსასახლე და ალბათ, მინიმუმ, ამდენივე მილიონის სხვა ქონება აქვთ, მიაჩნიათ, რომ ეს ჩამონათვალი ჯერ კიდევ არაა ფუფუნება. ან არა და, თავმოყვარეობის ნატამალიც აღარ გააჩნიათ. მზად არიან სულში ჩაფურთხებაც აიტანონ, ოღონდ კი ჰქონდეთ და შეინარჩუნონ ის, რაც აქვთ.

„მე მგონი უფრო მეორეაო“, - დაასკვნა მაშინ ბარათაშვილმა.

არა, ბერეხი არ იყო მართალი, რადგან მერაბი საერთო შეჭირვების, ნგრევის და ტკივილის მიზეზს იმ სახედაკარგულ არსებებში ნამდვილად არ ეძებდა. მიზეზი მხოლოდ ხალხში შეიძლება იყოს, ზემოხსენებული ბატონები კი ამ განსაზღვრებას ვერასდროს მოიხდენდნენ. ხალხი ხომ ადამიანთა ერთობლიობას ჰქვია და არა პირუტყვებისას.“

- თუმცაღა შეიძლება მე ვცდები, - ფიქრებიდან რაიმონდის ხმამ დააბრუნა მერაბი. -

თქვენი გაღიზიანება, შესაძლოა, უფრო დიდი, მასშტაბური პრობლემის პროდუქტი იყოს, ვიდრე ერთი კაცის ხელმოცარვა.

- რატომ ფიქრობთ ასე? - ჩაეკითხა ცოტა გაკვირვებული მერაბი.

- ეს ჩემს "ბრალდებაზე" თქვენმა რეაქციამ მაფიქრებინა. თქვენ პასუხი საჭიროდ არ ჩათვალეთ. ალბათ გადაწყვიტეთ, იფიქროს ამ განებივრებულმა ბებერმა ბრიყვმა ჩემზე, რაც სურსო და შემდეგ ჩაფიქრდით ნამდვილ, უფრო დიდ მიზეზზე და ტუჩებზე ირონიული ღიმილი აგითამაშდათ.

- რას ბრძანებთ, მე ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ თქვენ განებივრებული და მითუმეტეს, ბრიყვი ხართ, - შეწუხდა ბარათაშვილი.

- და არც ბებერი - გაიცინა რაიმონდმა. - მე და ჩემი ხალხი, ჩემო მერაბ, აბსოლუტურად ლეგალურ ბიზნესს ვეწევით, - და სრულიად სერიოზულად გააგრძელა, - იმიერ და ამიერ კავკასიაში უხვად მიმობნეულ ანტიკვარულ ნივთებს ვყიდულობთ და ავსტრიაში ვგზავნით. იქნება ეს ხელით ნაქსოვი ხალიჩები, ძველი, ორიგინალურობით გამორჩეული ავეჯი, ჭედურობა თუ მრავალი სხვა ნაკეთობა. მაგალითად, ამას წინათ ერთმა ჩემმა აგენტმა, ბესლანში მე-15 საუკუნის ხანჯალი შეიძინა, რომელიც ავსტრიაში გაიგზავნება და, დაახლოებით, სამასმაგ ფასში გაიყიდება. ჩვენს ფირმას რამოდენიმე მაღაზია აქვს ვენასა და ზალცბურგში. გგარდა ამისა, ჩვენ გვყავს რამდენიმე მეცნიერ-მუშაკი, რომლებიც კავკასიური ჭედურობისა და კერამიკის ტრადიციულ ნიმუშებს დეტალურად სწავლობენ. მერე ჩვენი

დიზაინერები მათ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ, თანამედროვე სტილს უხამებენ და ჩვენივე ავეჯის გასაფორმებლად იყენებენ. აი, ეს გახლავთ სრული სიმართლე. არის ამაში თქვენთვის რაიმე უხერხული?

- არაფერი. - უპასუხა მერაბმა.

***

სამარშრუტო მიკროავტობუსმა ხიდი გაიარა. მანქანიდან ორი ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა და, იქვე, გზის გასწვრივ, პატარა ავტოსამრეცხაოსკენ გაემართა. ერთი ტანმორჩილი იყო და გამხდარი, მმეორე - საშუალოზე მაღალი და მხრებში მოხრილი. ორივეს მზის სათვალე ეკეთა.

მათ თამამად შეაბიჯეს ფარდულში და უსაქმოდ მჯდომ ახალგაზრდას წამოადგნენ თავზე.

საუბარი, თავის მისალმებიანად, რამდენიმე წამს გაგრძელდა. მერე სტუმრები პატარა მაგიდასთან მოკალათდნენ, ხოლო მასპინძელმა სპეციალური წინსაფარი მოიხსნა და გარეთ გამოვიდა. ქუჩა სწრაფი ნაბიჯებით გადაჭრა და სადურგლო საამქროს ეზოში შევიდა.

ხის ძირში ძელ-სკამზე სამნი ისხდნენ.

- გამარჯობათ! - მიესალმა მოსული შუახნის მამაკაცებს.

- გაგიმარჯოს კოტე. რაშია საქმე, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის? - გამოეპასუხა სამიდან ყველაზე ახალგაზრდა, ზორბა, თმაშეთხელებული მამაკაცი.

- გოგას მინდა დავურეკო. ორონი არიან მოსული, „შავები“ ვართო. თქვენგან ფული გვეკუთვნისო.

- ვინ არიენ? რაის ფული ეკუთვნით? ადრე არ გინახამს? - ზემოიმერულად მოუქცია ზორბამ და ფეხზე წამოდგა.

- არა, ძია ბესო, ადრე არ მინახავს. აქაურებს არ გვანან. მმგონი დასავლეთიდან უნდა იყვნენ. ტელეფონი ხომ მუშაობს?

- ტელეფონი რავა არ მუშაობს ბიძიკო მარა, წამოდი ერთი, მაჩვენე დეველაპარაკოთ ჯერე. ეგება ჩემი ცეხიც მაგენს ეკუთვნის და რავა, არ უნდა ვიცოდე?!

- არ დავრეკო?

- გამეიარე აქით, რო გელაპარაკები - მკაცრად წარმოთქვა ორმოცდაათს გადაცილებულმა ბესომ და გასასვლელისკენ დაიძრა. კოტეც უკან მიჰყვა.

- კაი გამარჯობა თქვენი! - პირდაპირ მაგიდასთან შედგა ბესო.

- გამარჯობა, ბიძაჩემო! - იყო მოკლე პასუხი.

- მე ბესო გახლავართ, მიხელიძე. ააგერ გზის გადაღმა პატარა ცეხი მააქ. აქოურობის პატრონები ჩემი კაი მეგობრები არიენ. ახლა მაგენის მოძებნა ნამეტანი გაგიჭირდებათ და, ამიტომ, მე უნდა მითხრათ, რაცხა გაგჭირვებიათ.

- ჩვენ შენთან საქმე არა გვაქვს. - ისევ მძიმედ უპასუხა ჩიამ.

- აპა, თქვენ თუ არ გაქვთ, მე მაქვს და მამისმინეთ აქით: ჯერე ჩემს ასაკს ეცით პატივი და ფეხზე წამოდექით! - მკაცრად წარმოთქვა ბესომ.

სტუმრებს ცოტა კი „გაუჭირდათ“, მაგრამ მიხელიძის „თხოვნა“ მაინც შეასრულეს, თუმცა „საკადრისი პასუხიც“ გასცეს:

- მაგაში კი ხარ მართალი, ბიძაჩემო, - ხმა ამოიღო მეორემ, - მარა გასაგებად გითხრეს მგონია, შენთან არაფერი გვაქვს სალაპარაკო. არ იცი ახლა შენ, ვის ელაპარაკები და შენს საქმეს რო მიხედამდე, ის აჯობებს.

- უიმე დედა. ღმერთო კი მომკალი, გეიგონე კოტიკო, რავა ჩემებურათ მოუქცია? ნნამდვილად „ზემლიაკები“ ვიქნებით მე და ეს.

- ისე, მეც მეცნობით. ნამეტანი ნაცნობი სახე გააქვთ და ვერ ვიხსენეფ, ვერაფრით - ლაპარაკში ჩაერია მხრებში მოხრილი.

- მეიხსენი, ბიძია, მა სათვალე.

- წავედით ამბერკიჩ, - ნაბიჯი გადადგა ჩიამ. - ხვალ მოვალთ და პატრონს დაველაპარაკებით. ამასთან მე საქმე არა მაქვს.

- მოგეცადა პატარა ხანს, შე კაცო, - ძლიერი ხელი მკლავზე წაატანა ბესომ და გააჩერა.

- ეე, ხელი გაწიე! - ფერი დაკარგა ჩიამ.

- მეიხსენი ბიჭო სათვალე-თქვა, - ისევ მიმართა მოხრილს მიხელიძემ, ისე, რომ ჩიასთვის არც უპასუხია და არც ხელი გაუშვია.

- გამიშვი-მეთქი ხელი!

- მეიხსენი სათვალე! - ხმას აუწია ბესომ და მხრებში მოხრილმაც უმალ შეასრულა ბრძანება, - ვაი შენს პატრონს, შენსას. აამბერკია ლოლაძის ბიჭი არ ხარ შენ, ხრეითელი? \

- ხელი გამიშვი-მეთქი, გაიგე შენ? - ისევ გაიბრძოლა ჩიამ.

- იდექი ჯერე შენ მანდ და ნუ ხვანცალობ, თვარა აგერ კედელზე ქე რო ტალახიანი ცოცხია მიყუდებული, იმით გაგზეპამ იცოდე. დაჯექი მანდ, - ხელი ჰკრა მიხელიძემ და პირდაპირ სკამში ჩაანარცხა.

ახლა კი საბოლოოდ გაფუჭდა ჩია. ბესო ისევ ნაცნობს მიუბრუნდა:

- გამეცი პასუხი, მეშლება თუ ამბერკის ბიჭი ხარ?

- კი, ამბერკის ბიჭი ვარ, - თავი დახარა მოპასუხემ.

- სახელი გამახსენე, ერთი.

- ნოდარი.

- ბიჭო, ნოდარი,შენ ის არ ხარ, სკოლა ოქროს მედალზე რო დაამთავრე და მთელი ჭიათურა რო შენზე ლაპარაკობდა?

- კი, ის ვარ. - ძლივსგასაგონად ამოილუღლუღა ნოდარმა.

- ახლა ის მითხარით, რა უთხარით ამ ბოვშს, რო მოხვედით. ვინ ვართო და რას ვითხოვთო?

ნოდარმა, ამჯერად, ხმის ამოღება „აღარ ისურვა“.

- „შავები“ ვართ და ფული გვეკუთვნისო. ასე უთხარით, მგონია.

პასუხი ისევ არ იყო.

- ჰე, ამეიღე ახლა ხმა.

მითხარი - კი თუ არა?

- კი, - უფრო ჩუმად უპასუხა ნოდარმა.

- კაი, ახლა მითხარი შენ, ეს ვინაა? - გრძელი ხელი ჩიასკენ გაიშვირა ბესომ. - და დროზე გამეცი პასუხი, თუ გინდა ყველაფერი კარქათ დამთავრდეს.

- კლასელია ჩემი.

- კლასელი? თქვენც მეიხსენით სათვალე, თუ არ შეწუხდებით ჩემო ბატონო - „დაუტკბა“ მიხელიძე ჩიას, რომელიც მიხვდა გაპროტესტების უაზრობას. უხალისოდ, მაგრამ მაინც მოიხსნა სათვალე და ჩალურჯებული მარცხენა თვალი გამოამზეურა.

- უიმე, დედაჩემო, გაგლახენ? გოუხმათ ხელები! - „ძალიან შეწუხდა“ ბესო.

- არავის არ გაულახივარ, ავარიაში მოვყევი, - განაცხადა ნირწამხდარმა ჩიამ.

- კი, რავა არა. მუშტმა წითელზე გამეიარა და თვალში დეგეტაკა ალბათ?! ვიცი, ბიძიკო, ვიცი. ნამეტანი დარღვევებით მოძრაობენ ამ ქალაქში მუშტები და პანღურები. ახლაც ბეწვზე ხარ გადარჩენილი. ჰა, შავები ვართო, ხომ? ისე, მართლა კაი ხანს გამოგყოლიათ ყვირილას „პლიაჟზე“” მიღებული „ზაგარი“. უმაღლესს დაანებე ბიჭო თავი? - მოუბრუნდა ისევ ნოდარს.

- დავამთავრე, კაი ხანია. - მორცხვად უპასუხა ნოდარმა.

- შენ? სახელი რა გქვია?

- გიგა.

- შენ თუ დაამთავრე?

- კი.

- უმაღლესი?

- კი.

- ოჰ, - ამოიოხრა ბესომ. წამით დადუმდა. ჩაფიქრდა, - ბიჭო, ნოდარა, მამაშენმა რო გეიგოს, რაცხა სისულელისთვის აპირებ ხელის მოკიდებას, მოკვტება. კკაცს კბილებში ოფლი გადიოდა, შენ რო გესწავლა და რაცხას სწეოდი ამ ცხოვრებაში. ასე უხდი სამაგიეროს? შენც გეხება ეს - გახედა გიგას, - შენს მშობლებს პირადად არ ვიცნობ მე,

მარა ჩემებურები ვიცი კარქათ.

მომისმინეთ ახლა. ვიცი, თქვენით არ მოგივიდოდათ ეგ აზრი თავში. ჰოდა, ვინცხა გონებას გირევთ და გაბრიყვებთ, იმას ეტყობა უკვე მოტეხილი აქ თავისი მოსატეხი კისერი და მოეშვით, გამეერიდეთ, თვარა დაგღუპამთ თქვენც, - მერე ისევ ჩაფიქრდა, - ხომ არ მუშაობთ სადმე?

- სად უნდა ვიმუშაოთ? სადაა სამუშაო? - უხასიათოდ უპასუხა გიგამ.

- თქვენ-თქვენი სპეციალობით საქმის შოვნა კი გაგიჭირდებათ, მარა...

- რა სპეციალობაზეა ლაპარაკი, ბესო ბიძია, - მეგობარს შეეშველა ნოდარი, - ღამის დარაჯათ რო მეეწყო სადმე, კაცი უნდა გყავდეს ვინმე.

- მაგი კია მართალი, - ისევ ამოიოხრა ბესომ.

სწორედ ამ დროს ფარდულის წინ ძველი ჟიგული გაჩერდა. მანქანიდან ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა:

- გამარჯობა, ბესო. რა ხდება?

- არაფერი არ ხდება, ჩემო გოგა. აგერ ჩემი მეგობარი კაცის ვაჟი და მისი ამხანაგი მესტუმრენ. სამრეცხაოს გახსნას აპირებენ ჭიათურაში და რაცხეების დაზუსტება უნდოდათ და რჩევა მკითხეს.

გოგა გორგილაძემ ეჭვის თვალით გადახედა უცნობებს. წამში ყველაფერს მიხვდა.

- მერე? - იკითხა ირონიულად.

- რა მერე? შენც კი იცი, მაინცდამაინც შემოსავლიანი რო არაა ეს საქმე და მეც ეგ ვუთხარი. თანაც დოუკვირდი ახლა: ჭიათურაში ვისაც მანქანა ყავს, ყველა თბილისშია და ძროხის გარეცხვაში იქაური კაცი თუმანს ნამდვილად არ გედეიხდის, ეს ქე ვიცი, - გაიცინა ბესომ.

სხვებმაც გაიცინეს.

- წავალთ აწი ჩვენ, ბესო ბიძია, - ფეხზე წამოდგა ნოდარი.

- წადით ბიძიკო, წადით... მარა, მეიხედე აქით. ხვალ-ზეგ გამეიარეთ ჩემთან, ეგება რამე ხეირიანი გამოჩთეს. დროებით მაინც ეშველება საქმეს და მერე რაცხა შეიცვლება, ალბათ. აპა, სულ ასე შავ დღეში რავა ვიქნებით.

- ნახვამდის, - დაემშვიდობა გიგაც და ბიჭები ქუჩას გაუყვნენ.

- ბიჭებო! - შემოაბრუნა ბიჭები ბესოს ხმამ. - ერთის თქმა დამავიწყდა კიდო: ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი საამქრო „ერთის პირის საწარმო“ პოლიციას ეკუთვნის არაოფიციალურად და ღმერთი არ გაგიწყრეთ, იქ არაფერი წამოგცდეთ თქვენი „ფერის“

შესახებ - გადაიხარხარა მიხელიძემ და დააყოლა - ხვალ-ზეგ აუცილებლად გამეიარეთ.

ახალგაზრდებმა ხელი აუწიეს და გზა განაგრძეს.

- რაო, ბესო, ფული გვინდაო? - გაუღიმა გოგამ.

- რავა, შენ არ გინდა? - ღიმილითვე უპასუხა ბესომ. - ისე, ჩემო გოგა, ესეთი ბიჭები იღუპებიან, კაცის სახეს კარგავენ და გულს ის მიკლავს, რომ მათი ბრალი არ არის თლათ.

***

ბესო ბიჭებს დაემშვიდობა და სადურგლოში დაბრუნდა.

გოგამ მადლობა გზაშიღა დააწია. მერე იქვე სკამზე ჩამოჯდა:

- იყო მუშაობა დღეს, კოტე? - სხვათა შორის იკითხა გორგილაძემ.

- სადაა მუშაობა. აი, დღევანდელი თანხა, - ჯიბიდან ხუთლარიანი ამოიღო კოტემ, - და ესეც შენი ავთო იყო, თეთრი ნივა რომ ჰყავს. იმან დატოვა.

- ხომ გთხოვე, ავთოს ფული არ გამოართვა-მეთქი.

- რა ვქნა, ძალით მიტენის ხოლმე ჯიბეში და მაგასთან ჭიდაობის თავი რომ მქონდეს აქ კი

არ ვიქნებოდი.

- ჰო, კარგი, კარგი, - ჩაიცინა გოგამ. - წავედი ახლა მე და თუ კიდევ რამე მოხდეს, მე დამირეკე, ბესოს ნუღარ შეაწუხებ.

- ახლაც მასე ვაპირებდი, მარა თვითონ არ ქნა, ლამის ძალით წამომიყვანა აქეთ. ტელეფონამდე ვინ მიგიშვა?

- შენც ნუ იტყოდი, რატომ მირეკავდი. რა ძნელია? ისე კი, მგონი, აღარც დაგვჭირდება. მალე, ალბათ გავყიდით აქაურობას, თუ გაიყიდა. ხეირი აქ ვერაფერი ვნახე. თუმცა, შენ არაფერი გემუქრება, ვინც იყიდის, იმასაც დაჭირდები, ალბათ.

- ეე, თქვენ თუ წახვედით, აქ რაღა ჯანდაბა მინდა?!

- გამახსენე ერთი, რა გაქვს დამთავრებული?

- არქეოლოგი ვარ.

- მერე რას გააკეთებ? წერაქვს და ნიჩაბს იყიდი და თამარ მეფის საფლავის ძებნას დაიწყებ? თუმცა, იქნებ სხვა რამე აღმოაჩინო ერის კულტურული საგანძურისთვის.

- ჰო, აბა, ძალიან არ აინტერესებთ.

- რას ამბობ, ბიჭო, როგორ არ აინტერესებთ, - გაყიდიან. იცი, რა ფულია?

- ჰო, ეგ კი აღარ მომაგონდა, - ირონიულად გაიღიმა კოტემ.

- მაშ! ეგრეა და გიჯობს გაინძრე და რამე მართლა იპოვო, თორემ მაგათ თუ ფული შემოაკლდათ, მეც გამყიდიან, შენც და „ტრიფონსაც“ - ამოიოხრა გოგამ. - წავედი, წავედი. ძალიან მინდა, ჩემო კოტე, რამეს ვეწიო, შენც გვერდით ამოგიყენო და, ერთხელ და სამუდამოდ, დავივიწყო ხვალინდელი დღის შიში. მაგრამ რომ არაფერი გამოდის?! ამიტომ ვერც ვერაფერს გპირდები. ისე, თუ სადმე ყური მოკარი, გორგილაძე აშენდაო, მაშინვე მომნახე და შენც აგაშენებ - გოგამ კოტეს მხარზე ხელი დაარტყა, გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და მანქანას მიაშურა.

მშვიდად მიუყვებოდა ძველი ჟიგული ფართო ქუჩას. უსიამოვნო შეგრძნება ჰქონდა საჭესთან მჯდომ გოგას. ლაღად მისრიალებდნენ ფერად-ფერადი მანქანები მის გვერდით. განსაკუთრებით, უცხოურები აქტიურობდნენ. ვიღაც ასიგნალებდა, ვიღაცას დღისით-მზისით, შუქ-ფარები აენთო, ვიღაც თავხედურად არღვევდა... ერთი სიტყვით, გიჟური თბილისური რიტმი ბობოქრობდა თბილისში. ვითომ მართლა ყველას სადღაც ეჩქარებოდა? არადა, მართლა რამდენი მნიშვნელოვანი საქმე იყო ამ ქალაქში საკეთებელი. ქალაქში, სადაც ერთ დროს მეფედკურთხეული ზნეობა ახლა სისხლისგან იცლებოდა. სიბინძურით, სიცრუით და ღალატით კბილებამდე შეიარაღებული ამპარტავნება, ვინძლო, გადამწყვეტ ბრძოლაში ამარცხებდა ნამუსისამარა დარჩენილ თავმოყვარეობას.

იქნებ ამიტომ მიიჩქაროდა ეს ხალხი ასე თავაწყვეტით? იქნებ ყველას ერთად გახსნოდა გონება, საზარელ შიშს გამოეფხიზლებინა, რომ უფსკრულის პირს მისდგომოდა მათი მოდგმა და ჯილაგი?!

შენც არ მომიკვდე!

***

ჭარმაგი ინტელიგენტი, ჯავრისაგან ნაგვემი სახით უჯდა ძველისძველი, მაგრამ ნაფერები “მოსკვიჩის” საჭეს, რომელსაც „ტაქსის“ აბრა „ამშვენებდა“. მძღოლი დინჯად მიუყვებოდა უკიდურეს მარჯვენა მხარეს. თვალებით კლიენტს ეძებდა. უცებ მოეჩვენა, რომ გაჩერება ანიშნეს. მყისვე დაამუხრუჭა მანქანა.

უკან ბორბლების ხრჭიალისა და მუხრუჭების „წივილის“ ხმა გაისმა. „ბმვ“-მ ძლივს მოასწრო რეაგირება და მოსკვიჩს გვერდი მოხერხებულად აუქცია. მანქანა გაჩერდა. ძვირფას კოსტუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი სიმპათიური ვაჟი მანქანიდან გადმოხტა და „მოსკვიჩთან“ მიიჭრა.

- მკლავ, მე შენი დედა... - იღრიალა მან. - ახალგაზრდა მაინც იყო, გადმოგიღო და „კაპოტზე“ თავი გარტყმევინო, შე “ბოზიშვილო! - და ჭარმაგ კაცს, ღია ფანჯრიდან სახეში შეაფურთხა. მერე, ჯერ კიდევ ემოციებით სავსე, მოტრიალდა და გინებით

გაემართა მანქანისკენ.

მაგრამ, მოულოდნელად, მოსკვიჩი ადგილს მოსწყდა და „ბმვ“-ს უკნიდან ეძგერა.

ეს მოძრაობა ორჯერ განმეორდა.

- რას შვრები, შე დამპალო?! - იკივლა გაოგნებულმა, გაცოფებულმა ახალგაზრდამ, მაგრამ „მოიერიშემ“ ისევ უკან დაიხია და მთელი ძალით, ახლა გვერდიდან შეუტია. ისე, რომ ორივე მარცხენა კარი და წინა ფრთა სერიოზულად დაუზიანა! მოსკვიჩი აღარ დაძრულა...

„ბმვ-ს“ პატრონმა სამიოდე ნახტომი გააკეთა. საშუალოზე მაღალი, კაფანდარა მძღოლი მანქანიდან „გამოაძრო“ და გამხეცებულმა დაუშინა მუშტები.

გოგა წამებში განვითარებულ ამბავს ოციოდე მეტრში გაჩერებული მანქანიდან უყურებდა. მერე სხარტად გადმოხტა მანქანიდან და აკანკალებული მოხუცის დასახმარებლად გაიქცა, მაგრამ დაასწრეს. დაჩეჩქვილ მანქანებთან უეცრად ისარივით დაერჭო შინდისფერი „ოპელი“.

- მოერიე ბიჭო, მამას? - გამოსცრა კბილებშუა მანქანიდან გადმომხტარმა მაღალმა, ძვალმსხვილმა ახალგაზრდამ და მისკენ მობრუნებულ „ბმვ“-ს მძღოლს მთელი ძალით დაჰკრა მუშტი შუბლში.. ეს უკანასკნელი ურონაკრავი მოზვერივით შებარბაცდა და ტლანქად გაიშოტა ასფალტზე.

უცებ შეგროვდა ხალხი. ქალებმა, ორი გულწასული და მიწაზე გაშოტილი კაცის დანახვაზე კივილი ატეხეს.

- ძია ვაჟა! - მანქანიდან პლასტმასის ბოთლით წაყლი გადმოიღო ოპელის პატრონმა და ჭაღარას აპკურა. მერე ფრთხილად მოუთათუნა ლოყებზე, საფეთქლები დაუსრისა. - ძია ვაჟა! - გაიმეორა უფრო ხმამაღლა. ისევ აპკურა წყალი და მოხუცმა თვალები გაახილა. ერთი წამით თავსწამომდგარ ახალგაზრდას შეაცქერდა და გაუნძრევლად შეათვალიერა იქაურობა. ყველაფერი გაახსენდა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

- ის სად

წავიდა?

- სად წავიდოდა, აგერ წევს, შენს უკან, - ღიმილით უპასუხა ახალგაზრდამ და კაცი, რომელსაც წარბიდან და ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, ფრთხილად წამოაყენა.

- ჩემთან დაჯექი, სახლში მიგიყვან, - ხელი შეაშველა კაცს, რომელიც „მოსკვიჩში“ კვნესა-კვნესით ჩაჯდა.

- არ მინდა, მე თვითონ. გმადლობ. - ჩუმად ჩაილაპარაკა მოხუცმა და მანქანა დაქოქა.

- რადიატორიდან წყალი იღვრება.

მაგრამ მოხუცს გულშემატკივრის სიტყვები თითქოს არ გაუგია. მანქანა დაძრა და ნელი სვლით გაუყვა გზატკეცილს.

ახალგაზრდამ თვალი შეავლო ძირს გაშოტილ „ბმვ“-ს მძღოლს, რომელიც ნელ-ნელა გონს მოდიოდა. მერე მასთან ჩაიმუხლა:

- მე შენ კიდევ გნახავ. თუ უფრო ადრე მოგინდება ჩემთან შეხვედრა, არც ეგაა ძნელი საქმე. პლატონას დუქანთან გამოდი და ხარძიანი იკითხე. - მერე წამოდგა, მანქანაში ჩაჯდა და „მოსკვიჩს“ აედევნა.

გოგა ადგილზე გახევებულიყო. ხარძიანს კარგად იცნობდა, მერაბის ახლო მეგობარი იყო, მაგრამ მასთან მისვლა ახლა რატომღაც არ მოუნდა. სწრაფად განვითარებული მოვლენების აღქმა გაუჭირდა. ხალხი ხმამაღლა საუბრობდა. ჰალსტუხიანს წამოდგომაში ხელი შეაშველეს. საიდანღაც პოლიციის მანქანა გაჩნდა.

- რა მოხდა აქ? - გორგილაძეს მიმართა მანქანიდან გადმოსულმა ოფიცერმა.

- კარგი არაფერი. - მიუგო გოგამ და მანქანისკენ გაემართა.

***

რაიმონდ ბერეხთან მერაბმა იმ დღესვე გააფორმა ხელშეკრულება და მომდევნო დილის ცხრა საათზე ის და ავთო ერთად გამოცხადდნენ სამსახურში.

რაიმონდი მათ ეზოში შეეგება და მერაბს მიმართვის „შენობით“ ფორმაზე შეუთანხმდა. მერე ავთოს გვერდით მიუჯდა და თეთრი ნივა თბილისისკენ დაეშვა.

ბარათაშვილმა იქაურობას თვალი მოავლო. გგაიარ-გამოიარა. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. პირველი სართულის აივნის დასავლეთის კედელზე პატარა თაღჩა შეამჩნია, სადაც გადაშლილ წიგნზე მომცრო ზომის შანდალი იდგა. მერაბი აივანზე ავიდა. წიგნი ფრთხილად აიღო და ეზოში დაბრუნდა. ტირიფის ქვეშ მაგიდასთან მოხერხებულად მოეწყო და კითხვას შეუდგა.

ორიოდე საათი იქნებოდა გასული, როცა ალაყაფში ჩაყოლებული კარის საკეტის ხმა გაისმა და ეზოში ახალგაზრდა ქალმა შემოაბიჯა.

მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ კარგი აღნაგობა ჰქონდა. მოხდენილად და ოდნავ თამამად ეცვა. როგორც ჩანს, იცოდა საკუთარი ღირსებების შესახებ, ამიტომ არც არაფრის დამალვას აპირებდა და ვერც ვულგარულობაში დაადანაშაულებდა ვინმე.

ესე, რაღა თქმა უნდა, მერაბი ფიქრობდა. ქალმა კარი ჯერ გულდასმით ჩარაზა, სახლისკენ ტაატით გაეშურა და უცხო კაცი გზადღა შეამჩნია. შედგა, ყურადღებით დააცქერდა.

- შენ ვინ ხარ? - იკითხა საჭიროზე ჩუმად.

- დარაჯი, - მოკლედ უპასუხა ბარათაშვილმა, წიგნი დაკეცა და მაგიდაზე დადო.

- ჰოო?

- ჰო.

- საინტერესოა! ისე, დიდი ხანია დარაჯები დოჩანაშვილს კითხულობენ?

- საკმაოდ. განსაკუთრებით მას შემდეგ მიეძალნენ, რაც „სამოსელი პირველი“ გამოქვეყნდა.

ქალისთვის აშკარად მოულოდნელი იყო აქ უცხო კაცის ხილვაც და ასეთი რიხიანი შეპასუხებაც.

- ესე იგი, საკმაოდ ნაკითხი დარაჯი ხარ?

- უფრო უპრიანი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ საკმაოდ დადარაჯებული მკითხველი ვარ, -“„მცირე ძალებით““ გაუღიმა მერაბმა.

- წაკითხული გაქვს ეგ წიგნი? - ცივად, აბსოლუტურად უემოციოდ შეეკითხა ქალი.

- არ დამიჯერებ და, თავიდან ბოლომდე.

- ვერ გაიგე და თავიდან კითხულობ?

- არა, არ ვკითხულობ. უუბრალოდ, საზეპიროებს ვიმეორებ.

- ცინიკოსი ხარ?

- არა, ისტორიკოსი. შენ თათია იქნები, დარწმუნებული ვარ.

- აჰა, ესე იგი, შენ ჩემი დარაჯი ხარ.

არა მგონია. რაიმონდმა ამ სახლში დაცული ძვირფასი ნივთები ჩამომითვალა; შენზე არაფერი უთქვამს. - ისევ “წეღანდელივით” გაუღიმა მერაბმა.

თათია ამას ნამდვილად აღარ ელოდა. მაგიდასთან მივიდა, მერაბს პირისპირ ჩამოუჯდა. თვალები ოდნავ მოჭუტა და ეჭვით შეაცქერდა სახეში.

- რატომ მელაპარაკები ასე? - მკაცრი მასწავლებლის გამომეტყველება მიიღო ქალმა.

- როგორ „ასე“?

- აგდებულად.

- შენ, შენ რატომ მელაპარაკები „ასე“?

- იმიტომ, რომ შენ დარაჯი ხარ. - ნიშნისმოგებით გაუღიმა თათიამ.

- ჯერ ერთი, მე უკვე გითხარი, რომ შენი დარაჯი არ ვარ. მეორეც, ჩემს კონტრაქტში არ

არსებობს თათიასთან ურთიერთობის ქვეპუნქტი. ამ მხრივ, სრულიად თავისუფალი ვარ.

- შენ თავხედი ხარ. - ისევ მონოტონურად წარმოთქვა ქალმა.

- ქალი რომ არ იყო, მეც იგივეს გეტყოდი, მაგრამ ახლა სხვა სიმართლეს მოგახსენებ: შენ ძალიან ლამაზი თვალები გაქვს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ყველა დანარჩენზე.

- მე რაიმონდს ვეტყვი, რომ შენ ხვალ აქ აღარ იყო!

- არ გირჩევ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მე დადებითი პიროვნება ვარ. ამით კი შენც შეგიძლია ისარგებლო.

- შენს თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს.

- გეთანხმები, დიდი, მაგრამ არა გადაჭარბებული.

- არა, აშკარაა, შენ გიჟი ხარ!

- გასაოცარია, ნუთუ

ასე შესამჩნევია. ააქამდე ამას ქალები მხოლოდ საწოლში მეუბნებოდნენ.

- იდიოტი! - ფეხზე წამოიჭრა თათია.

- ეგეც წაკითხული მაქვს. ოღონდ ნუ გაგიკვირდება, დარაჯებს დრო ბევრი გვაქვს. - გაიცინა მერაბმა.

- შენ ხვალ აქ აღარ იქნები!

- „ყოფნა-არყოფნა საკითხავი აი ეს არის!“” - უილიამ შექსპირი, მეჩვიდმეტე საუკუნის უგამოჩენილესი ინგლისელი ტრაგიკოსი და მოაზროვნე. მითხარი ახლა, ვინ იტყვის ჩემზე დარაჯიაო?

ამის გაგონებაზე თათიამ ნაბიჯს აუჩქარა.

- მოიცა, ნუ მიდიხარ, კიდევ მაქვს ერთი წიგნი წაკითხული, - გულიანად გადაიხარხარა მერაბმა და თათიას მიერ ზურგს უკან მიჯახუნებული კარის ხმა გაისმა.

მერაბმა სიცილი უმალ შეწყვიტა. მცირე ხნით იმ კარს მიაშტერდა, რომლის უკანაც თათია გაუჩინარდა. მერე თავი გააქნია და “„საზეპიროების” გამეორებას“ დაუბრუნდა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კარის საკეტის ხმა ისევ გაისმა. მოსამსახურე იყო.

სონა მერაბს მიესალმა და ისიც სახლში გაუჩინარდა.

მერაბმა აგერ უკვე მერამდენე ფურცელი გადაფურცლა. მიხვდა, მექანიკურად კითხულობდა. თავი აწია და გულის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს ამოაყოფინა თავი. გააბოლა და ის იყო, სიგარეტი საფერფლეს დაასრისა, რომ კიბეზე სონა გამოვიდა:

- მოდი, შვილო, პური ვჭამოთ.

- გმადლობთ, დეიდა სონა, დღეს რაღაც მადას ვუჩივი. - უპასუხა ბარათაშვილმა.

- აბა, ეგ როგორ იქნება. მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. მოდი, მოდი, თორე უფროსი გამიჯვარდება. - ხელი დაუქნია მოხუცმა მერაბს.

- რა გაეწყობა, - ზანტად წამოდგა ბარათაშვილი და სამზარეულოს მიაშურა.

სუფრა მხოლოდ მერაბისთვის იყო გაშლილი. სონამ ჯერ ცხელი წვნიანი მიართვა, მერე კატლეტი და სალათი.

- თქვენ რატომ არ სადილობთ, დეიდა სონა? - ჰკითხა მერაბმა.

- აი, ბოდიშს კი მოგიხდი შვილო, მაგრამ სახელი ვერ დავიმახსოვრე შენი?

- მერაბი მქვია.

- ჰო, აკი ეგრეც მახსოვდა, - სკამზე ჩამოჯდა ქალი, - მე, შვილო, თავს არ დავიმშევ, არხეინათ იყავი. მშიერი ადამიანი რისი მაქნისია? როცა მამშივა, მაშინათვე წავისმუსნები ხოლმე. ისე, ბევრის მჭამელი კი ვერა ვარ, თორემა, ვინ მიშლის. მე არ მაბარია, თუკი რამ აქაურობას აბადია?

- ჰო, მაგრამ ისიც ხომ გაგიგიათ, „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“.

- მაგაში მართალი ხარ, - ხმას დაუწია სონამ. - აკი “ქალბატონიც” მოვიპატიჟე, მაგრამა...

- რაო, არ მშიაო? - ჩუმად ჩაიცინა მერაბმა.

- რავი შვილო, წეღანა ისეთი გაბრაზებული დამხვდა, რომა, თუ არ გაუარა, იქნება ერთი კვირა პირი არაფერ დააკაროს. ძრეელ აწყენინა ვიღაცამა. - უფრო დაუწია ქალმა ხმას, ტუჩებთან დაკოჟრილი ხელი მიიტანა და მერაბს ეშმაკურად გაუღიმა. ანიშნა, ვიცი, შენს გამო რომ გაცხარდა და ძალიანაც კარგიო.

მერაბსაც გაეღიმა. ისედაც, დანახვის წუთიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა მასზე ამ ხანდაზმულმა, მაგრამ მკვირცხლმა და მოძრავმა ქალმა. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, სონას ხომ ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ დღენიადაგ შრომაში და ჯაფაში იყო. ამაზე მეტყველებდა მისი მოქნილი ხელები, ფარატინა და ასაკისთვის შეუფერებლად სხარტი სხეული. დღე აქ შრომობდა მუხლჩაუხრელად. დილა-საღამოს, ალბათ, ოჯახს ევლებოდა თავს და მის ერთადერთ დასვენებას ის ხუთ-ექვსსაათიანი

ძილი წარმოადგენდა, რომელიც ყველა ძე-ხორციელს არგუნა ღმერთმა, რამეთუ სხვაგვარად სულდგმულობაც შეუძლებელია.

დეიდა სონა, ალბათ, ამითაც კმაყოფილი იყო. რადგან ვინც უყვარდა, უთუოდ ყველა მოვლილი და დაპურებული ეყოლებოდა. მისთვის ეს იყო ყველაზე მთავარი. ასე ასწავლეს, ასე ისწავლა და ასე იცხოვრა.

სხვების კარგადყოფნისთვის ცხოვრობდა დეიდა სონა. თუ მოხდა სასწაული და ის სხვებიც მისთვის ცხოვრობენ, მაშინ მართლა ბედნიერი ყოფილა ეს ქალი და თანაც, ჭეშმარიტად ბედნიერი. მაგრამ ასეთი ადამიანებისთვის ისიც საკმარისზე მეტია, თუ მისი ერთგულება დაუნახავი არ დარჩება და ამ მადლიერებას ზოგჯერ მაინც გამოხატავენ, თუნდაც სიტყვით

კარგია, მაგრამ სად არის?!

არა, ალბათ, უიმისოდაც ბედნიერი იყო ეს ქალი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ნამდვილ საკეთებელს აკეთებდა. ესე იგი ნამდვილი ქალი იყო, ნამდვილი დედა! - ფიქრობდა მერაბი.

***

იმ დღიდან მოყოლებული, ისე გავიდა ერთი კვირა, თათიას მერაბისკენ არც კი გაუხედავს. არც მერაბს გამოუჩენია ინიციატივა. თათია ბარათაშვილის მოსვლიდან ორიოდ საათში მიდიოდა და სახლში ყოველთვის რაიმონდზე ადრე ბრუნდებოდა. რაც შეეხება გაცნობის პერიპეტიებს, ამის შესახებ თათიას რაიმონდისთვის არაფერი უთქვამს.

ავთოს ნათქვამი თითქმის ასი პროცენტით მართლდებოდა. თათია თითქმის არავის ელაპარაკებოდა, იშვიათი გამონაკლისების გარდა. თვით რაიმონდსაც კი. ამ ერთი კვირის მანძილზე მერაბს რამდენჯერმე რაიმონდთან ვახშმობამაც მოუწია. ქალი ნახევრადშევსებულ ფუჟერს უხმოდ წრუპავდა და მის შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს არ იცოდა, ახლო-მახლო, მის გარდა, სხვებიც რომ იყვნენ. ეგ

არის, იშვიათად, ფუჟერის ტუჩთან მიტანისას, წამიერ მზერას შეავლებდა ხოლმე ბერეხს.

- წავედი, - იტყოდა ნავახშმევი თათია და დგებოდა.

- წადი. - მოკლედ პასუხობდა რაიმონდი.

მერაბს დიდხანს წყენის გულით ტარება არ შეეძლო, ის, რაც თათიასთან მოუხდა, არც შეიძლებოდა წყენად ჩაეთვალა. არც თავად უთქვამს ამ ქალისთვის რაიმე საგანგაშო და შეურაცხმყოფელი.

არადა, ყოველ ცისმარე დღეს ცოცხალი ადამიანი გვერდით უხმოდ მიდი-მოდიოდა.

მერაბს, ღრმა ბავშვობიდან უკვირდა, როგორ შეეძლოთ ადამიანებს, უმნიშვნელო მიზეზის დამო, დღეებით, თვეობითა და წლობით გაბუტვა. არადა, - ფიქრობდა იგი, - ხშირად სწორედ ასეთები გამოირჩეოდნენ ხასიათის სიმტკიცით, მიზანდასახულობით, გაუტეხელობით. ჰოდა, სწორედ ამის ხარჯზე აღწევდნენ საწადელს, იქმნიდნენ ავტორიტეტს და იძენდნენ ადგილს საზოგადოებაში.

თათია არ იყო პირველი. ბარათაშვილი იცნობდა ასეთ ხალხს, და, როდესაც კიდევ ერთხელ გადახედა მათ სიას, უეცრად აღმოაჩინა, რომ არცერთი გამოირჩეოდა ნიჭიერებით, დიდი ფიზიკური ძალით, უნაკლო გარეგნობით, ან რომელიმე სხვა თანდაყოლილი სიკეთით, თუ კიდევ დარჩა რამე. ჰოდა, ეს „გაბუტვის უნარი“ მხოლოდ ყურადღების მიქცევის საშუალებას თუ წარმოადგენდა მათთვის. ეს, ალბათ, ერთგვარი პოზა იყო, აპრობირებული და მომგებიანი.

აი, თათია კი აშკარად ეწინააღმდეგებოდა მერაბის დასკვნას. იგი უკვე შემდგარი ქალი იყო, მეტად ეფექტური, მიმზიდველი და სასურველი. მაშ, რა ხდებოდა? ან მერაბის ახალი აღმოჩენა ვერ გაუძლებდა „შთამომავლობის“ კრიტიკას, რადგან მცდარი იყო, ანდა თათია არ იყო ის, ვისაც თამაშობდა. ოღონდ, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? იქნებ რაიმონდს ასეთი მოსწონდა და ამიტომ. არა, წარმოუდგენელი იყო, სიცოცხლით სავსე და ხალას კაცს ესეთი ქალი მოსწონებოდა.

თუმცაღა, რატომაც არა. აკი ამბობენ, რომ ადამიანებს საკუთარი თავისგან რადიკალურად განსხვავებულ ხალხთან უკეთ გამოსდით მეგობრობა, რადგან ერთმანეთს ავსებენო. რად უნდა ამას სჯა-ბაასი? ყველა ცოდვილი იმის შეძენას ცდილობს, რაც არა აქვს.

ამ შემთხვევაში, შესაძლოა, თათია მართლაც თამაშობდა, რათა რაიმონდისთვის საინტერესო ყოფილიყო. რატომ სჭირდებოდა ეს, ძნელი მისახვედრი არ იყო. თათია შრომობდა, ეს მისი ბიზნესი იყო... ალბათ.

ამ საძირკველმორყეულ ქვეყანაში ის, საუბედუროდ, არც პირველი იყო და არც უკანასკნელი.

რა არისო აქ საკვირველი და საგანგაშო? - იკითხავს ზოგიერთი. - იგივე ხდება სხვაგანაც, უკლებლივ ყველა ქვეყანაში.

აქ არ ხდებოდა... ან თითქმის არ ხდებოდა... აქ ადრე სცხვენოდათ. ადრე...

***

ოქტომბრის ბოლოს, ერთ წვიმიან საღამოს, გოგა გორგილაძე ჩვეულებრივზე უფრო სევდიანი მივიდა თავის პატარა ავტოსამრეცხაოში. გვერდით მშენებარე კომპლექსის პატრონს 4500 დოლარად მიჰყიდა ყველაფერი. 200 კოტეს ძალით ჩაუტენა ჯიბეში და წყნეთისკენ აიღო გეზი. ვაკის სასაფლაოსთან მანქანა შეაჩერა და მობილურზე ავთოს ნომერი აკრიფა.

- ხო, გოგა, - გაისმა ყურმილში.

- სადა ხარ?

- აეროპორტიდან გამოვედი. რაიმონდა გავაცილე მოსკოვში. რა არი რო?

- ესე იგი თავისუფალი ხარ?

- ვერაზე გავივლი თათიას და თავის დაქალს ავასხავ წყნეთში, მერაბს წამოვიყვან და მერე თავისუფალი ვარ. შენ სადა ხარ?

- წყნეთში ავდივარ. მერაბს წამოვიყვან-მეთქი ვიფიქრე და სადმე დავჯდეთ.

- რაღა სადმე, იქვე დავჯდეთ. რაიმონდა ახლა ცაშია, მისი წილი დედამიწა კი ჩვენ გვეკუთვნის.

- კაი, ამოდი და იქ ვნახოთ, - უპასუხა გოგამ და ტელეფონი გათიშა.

თხუთმეტიოდე წუთში თეთრი ჟიგული ბერეხის ალაყაფს მიადგა და დაასიგნალა.

- ვაა, გორგილაძე, - ღიმილით წარმოსთქვა მერაბმა მას შემდეგ, რაც კარი გააღო. - შემო.

- საპატიო ყარაულს ჩემი სალამი! - მანქანიდან გადმოვიდა გოგა. - ლენინი ცაში გყოლიათ გავიგე, კრუპსკაია - თბილისში; ესე იგი, მავზოლეუმში მარტო ხარ! - მერაბი გადაკოცნა და ეზოში შევიდა.

- ლენინი მოსკოვში გავუშვით. როგორც იქნა მიხვდა, სად უფრო საჭიროა. რაც შეეხება კრუპსკაიას, ცოტა ხანში მობრძანდება და, თუ არ ვცდები, როზა ლუქსემბურგსაც გამოიყოლებს. შენ ის მითხარი, აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო.

- თბილისში წვიმდა, აქ არაფერი ეტყობა, რაშია საქმე? - მაგიდას მიუჯდა გოგა ტირიფის ქვეშ.

- შენ ჰიდრომეტცენტრის დავალებით ხარ ამოსული, თუ პირადად გაქვს რამე სათქმელი? - პირისპირ ჩამოუჯდა მერაბი.

- არ დავლიოთ?

- ვინა თქვა, რო?

- მაშინ ავთოს დაველოდოთ და წავიდეთ, თუ შენ აქ უნდა იყო ბერეხის დაბრუნებამდე?

- რას ჰქვია დაბრუნებამდე?! რით ვერ გაიგეთ, რომ მე მაღალანაზღაურებადი მცველი ვარ და არა კავკასიური ნაგაზი.

- როგორ, მის უდიდებულესობა თათიას და სახლს მარტოს ტოვებ?

- რატომ მარტოს? აბა ავთო რას მიკეთებს. რაიმონდის ჩამოსვლამდე გელაშვილი აქ დაიდებს ბინას. მე თავისუფალი ვარ ჩიტივით. მხოლოდ

მაშინ ამოვალ, როცა სადმე წასვლა მოუნდება ძალიან და ისიც, რამოდენიმე საათით.

- გამოდის, რომ გელაშვილი ყოფილა ნაგაზი.

- ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ორს შორის ის უფრო ჰგავს და ამაში ორი აზრი არ არსებობს. - გაიცინა მერაბმა. - თანაც დარწმუნებული ვარ, თავად თათიასაც ავთოს კამპანია უფრო აწყობს, ვიდრე ჩემი.

- კიდევ არ გელაპარაკება?

- როგორ არა, ამას წინათ კიბეზე ჩამოსვლილას წაიქცა და წამოსაყენებლად ხელი რომ გავუწოდე,"არ მჭირდებაო, მითხრა.

- ვაა! პროგრესია, ხომ იცი?!

- აშკარაა!

- სახლში როგორა ხართ?

- როგორც ყველა. ნატა რას შვრება, როდის ჩამოდიან?

- ერთი თვე იქნება, ალბათ, კიდევ. ტარიელს წამოსვლა უნოდა მარა ექიმებმა არ ქნეს, რეაბილიტაციის პროცესს უნდა დავაკვირდეთო. მაგას ვჩივი, თუ ძმა ხარ, კაცი ხელახლა დაიბადა. ფაქტიურად ვეღარ ხედავდა, ხომ გახსოვს.

- რას ამბობ, მხედველობის ფასი არაფერია. ბავშვი როგორაა, არ მოენატრა დედამისი?

- მოენატრა კი არა, გიჟს გავს. მთელი დღე ტელეფონზე ჰკიდია და დედამისს ეტლიკინება.

სწორედ ამ დროს სახლის პირველი სართულიდან დეიდა სონა გამოვიდა და ნელი ნაბიჯით მერაბისკენ დაიძრა.

- მერაბ, ერთი წუთი მომხედე, შვილო, - შუა ეზოში გაჩერდა ქალი.

- დიახ, სონა დეიდა, - სწრაფი ნაბიჯით მივიდა მერაბი ყოველთვის ოდნავ ეშმაკურად მომღიმარ ქალთან.

- შვილო, სტუმარი გყავს, პური ეშიება, მალე ავთოც მოვა, სუფრას გავშლი-მეთქი, ვიფიქრე კია, მარა იქნებ გარეთ გერჩივნოთ... ახლა ისიც არი, აცივდება საცაა და ბინაში არა სჯობია?

- ნუ შეწუხდები, სონა დეიდა, გენაცვალე. თუ რამე გადავწყვიტეთ, ჩვენ თავად მოვიხერხებთ რაღაცას.

- მერაბ, წავედით, სადმე დავჯდეთ, არ ჯობია?! - გოგამდეც მოაღწია საუბარმა.

- წასვლა არა მგონია, გამოვიდეს, გოგა. ავთო აქაურობას ვერ მიატოვებს. თანაც აქ რაღა უჭირს, საჭმელ-სასმელი ბლომადაა და ყველაფერი.

- მერე, ისინი რომ ამოვლენ, ესიამოვნებათ? - თათია იგულისხმა გორგილაძემ.

- აქ, საბედნიეროდ, ჩემო ძმაო, თათია კი არა, რაიომონდა და შენი ქოსა ძმაკაცი წყვეტენ ყველაფერს.

- ყოჩაღ, ავთო! - აღფრთოვანება ვერ დამალა გოგამ.

- აბა, შენ რა გეგონა, ეგ არის ჩვენი შტაბის უფროსი. თანაც, არც რაიმონდია ცუდი კაცი. თბილისშია გაზრდილი და იცის, რომ ქართველი კაცი სტუმრის გარეშე ვერ გაძლებს. ცოდვა როგორ ვთქვა და, ამ მხრივ არც ჩვენი ქალბატონია დასაძრახი. იყო ერთი-ორი შემთხვევა, ამდაგვარი და შენ წარმოიდგინე, სტუმრებსაც თავაზიანად მიესალმა და მიპატიჟებაზეც ისეთი თავაზიანი უარი გვითხრა, მე და ავთოს კი არა, რაიმონდსაც გაუკვირდა, აბა!

- მოიცა, სტუმრები რომ გყავდათ რაიმონდიც აქ იყო?

- აქ იყო კი არა, 4-ჯერ წამართვა სადღეგრძელო და ისე მოილხინა, ბიჭები გადარია, აღარ უშვებდა.

- თქვენ, ძმაო, პატრონ-ყმული ურთიერთობა გქონიათ და ეგ არის.

- უფრო მეტიც.

- ესე იგი, შიგნით გავშალო შვილო, არა? - ისევ იკითხა დეიდა სონამ.

- რაკი არ იშლი დეიდა სონა, ეგრე იყოს. სახლში ჯობია, არა გოგა?

- თუ აქ ვრჩებით, კი ბატონი.

- ემ საათში, - თქვა სონა დეიდამ და თითქმის სირბილით შებრუნდა სახლში.

- კარგი ქალი ჩანს, - სიგარეტს მოუკიდა გორგილაძემ, გააბოლა და ამოიოხრა.

- მოიცა, მოიცა, რაღაც ხდება შენს თავს, როგორც ვატყობ და არ მეუბნები. რამე ცუდი ხომ არაა ბიჭო?

- ისეთი არაფერი.

- მაინც? - ისევ წინ ჩამოუჯდა მერაბი და თავადაც სიგარეტს მოუკიდა.

- სამრეცხაო გავყიდე.

- როდის? - პირთან მიტანილი სიგარეტი გააჩერა ბარათაშვილმა.

- ერთი საათის წინ.

- მერე?

- მერე აქ წამოვედი. - სევდიანად გაიღიმა გოგამ.

- მაგას არ გეკითხები, რას აპირებ?

- რას უნდა ვაპირებდე, 4500-ად გავყიდე, 200 კოტეს მივეცი. 100-ის დახარჯვას დღეს ვაპირებდი, 200 უნდა ვიმყოფინო, ვიდრე შემოსავლის ახალი წყარო გამოჩნდება. 2000-ს სიმამრს ავუტანდ. რას ვერჩი იმ კაცს, ორი წელია, ნასესხები მაქვს. დარჩენილი 2000-ით რომ ხეირიანი არაფერი გამოვა, რა ძნელი მისახვედრია.

- არ გამოგართმევს მაგ ფულს გიზო, შენც კარგად იცი, - სიგარეტი გააბოლა მერაბმა და მაგიდას ჩააშტერდა.

- მით უარესი მისთვის, შემომეჭმება და დამრჩება გაღიმებული.

- რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

- მოფიქრებულიც მაქვს და გადაწყვეტილიც.

- რა?

- მანქანას კაპიტალურად შევაკეთებ და შემახილზე „ტაქსი!“”- შნოიანი მოქალაქეების ფეხებთან დავამუხრუჭებ ხოლმე.

- გაგიჟდი? შენი ნერვების პატრონი ტაქსისტობას აპირებ?

- აბა, რა ვქნა? ეკას ოთხმოც ლარზე გავზარდო ჩემი ორი შვილი?

-

არ გამოვა შენგან ტაქსისტი. ან ვიღაცას მოკლავ, ან პირიქით მოხდება.

- შენგან ხომ გამოვიდა დარაჯი?! რა, ვისზე ნაკლები გიჟი ხარ, რო?!

- მე წესიერი კაცი შემხვდა.

- მეც მარტო წესიერ ხალხს გავუჩერებ, - გაიღიმა გოგამ და მერაბს მხარზე ხელი დაარტყა.

- მე აქ დარჩენას არ ვაპირებ. დროებით ვარ. ტარიელს საოპერაციო ფული რომ არ დაჭირვებოდა, არ მოვიდოდი ამ საქმეზე.

- ერთ კვირაში, ერთ თვეში ან ერთ წელიწადში მე შენზე მეტად გამიჭირდება, თანაც არც

მე ვაპირებ ბოლომდე საჭის ტრიალს, მხოლოდ დროებით „დავიშახმატებ“ თავს. რაც შეეხება ნერვებს, მოთოკვა უნდა ვისწავლოთ მეც და შენც. ჩვენი დრო მიდის, შვილების - მოდის და ყველაფერი უნდა გადავყლაპოთ იმისთვის, რომ მათ იმის ნახევარი მაინც მივცეთ, რაც ჩვენ მოგვცეს მშობლებმა. საკუთარი თავმოყვარეობის გულისთვის მთავარი არ უნდა წავართვათ ჩვენს შვილებს - ადამიანად ჩამოყალიბების შანსი.

ვის-ვის და შენ კი ნამდვილად არ გჭირდება ამის ახსნა. დარწმუნებული ვარ, ჩემზე ადრე გაქვს ყველაფერი გააზრებული და აკეთებ კიდეც.

- ჩემი ლაგამი დროებითია, გიორგი ბატონო. მოვა დრო, დაჭირდება ქვეყანას პატიოსანი, ერთგული ხალხი და მეც ჩემს საქმეს დავუბრუნდები.

- ეგ რომელ ქვეყანას, მისთვის დახოცილი ბიჭების შვილებსა და და დედებს პურის ფულს რომ ვერ აძლევს? 50 წელი კაცი ჩარხთან იდგა და თუმნიანი პენსიის რიგში თვალზე ცრემლმომდგარი რომ ამთავრებს სიცოცხლეს, იმ ქვეყანაზე საუბრობ?! შენი არ ვიცი და მე ამ ქვეყნის არ მჯერა. მე ვერ დაველოდები, როდის დაჭირდება ვინმეს პატიოსანი კაცი. და, საერთოდ, ქვეყანა ისეთია, როგორიცაა მთავრობა და, ხომ გაგიგია, ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო. ჩვენ ხალხი კი არა, ცხვრის ფარა ვართ - გვპარსონ, გვწველონ რამდენიც უნდათ, ოღონდ ერთიანად ნუ დაგვხოცავენ. შიგადაშიგ ვაჭრევინოთ ყელი, „იქნებ მე გადავრჩე“-ს იმედით. ჩვენი მატყლი, ყველი და ხორცი ჭირდებათ, თორემ მართლა ერთ დღეს გაგვჟუჟავდნენ. ჩვენს ბედად, დედები, შვილები, ცოლები და საყვარლები ჰყავთ, რომლებსაც ჩაცმა, ჭამა, გართობა ჭირდებათ, თორემ დავიღუპებოდით. აი, შენ კი გულუბრყვილოდ ელოდები, როდის დასჭირდებათ ამ მუქთახორებს პატიოსანი კაცი. პატიოსანი კაცი მართალია და ამ სიმართლითაა მამაცი და ამაყი. ამათ პატიოსანი კაცი კი არა, ცხვარი სჭირდებათ. უტყვი, უგუნური და მშიშარა. ეგრეა!

- რამდენად გავყიდეო გასაყიდი, რა თქვი? ისე, მართლა ცოტა მოუციათ. მმოგეცადა ცოტა ხანს, ხომ იცი, აჩქარებაში ცოტა სიკეთეა.

- არ იკადრო. შენ იცი, მაგის გამო არ ვამბობ, რასაც ვამბობ და იმიტომ არ იკადრო. შენგან გულისტკენას ვერ ავიტან. ერთი კაცი ხომ უნდა გყავდეს ადამიანს ისეთი, რომ თქვა და გაგიგოს?!

- რის გაგებას მთხოვ, გოგა? შენი აზრით, დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვას შეასწარი თვალი თუ ბორბალი გამოიგონე? ეგ ყველაფერი მეც მაწუხებს და მტკივა, მაგრამ რა ვქნა, რევოლუცია მოვაწყო? ან, იქნებ, იარაღი ავიღო და ნაძირალებს დავერიო?! არა, თუ ფიქრობ რომ მე და შენ რამის შეცვლა შეგვიძლია... შენ ეგ ყველაფერი ადრეც არაერთხელ გითქვამს და სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის და ყოფის ლანძღვა სამრეცხაომ დაგაწყებინა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაანებო დამნაშავეების ძებნას თავი? თვითონ არ თქვი, შვილებზე უნდა ვიფიქროთ და, ჩვენი თავმოყვარეობის გამო, მათ შანსი არ უნდა წავართვათო?

- სწორედ მათ არ მინდა ნახონ ის სიბინძურე, მერაბ, რასაც ჩვენ ვხედავთ. არ მინდა ისინიც იმ თარგზე გამოჭრან, რომელზეც ჩვენი თაობა მოჭრეს. უკეთესი ქვეყანაც მათთვის მინდა, გესმის? ეს გადაარჩენთ მხოლოდ.

- გადარჩენის შანსი პიროვნებას აქვს და არა საზოგადოებას. ეს ღმერთთან ახლოს ყოფნა და ქრისტიანულად ცხოვრებაა. რაშიც, რბილად რომ ვთქვათ, მე და შენ ცოტა მოვიკოჭლებთ. შეიძლება ბევრ რამეს გადაურჩე, ან სხვა გადაარჩინო, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ერთი გადარჩენა არსებობს - სულის გადარჩენა. ეს კი ნებისმიერ ქვეყანაში და ყოფაშია შესაძლებელი. თუ სურვილი გაქვს, რა თქმა უნდა.

- ესე იგი, სული გადავირჩინოთ და ქვეყანა წყალსაც წაუღია, არა?

- საქართველოს მაგის საშიშროება არ ელის. ეს ღმერთის ნებაა.

- ვითომ რატომ? ჩვენზე დიდი, ძველი და ძლიერი ქვეყნები გადაშენებულან.

- იმიტომ, რომ არსად ისე გულწრფელად არ უყვართ უფალი, როგორც აქ. მთელი სამყარო რომ შემოიარო, ამდენი ეკლესია, საყდარი თუ სალოცავი არსად შეგხვდება. უფალი ჩვენ გენებში გვაქვს. ღმერთს კი ის სჭირდება და უყვარს, ვინც მას აღმერთებს!

- სასწაული კაცი ხარ, - თავი ღიმილით გააქნია გოგამ. - ცოტა-ცოტა

თითქოს ყველაფერი იცი, მაგრამ წესიერად - არაფერი. როგორც გინდა, ისე ჭრი და კერავ, როდის აქეთ გახდი ასეთი ღვთისმოსავი? არ ჩამოარაკრაკე ეფემია წინამძღვარივით?! ერთი ვიცი, კარგი ვქენი აქ რომ ამოვედი. ისე, კაცურად, მითხარი, თუ ეგ ყველაფერი იცი, ეკლესიაში რატომ არ მიდიხარ?

- მალე მივალ, ჩემო გიორგი, და, სხვათა შორის, შენც მიგაბრძანებ. - უპასუხა მერაბმა და მანქანის ხმოვანი სიგნალის ხმაც გაისმა, რაღაც მჭახე ჭყვიტინში შეზავებული.

დებატებში ჩართულ მეგობრებს სახეები უსიამოვნებისგან ერთდროულად მოეჭყანათ. წამიც და ჭიშკარი ხრიგინით გაიხსნა. ავთომ კიდევ ერთხელ დაასიგნალა და მანქანა ეზოში შეაყენა.

- ვაი, შენს პატრონს! - ამოიხავლა მერაბმა. - სიგნალები უნდა გამოვცვალოო და ნახე, რა უქნია?!

- ვაა! გოგას ვეძგერე სასიკეთოდ! - დაიროხროხა გელაშვილმა, მანქანიდან "გამოვარდა" და მართლა ეძგერა ბავშვობის მეგობარს. მეორე კარიდან ჯერ უცნობი, მაქსიმალურად თმამოკვეცილი შავგვრემანი ქალიშვილი გადმოვიდა, შემდეგ თათიაც ჩამოქვეითდა და კარი მიხურა.

მერაბმა გადაფსკვნილ ძმაკაცებს თვალი აარიდა და უცნობი შეათვალიერა. „თვალთვალის"ობიექტი" 25-27 წლის იქნებოდა. კუპრივით შავი თმა ბიჭურად ჰქონდა შეჭრილი. დახვეწილი სახის ნაკვთები და დიდრონი შავი თვალები მოგრძო სახეზე ისეთი საოცარი სიმეტრიით იყო განლაგებული, რომ მერაბს ცოტა დააკლდა, რომ „ყოჩაღ"-ო არ აღმოხდა. უცნობი ქალი საშუალოზე მაღალი იყო, თხელი უფრო ეთქმოდა. შავი შარვალი და მუქი წითელი მაისური ემოსა, რაღაც უცნაურად ამოღებული დეკოლტეთი. ამ ადგილას კი ნამდვილად არ „უჭირდა" და ძალიან უხდებოდა, რაც ემოსა.

ქალმა წამიერად მოავლო ყველას თვალი, მათ შორის მერაბსაც, რომელმაც მზერა უმალვე მოარიდა.

- არაფერი შეედრება ქვეყნად, როცა კაცებს უყვართ ერთმანეთი. - წარმოთქვა უნებურად და ამით ყურადღება მეგობრებზე გადაიტანა.

გოგონებმა თავშეკავებულად გაიცინეს. მერაბს აშკარად ესიამოვნა, მაგრამ მდედრობითი სქესისკენ აღარ გაუხედავს.

- ჰა, ჰა, ეგეთები არ იყოს! - მოტრიალდა სახეღიმილიანი ავთო. - მთელი გზა კაცობაზე ვლაპარაკობდი.

- და ხანდახან ასიგნალებდი - დაასრულა აზრი ბარათაშვილმა. გოგონებმა ისევ გაიცინეს.

- ბიჭო, ეგ რა სიგნალი დაგიყენებია, სად იშოვე?

- აი, მანქანას რომ დავაბინავებ, მერე გეტყვით. თქვენ რა გესმით, - ავთომ დისტანციური პულტი ავტოფარეხის კარებს საქმიანი სახით მიუშვირა, კარი გააღო და მანქანა სწრაფად შეაყენა.

ყველამ ავთოს გააყოლა თვალი.

- ეს სიგნალი, - შორიდანვე განაახლა თემა გელაშვილმა, - მართლა ძნელად მოსაპოვებელი გახლავთ, რანდგან დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ბატონებო.

- იშვიათობას კი არა, მგონი სულაც ერთადერთია, - თქვა მერაბმა და ირონიულად გადახედა გოგას.

- და სწორედ ამაშია მისი ერთადერთი სიკეთე. - დაამატა გოგამ.

- წამოდით, გოგოებო, წამოდით, აგერ მაგიდასთან ჩამოჯექით, სანამ დეიდა სონა მოიცლის ჩვენთვის, - ლამის ძალით მირეკა ტირიფთან ავთომ მოსულები. - ამათ კი, მაინცდამაინც ნუ მოუსმენთ, ბევრი რამ არ იციან. დაბრძანდით, ჩემს მეგობრებს გაგაცნობთ. ერთს - მარტო ერთს, მეორეს კი - ორივეს.

- რა თქვი? - მართლა ვერ გაიგო გოგამ.

- რა და, თათიას მარტო შენს თავს წარვუდგენ, რადგან ბარათაშვილი უკვე თავად წარუდგა ცოტა ხნის წინათ. აი, ლიზასთვის კი ორივე უცხო ხართ და ასეთებადვე დარჩებით თუ უკუღმართ საუბრებს თავს არ დაანებებთ.

მერაბმა „ლიზას“ გაგონებაზე ქალს თვალებში შეხედა. ლიზამ მზერა დაიჭირა და ოდნავშესამჩნევად გაუღიმა. მერაბმა უმალ ავთოს მიმართა:

- დაიწყე.

- სიამოვნებით. ლიზა თათიას საუკეთესო მეგობარია და, თათიასი არ იყოს, ძალიან ლამაზი ქალბატონია. აქვს ულამაზესი ხმის ტემბრი.

- თათიასი არ იყოს, - „წაეხმარა“ გოგა და თათიას ცოტა უტიფრად გაუღიმა.

- თქვენ ერთი კაცის ღირსეული მეგობარი ხართ, ორი აზრი არ არსებობს, - უპასუხა თათიამ და თავი გააქნია, მაგრამ ამჯერად მერაბმა მის სახეზე წყენის ნატამალიც ვერ ამოიკითხა, პირიქით.

- მართალი ვყოფილვარ, თქვენ მართლა სასიამოვნო ხმა გაქვთ, - მართლა მოუვიდა გოგას ქალი თვალში.

- გააგრძელეთ, მე გისმენთ, - სიგარეტს მოუკიდა თათიამ და გოგას დაჟინებით შეაცქერდა სახეში.

- იცით, მოდით ჯერ ავთომ გააგრძელოს და მერე აქ არ ვართ? გქონდეთ ჩემი იმედი.

- კეთილი, განაგრძე, ავთო.

- ისე, მე ხომ არ წავიდე, ჰა? - ვითომ იწყინა გელაშვილმა.

- ჯერ არა, - მტკიცედ, სერიოზული სახით წარმოთქვა მერაბმა და ისევ ლიზას შეხედა. კვლავ დაიჭირა მისი მზერა ადრესატმა და ახლაც ბარათაშვილმა აარიდა თვალი:

- და, საერთოდ, ავთო, შენ თუ ამ ტემპებით გააგრძელე ჩემამდე, შეიძლება, საერთოდ ვერ მოხვიდე.

- არ იდარდო, შენამდეც მოვალ. უბრალოდ, როგორც უგემრიელეს ლუკმას შეეფერება, ბოლოსთვის

მოგიტოვე.

იმ დროს, როცა ბარათაშვილის „დაგემოვნება“ გადაწყდა, მერაბის მობილურმა დარეკა. ბოდიში მოიხადა, წამოდგა და ეზოს სიღრმეში წავიდა სალაპარაკოდ.

- მალე დაბრუნდება, გრძელი დიალოგები არ უყვარს, - განაცხადა ავთომ და ლიზას შეხედა.

- ფხიზელს. - დააყოლა გოგამ.

- მთვრალი ბევრს ლაპარაკობს? - იკითხა თათიამ.

- თქვენთან ის გაცილებით მეტ დროს ატარებს და მე მეკითხებით? აქამდე ვერ გაიცანით? - მრავალმნიშვნელოვნად ჩაეკითხა გორგილაძე.

- შენ წარმოიდგინე, ვერ მოვიცალე, - შენობით მიმართა თათიამ ცნობისმოყვარეს. - და მაინც, მთვრალი ბევრს ლაპარაკობს?

- მთვრალი არ გინახავს?

- შენ წარმოიდგინე, არა.

- შენ წარმოიდგინე, არც მე, - ნიშნისმოგებით უპასუხა ქალის სითამამით ოდნავ უკმაყოფილო გოგამ.

- რატომ, არ სვამს?

- როგორ არა, თითქმის ყოველთვის, როცა ამის საჭიროება არსებობს და მაშინაც, როცა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

- აბა, ვერ თვრება?

- იყო დრო, ვერ თვრებოდა. ამჟამად არ თვრება, ზომა იცის. ჩემგან განსხვავებით, სამწუხაროდ.

- ბოდიშს მოგიხდით, - მერაბმა ტელეფონზე საუბარი დაამთავრა და თავზე წამოადგა გორგილაძეს. - უნდა დაგტოვოთ, ჩემი მეგობარი ამჟამად ჩემს ოჯახს სტუმრობს. დიდი ხანია, არ მინახავს. ჩვენ კიდევ შევხვდებით. ხომ გითხარი, ავთო, ჩემამდე ვერ მოაღწევ-მეთქი.

- ვინ დაგირეკა? - ქვევიდან ახედა გორგილაძემ მეგობარს.

- რეზოა, ხარძიანი, თუ გახსოვს? ერთად "ვისვენებდით" აფხაზეთში.

- რეზო? მახსოვს კი არა, დღეს ვნახე. რეზო კაცია! წავედით. - და გოგა ფეხზე წამოდგა.

- ამ შემთხვევაში მრავლობითი რიცხვი აბსოლუტურად შეუსაბამოა. კი არ წავედით, წავედი. შენ კი აქ დარჩები. ჩემთვის ასე სჯობს და, დარწმუნებული ვარ, შენთვისაც. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გასაგებია, რიგითო გორგილაძე?

- გასაგებია, ბატონო მაიორო, - გოგამ მერაბს გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. - მანქანით წადი, გეჩქარება, - ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ბარათაშვილს გაუწოდა.

- დიდი მადლობა, მაგრამ ამჯერად სხვა ტაქსით წავალ, - იგივე მიმიკით უპასუხა მერაბმა.

- უხ, შენი! - გადაიხარხარა გოგამ.

ვერავინ გაიგო, რა იყო სასაცილო, მაგრამ არავის გაუპროტესტებია.

- კარგად ბრძანდებოდეთ. მომავალ შეხვედრამდე! - მერაბი კარისკენ დაიძრა.

- თუ მოახერხო, ამობრუნდი, - სიტყვა დააწია გელაშვილმა. - მე ამას ამაღამ არსად გავუშვებ, - თავით გოგაზე მიანიშნა.

- ჯერ ჩავიდე სახლში, ვნახოთ, რა ვითარებაში დამხვდება იქაურობა? შეიძლება დავბრუნდე კიდეც. ისე, თუ ვინმეს გულწრფელად მოგენატროთ, დამირეკეთ და მართლა ამოვალ. რაც ასაკში შევდივარ, გულჩვილობა მემატება. იქით მიმიწევს გული, სადაც მეფერებიან, - მერაბმა კარი გააღო და გავიდა.

- დიდი უგემოვნო კაცია, - აღნიშნა გოგამ მცირე პაუზის შემდეგ.

- რატომ? - საჭიროზე ხმამაღლა წამოიძახა ლიზამ.

- მოფერება მინდაო და რეზო ხარძიანთან წავიდა. ის ობიექტი კი ავთოზე ნაკლები არაა ტანად და თანაც სვანია. ხომ წარმოგიდგენიათ იმის მოფერება?

ავთომ და გოგოებმა ბევრი იცინეს.

- დასასვენებლად ერთად ყოფილან აფხაზეთში, იქნებ არა აქვთ პრობლემა?! - საუბარი გააგრძელა თათიამ, ლიზას ეშმაკურად გადახედა და ისევ სიგარეტს მოუკიდა.

- მერაბი და რეზო აფხაზეთში 93 წლის სექტემბერში ისვენებდნენ ჩემო თათია, მაგრამ „საგზური“ შეუწყდათ, რადგან სოხუმი დაეცა. მერაბი ფეხში უმნიშვნელო ჭრილობით დაბრუნდა. აი, რეზო კი ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს. ასე, რომ შენი ეჭვი უსაფუძვლოა.

- მე არ ვიცოდი, - ალალად შეწუხდა ქალი.

- ეჭვიც არ მეპარება და ამიტომ ყველაფერი რიგზეა.

- ისე, შენ უფრო უკეთ შედიხარ კონტაქტში ადამიანებთან, ვიდრე შენი მეგობარი, - თათიას ეს განცხადება კითხვას უფრო ჰგავდა.

- საქმე იმაშია, ქალბატონო თათია, რომ ჩემი მეგობარი ჩემზე უკეთ შედის, მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც უპრობლემოდ უშვებენ. ბევრი კაკუნი არ უყვარს.

- იცი, როცა გისმენთ, მეჩვენება, რომ შენც და ავთოც სასტიკად ხართ შეყვარებული იმ კაცზე.

- აბსოლუტურად სწორი შენიშვნაა. მე და ავთო ნამდვილად ვართ შეყვარებული იმ კაცზე.

- ის კიდევ ჩვენზე, - დაირეხრეხა ავთომ, რომელიც ამ ხნის მანძილზე ჩუმად იჯდა გაკვირვებული. თათიამ რომ ამდენი სიტყვა იცოდა, ვერ იჯერებდა.

- სწორია, - დაუდასტურა გოგამ. - და თუ ძალიან არ გაბრაზდები, გეტყვი, რომ მაქვს ერთი ეჭვი: შენც არ უნდა იყო მთლად გულგრილი, - სახეში შეაცქერდა გოგა თათიას.

- ტყუპისცალივით გავხარ შენს ძმაკაცს. ისეთივე თვითდაჯერებული სანგვინიკი ხარ. არ გეჩვენებათ, რომ ყოველთვის ძალიან ნაადრევ დასკვნებს აკეთებთ ერთიცა და მეორეც?

- თუნდაც. რაა ამაში ცუდი? განა არ გსმენიათ ანდაზა: „სჯობს ადრე, ვიდრე ყოველთვის“?

სამივემ გაიცინა. განსაკუთრებით ლიზას მოეწონა „ახალი ანდაზა“.

- მერაბ, მოდით შვილო, პური ჭამეთ, - ახალშებინდებულზე დეიდა სონას სილუეტი გამოჩნდა კიბის თავთან.

- აი, კიდევ ერთი მერაბზე შეყვარებული, - მყისვე ჩაურთო თათიამ.

- მერაბი თბილისში წავიდა, დეიდა სონა. - უპასუხა ავთომ.

- უი, ქა. მა რისთვინ ვიწვალე ამოტონა? - ეწყინა სონას.

- ხომ გითხარით, შეყვარებულია-მეთქი. მერაბის გარდა ვერავის გვხედავს. არცაა გასაკვირი, სიყვარული ხომ ბრმაა. სუფრაც მხოლოდ მისთვის გაუშლია.

- „ეგეთი ენის პატრონსა, რა გაგათხოვებს ქალაუ!“” - ირონიული ღიმილით გააქნია გოგამ თავი.

- შენ წარმოიდგინე, ოჯერ უკვე მოვახერხე, - ფეხზე წამოდგა თათია. - წავიდეთ, ვივახშმოთ. რადგან ბარათაშვილი აქ არ არის, მე შევეცდები მასპინძლობას. უმისობით გაჩენილ სიცარიელეს კი ნამდვილად ვერ შეგივსებთ, თუმცა შევეცდები შეძლებისდაგვარად განუგეშოთ. ჰე, წავედით.

- თათია, ალბათ ჩაისაც დავლევთ, არა? - ფეხზე წამოდგა გოგაც.

- რა თქმა უნდა.

- თხოვნა მაქვს შენთან. მოდი, დღეს შაქრით დალიე ჩაი, დამიჯერე, დარიშხანს გაცილებით ჯობია.

- გასაგებია, - ღიმილი ვერ შეიკავა „მასპინძელმა“. - ასე ვიზამ, სტუმარი ხარ და ხომ არ გაწყენინებ.

- ჩემთვის კი დიასახლისის სიტყვაა კანონი, ამიტომ თავპატიჟს აღარ მოვყვები. თანაც ისეთი სურნელი აღწევს ჩემს მგრძნობიარე ცხვირამდე, პირობას გაძლევთ, რასაც დამაძალებთ, ელვის სისწრაფით გავანადგურებ.

- ჰა, აღარ მოდიხართ, შვილო? - აივანზე შუქი აანთო სონამ.

- უკვე მანდა ვართ, - უპასუხა ავთომ და წინ გაუძღვა დანარჩენებს.

***

- ბოდიში, მაგრამ ბუფეტი უკვე დაკეტილია და ღვინოს ვეღარ მოგიტანთ, - თავაზიანად მოუბოდიშა რესტორნის მიმტანმა ვაჟმა მერაბ ბარათაშვილსა და მის სტუმარს.

- აბა, ეგ რა თქვი? ჯერ თერთმეტი საათია, - უკმაყოფილოდ გაშალა გრძელი ხელები ზორბა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც შავი მზის სათვალე ეკეთა.

- რა ვქნა, აქ სულ ასეა.

- არა უშავს, რეზო. ორი-სამი ჭიქა კიდევ გამოვა, მერე კი სხვაგან გადავიდეთ. ამ ქალაქში რესტორნების მეტი კი არაფერია. - თქვა მერაბმა და ჭიქა ხელში აიღო. - თუმცა, ბარემ გავსწორდეთ. რამდენია ჩვენზე? - ჯიბისკენ ხელი წაიღო მერაბმა.

- თქვენი გადახდილია, - ღიმილით განაცხადა მიმტანმა.

- ვაა, როგორ თუ გადახდილია? ვინ გადაიხადა?

- ვერ გეტყვით. ჭაღარა მამაკაცი იყო. კოტე ბიძია ვარ, ასე გადაეცითო და წავიდა.

- ვინ კოტე ბიძია? - ნამდვილად ვერ მიხვდა მერაბი და მიმტანს სახეში შეაცქერდა.

- რა ვიცი, მეტი არაფერი უთქვამს, კოტე ბიძია ვარო, - მხრები აიჩეჩა მიმტანმა.

- კაცო, კოტე ბიძია იყო თუ ქეთო ბიცოლა, გადაიხადა იმ ადამიანმა და წავიდა, - ჭიქა ასწია რეზომ. - რა მნიშვნელობა აქვს ვინ იყო? გაუმარჯოს ღმერთმა. აიღე ჭიქა და დავლიოთ, ფხიზელი ვარ კიტრივით. შენ კი თავისუფალი ხარ, მეგობარო. - მიმართა მიმტანს.

- ვა, ნეტა ვინ იყო? - ისევ ფიქრს განაგრძობდა მერაბი.

- ვინ იყო და წითელი ჯვარი. დაჯე, რა, კაცო.

- აუ, კოტე, კოტე, გამახსენდა. მამაჩემის მეგობარია კოწია შურღაია. ეგ იქნებოდა ნაღდი. ჭაღარა კოტე სხვა არავინ ვიცი.

- ჰოდა, რახან მამაშენის მეგობარი იყო, მოდი მეგობრებს გაუმარჯოს! - ჭიქა ასწია ღვინოსმოწყურებულმა ხარძიანმა.

- გაუმარჯოს!

- ჩვენს ბიჭებს გაუმარჯოთ! უფრო სწორად, ჯერ წასულები ვახსენოთ, - ფეხზე წამოდგა რეზო.

წამოდგა მერაბიც.

- ვინც იქ ჩაგვიხოცეს, იმათი ნათელი იყოს: ტარიელის, კოლკა მალიშას, ძელოს, გარკომიჩას და სხვების. შენი იასონის კიდევ, რა თქმა უნდა.

- ეჰ, იმას მოუკვდეს ჩემი თავი!

- ნათელში იყვნენ! - პურის ნაჭერზე ღვინის წვეთები დაღვარა რეზომ. - მიუტევოთ

უფალმა, თუკი რამ ცოდვა-ბრალი ჰქონიათ, - გაავსო მეორე ჭიქაც.

- რა ხდება?

- გაავსე, გაავსე!

მერაბმა ორივესთვის შეავსო.

- ამით კიდე ცოცხლებს გაუმარჯოთ. ოჯახები უძლიეროთ და უმრავლოთ ღმერთმა და საძმო არ დაავიწყოთ.

- ამინ, - რატომღაც გაეღიმა მერაბს.

- რა გაცინებს? - სხვათა შორის იკითხა რეზომ მას შემდეგ, რაც ორივე ჭიქა თვალის დახამხამებაში გამოცალა.

- არაფერი, ისე, - მერაბმაც გამოცალა ჭიქები.

- დაგეწყო უკვე? ისე გიჟები იცინიან, - მწვადის მოზრდილი ნაჭერი აიღო თეფშიდან.

- შენ რომ დამირეკე, მე, გოგა და ავთო ზუსტად ასეთი ღონისძიების ჩატარებას ვაპირებდით.

- შენი კლასელები?

- ჰო, ის იყო სუფრას უნდა მივსხდომოდით და შენც დარეკე. წამოსვლას აპირებდნენ, მაგრამ იქ ისეთი სიტუაცია იყო, რომ დარჩენა ვთხოვე. ორი ქალი იყო ჩვენს გარდა

და მათი მარტო მიტოვება არ გამოდიოდა.

- სად იყავით?

- ჩემთან სამსახურში, წყნეთში. შეფი წავიდა და პატარა წაქეიფებას ვაპირებდით.

- აბა, შენა ხარ, აი. გეთქვა და მეც იქ ამოვიდოდი. თუ გიტყდება ჩემი ხალხში გამოჩენა, ჰა?!

- უბერავ შენ, ხომ იცი! წამო ახლა წავიდეთ, გვიანი კი არაა.

- ვინც არა? - ხასიათზე მოვიდა ხარძიანი. - მაიცა, და ის ქალები ვინ არიან?

- რა შენი საქმეა, ვინ არიან? შენ ქალებთან მიდიხარ თუ კაცებთან?

- იქნებ ერთმანეთს ხელს არ უშლის?

- უშლის, - ნიკაპში მსუბუქად ამოჰკრა მერაბმა მეგობარს ხელი.

- როგორც შენ იტყვი. ანუ, როგორც ყოველთვის, ვემორჩილები მეთაურს.

- მოიცა, მაინც დავრეკოთ, - და მერაბმა მობილურზე გოგას ნომერი აკრიფა. - ვა, არ იღებს. აბა, ავთო ვსინჯოთ. ეს კი გამორთულია. ხომ არ დაიძინეს?

- შენა, ორი ქალია და ორი კაცი, არა? გამორთული ექნებათ, აბა რა!

- ამოიგდეთ, პატივცემულო, ეგ აზრი თავიდან.

- კაცო, შენ თუ ჩემი იქ მიყვანა გერიდება, პირდაპირ თქვი და წამო, ჩემთან ავიდეთ. ისეთი არაყი მაქვს, ასი გრამი რომ დალიო ბერლინს აიღებ.

- არა, შენ მართლა ვერა ხარ ჯანზე. ვისი მერიდება, რა მერიდება. რომც ეძინოთ, მაგათ გაღვიძებას რა უნდა. მყვანან ეგენიც მძინარე მზეთუნახავები. წავედით.

- აი, ეს უკვე ძველი „კამანდირია“, უკვე მესმის. წავედით და წავედით. ვა, ნახე სიმღერა გამოვიდა. წავედიიით და წავედიიით. - ჩაიღიღინა რეზომ და სკამზე მიკიდული შავი ქურთუკი შემოიცვა.

- ისე, აქამდეც უნდა მომეფიქრებინა, იმათთან ყოფნას სხვა ეშხი აქვს. - თქვა მერაბმა და ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

- წყნეთში აგვიყვან? - იქვე მდგარი ტაქსის კარი გამოაღო მერაბმა.

- კი, ბატონო, - უპასუხა მძღოლმა.

- წინ დაჯექი. - შესთავაზა ბარათაშვილმა მეგობარს.

- რატო, მალე ჩავდივარ? - უკან ჩაჯდა რეზო.

- სვანისთვის ზედმეტად ხუმარა ხარ. - გვერდით მიუჯდა მერაბიც და მანქანა დაიძრა.

- ბიჭო, სვანებს არც ხუმარა გვაკლია და არც სერიოზული. ჩვენოდენა გამოჩენილი ხალხი პროცენტულად არცერთ კუთხეს არ ყავს, იცი შენ?! უბრალოდ, ცოტანი ვართ.

- რა ცოტანი ხართ, სადაც წავედი, ყველგან სვანები დამხვდნენ. მე თუ დამყვებით, არ ვიცი.

- ჰო, ბიჭო, თამარ მეფე ხარ და გვეშინია, რამე არ დაგემართოს, სამშობლო არ დაგაობლო.

- თუ არ გეშინოდა, რას შემოვარდი გოჩუას ქუჩაზე, იმ ალყაში, გადარეულივით. შენ არეულ სიფათს რა დამავიწყებს. რაღაცას ბღაოდი, მაგრამ ხმა არ ისმოდა ავტომატების კაკანში.

- ახია ჩემზე. რა ძალა მადგა. აგიყვანდნენ ტყვედ ის ჩეჩნები და ორ საათში გასწავლიდნენ მთის ხალხის პატივისცემას. მარა, მგონი, მაინც სწორად მოვიქეცი.

- რატომ? - ჩაიცინა მერაბმა.

- სადაც ახლა მივდივართ, იქ ვეღარ წავიდოდით და იმიტომ. გული მიგრძნობს, დღეს მაგრად გავერთობი.

- მეც ეგრე მგონია, - უპასუხა მერაბმა.

გზაში კიდევ რამდენიმე ამბავი გაიხსენეს. იცინეს, გულიც იტკინეს და, ამასობაში, წყნეთშიც ავიდნენ.

სუფრა, რომელსაც ორი წყვილი უჯდა, ისე ხვავრიელად იყო გაშლილი, ორ ამდენ მეინახესაც თავისუფლად გასწვდებოდა.

ნახელავიც დიდებული გახლდათ. დეიდა სონას მართლაც ოქროს ხელები ჰქონდა და ოდნავ შეზარხოშებულმა გოგამაც ეს ფაქტი პერსონალური სადღეგრძელოთი აღნიშნა. ავთომაც გულიანად დალოცა. ლიზამაც შეუქო ნახელავი ხანდაზმულ ქალბატონს და ავთოს გასაკვირად, თათიამაც ისეთი სადღეგრძელო გამოუცხო მოსამსახურე ქალს, სონიჩკას თვალებზე ცრემლები მოადგა. თავმდაბალი მადლობა მოიხადა, ანიშნა, აღარ გჭირდებითო და წავიდა.

ბერეხის სარდაფში, სხვა რამეებთან ერთად, დიდებული საფერავის გვარიანი მარაგიც მოიძებნებოდა. ამ ღვინოს მიირთმევდნენ მოქეიფეები. გელაშვილი გაოცებული შესცქეროდა ოდნავშემთვრალ თათიას და ერთი სული ჰქონდა, წამოეყვირა: ქალო, თუ ეგეთი მხიარული და ჯიგარი იყავი, აქამდე რას გვერჩოდიო.

ლიზას ბრალი არ უნდა იყოს, თათიას ასე გამხიარულებაო, ფიქრობდა ავთო. ადრეც მოსულან მისი მეგობრები, მაგრამ ამას იგი შესამჩნევად არასოდეს შეუცვლია.

რაღა თქმა უნდა, გოგას წვლილიც იყო ამ საქმეში და წითელი ღვინისაც. მაგრამ მაინც, ერთ დღეში ადამიანის ასე გამოცვლა, ვერ წარმოედგინა. თუ რაიმონდის სიშორე მოქმედებდა ასე დადებითად, თავს რაღას იტანჯავდა, ამდგარიყო და წასულიყო ამ მდუმარე სახლიდან. წავიდოდა კიდეც. თათიას რაც არ აწყობს, ვერაფრის დიდებით გააკეთებინებენ. რაიმონდის ცოლი ვარო, კი თქვა ერთხელ, მაგრამ ასეთი ცოლ-ქმრობა სად გაგონილა? სხვადასხვა ოთახებში ძინავთ და, ამ ხნის მანძილზე, მათ შორის რაიმე ინტიმური გელაშვილს არაფერი შეუმჩნევია. მოკლედ, გამოცანაა ეს მშვენიერი და ავი ქალი, ნაღდი გამოცანა.

- ძალიან ლამაზად

და დამაჯერებლად იტყუები, გოგა. საერთოდ, ლამაზად ნათქვამი ტყუილი ხშირად უფრო ჰგავს ჭეშმარიტებას, ვიდრე უღიმღამოდ მოყოლილი სიმართლე, - სკოლის დროინდელი ამბები მოისმინა თათიამ. გოგასა და მერაბის თავს გადახდენილი რამდენიმე კურიოზული ისტორია.

- ერთი სიტყვაც არ მითქვამს ტყუილი, აგერ ავთოს ჰკითხე.

- გოგა საერთოდ არ იტყუება, თათია, - დაამოწმა გელაშვილმა. - უბრალოდ, შენ ბოლომდე არ მოუსმინე.

- რას უნდა მოვუსმინო, ნუ გადამრიე. კაცი მესამე სართულიდან გადმოხტა, მერე ტანისამოსი გაიფერთხა და საღ-სალამათი დაბრუნდა საკლასო ოთახშიო. რაღა ბოლო უნდა ამას. კაუჩუკის ყოფილა ეგ თქვენი მერაბი. კიდევ კარგი, არ თქვი, უკანვე ამოხტაო!

- რატომ ჩქარობ, თათია, ჯერ ყველაფერი წინ გაქვს, ახალგაზრდა ხარ, - გააწყვეტინა გორგილაძემ. - საქმე იმაშია, რომ ვიდრე მერაბს ეს ამბავი თავში მოუვიდოდა, ერთი საგულისხმო რამ მოხდა: დაახლოებით 12 საათისთვის, ანუ რუსულის გაკვეთილის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, ჩვენი საკლასო ოთახის ფანჯრებს ქვევით ვეებერთელა „კრაზი“ გაჩერდა და ქვიშა დაცალა. ამის შესახებ ჩვენმა მასწავლებელმა არაფერი იცოდა და ბარათაშვილის ფანჯრიდან გადმოხტომასაც ამიტომ მოჰყვა კივილი, ნიშადური, ვალიდოლი და ასე შემდეგ.

- ვაიმე, წარმომიდგენია, საწყალი ქალი რა დღეში ჩავარდებოდა, - ლამაზი ხელები საფეთქლებთან მიიტანა ლიზამ.

- სხვათა შორის, გენიალური ქალი იყო ჩვენი დამრიგებელი. იყო, რა, ახლაც არის, ღმერთმა კარგად ამყოფოს. აი, ამან დააბერა, - ავთოზე მიანიშნა გოგამ, - თორემ, არც მე და არც მერაბს, ფაქტიურად ამის გარდა, არაფერი დაგვიშავებია.

- კარგით რა, ხალხო, არ დაიღალეთ ამ კაცზე ლაპარაკით? - ჩვეულად ჩაერთო თათია, - დღეს არც მისი ბენეფისია და არც ხსოვნის საღამო.

- ბოდიში, მაგრამ მომეჩვენა, რომ მხოლოდ იმ ამბებს უსმენ ყურადღებით, რომლებშიც ბარათაშვილი ფიგურირებს. ვიდრე რამეს მეტყოდე, ვიმეორებ, მომეჩვენა-მეთქი.

- ხშირად გაქვს მოჩვენებები, გოგა? - უპასუხოდ მაინც არ დატოვა ქალმა.

- ძირითადად დღისით. ღამ-ღამობით სიზმრებს ვუნაცვლებ მრავალფეროვნებისთვის. მაგალითად, წუხელ დამესიზმრა, თითქოს კარი გაიღო და მერაბი შემოვიდა, თან მარტო არ იყო.

თათიას უკვე მზად ჰქონდა პასუხი, მაგრამ გოგას ფრაზის დასრულებისთანავე, მართლაც გაიღო მისაღების კარი და მერაბი შემოვიდა.

- შემოდი, რეზო! - თქვა მან და მეგობარს გზა დაუთმო.

- ვაა, ჩემნაირო! - ფეხზე წამოვარდა ავთო და რეზოსკენ გაქანდა, გადაეხვია.

- რა კარგია! - თეატრალურად წამოიძახა გოგამ და ლიზას შეხედა.

ქალმა გოგას გაუღიმა, თვალები ოდნავ მოჭუტა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. გოგა, თითქოს ამას ელოდაო, უმალ წამოდგა და რეზო გადაკოცნა.

- იმედია, ხელს არ შეგიშლით? - სკამი შესთავაზა მერაბმა რეზოს. ორივენი დასხდნენ.

- როგორ გეკადრებათ, პირიქით, - ყველასთვის მოულოდნელად რეზომ უპასუხა ბარათაშვილს და მზის სათვალე გაისწორა. - დარწმუნებული ვარ, ვიღაცას დავასწარი, სულსწრაფობისთვის ბოდიშს ვიხდი, - ჩაიხითხითა ხარძიანმა.

თათიამ დემონსტრაციულად გადახედა ლიზას.

- ჩემი მეგობარი, რეზო ხარძიანი! - პირადად ლიზას წარუდგინა მერაბმა მეგობარი. - კაცი, რომელიც დააკლდა სვანეთს და შეემატა „ნახალოვკას“.

- სვანი ხართ? - პირველი კითხვა დასვა თათიამ.

- ჰოროსკოპით კი. ისე, სამი თაობა აქ ვართ დაბადებული.

- შესანიშნავია. უკვე დარწმუნებული ვარ, მთელი სამეგობრო ხუმრობის წრეზე დადიოდით და ერთი პედაგოგი გყავდათ, - თავი ვეღარ შეიკავა თათიამ.

- მე, ჩემო დაიკო, იშვიათად ვხუმრობ, - უპასუხა რეზომ. - განსაკუთრებით მაშინ ვიკავებ თავს, როცა მერაბი და გოგა მყავს გვერდით.

- ილფი და პეტროვი, - სხვათა შორის განაცხადა ქალმა.

- არა, შტეფსელი და ტარაპულკა, - მკაცრად თქვა მერაბმა და თათიას თვალებში შეხედა. ქალმა მზერა მოარიდა.

- სულ დამავიწყდა, რომ სონიჩკა აქ არაა. თეფშებს და დანა-ჩანგალს მოვიტან და მოვალ, - სიტუაციის განმუხტვა მოინდომა თათიამ. - ისე, ბარემ რაღაც-რაღაცეებს შევაცხელებ. ლიზი, მომეხმარები?

- რა თქმა უნდა, - ფეხზე წამოდგა ლიზა.

თათიამ ჯერ თეფშები შემოიტანა, შემდეგ მეგობართან ერთად რამდენიმე კერძი სამზარეულოში გაიტანა.

- ე ბიჭო, შენ მაინც მითხარი, გოგა, ვინ არიან ეს ანგელოზები და აქ საიდან გაჩნდნენ. რამე ისეთი არ ვთქვა.

- რაც გინდა ის თქვი, - უპასუხა ბარათაშვილმა. - ერთი თანამშრომელია, აი ის, შენს პირდაპირ რომ იჯდა, ცოტა რომ „ძველობს“. მეორე, მეც დღეს ვნახე პირველად, დაქალია მისი.

- თანამშრომელი? თუ ძმა ხარ, დამლაგებელი ან დარაჯი არ გჭირდებათ? უხელფასოდ ვიმუშავებ.

- შენ რა, უმუშევარი გინდა დამტოვო? დარაჯი მე ვარ. რაც შეეხება დამლაგებელს, ვერ გაქაჩავ, იატაკის ჯოხი გვაქვს მოკლე,

სონიჩკას ზომაზეა გადაჭრილი.

- ძაღლიც თუ გყავთ, დავიღუპე და ეგაა.

- ძაღლი გვყავს ძაღლური. ტანად შენხელაა და შენზე გაცილებით დამჯერი. თათია რასაც ეტყვის, დაუყოვნებლივ ასრულებს. ეტყვის, გაეთრიეო - გადის, ეტყვის დაწექიო, - წვება. - აუხსნა ავთომ.

- ბიჭო, თათიამ მითხრას დაწექიო და შესრულებას ძაღლი მომასწრებს? - ჩურჩულით თქვა ხარძიანმა.

ბიჭებმა „მოგუდულად“ გაიცინეს. სწორედ ამ დროს სამზარეულოდან თავშეუკავებელი სიცილის ხმა გამოიჭრა.

- ვაა, რა ხდება იქ? - მერაბს შეხედა გოგამ, - ხომ არ გაიგეს?

- არა, უბრალოდ, დიასახლისი დაიქოქა და ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა, - განაცხადა ბარათაშვილმა. - დარწმუნებული ვარ, როცა გამოვა, მაღლა დაჯდება.

- სად მაღლა? - გულუბრყვილოდ იკითხა ავთომ.

- არა აქვს მნიშვნელობა, სად. მთავარია, ზედხედში დაგვინახოს. გიჟდება სიმაღლეზე. რა, არ იცი?

- აუ, რა სანახავი იქნება ზედხედში ავთოს ტიტლიკანა თავი. - ჩიცინა გოგამ.

- აი, ჩვენც მოვედით, - გოგონები პირმცინარნი გამოვიდნენ სამზარეულოდან. შეცხელებული კერძები მაგიდაზე რუდუნებით განალაგეს.

- ლიზა, შენ დაჯექი ძვირფასო, დანარჩენს მე მოვიტან, - თქვა თათიამ და უკანვე გაბრუნდა.

ლიზა დაჯდა. რატომღაც მერაბს შეხედა და ისევ სიცილი აუტყდა. თავის შეკავების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

- მაპატიეთ, ისეთი რაღაც გამახსენა თათიამ ჩვენი საერთო წარსულიდან, თავს ვეღარ ვიკავებ.

- ლიზა, გეთაყვა, ეჭვი მეპარება, თქვენს საერთო წარსულში, ოდესღაც მეც ვარსებობდი. ეგრეც რომ არ იყოს, ჩვენ არ გვიკითხავს თქვენი სიცილის მიზეზი. მთავარია, რომ ესეც ისე გიხდებათ, როგორც სხვა ყველაფერი დანარჩენი.

- მერაბ, იცით...

- ყველამ ვიცით, უბრალოდ მხოლოდ მე ვიცნობ, - ქალს გაუღიმა ბარათაშვილმა. - და, გარწმუნებთ, თავს სულ ტყუილად გრძნობთ უხერხულად.

- არა, დღეიდან ათმაგად დავაფასებ სონიჩკას შრომას, - კვლავ გამოვიდა თათია სამზარეულოდან. მაგიდასთან ღიმილით დაბრუნდა. თეფშები, დანა-ჩანგლით, ჯერ რეზოს დაუწყო წინ, შემდეგ მერაბს. - რაღაც-რაღაცეები ცოტა დაგვეწვა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ეს ჩემი საქმე არაა.

მერაბმა რეზოს გადახედა და ოდნავშესამჩნევად ჩაუკრა თვალი. თუმცა თათიას ეს არ გამოპარვია:

- რეზო, თქვენ ძალიან არაკომუნიკაბელური ხართ, - მაგიდას მიუჯდა ქალი. - როდესაც თვალს ჩაგიკრავენ, ანალოგიურად უნდა უპასუხოთ. რა, არ გაგიგიათ? - ბარათაშვილის გარდა ყველა მოიარა თვალებით თათიამ. - ან იქნებ, უპასუხეთ კიდეც, მაგრამ მაგ მზის სათვალეში არ გამოჩნდა. იცით, ამასწინათ ქოლგა ვიყიდე ერთ სოლიდურ ბუტიკში, ქუჩაში გამოვედი და მერეღა შევამჩნიე, რაღაც პაწაწინა მუყაო ეკიდა ძაფით. მგონი, ამ ევროპელებს ჩვენ დაუნები ვგონივართ. იცით, რა ეწერა მუყაოზე? - „გამოიყენეთ წვიმაში ან მზეშიო“, - თათიამ სიტყვა დაასრულა და დემონსტრაციულად მოუკიდა სიგარეტს.

- ძალიან ქალია ეს ქალი! - მერაბს შეხედა რეზომ. მერე უცებ მზერა თათიაზე გადმოიტანა:

- ქალბატონო თათია, ჩემს მზის სათვალეს მუყაოს ინსტრუქცია არ ეკიდა, რადგან მეგობარს ეკეთა, მომეწონა და პირდაპირ სახიდან მოვხსენი. საერთოდაც, ინსტრუქციის მიხედვით არასდროს ვმოქმედებ, რადგან მე ისეთი არ ვარ, როგორიც ყველა.

- ოჰო! - პასუხი შეაფასა ქალმა, - მაინც როგორი ხართ?

- აი, ასეთი! - თქვა ხარძიანმა და სათვალე სწრაფად მოიცილა სახიდან.

ლიზამ ხმამაღლა შეჰკივლა. რეზოს მარცხენა თვალი არ ჰქონდა და გუგის ნაცვლად ვიწრო, მომჭკნარი, მოწითალო ღრმული იმზირებოდა. ორი ღრმა ნაიარევი კი ცხვირიდან საფეთქლამდე გასდევდა თვალის ბუდეზე გადავლით.

- ხედავთ?! - სათვალე დინჯად გაიკეთა ხარძიანმა, - გაიგონეთ, როგორ წამოიყვირა ამ მშვენიერმა არსებამ?! - თავით ლიზაზე მიანიშნა რეზომ. - მართლაც საშინელი სანახავია, ვერაფერს იტყვი. ასე, რომ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, მე ამ სათვალეს ჩემთვის კი არა თქვენთვის ვატარებ, - ალალად გაიღიმა ბიჭმა. სათვალე ისევ გაიკეთა და კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. უეცრად მერაბი ფეხზე წამოვარდა, თათიასთან მიიჭრა, სკამიდან ბავშვივით წამოახტუნა, თავისკენ შემოაბრუნა და მხრებში ისე ჩაავლო ხელები, თათიას ტკივილისგან სახე დაემანჭა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია.

- ეხლა კარგად მომისმინე. უკანასკნელად გაფრთხილებ. თუ კიდევ შეეცდები ჩემი თანდასწრებით ჰაერის მოწამვლას, ისიც ვეღარ გიშველის ქალს რომ გავხარ. იმ ქოლგას, ბუტიკში რომ იყიდე, მესამე დანიშნულებასაც მოვუძებნი და მერეღა გავშლი, გაიგე? - იღრიალა ბარათაშვილმა. მერე „ტყვეს“ უცებ უშვა ხელები და სწრაფი ნაბიჯით აივანზე გავიდა.

რამოდენიმე წამით იქაურობა გაიყინა. თათიამ თვალებზე ხელები აიფარა. სიჩუმეში ქვითინი გაისმა, რომელიც თანდათან გაძლიერდა. მერე სწრაფად მოწყდა ადგილს და მეორე სართულზე ამავალ კიბეზე აირბინა.

- თათი! - სირბილით გაეკიდა ლიზა.

-

ეს გადარეულა! - ფეხზე წამოდგა ხარძიანი და ერთი შეხედვით უემოციოდ მსხდარ გოგას და ავთოს კითხვად შეაცქერდა.

- დალაგებული როდის იყო, რო? - მიუგო გოგამ. - მიკვირს პირდაპირ, მართლა შარის მაგნიტი აქვს ამ კაცს ჯიბეში, თუ რა ხდება.

- მე გავალ, გავხედავ, - რეზო გასასვლელისკენ წავიდა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა ბიჭები, მხრები აიჩეჩა და აივანს მიაშურა.

- ავთანდილ, - ფეხზე წამოდგა გოგა და ავთოს სკამს უკნიდან ხელებით დაეყრდნო, - რა ხდება თქვენს ოჯახში. არა მგონია, მერაბი მარტო ამ ამბავს აეფეთქებინა. წინათგრძნობა მაქვს, ამ შედეგს სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონდეს. რას იტყვი?

- რა უნდა ვთქვა. არ მოსდის ამ ქალს ბარათაშვილი თვალში. სანამ მერაბი მოვიდოდა, ყველას თავის ჭკუაზე ატარებდა. ეს კი არ უთმობს და ისიც სულ დაბოღმილი დადის.

- თვალში არ მოსდის? მე პირიქით მგონია. სწორედ რომ მოსდის და ამიტომაც ხდება, რაც ხდება. მეტსაც გეტყვი, მგონი, უყვარს კიდეც.

- შენ უბერავ, კაი, რა „უყვარს“, ბიჭო?! გამარჯობასაც არ ეუბნება. ახლოს არ ეკარება. ერთი-ორჯერ შევამჩნიე, ეზოში წიგნს კითხულობდა. მერაბი მოვიდა თუ არა, წამოდგა და ეგრევე სახლში შევიდა და ჩაიკეტა. შანსს არ მაზავს, მერაბის გასაგონად, რამე უკმეხად არ თქვას. თუ არაფერი თქვა, ისე იქცევა, თქმა სჯობს. ცდილობს, გამოიწვიოს, გააღიზიანოს. მაგრამ, აქამდე არაფერი მომხდარა. მერაბი ყურადღებას არ აქცევდა. ის რომ რამეს „წაიგველებდა“, ეს ღიმილით პასუხობდა, თითქოს ფეხებზე კიდიაო.

- იცი, რატომ ვერ მოგყავს შენ ცოლი? ქალის არაფერი გესმის და იმიტომ. სწორედ მაგაზე გიჟდება და ფართხალებს ის გოგო, ეს რომ ყურადღებას არ აქცევს და ფეხებზე ჰკიდია. შეიძლება, არც უყვარს, მაგრამ ქალებს, თანაც ამისთანებს, ის აცოფებთ, ყურადღებას რომ არ აქცევენ. „თათიასებრთა ოჯახის წარმომადგენლებს“ აპლოდისმენტები უყვართ, ბარათაშვილი კი ტაშის ცემით თავს არასდროს იკლავდა, შენც კარგად იცი. თანაც, შენი ძმაკაცი ფლირტს არ აღმერთებს, რადგან ქართლელია, ნაღდი ტეტია. თუ ქალისთვის რამის თქმა უნდა, პირდაპირ ამბობს. მეორეც, ცოლი არ უნახავს დიდი ხანია, ენატრება და ახლა მაგის შებმა თითქმის შეუძლებელია, - ჩაიცინა გოგამ.

- შენ რომ მაშინ გეშლება ფრთები, როცა ეკა სადმე მიდის, ეგ როგორ არის? რამდენადაც მე ვიცი, შენ და მაგას ყველა გამსგავსებთ.

- მსგავსება იდენტურობას არ ნიშნავს, ჩემო ავთო.

- რა ვქნათ ახლა? - ფეხზე წამოდგა გელაშვილი, - არ გავხედოთ? ვერა აქვს ნერვები კარგ დღეში.

- რაც ბოლო ათ წელიწადში გადაიტანა, კიდევ კარგადაა, - გასასვლელისკენ წავიდა გოგა და ავთოც უკან გაჰყვა.

- ეგრე არ ივარგებს, „კამანდირ", - რაღაცას აქტიურად უმტკიცებდა აივნის მოაჯირზე ჩამომჯდარ მერაბს რეზო, როცა ბიჭები მიადგნენ. - შენგან მიკვირს, დედას გეფიცები. მე შენ დიდ ადამიანად გიცნობ.

- აი, სწორედ დიდი ადამიანებისგან არაა გასაკვირი არაფერი, - შეაწყვეტინა ირონიულად მომღიმარმა გოგამ ხარძიანს, - გაიხსენეთ მაკედონელი, ნაპოლეონი, სტალინი, სააკაძე ბოლოს და ბოლოს.

- სააკაძეს მოგცემ, თუ ჩამოვედი დაბლა, შე მაიმუნო, - სიცილი ძლივს შეიკავა მერაბმა (მეგობრებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ გიორგი სააკაძე მერაბის კუმირი იყო).

- ჰო, კაი ახლა. დამშვიდდი, დაწყნარდი და გვითხარი, რას უწუნებ იმ ქალს.

- გორგილაძე, მორჩი, შენს ხასიათზე არ ვარ!

- შე ოხერო, ამხელა აღმართებს ამოვასკდი და აბა, რის ხასიათზე ხარ. ისე, არც შენ ხარ, რომ იცოდე, მართალი.

- ჭკუა ასწავლე ბებიაშენს! ძალიან იცი ეხლა შენ, მართალი ვარ თუ მტყუანი, - სიგარეტს მოუკიდა მერაბმა. - კაცი მაინც იყოს ეს შობელძაღლი! - მერაბმა ღრმა ნაფაზის დარტყმისას ამოიოხრა და ხველა აუტყდა. მოაჯირიდან ჩამოხტა და წელში მოიხარა.

ავთომ, სერიოზული სახით და მზრუნველი იერით, ზურგში ორჯერ მონდომებით ჩასცხო ხელი.

- ბიჭო, რა იცი ეს?! - ძლივს მოითქვა სული მერაბმა, რომელსაც აშკარად ეტკინა ავთოს დანატორი. - შენი შიშით კაცს ვერ დაუხველებია. თან იმისთანას ჩაგაფარებს, ფილტვებს დაგაყრევინებს. რომ ვიხრჩობოდე, არ გაინძრე, თორემ დაგაჭრი მაგ ტორებს.

- გაუკეთე კაცს სიკეთე! - გაიღრიჭა ავთო.

- ცემა თუ სიკეთეა, მოკრივეებზე კეთილი ადამიანები არ ყოფილან ქვეყნად! - შენიშნა გოგამ.

- რომ იცოდე, მართლა მასეა, - ჰაერს რამდენიმეჯერ შემოჰკრა მუშტი ხარძიანმა. - მოკრივეთა აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდი, გაწონასწორებული და დამთმობია.

- შენ ხარ, ბიჭო, დამთმობი? - გააპროტესტა მერაბმა.

- ახლა, შეიძლება მე ისეთი არ ვარ, მაგრამ სათანადო მიზეზიც გამაჩნია. მე ხომ, მოკრივეზე

ადრე სვანი ვიყავი.

ბიჭებმა გაიცინეს. სწორედ ამ დროს, შეცბუნებული და გაფითრებული სახით, აივანზე ლიზა გამოვიდა. არ ტიროდა, თუმცა თვალებში ცრემლები ედგა. განათებულ აივანზე მისი განწყობა ყველას უცებ ეცა თვალში.

- რა მოხდა, ლიზა? - ყველას დაასწრო რეზომ. ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ქალის წინ აღიმართა. გოგა და ავთოც უცებ ამოუდგნენ გვერდით.

- წამიყვანეთ აქედან, თუ შეიძლება, - მიკნავლებული ხმით თქვა ლიზამ და ატირდა.

- რა მოხდა ლიზა, რა გატირებს? - უზარმაზარი ტორები ნაზად დააწყო რეზომ მხრებზე.

- წამიყვანეთ, თუ შეგიძლიათ, გთხოვთ, - ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოისლუკუნა ლიზამ.

- ახლავე წაგიყვანთ, მაგრამ რატომ ტირი, რა მოხდა? - გული აუჩუყდა გოგასაც.

- გველმა უკბინა, რა, ვერ ხვდებით?! - მოაჯირს მოცილდა მერაბი. - გველმა შინაური და გარეული არ იცის, მისთვის სულ ერთია, ვისზე დაცლის გესლს.

მერაბის მობილურმა დარეკა.

- რაიმონდია, - ირონიულად გაიღიმა ბარათაშვილმა. - როგორც ვატყობ, ყველანი სასამართლოს წინაშე წარვსდგებით. გისმენ!

- მერაბ! - გაისმა ყურმილში, - თხოვნა მაქვს შენთან.

- გისმენ, რაიმონდ, - ნამდვილად არ ელოდა ასეთ დასაწყისს ბარათაშვილი.

- ეს მითხარი, საზღვარგარეთის პასპორტი თუ გაქვს?

- კი, მაქვს, რა ხდება?

- ხვალვე შენ და თათია მოსკოვში უნდა ჩამოფრინდეთ. აქ ისეთი საქმეა, სხვას ვერ ვანდობ. შეგიძლია? დანარჩენს აქ აგიხსნი.

- რა პრობლემაა.

- მაშინ, ხვალ, ათ საათზე მიდი ბანკში, ავთომ იცის, სადაც. შენს სახელზე თანხა იქნება. გამოიტანე და უახლოეს რეისს გამოყევით. ტაქსი გააჩერე და უსაჩოვის 443 ა-ში მოდით. მოსკოვი კარგად იცი?

- მე რუსული ვიცი კარგად. მოსკოვი კი ალბათ ტაქსის მძღოლს ეცოდინება.

- ოჰ, რა კაცი ხარ, - ჩაიცინა რაიმონდმა. - მოკლედ, უსაჩოვის 443 ა. ხვალ 11 საათისთვის კიდევ დავრეკავ, კარგი?

- კარგი, ოღონდ თათიას შენ დაურეკე, რაღაც უხასიათოდაა.

- რა სჭირს?

- რა ვიცი, მგონი ტყავს იცვლის.

- რას იცვლის? - ვერ გაიგო რაიმონდმა.

- დაურეკე და თვითონ გეტყვის. მე მზად ვარ. ხვალ 10-ზე ბანკში ვიქნები.

- კარგი, კარგი, დავურეკავ. აბა, ხვალამდე.

- კარგად, - აპარატი დაკეცა მერაბმა. ახლაღა შეამჩნია, რომ ლიზას თავი რეზოს მკერდში ჩაერგო. აღარ ტიროდა. ყველანი გაუნძრევლად უსმენდნენ ბარათაშვილის საუბარს.

- მოსკოვში მიდიხარ, ბიჭი? - მხარზე ხელი შემოარტყა გოგამ.

- ეგრე გამოდის. წამო, შევიდეთ. ლიზა, ჩემო კარგო, მე არ გეკითხები, რა მოხდა, უბრალოდ, მოდი, მე და შენ თითო ჭიქა წითელი ღვინო დავლიოთ. გთხოვ, კარგი? იცი, დაახლოებით შენნაირ ხასიათზე ვარ.

- გადასარევი აზრია, - მკერდიდან ფრთხილად მოიცილა რეზომ ქალი. - მეც გთხოვ, ლიზა.

- მე უნდა წავიდე, - ამოისლუკუნა ლიზამ.

- აქ დამრჩენის კუბო დავდგი ამ აივანზე, - თავი დახარა რეზომ და თვალებში ჩახედა. - მეც უნდა წავიდე და ყველა წავალთ, ოღონდ, ცოტა ხასიათი გამოვისწოროთ, დავმშვიდდეთ და მერე. წამო, წამო - და თითქმის ძალით შეიყვანა ქალი დიდ ოთახში. სხვებიც მათ მიყვნენ.

- ეე, მანდ რა გინდა? - ლიზას სავარძელში მოკალათება არ მოეწონა რეზოს, - აბა, ჩქარა მოდი მაგიდასთან!

- არ მინდა, აქ მირჩევნია, - ნამტირალევი და მოღრუბლული ლიზა უფრო ლამაზი ეჩვენა რეზოს.

- როცა ლიზა არ მიდის მაგიდასთან, მაშინ მაგიდა მიდის ლიზასთან. ამიწიე, რეზო, - განაცხადა ბარათაშვილმა და რეზოსთან ერთად მაგიდა ქალის სავარძელთან გადაიტანა.

ავთომ და გოგამ მაგიდას სკამები შემოუწყვეს გარშემო.

- მერაბ, ერთი წუთით აქეთ მოდი, - განზე იხმო გორგილაძემ მეგობარი.

- თუ გინდა, ადი, - ადგილიდანვე უპასუხა ფეხზე წამომდგარ გოგას მერაბმა, - მაგრამ, გაფრთხილებ, აზრი არ აქვს. ეგ აქ ჩამომსვლელი არაა.

- ლიზა! - მოისმა უცებ ზემოდან ნამტირალევი ხმა.

წამით ყველა გაშეშდა.

- ლიზა, ამოდი რა, ცოტა ხანი, გეხვეწები! - ისევ გაისმა თათიას სირბილეშეპარული ხმა.

ლიზას ისევ მოადგა თვალებზე ცრემლი და ბიჭებს გადახედა.

გოგამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. პაუზა გაიწელა.

- ლიზ! - მესამედ ჩამოსძახა თათიამ.

ტიროდა.

ლიზამ ამოიოხრა, წამოდგა და კიბისკენ გაემართა.

- რაღაცით ნატას მაგონებს ეს გოგო. თხუთმეტი წლის წინანდელ ნატას, - ყველასთვის მოულოდნელად, საზოგადოდ განაცხადა მერაბმა მას შემდეგ, რაც ლიზას ფეხის ხმა შეწყდა.

- ვაიმეე! - ხელით ავთო შეანჯღრია გოგამ. - სახლში თუ იციან? თუმცა, სახლში ვინ უნდა იცოდეს, მარტო ხარ.

- სახლში ის იციან,

რომ ტუტუცი ხარ, შენ, გორგილაძე. ჩემს ცოლს კი თათია იმით მაგონებს, რომ ჩვენი ნაცნობობის პირველ დღეებში ისიც დაახლოებით ასე ცდილობდა ჩემს მწყობრიდან გამოყვანას. გასაგებია?

- გასაგები კი არა, ნათელზე ნათელია! ეგ კი არა, ისიც კი ვიცი, შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები. მაგრამ ქრისტიანებისთვის რომ ორცოლიანობა დაუშვებელია, - ჩაიქირქილა გოგამ.

- ოჰ, ერთი შენი ცემა შეიძლებოდეს, - ღიმილი ვერ დაფარა ბარათაშვილმა.

- რა შეუძლებელი ეგაა, ბიჭო. თავის დროზე ნახევარ ქალაქს მაინც ყავს ნაცემი, - ჩაერთო საუბარში ავთო.

- შეიძლება, არ დამითვლია. მაგრამ, ათი იმდენი იქითა მყავს გალახული, - თავი

გამოიდო გორგილაძემ. - შენს თავზე იფიქრე, რა გეშველება, შენი ზომა კოსტუმი რომ არსად იყიდება?

- რა შუაშია კოსტუმი?

- ო, რა ჩლუნგი ხარ. ეს კაცი ცოლს რომ მოიყვანს მაგ უბეგამომდნარი ჯინსებით ხომ არ დაუჯდები გვერდით მეჯვარედ ქორწილში.

- სამაგიეროდ, შენი ზომა არსებობს და ჩემი ხელით ჩაგაცმევ კუბოში ჩაწვენის წინ. თუ გაგიგო ნატამ, რასაც ტლიკინებ, უკან არ დაიხევს, ხომ იცი? - სხაპასხუპით მიაყარა გელაშვილმა.

გოგას ეს ხუმრობა გაჭიანურებულად და სახიფათოდ ეჩვენა მერაბზე და მის ოჯახზე შეყვარებულ ავთოს. ცოტა წამოენთო კიდეც და გორგილაძეს შეუბღვირა.

ბიჭებს სიცილი აუტყდათ. გოგამ მერაბს ხელი გაუწოდა დასარტყმელად. ბარათაშვილმა არ დაურტყა. თავი გააქნია, ავთოს გადახედა და ხელმეორედ, უფრო გულიანად გაიცინა. გოგამაც უმატა.

- რეზო გცალია? - ოდნავ მოეშვა გელაშვილი. მიხვდა, საქმე არც ისე ცუდად იყო და გადაწყვიტა, ძმაკაცებისთვის მხარი აება.

- შენთვის ყოველთვის მცალია, ჩემნაირო! - ღიმილით უპასუხა რაღაცით კმაყოფილმა რეზომ.

- მაშინ, არ დამზარდე და „კაცი კაცსა შემოვსტყორცნოთ“. აირჩიე, რომელი გინდა!

- დაიწყე და მოვდივარ!

- ხვალისთვის გადადეთ, - სული მოითქვა მერაბმა, - თითო ჭიქა დავლიოთ და დავიძინოთ, - ჭიქას მოკიდა ხელი.

- გორგილაძე, განანებ, იცოდე! - სასმისი შემართა გელაშვილმაც.

- მე რატომ, ძმაო, ბარათაშვილის ბრალია. მაგას მოყავს ცოლი.

- გაჩუმდი, ბიჭო, ხმა არ ავიდეს, სირცხვილია, - თითი ზევით აიშვირა მერაბმა.

- აი, ხომ გითხარი ავთო, - ხმას დაუწია გოგამ, - ნაღდად შეყვარებულია.

- ე ბიჭო, დამალევინეთ ერთი ჭიქა ღვინო და მერე გაარჩიეთ ვის ვინ გიყვართ და რატომ, - ჭიქა მიუჭახუნა რეზომ მერაბს. - მოდი, ჩვენ გაგვიმარჯოს!

- ვა, მარტო ჩვენ? ნუგზარიჩ, მე უფრო მასშტაბურ პიროვნებად გიცნობ, - თავის მოძრაობით ზედა სართულზე მყოფ მდედრობით სქესზე მიანიშნა გოგამ.

- ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩემო გოგა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ მარტო „ჩვენ“ არ ვართ.

„ჩვენში“ იმ ხალხს ვგულისხმობ, ვინც შეგნებულად, დაგეგმილად ავს არ აკეთებს. ვისაც არ ჰგონია, რომ უკეთესის ღირსია. ვინც წუწუნებს, მაგრამ მხოლოდ შესვენებისას. ვინც ინსტინქტურად ვინმეს სილას გააწნავს და მერე მიხვდება, რომ პირიქით სჯობდა. და, საერთოდ, ვფიქრობ, სხვისთვის სილის გარტყმის უფლება კაცს მხოლოდ მაშინ აქვს, როცა გონზე მოყავს.

- ყოჩაღ, ბიჭო! რა სწორად თქვა, არა? - შეაწყვეტინა ხასიათზე მოსულმა გორგილაძემ, - მაგრამ ეგრე რომ არ აკეთებ. და, საერთოდ, მე შემჩნეული მაქვს, რომ საკუთარი თავისთვის რიგ შემთხვევებში გამონაკლისის უფლება გაქვს მინიჭებული.

- მაინც რა გამონაკლისი, ინტრიგანო?

- აი, თუნდაც ისა, კაცს მარტო გონზე მოსაყვანად უნდა გაარტყაო, რომ ბრძანებ. შენ ეგრე იქცევი ხოლმე? რა თქმა უნდა, არა. ხომ ასეა? უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ დრო არ მაქვს.

- პირველად ვნახე უსაქმური, რომელსაც დრო არ აქვს.

- რატომ გწყინს? ნიჭიერი კაცი ხარ და ზუსტად იცი, როგორ უნდა იცხოვროს სხვამ.

- ჰო, კაი, კაი, - გაიცინა მერაბმა, რომელიც გოგას ლაზღანდარობას ნელ-ნელა ხასიათზე მოჰყავდა, - მართალი ხარ.

- არა, ძმაო, მე დღეიდან თქვენთან დამლევი აღარ ვარ! ვეღარ გავიგე, სუფრაა თუ ორბელიანის სალონი, - მოთმინების ძაფი გაუწყდა რეზოს, - დალევთ თუ არა ბოლო-ბოლო?

- ამან ხო შემჭამა, - ხელები გაშალა მერაბმა, - თუ ეგრე გწყურია, აიღე და დალიე. ჩემი რეზოლუცია გჭირდება?

- ღვინის გარდა ახლა არაფერიც არ მჭირდება. გაგვიმარჯოს! - თქვა ხარძიანმა და სასმისი წამში გამოცალა.

- გაგვიმარჯოს! - ღიმილი შეაგება ავთომ.

- ეგრე იყოს!

- ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ! - ხაზი გაუსმა გოგამ.

- ბიჭებო, ღამე მშვიდობისა, - მოისმა ზემოდან ლიზას ხმა, - ჩვენ ვიძინებთ!

- ჩვენც. - უპასუხა გოგამ.

***

მოსკოვში, ფიოდოროვის სახელობის თვალის კლინიკის მე-7

სართულის ფოიეში დივანზე ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი იჯდა და ქართულ წიგნს კითხულობდა. გემოვნებით ჩაცმული, შუახნის, მაღალი წვეროსანი თითქმის თხუთმეტი წუთი მის შორიახლოს ბოლთას სცემდა. დროდადრო ქალს გახედავდა, წამით შედგებოდა, საათზე საქმიანად დაიხედავდა და ისევ განაგრძობდა წინ და უკან სიარულს.

- გენადი მატვეევიჩ, ორშაბათს 10 საათზე გაწყობთ? - მოისმა ქალის ხმა დერეფნის სიღრმიდან რუსულად.

- დიახ, დიახ, სავსებით, ძვირფასო.

- მაშ, ორშაბათამდე.

- ნახვამდის, ორშაბათამდე, - უპასუხა მამაკაცმა. მერე წიგნის კითხვით გართული ქალისკენ შეტრიალდა და ჯიქურ გაემართა მისკენ.

- უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით, დღეს რა დღეა? - ქალის წინ სავარძელში მოკალათდა კაცი.

- პარასკევი, - უპასუხა ადრესატმა და კითხვა განაგრძო.

- და რიცხვს ხომ ვერ შემახსენებთ, გეთაყვა? - მომცრო დიპლომატი გახსნა გენადი მატვეევიჩმა.

- თვე, წელი, საუკუნე და ათასწლეულიც ერთად შეგახსენოთ თუ სათითაოდ მკითხავთ? - თავი ასწია და მოსაუბრე შეათვალიერა ქალმა.

- ეჭვგარეშეა, ქართველი ხართ. ასეა არა? - გაუღიმა ცნობისმოყვარემ.

- დავუშვათ. ამას თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს?

- იცით, მე, ასე ვთქვათ, ბიზნესმენი გახლავართ და, აქედან გამომდინარე, ჩემთვის ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. ეს ჩემდაუნებურად ხდება, პროფესიული ჩვევაა, ერთგვარი.

- იცით, თქვენ ხელს მიშლით. პირდაპირ მითხარით, რა გნებავთ? - მკაცრად უპასუხა ქალმა.

- ნუ ბრაზობთ, გეთაყვა. მე ინტელიგენტი ადამიანი გახლავართ და თავს უხამსობის უფლებას არასდროს ვაძლევ. უბრალოდ, ამ ქალაქში არავის ვიცნობ. ასე ვთქვათ, მარტოსული ვარ. ხანდახან ისე მჭირდება ადამიანებთან ურთიერთობა, უბრალო საუბარი. თქვენ თითქმის ერთი კვირაა აქ გხედავთ. ზიხართ თქვენთვის მარტო, მშვიდად და წიგნს კითხულობთ. იცით, თქვენგან რაღაც განსაკუთრებული დადებითი აურა მოდის. ეს დიდი და ცივი ქალაქია. აქ უსაქმოდ ვერავის დაელაპარაკები.. ყველას მიაჩნია, რომ ძვირფას დროს ართმევ. მე კი, თქვენსავით, პერიფერიიდან ვარ, ეკატერინბურგიდან. ჩვენთან ადამიანები ერთმანეთს უფრო მეტ დროს უთმობენ და, რაც მთავარია, უანგაროდ.

- საიდან დაასკვენით, რომ მეც, როგორც თქვენ ამბობთ, პერიფერიიდან გახლავართ? ნუთუ წიგნს დედაქალაქელები სხვაგვარად კითხულობენ?

- არა, უბრალოდ დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოველი არ ბრძანდებით.

- სამაგიეროდ, თბილისელი ვარ. თბილისი, კი გარწმუნებთ, ყველა ქართველისთვის დედამიწის ცენტრია. მინდა გითხრათ, რომ თქვენ სიტყვა „პერიფერიის“ მნიშვნელობა მეტად უცნაურად გესმით. - ირონია შეურია ხმაში ქალმა.

- სრული ჭეშმარიტებაა. გამოდის, მე ის არ ვთქვი, რასაც ვფიქრობდი.

- კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მე ნაკლებად მაინტერესებს, თქვენ რას ფიქრობდით. შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, ძალიან ვწუხვარ, რომ მარტოსული ხართ და ამ ქალაქს არ იცნობთ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მე არც ფსიქოლოგი ვარ და არც გიდი. ასე რომ, ვერაფრით დაგეხმარებით, გასაგებია?

- ოო, ეს დაუოკებელი, მხურვალე ქართული ხასიათი... იცით, ყოველთვის მაოცებდა და მიზიდავდა სამხრეთი. თქვენ გათხოვილი ბრძანდებით?

- გათხოვილი ვარ, - საუბრის დასრულების ნიშნად წიგნი დახურა ქალმა.

- მე კი ცოლი არასდროს მყოლია, - ისევ გაიღიმა გენადი მატვეევიჩმა.

- ეს თქვენი პრობლემაა და ჩემი აზრით, საკმაოდ სერიოზული, - ამჯერად შუბლი შეიკრა „სამხრეთელმა“. - და თუ არ გსურთ უფრო სერიოზული პრობლემა გაგიჩნდეთ, გირჩევთ თავი დამანებოთ!

- ვერაფერი გამიგია, რატომ ღიზიანდებით? მე ხომ არაფერს ვითხოვ? უბრალოდ, მინდა გავესაუბრო მომხიბვლელ და ინტელიგენტ ქალბატონს. თუმცა, მგონი, ვხვდები - ქართველ ქალებს დღემდე შემოგრჩათ ქმრებისადმი შუასაუკუნეობრივი მორჩილება.

- იცით, რა, - წიგნი მაგიდაზე დადო ქალმა, - თანდათან ვრწმუნდები, რომ თქვენ არაფერი იცით. პირობას გაძლევთ, თუ ახლავე არ მიბრძანდებით, ეს ქალაქი კიდევ უფრო შეგძულდებათ.

- ოჰო, აი ეს მომწონს! ეს სწორედ ისაა, რაც ქალში მხიბლავს! ჩემი შეშინება განიზრახეთ? გარწმუნებთ, არ არის საჭირო. თანაც, ფაქტიურად, შეუძლებელია. ხედავთ, რა მწარეა სიმართლე? დიახ, თქვენ გათხოვილი ხართ და ეს თქვენი მთავარი პრობლემაა. თქვენ ქორწინებამ შინაგანი თავისუფლება წაგართვათ. მე კი დახმარება შემიძლია.

- მე რომ გათხოვილი ვარ, რამდენიმე წუთში, ჩემი კი არა, თქვენი მთავარი პრობლემა იქნება. თქვენ მაიძულებთ, - ამ ფრაზის ფონზე ქალმა ჩანთა გახსნა და რაღაცას დაუწყო ძებნა.

- ოჰო, უნდა მესროლოთ? - ფანტაზია გაეხსნა „პერიფერიელს“, - ეს ძალიან საინტერესოა!

ქალმა რეპლიკა უპასუხოდ დატოვა. ჩანთიდან ტელეფონი ამოიღო და საჭირო ღილაკს დააჭირა.

- არა და არა! - ფეხზე წამოდგა აბეზარი უცნობი, - არ არის საჭირო, ნურავის შეაწუხებთ, მე მივდივარ.

- ალო, ერეკლე! ჰო, მე ვარ, ნატა. შეგიძლია, კლინიკაში მოხვიდე? არა, მამას არაფერი უჭირს, უბრალოდ, რაღაც მინდა

გთხოვო. კარგი, გელოდები. აი, ასე! - ნიშნისმოგებით მიმართა ქალმა კაცს და კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ... - მერაბ! - წამოიყვირა უცებ ნატამ და ფეხზე წამოიჭრა. მართლაც, მოპირდაპირე მხარეს ლიფტიდან ბარათაშვილი გამოვიდა.

- როგორ ხარ, ნატა? - გადაეხვია ცოლს მერაბი.

- მერაბ, საიდან? როდის ჩამოხვედი? - სახე მთლიანად გადაუკოცნა ქმარს ნატამ.

- ჰო, კარგი, კარგი. აბა, დამენახე, - კისერზე მოკიდა ხელი მერაბმა საყვარელ ქალს. - დაღლილხარ! არ გძინავს?

- ისე, რა. შენ რას შვები, ბავშვი როგორაა?

- ფრიადზე! ფრიადოსანს როგორც ეკადრება.

- მერაბ! როგორ მომენატრე, - ისევ ჩაეხუტა ქმარს სახეგაბრწყინებული ქალი.

- ის ვინ იყო? - სხვათა შორის იკითხა ბარათაშვილმა და თავით დერეფანში სწრაფი ნაბიჯით მიმავალ მატვეევიჩზე მიანიშნა.

- ვინ „ის“? - ვითომ ვერ მიუხვდა ნატა.

- აი, ის, წვერებიანი. მე რომ დამინახა, ტყვიანაკრავივით წამოვარდა ფეხზე. დიპლომატი დაკეტა და გაქუსლა.

- არ ვიცი, ჩემო კარგო. აქ ვინ როდის მიდი-მოდის ნაკლებად მაინტერესებს, - შარს მოარიდა ნატამ ქმარი.

- აბა, თვალებში შემომხედე, - მერაბმა თვალებში ჩახედა ცოლს.

- ოჰ, ვინ იყო? რატომ იყო? დაიწყე ახლა შენებურად. აბა, რა გეგონა, აქ მარტო რომ გამომიშვი?! - ეშმაკურად გაუღიმა ქალმა.

- რაო, რა მინდაო? მოეწონე? - შუბლზე აკოცა მერაბმა ცოლს.

- შენ გიჟი ხარ, ხო იცი? რა მოვეწონე, იჯდა თავისთვის და რაღაცეებს ქექავდა იმ ჩემოდანში. შენ რა, ეჭვიანობ სულელო?

- არა, ქალბატონო. მე თქვენზე არასდროს ვეჭვიანობ. მოხარშულს გიცნობთ და იმიტომ.

- აბა, ვისზე ეჭვიანობ? უყურე ერთი ამას! - თმა აუწეწა ნატამ ბარათაშვილს. მერე ისევ ჩაეხუტა. - მე კი სულ ვეჭვიანობ შენზე, ვიცი, რომ უმიზეზოდ, მაგრამ მაინც ვეჭვიანობ. იცი, რას ვფიქრობდი ამ დღეებში, როცა ჩემთან არ იყავი? რა უბედური ვიქნებოდი, შენ რომ ჩემს ჯგუფში არ მოხვედრილიყავი, არა?

- ძალიან, ძალიან უბედური იქნებოდი.

- ოოჰ, მე მართლა გეუბნები, შენ სულ შაყირობ.

- კარგი, კარგი, წამოდი ტარიელი მაჩვენე.

- ახლა ვერ ნახავ, პროცედურებზე ყავთ შეყვანილი. ერთი საათი კიდევ იქნება. აქ გამოივლის, როცა დაამთავრებენ.

- მე ერთი საათი ვერ გავჩერდები, ნატა. ქვევით ტაქსი მელოდება. სასწრაფო საქმეზე ჩამომიყვანა რაიმონდმა და ოფისში მელოდება.

- რა ხდება? აქ რისთვის გამოგიძახა?

- შენ წარმოიდგინე, მეც არ ვიცი. ჩამოდი და ყველაფერს ადგილზე აგიხსნიო.

- როგორ, დაახლოებით მაინც არ გითხრა, რა უნდა?

- არა-მეთქი, ხომ გითხარი, მივალ, გავიგებ და გეტყვი.

- გეხვეწები, კიდევ რამე ხიფათში არ გაყო თავი. გვეყო, რაც გადავიტანეთ.

- არავითარი ხიფათი. ადრეც გითხარი, ამ კაცს უპრობლემო, კანონიერი ბიზნესი აქვს. სხვა შემთხვევაში, მასთან არ გავჩერდებოდი.

- დიდხანს აპირებ მანდ ყოფნას? საზღვარზე დაბრუნება გადაიფიქრე?

- არა, არ გადამიფიქრებია. უბრალოდ, ცოტას დავისვენებ. ამასობაში, იქნებ რამეც შეიცვალოს სასიკეთოდ და მერე დავბრუნდები.

- ვითომ?

- რას ქვია, ვითომ? ხომ არ დაგავიწყდა, ქართველ ოფიცერს რომ ელაპარაკები.

- იცი, სულ ვნერვიულობ. ამხელა ხელფასს ტყუილად არავინ გადაგიხდის. მაგ კაცს ბევრი მტერი ეყოლება. ბევრი ფული აქვს და იმიტომ.

- ნუ სულელობ. არავითარი მტრები არ ჰყავს. შენი აზრით, საზღვარზე ათასი მამაძაღლის დევნა სახიფათო არაა?

- რა ვიცი, მე მაინც იქ მირჩევნია დაბრუნდე. იქ მარტო არ ხარ. თანაც სულ საზღვარზე ხომ არ იქნები, თბილისში გადმოხვიდე იქნებ, როგორც შენი ბიჭები, დილას მიდიან და საღამოს ბრუნდებიან.

- მაგას მე არავინ შემეკითხება. სადაც გამიშვებენ, იქ უნდა წავიდე.

- სხვებს თუ ეკითხებიან? მალხაზი თერთმეტი წელია თბილისშია. ის რა, მესაზღვრე არაა? უბრალოდ, შენ არ გინდა.

- შეიძლება. მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. აი, გამომართვი, - მერაბმა ტყავის ქურთუკის ჯიბიდან ფული ამოიღო. - აქ ათასია. გამოგზავნას ვაპირებდი, მაგრამ აგერ ჩემი ხელით მოგართვი.

- ამდენი არ მინდა. ფული ჯერ საკმარისი მაქვს. თანაც, ფაქტიურად, არ მეხარჯება. გუშინ თანხა იყო შესატანი და რომ მივედი, შეტანილი დამხვდა. ერეკლეს შეუტანია ისე, რომ ჩემთვის არც უთქვამს. გადაგვყვა ეგ და მისი ოჯახი. არც ვიცი, როგორ უნდა გადავუხადო სამაგიერო. იცი, როგორ ვნერვიულობ?

- გადასახდელი არაფერია. ერეკლე უცხო კი არაა, ჩემი მეგობარია, რომელსაც საშუალება აქვს, რომ სიკეთე აკეთოს. რაც შემიძლია, მეც გავაკეთებ ჩემი მეგობრებისთვის. ეს ნორმალურია. ჩვენ ასე ვცხოვრობდით ყოველთვის და არც ახლა შეცვლილა რამე.

- აქ ეგ ლოგიკა არ არსებობს.

- აქ დარჩენას არც მე ვაპირებ და არც ერეკლე. ადრე თუ გვიან ყველანი იქ დავბრუნდებით, სადაც არსებობს...

სწორედ ამ დროს ლიფტის კარი ისევ გაიღო და საშუალო ტანის, ჩადგმული, ქერა მამაკაცი გამოვიდა.

- ვაა, ამას ვის ვხედავ? - წამოიყვირა მოსულმა და მერაბისკენ გაემართა გაშლილი ხელებით.

- ერეკლე, ასე უცებ საიდან გაჩნდი? - შესძახა ნატამ.

- მაკარენკო, შე ხახოლო! - მეგობარს გადაეხვია მერაბი.

- არ იცვლები ბებერო! - მკერდში მჯიღი მიარტყა ერეკლემ მერაბს.

- რას შვები, მერო. როგორა ხართ? რა ხდება თბილისში? დიდუბეში ბიჭები როგორ არიან?

- კაცურად! შენა, შენ როგორ ხარ? აღარ აპირებ დაბრუნებას? ხალხს ენატრები, ძმაო! თქვენს ეზოში შენი სახელობის ტურნირი ტარდება ყოველ კვირა დღეს მაგიდის ტენისში. შენი მწვანე მაგიდა შემოდგომასავით გაყვითლდა, შეცვლა უნდა, ჯიგარო!

- შევცვლით, ჩემო მერაბ! შეუცვლელი არაფერია. ხალხი ძმაკაცებს იცვლის და ეგ რა გახდა, შე კაცო. სხვათა შორის, შენც იგივე გელის, თუ ახლავე ჩემთან არ წამოხვალთ შენ და ნატალია. სულ ორი-სამი საათით. ძია ტარიელს ვეტყვით. წინააღმდეგი არ იქნება. მით უმეტეს, უკვე ყველაფერი რიგზე აქვს.

- ერეკლე, ნატას უკვე ვუთხარი, სასწრაფო საქმეზე ვარ ჩამოსული. ისეთზე, თავადაც რომ არ ვიცი, რა ხდება. სანამ ოფისში არ მივალ, არაფერია გამოვა. წუთი-წუთზე მელოდებიან.

- მერე?

- მერე? მერე ვნახოთ. ყველა შემთხვევაში შენ ჩემთან ერთად წამოსვლა მოგიწევს. მივიდეთ, ვნახოთ რა ხდება და... მოკლედ, გავედით. - თქვა ბარათაშვილმა და მეგობარს, რომელიც მას და ნატას შორის იდგა, ხელი გადახვია, გვერდზე გაწია. მერე ნატას მიუახლოვდა, თავზე დიდი და მძიმე ხელი მსუბუქად გადაუსვა. თავისკენ მიიზიდა, საფეთქელზე აკოცა. - მალე მოვალ, - ჩასჩურჩულა ყურში.

- წადი! - უპასუხა ქალის რბილმა ხმამ.

* * *

იმ დღეს დილაუთენია დაურეკა რაიმონდმა მერაბს. თათიას ცოტა რთული ხასიათი აქვსო, უთხრა. ცხრა საათზე მზად იქნება, შეეხმიანეო. დანარჩენს, როგორც გითხარი, აქ გეტყვითო.

ზუსტად ცხრა საათზე მერაბმა ავთოს თათიას ჩამოყვანა სთხოვა და თავად ნივის უკანა სავარძელზე მოკალათდა. სამიოდე წუთში გელაშვილმა მანქანა ეზოდან გამოიყვანა, მერე ფარეხის კარი „დისტანციურად“”დახურა და აივანზე გამოსულ ხარძიანს ფანჯრიდან გამოსძახა: „მოედანს“ მიმიხედე, „ბურთს“ მე მოვიტანო.

- ისე ტკბილად ეძინა ლიზას, ვერ გავაღვიძე. ავთო, ხომ ჩაიყვანენ ბიჭები თბილისში? - ცენტრალურ გზატკეცილზე გაიხსენა თათიამ მეგობარი.

- გეკადრება? - მოკლედ უპასუხა ავთომ.

პირველად თათიასთან შეიარეს, მერე - მერაბთან. ბანკშიც არ შეყოვნებულან. აეროპორტში ავთო და თათია დიდხანს ისხდნენ უხმოდ და უბრად. მერე კი მერაბიც დაბრუნდა ბილეთებით და თვითმფრინავი ჰაერში აიჭრა.

მერაბს ცაში ეძინა. თათიას - არა. გვერდიგვერდ ისხდნენ.

თათია დარწმუნებული არ იყო, რომ ბარათაშვილს ნამდვილად ეძინა, ამიტომ მხოლოდ რამდენჯერმე შეათვალიერა „მეზობელი“ და ისიც „შემთხვევით“. აი, ფიქრით კი, იცოცხლე, გული იჯერა. თუმცა, ვერა. მცირეხანს მიფრინავს თვითმფრინავი „აქედან იქამდე“.

„ვნუკოვოში“ დიდხანს არ შეჩერებულან. ხელჩანთების გარდა ბარგი არ ჰქონდათ.

მერაბმა ტაქსის უკანა კარი გამოაღო, თათია უხმოდ ჩაჯდა. თავად მერაბი წინ მოკალათდა და, თანამგზავრის გასაკვირად, მძღოლს ფიოდოროვის კლინიკაში მიყვანა სთხოვა. თუმცა თათიას, შეიძლება ითქვას, მერაბისგან უკვე თითქმის აღარაფერი უკვირდა.

კლინიკის ეზოში მერაბი მანქანიდან გადმოვიდა და წინა ღამის შემდეგ პირველად მიმართა თანამგზავრს:

- თათია, აქ ჩემი ცოლია. სიმამრს ოპერაცია გაუკეთეს. მე რამდენიმე წუთში დავბრუნდები, - სხვისი დანაბარებივით გადასცა ბარათაშვილმა და, ისე რომ პასუხს არ დალოდებია, შენობისკენ გაემართა.

„ეს კაცი თავხედია“, - უხმოდ დაასკვნა თათიამ, მაგრამ, რატომღაც, თავი შეურაცხყოფილად აღარ უგრძვნია. - „ნამდვილად თავხედია!“

მერაბმა იცოდა, რომ თათია „ფიქრობდა“...

***

დრო ახლაც ძალიან სწრაფად გაფრინდა. რამდენიმე წუთი წამში ამოიწურა. ბარათაშვილი კლინიკიდან სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა. გვერდით ერეკლე მოყვებოდა.

„ეს კაცი ვინ არის?““ - გაიფიქრა თათიამ.

მერაბი და ერეკლე წამით შეჩერდნენ. მაკარენკომ ხელი მარჯვნივ გაიშვირა. მერაბმა თავი დაუქნია და ტაქსისთან მოვიდა.

- თათია, ჩვენ ჩემი მეგობრის მანქანით წავალთ რაიმონდთან, - თქვა კარების გაღებისთანავე მერაბმა, მძღოლს ფული გაუწოდა და თან თათიასთვის ნათქვამი უთარგმნა.

თათიამ ისევ გაიფიქრა რაღაც, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ბარათაშვილის მეგობრის მანქანაში გადაბარგებულიყო.

მაკარენკოს დინჯად მიჰყავდა მასიური „აუდი“. მერაბს გაუთავებლად რაღაცას ეკითხებოდა და პასუხს ბოლომდე არ უსმენდა, ისე გადადიოდა შემდეგ კითხვაზე. იცინოდა, წუხდა, აფასებდა, იხსენებდა. გზაში სულ ერთხელ შეჩერდნენ; ერეკლემ გაჩერებული ტაქსის მძღოლს უსაჩოვის ქუჩისკენ გზა ჰკითხა. რამდენიმე წუთში აუდი

მითითებულ ქუჩაზე აღმოჩნდა.

- აი, 443. - მანქანა შეაჩერა მაკარენკომ.

- ჩვენ 443 ა გვინდა. - უპასუხა მერაბმა, მანქანიდან გადმოვიდა. დისტანციური მართვის პულტის ხმა გაისმა.

- შენ სადღა მოდიხარ? - მეგობრისკენ მოტრიალდა ბარათაშვილი.

- რავი, აბა? შემოგყვები, მოგაძებნინებ.

- თქვენ აქ დამელოდეთ. შევალ, მოვძებნი და გამოვალ, - თქვა მერაბმა და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, ხუთსართულიან სახლში ჩაყოლებულ ვეება თაღს მიღმა გაუჩინარდა.

- დაბრძანდით, - ხელმეორედ ააწრიპინა დისტანციური მაკარენკომ და თათიას მანქანის უკანა კარი გამოუღო. - აქ უკვე ცივა. მერაბის მოსვლამდე ქუჩაში ხომ არ ვიდგებით?

თათიამ მადლობა გადაუხადა და მანქანაში ჩაჯდა, მაგრამ სწორედ ამ დროს „თაღიდან“ მერაბი და რაიმონდი გამოვიდნენ.

თათია და ერეკლე „სინქრონულად“ გადმოვიდნენ მანქანიდან.

- გამარჯობა, თათია, - ჯერ ქალს მიესალმა ბერეხი. თათიამაც დაუბრუნა სალამი.

- ეს ჩემი ბავშვობის მეგობარია, - სიტყვა დააწია ერეკლესკენ წასულ რაიმონდს მერაბმა. - ერეკლე მაკარენკო. ამჟამად რუსეთში მოღვაწე ქართულ-უკრაინული ნაზავი.

- გამარჯობათ, ახალგაზრდავ! სასიამოვნოა, - ჩაიცინა რაიმონდმა მერაბის ნათქვამზე.

- გამარჯობათ, ბატონო. - გამოწვდილ ხელს თავისი შეაგება ერეკლემ.

- წამობრძანდით, შინ მივიდეთ. ჩვენს ფირმას ამ ქალაქში მშვენიერი ბინა გააჩნია. თანაც აქაური ხელმძღვანელიც ქართველია. ბატონი ზაზა ბერიძე. დარწმუნებული იყავით, გულითადად გიმასპინძლებთ.

- გმადლობთ, ბატონო, მაგრამ მე პატარა საქმე მაქვს. მერაბმა ჩემი ტელეფონის ნომერი იცის და, როცა საქმეს მორჩებით, იმედია, დამირეკავს და თავად მინდა მიგიპატიჟოთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

- კარგი, ერეკლე, - რაიმონდს დაასწრო პასუხი ბარათაშვილმა. - როგორც კი მოვიცლი, აუცილებლად დაგირეკავ.

- იცოდე, გელოდები, - თქვა მაკარენკომ, მეგობარს ხელი აუწია და მანქანაში ჩაჯდა. - აბა, დროებით. - ღია ფანჯრიდან მიმართა რაიმონდს და თათიას. მანქანა დაქოქა და ნელი სვლით გაუყვა ქუჩას.

- წავედით, - ხელი დაადო ბერეხმა მერაბს მხარზე და თაღისკენ წაიყვანა.

შუა ეზოში სამსართულიანი, ძველებური, მაღალჭერიანი სახლი იდგა, მოვლილი და ახალშეღებილი. ფართო სადარბაზოში შეაბიჯეს, ერთი სართული აიარეს და რაიმონდმა, რკინის კარის გვერდით, ზარის ღილაკს ხელი მიაჭირა.

- ნახევარი სართული მთლიანად ჩვენია, - კმაყოფილებით განაცხადა რაიმონდმა. - რვა დიდი ოთახია. ჩემი მოღვაწეობა ამ ოფისში დაიწყო და აქ მოსვლა ყოველთვის სასიამოვნო მოგონებებს აღმიძრავს.

დიდი თეთრი კარი გვარიანად ჩასუქებულმა, მელოტმა, ორმოციოდე წლის ტანდაბალმა კაცმა გააღო. - გამარჯობათ, მობრძანდით, - წარმოთქვა მან და სტუმრები ოთახში შეიპატიჟა.

მერაბი და თათია უცნობს მიესალმნენ. რაიმონდი მათ შინ შეუძღვა.

- აი, ეს გახლავთ მერაბი, ბატონო ზაზა. თათიასაც იცნობთ დაუსწრებლად.

- ძალიან სასიამოვნო, - ორივეს ხელი ჩამოართვა ზაზამ. - დარია, მოგვხედე! - გასძახა ვიღაცას რუსულად.

- რაიმონდ, მისაღებში შეუძეხი სტუმრებს. მეც ახლავე მოვალ, - ზაზა ბერიძემ ჯერ მთავარი კარი ჩარაზა, შემდეგ ახალმოსულებს წინ გადაუსწრო და დერეფნის სიღრმეში ერთ-ერთი ოთახის კარი შეაღო. - შებრძანდით. რამდენიმე წუთში თქვენთან ვარ.

რაიმონდმა მერაბი და თათია უზარმაზარ, გემოვნებით მოწყობილ ოთახში შეიყვანა. ცენტრში ძველებური, მრგვალი და მასიური მაგიდისთვის რვა სკამი შემოეწყოთ. მარცხნივ, ყრუ კედელთან, აივნის კარის შორიახლოს, დივანი სავარძლებით და ჟურნალების მაგიდა იდგა.

- ხელჩანთები სადაც გნებავთ, იქ დააწყვეთ. ამ ოთახში ხელჩანთიანი ხალხის სტუმრობა გათვალისწინებული არაა, ამიტომ არც ადგილია გამოყოფილი, - ღიმილით განაცხადა აშკარად კარგ ხასიათზე მყოფმა რაიმონდმა. - სულ მალე დაშა, ანუ აქაური სონიჩკა შემოგვირბენს და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ჩვენ კი აქ მოვეწყოთ და ზაზას დაველოდოთ, - რაიმონდი დივანზე ჩამოჯდა. თათიას და მერაბს კი სავარძლებისკენ მიუთითა ორივე ხელით.

სტუმრები სავარძლებში მოკალათდნენ. ბერეხმა ორივე ღიმილით შეათვალიერა.

- დიახ, - წამოიწყო მან, - წლების წინ მეც ასე, თქვენსავით, აქ მიმიღეს. წეღანაც ვთქვი, აქაურობას ჩემთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. აქ მაშინ გაცილებით მეტი ხალხი მუშაობდა. ეს ჩვენი ფირმის ერთადერთი ოფისი იყო მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში. როცა მეგობარმა მითხრა, ავსტრიულ ფირმაში გაგიჩარხე საქმეო, სიხარულით ცას ვეწიე. გაანათლოს ღმერთმა სევასტი კუპატაძის სული. ვინ ვიქნებოდი ახლა, მას რომ აქ არ მოვეყვანე. საყველპურო ინგლისური კი ვიცოდი, მაგრამ აქ მუშაობის დაწყებას გერმანულის ცოდნაც სჭირდებოდა, ჰოდა, ანკეტის შევსების დროს სევამ ძალით ჩამაწერინა, რომ გერმანულს საშუალოდ ვფლობდი. თურმე კანდიდატურების განხილვა ორი თვის შემდეგ იწყებოდა. სევასტიმ გარეთ გამომიყვანა და მითხრა: ახლავე თბილისში შეუბერავ, ხვალვე აიყვან გერმანულის მასწავლებელს და პულსის დაცემამდე იმეცადინებო.

- შე ჩემა, ორ თვეში რას მოვასწრებ-მეთქი, -

გავასავსავე ხელები.

მერაბმა „შეჩემას“ გაგონებაზე ავთოსთან ბერეხზე საუბარი გაახსენდა და გაეღიმა.

- გეცინება, ხომ მერაბ? სასაცილოა, აბა რა. ან შეუძლებელი უნდა შემეძლო, ან არადა მშიერი ვყოფილიყავი.

- მერე, როგორ მოხერხდა ეგ ამბავი? - ბერეხს აჰყვა ბარათაშვილი. - ერთი თვე სევამ თავისი მარაგიდან დამიმატა, დედა დაეღუპაო, უფროსისთვის უთქვამს და ერთი თვე შეაგვიანდებაო. დიდი ავტორიტეტი ჰქონდა იმ სულგანათლებულს. შეფის მოადგილე იყო მაშინ, უსაფრთხოების დარგში.

მერაბს ისევ გაეღიმა.

- გეცინება, ხომ? აი, ეგრე იყო.

- მე სხვა რამეზე მეცინება, - უპასუხა ბარათაშვილმა.

- სხვაზე, რაზე?

- სევასტი კუპატაძე გამახსენდა, ბიძაჩემის მეგობარი, კანონიერი ქურდი იყო. გაგიკვირდება და ისიც მოსკოვში მოღვაწეობდა. დამთხვევაა, ალბათ?! - თათიასთვის შეუმჩნევლად თვალი ჩაუკრა ბერეხს.

- ვახ, კაცო, შენ ვინა ყოფილხარ, სწორედ ეგ არი, ეგა! - ხელები გაშალა მართლა გაოცებულმა რაიმონდმა. - ეჭვი მაქვს, რომ შეიძლება ფიდელ კასტროსაც იცნობდე.

- კი, ვიცნობ. თან ყოველგვარი ხუმრობის გარეშე. 1986 წელს ჩვენი ანსამბლი კუბაზე, ფესტივალზე იმყოფებოდა. გამარჯვებულები ძია ფიდელმა საბჭოთა კავშირის ელჩთან ერთად, თავის რეზიდენციაში მიგვიღო და პირადად დაგვაჯილდოვა.

- მაიცა, მაიცა, მართლა ამბობ?

- თბილისში რომ დავბრუნდებით, ფოტოს გაჩვენებ. ცხონებული ბებიაჩემი საგვარეულო საგანძურთან ერთად ინახავდა.

- გაგიჟდები, კაცი! - თავი გააქნია ბერეხმა.

- როცა ბებია გარდაიცვალა, გადავწყვიტე, ეს ფოტო თან ჩამეყოლებინა. დაკრძალვის დღეს კუბოშიც ჩავუდე, მაგრამ სამარესთან რომ დავასვენეთ, ვიღაცა შავი კაცი მოვიდა და ამოაცალა: ხომ იცი, წესია, მიცვალებულს რაღაც უნდა ამოაცალონ! მერეღა გაირკვა, ის კაცი კუბის დაზვერვის ოფიცერი ყოფილა. მესამე დღეს უშიშროებაში დამიბარეს და მკაცრად გამაფრთხილეს...

მერაბი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ თათიას, რომელიც თითქოს ამ ყველაფერს ცალი ყურით უსმენდა, ისეთი ხარხარი აუტყდა, თხრობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

- ისევ შაყირობ, კაცო? - გულიანად გაიცინა ბერეხმაც. - ვაახ, შენს ნათქვამს ხომ კაცი ვერ გაარჩევს, ხუმრობ, თუ მართალს ამბობ. სახეზე მაინც დაგეტყოს რამე.

სწორედ ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

- მობრძანდით! - გასძახა რუსულად რაიმონდმა და ოთახში შემოგორებულ გორგოლაჭებიან, სურსათით დატვირთულ მაგიდას შუახნის ჯანმაგარი ქალი შემოჰყვა.

- შეიძლება? - იკითხა მან. - სად ინებებთ?

- აქვე, ჩვენს პატარა მაგიდასთან, დაშა. დარია მაქსიმოვნა ბატონი ზაზას მფარველი ანგელოზია, - შესანიშნავი რუსულით გააცნო სტუმრებს დიასახლისი ბერეხმა.

დარიამ სტანდარტულად გაიღიმა და მომცრო მაგიდაზე ოსტატურად დააწყო კონიაკი და მისი შესაფერისი მშრალი დელიკატესები.

- გმადლობ, დაშენკა, - მადლიერება გამოხატა ბერეხმა.

- გაამოთ, - უპასუხა ქალმა და თავისი მაგიდა კარისკენ გააგორა.

- აი, რა კარგ დროს შემოვედი, - ღია კარში მოსამსახურე ქალი გაატარა ზაზამ და წონისთვის შეუფერებელი სწრაფი ნაბიჯებით გაეშურა სტუმრებისკენ. დივანზე ჩამოჯდა. მუხლებზე ხელები დაირტყა.

- ისე მომშივდა, „ბლინ“...” - ჩაუჟარგონა ბერიძემ, - აბა, ჰე, დავიწყოთ. ყველა საქმის გადადება შეიძლება ამის გარდა, - თქვა და კონიაკის ბოთლს ოსტატურად მოხსნა თავი.

- მიირთვით, მიირთვით. ნუ მოგერიდებათ, - ცოტაოდენი კარაქი გადაუსვა სახიზილალედ „ჩაფიქრებული“ პურის თხელ ნაჭერს ბერეხმა. - ჩვენ არც გვისაუზმია, თითო ფინჯანი ყავით მოვაღწიეთ ამ დრომდე.

შიმშილის „ლიკვიდაციას“ ოთხივე ერთდროულად შეუდგა: მასპინძლები უფრო ფხიანად, სტუმრები - სტუმრის შესაფერისად.

- აბა, იმ მზეს გაუმარჯოს, რომლის მცირე ნაწილიც თქვენ ჩამოგვიტანეთ. ჩვენი გაცნობისა იყოს, - ფუჟერში მოლივლივე ფრანგულ კონიაკს ორიოდე ყლუპი მოაკლო ბერიძემ.

- თქვენს გაცნობას გაუმარჯოს! - ჯერ მერაბს მიუჭახუნა ბერეხმა, მერე - თათიას.

- კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, - თქვა მერაბმა და მოსვა.

- გაგვიმარჯოს, - ჩაიჩურჩულა თათიამაც.

- რვა წლის მანძილზე, მხოლოდ ერთხელ მომიწია თბილისში ჩასვლამ, - სხვათა შორის

თქვა ზაზამ და „აზრიანი“ ბუტერბროდი გემრიელად ჩაკბიჩა.

- დიდი საქმის გაძღოლამ ეგრე იცის, ჩემო ზაზა, - გაამართლა ბერეხმა ბერიძე. - დრო არ არის, დრო!

- დროს როგორ ვერ გამოვნახავ, „ბლინ“, მარა, ფაქტიურად იქ აღარავინ მყავს. დედ-მამა მომიკვდა, ვისთან ჩავიდე? ჩემი და, შენც კარგად იცი, რა ხანია, გერმანიაში ცხოვრობს. აღდგომის მეორე დღეს ძმაკაცებმა დამირეკეს, შენი მშობლების სასაფლაოზე ვართო, კვერცხი გავუგორეთო. როდის ჩამოხვალო? მთვრალები იყვნენ. მე ვუთხარი, რისთვის ჩამოვიდე, თქვენსავით რომ ჭაჭის არაყი ვსვა და კვერცხები ვაგორაო-მეთქი? „კსტაწი“, იმ დროს აქაურ ბიზნესმენებთან ერთად ვიჯექი რესტორანში. ძმები პარფიონოვები თუ გაგიგიათ?! რო ვუთარგმნე, სიცილით დაიხოცნენ.

- რა აცინებდათ?! - მხოლოდ თათიასთვის „მოსალოდნელად“ იკითხა ბარათაშვილმა, - მაგათი

მამები ჭაჭის არაყისთვის ეტლიანი მოტოციკლით ჩამოდიოდნენ საქართველოში. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, ეტლში მაგათი დედები რომ ესხათ.

რაიმონდი უეცრად შეცბა, რადგან ბერიძემ ჭამა შეწყვიტა და მერაბს ისე გაკვირვებული შეაცქერდა, თითქოს მის წინ მდგარი სავარძელი აქამდე ცარიელი ყოფილიყოს და ვიღაცის ჯადოსნური ჯოხის მოქნევის შემდეგ შიგ კაცი გაჩნდა.

პაუზა გაიწელა. ზაზამ ბარათაშვილიდან მზერა სადღაც კედლის მიღმა სამყაროში გადაიტანა.

ბერეხს ტუჩზე კბენისგან სახე მოეჯღანა. თათიამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს გარდაუვალი დაბომბვის წინ უახლოესი თავშესაფრის ადგილმდებარეობას იხსენებსო.

ბერიძე უეცრად ფეხზე წამოიჭრა.

მერაბი ოდნავ უკან გადაიწია და თვალები ააყოლა, მაგრამ ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა. ზაზამ საიდანღაც მობილური ტელეფონი “გამოაძრო” და სწრაფად აკრიფა ნომერი:

- ალო! ვლადიკ, მომისმინე! - რუსულად ამეტყველდა ბერიძე, - გამოცანას გეტყვი: მამაშენი ეტლიანი მოტოციკლით საქართველოში ჭაჭის არაყის დასალევად დადიოდა და ბედნიერი იყო, მისი შვილები ბოინგით დაფრინავენ ვისკის დასალევად ედინბურგში და უბედურები არიან! რატომ? ჰა, იფიქრე, ვერ ხვდები? ვერა? კარგი, ნუ წვალობ, მე გეტყვი. იმიტომ, რომ პარფიონოვები მხოლოდ მაშინ გრძნობენ თავს ბედნიერად, როცა ფულს არ იხდიან, ხა-ხა-ხა-ხა! როგორია? ეგრეა, ეგრე და, საერთოდ, საკუთარ თავზე მწარე სიმართლის მოსმენა, სულაც არ არის სასიამოვნო. კარგი, კარგი, ხვალამდე, - ბერიძემ ტელეფონი სწრაფადვე შეინახა, ხელები მოიფშვნიტა:

- ეხლა ეს უკვე თავის ძმას ურეკავს. ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ. მერე ერთად

დასხდებიან და თავს გაიხეთქავენ იმაზე ფიქრით, სამაგიეროდ რა მიპასუხონ. ხუთი დღე შეიძლება ისხდნენ და იფიქრონ, ისე, რომ სხვას ყველაფერს თავი დაანებონ. ვიდრე რამეს არ მოიფიქრებენ და არ მიპასუხებენ, მათთვის აღარც ბიზნესი იარსებებს, არც ცოლი და არც საყვარელი.

ეხლა მე ესენი ფაქტიურად რამდენიმე დღით ნოკაუტში ჩავაგდე, მოვწყვიტე გარესამყაროს, - აჟიტირებულმა დაასრულა სათქმელი ზაზამ და ფუჟერს წამოავლო ხელი.

- ერთხელ ამ ძმებთან ერთად სათევზაოდ ვიყავი. ჩვენს გარდა, იქ რამდენიმე მეგობარიც იყო. თევზი მართლა ბევრი დავიჭირეთ, განსაკუთრებით, - სლავამ. იმისმა ძმამ, ვისაც წეღან ველაპარაკე, მე კი - არაფერი ისეთი. ამათ იციან ეს თევზაობა და რა გინდა, რო ქნა.

საღამოს კოცონთან შევგროვდით. უხა მოხარშეს, შამფურზეც შევწვით, მაგრამ თევზი იმდენი იყო, ხუთჯერ მეტნიც რომ ვყოფილიყავით, მაინც დაგვრჩებოდა. ჰოდა, სლავას ვეუბნები: მომეცი ერთი-ორი მოზრდილი „რებეცი“, სახლში ამ “წვრილფეხობით” ხომ არ დავბრუნდები, სირცხვილია-მეთქი. მე მხოლოდ ღატაკებს ვეხმარებიო, სლავამ. მითხარი, რამდენი გაქვს ფული და თუ აღმოჩნდება, რომ შენც ღატაკი ხარ, მოგცემო.

ყველამ გაიცინა. იქ ვინც იყო, ჩემდენი არც ერთს არ ჰქონდა ნაშოვნი და ეს ყველამ კარგად იცოდა. - ჰა, აღარ მეტყვი რამდენი გაქვს ფულიო? - მეკითხება ისევ და თან იცინის.

უფრო მეტი და უფრო ნაკლები-მეთქი, ვუთხარი. ვა, ეგ რას ნიშნავსო?

რას ნიშნავს და უფრო მეტი, ვიდრე თქვენ ყველას ერთად და უფრო ნაკლები, ვიდრე საჭიროა-მეთქი. ჰა, როგორია? - მუხლზე დაჰკრა ხელი რაიმონდს ზაზამ. - ხომ გეუბნებოდით, შეეშვი, შენ ამას სიტყვაში ვერ მოუგებო, დასცინეს ბიჭებმა. - მერე ბერიძე წამით ჩაფიქრდა. ისევ იმ კედელს გახედა, რომლის მიღმაც უჩინარი „მოკარნახე“ ეგულებოდა. რამოდენიმე წამის შემდეგ კი თქვა:

- მე თბილისს და, საერთოდ, საქართველოს, სკოლას ვადარებ. სკოლაში აუცილებლად ყველაფერი უნდა ისწავლო. მიიღო, რისი მიღებაც შეიძლება და როცა დრო მოვა, წახვიდე. ანუ, წახვიდე და იცხოვრო იმით, რაც ისწავლე. საქართველომ მართლა ბევრი რამ მომცა და მასწავლა, მაგრამ მოვიდა დრო და მივხვდი, რომ უნდა წავსულიყავი. წავედი და არც შევმცდარვარ. წასვლა რომ საჭიროა, თითქმის ყველა ხვდება, მაგრამ გარისკვის ეშინიათ. ეშინიათ, უარეს დღეში არ ჩაცვივდნენ. მიდიან ჩემნაირები, თქვენნაირები, ანუ ვისთვისაც დიდი ასპარეზია საჭირო, ვისაც დიდი დიაპაზონი აქვს. ეს, ერთგვარად, საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევასაც გავს. გარბის ის, ვისაც სიკვდილის მორჩილად ლოდინი არ შეუძლია. ან ყველაფერი, ან - არაფერი! მოკლედ, თქვენს გაქცევას გაუმარჯოს! - დაამთავრა “ნაკარნახევი” ბერიძემ, რაიმონდს ფუჟერი მიუჭახუნა და მოსვა.

- რაიმონდ, - მცირე პაუზის შემდეგ, დინჯად წარმოთქვა ბარათაშვილმა. - მე კარგად გავიგე ბატონი ზაზას ნათქვამი, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ ვარ აქ. იმედს ვიტოვებ, მალე

ამიხსნი, რადგან დროს ვეშურები: მე ხომ ჯერ „სკოლა“ არ დამიმთავრებია და თან „საკონცენტრაციო“ ბანაკში ხუთ მილიონამდე „პატიმარი“ მელოდება, რომლებმაც, ჩემი არ იყოს, არ იციან პატიმრები რომ არიან, რადგან მოკრძალებული დიაპაზონი აქვთ და, ამდენად, ასპარეზიც სრულიად აკმაყოფილებთ.

უეცრად უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა. ისევ გააჩერა პირისკენ წაღებული ბუტერბროდი ზაზამ.

ჯერ მერაბს შეხედა, მერე - რაიმონდს. ავტომატურად თათიასაც შეავლო მზერა:

- ვერ გავიგე?! არა, თითქოს ყველაფერი გავიგე, მაგრამ... რაიმონდ, რა ხდება?

- საქმე იმაშია, ზაზა, რომ მერაბმა ჯერ კიდევ არ იცის, რისთვის ვთხოვე აქ ჩამოსვლა. ტელეფონზე ხომ არ ავუხსნიდი ყველაფერს. აქ ჩამოვიდა თუ არა, ყველანი ერთად აღმოვჩნდით.

- მაგას არა აქვს მნიშვნელობა, - პურის ციცქნა ლუკმა თეფშზე უდიერად დააგდო ბერიძემ. - უფრო სწორად, პირიქით, ჯერ არ იცის რისთვის ჩამოვიდა და... მგონი, არც ის იცის, ვის ელაპარაკება. ვის „ეიაზვება“, „ბლინ“! - ზაზამ მკაცრად შეხედა თვალებში ბარათაშვილს.

- ზაზა, რა მოგდის. უბრალოდ, მერაბს საუბრის ცოტა განსხვავებული მანერა აქვს.

- რაიმონდ, - ირონიულად გაიღიმა მერაბმა, - შენთან ბოდიშს ვიხდი. არ ვიცი, რამდენად უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენე, მაგრამ შენი ბრალიცაა. ვიდრე ამ ბატონს შევხვდებოდი, უნდა მცოდნოდა, ვისთან მომიწევდა მუშაობა და რას მოითხოვდნენ ჩემგან. თქვენ კი, ბატონო ზაზა, ნუ გამიბრაზდებით. ვთქვი ის, რასაც ვფიქრობ. მე სხვაგვარად ვცხოვრობ და სხვა ღირებულებები გამაჩნია. თუ თქვენი მონოლოგიდან სწორი დასკვნა გამოვიტანე, აქ კარგა ხნით მიპირებთ დატოვებას. იქნებ გგონიათ, რომ თბილისიდან ჯოჯოხეთს გამოვექეცი და თქვენი შემწეობით ვაპირებ სამოთხეში მოხვედრას? თუ ასეა, ვწუხვარ, მაგრამ უნდა გაგაწბილოთ. პირადად ჩემი სამოთხე საქართველოს საზღვართან მთავრდება. ამიტომ დიდი ხნით იქაურობას არასდროს ვტოვებ.

რაც შეეხება სიტყვას „მეიაზვები“, ვფიქრობ, მისი ჩემი მისამართით “სასროლად” მართლაც მოგეცით მცირეოდენი საბაბი, მაგრამ ნუღარ გაიმეორებთ. და ნუ მკითხავთ, რატომ! - მერაბი ფეხზე წამოდგა. - მოკლედ, მე წავედი. რაიმონდ, რაც ჩვენს მომავალ ურთიერთობას შეეხება, იმედია, ამის შესახებ უკვე თბილისში შემატყობინებ, - ბარათაშვილმა ჩანთას ხელი დაავლო და დერეფნისკენ წავიდა. - მიუხედავად ყველაფრისა, მე შენი გულწრფელად მადლიერი ვარ.

- ეს ვინ არი? - ფეხზე წამოდგა ზაზაც. - მოიცა, მოიცა. სწრაფი ნაბიჯებით დაეწია მერაბს ოთახის კართან.

- გისმენთ, - ზემოდან ჩამოჰღიმა ბარათაშვილმა.

- მაგარი ხარ, არა?! შენ იცი, ეხლა რას ვაპირებ?

- მე ვიცი, მე რას ვაპირებ. თბილისში დავბრუნდები, რაც შეგეხება შენ, - პირველად დაარღვია სუბორდინაცია ბარათაშვილმა, - ისე გიქნია, მოსკოვის ოფისიდან წყნეთისაში ჩასულხარ, იქაურ ტყეში სარი მოგიჭრია და... დანარჩენს უკვე იქაურები გეტყვიან.

- მე ეხლავე გაჩვენებ, ვის რას ეტყვიან!.. და მიგახვედრებ, რა განსხვავებაა ჩემსა და შენს შორის...

- მე ისედაც ვიცი, ჩემსა და შენს შორის რა განსხვავებაა: ქუჩაში შიშვლებმა რომ გავიაროთ, მე შემრცხვება, შენ კი გაცივდები!

ამ სიტყვების გაგონებაზე ზაზამ კბილები გააკრაჭუნა, პატარა, პუტკუნა მუშტები თეძოებთან შეკრა, მერე უცებ ადგილს მოსწყდა და სირბილით მივარდა კედელში ჩაყოლებულ სეიფთან. ჯიბიდან გასაღებების აცმა დააძრო, სასურველი შეარჩია, მოარგო, რამდენჯერმე გადაატრიალა, მერე ციფრებიანი დოლურა ააღრჭიალა და კარი გამოაღო.

- ეხლა მიყურე! - თქვა ზაზამ, რომელსაც სამი წყვილი დაძაბული თვალი შეჰყურებდა. მერე თეთრი ქაღალდების თხელი დასტა გამოაძრო და შუაზე გადახია. - შეხედე! - ისევ გადახია. - აი ეს, შენი კონტრაქტი იყო. ხელის მოწერაღა აკლდა. აი ასე, აი ასე! - ქაღალდები ნაკუწებად აქცია და გადაყარა. - თავისუფალი ხარ.

- კაი, კაცო, - გადაიხარხარა ბარათაშვილმა. - დამღუპე და ეგ არი, - კარის სახელური ჩამოწია და დერეფანში გავიდა.

- რას შვები, ზაზა, - ბერიძისკენ გავარდა ბერეხი, რომელიც გათამაშებულ სცენას საშინელებათა ფილმის კადრებად აღიქვამდა.

- გაგიჟდი?! მე რა გითხარი?! ვინ მოგცა ამის უფლება?! ხვალ დილით არნოლდ კრამპე აქ იქნება, რა პასუხს გასცემ?

- უკაცრავად, - სწორედ ამ დროს შემოაღო კარი მერაბმა. - კარი გამიღოს ვინმემ, თუ შეიძლება, - თქვა, რაც შეიძლებოდა თავაზიანად და სხვათა შორის თათიას გადახედა. თათია უცნაურად იღიმებოდა.

- მოიცა, მერაბ, - კარისკენ გაიქცა ბერეხი.

- დაშა! გაუღე კარი! - იყვირა ბერიძემ. - რაიმონდ, მოდი აქ! ვთქვი და მორჩა, მაგის „მისია“ ამოწურულია! - ომახიანად განაცხადა ზაზამ. მერე დივანზე ჩამოჯდა, საფეთქლები შეიზილა, თავი წრიულად აამოძრავა, წაივარჯიშა. - კრამპეს მე მოველაპარაკები, - განაცხადა პაუზის შემდეგ.

ბერეხი, თითქოს ზაზას ნათქვამი არც გაუგონიაო, ისე გავარდა დერეფანში:

- მერაბ, ყველაფერს აგიხსნი, დამელოდე, ერთი წუთით.

- კარგი რა, რაიმონდ. ხომ იცი, რომ აქ აღარ დავრჩები. რა დაგიფიცო?

- კაი, ბატონო, ნუ დარჩები. ერთი წუთით დამელოდე და მეც წამოვალ.

დარიამ კარი ხმაურით გააღო და გვერდზე გადგა.

ჩანთაგადაკიდებულმა თათიამ რაიმონდს და მერაბს

შუაში გაუარა და სადარბაზოში გავიდა.

- აჰა, ესეც წავიდა, - თქვა ბარათაშვილმა. - ბარემ ზაზასაც დავუძახოთ, ცოდვაა მარტო იმხელა ოთახში.

- თათია, შენ სადღა მიდიხარ? - გარეთ გავარდა ბერეხიც.

- ცოტას გავისეირნებ. ნუ დარდობ, არ დავიკარგები, - უკანმოუხედავად უპასუხა კიბეებზე ჩამავალმა ქალმა.

- რა დროს სეირნობაა, ადამიანო, - თავი გადაჰყო მოაჯირიდან ბერეხმა. - სასტუმრო „როსიაში“ ნომერია დაბრონილი შენს სახელზე, გაიგე? იქ მიდი პირდაპირ. გესმის ჩემი?

თათიას ესმოდა, მაგრამ არ ეტყობოდა.

- მერაბ, ახლავე გამოვალ, კარგი? - მიუბრუნდა ბარათაშვილს.

- კარგი, კარგი, ეზოში დაგელოდები.

- ჰო, ასე აჯობებს, - თქვა და უკანვე შევარდა.

მერაბი კიბეებზე დაეშვა, მაგრამ დაბლა ჩასვლა ვერ მოასწრო, ისე დაეწია საფეხურებზე ცელქი ბავშვივით მოხტუნავე ბერეხი.

- მერაბ! - რიგიანად გარეთ გასვლა არ აცალა ბერეხმა.

- რაიმონდ, ერთი კითხვა მაქვს შენთან, პასუხს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც...

ცოტა უცნაურია, ამ გოგოსთან ყოველდღიური ურთიერთობა გვიწევს მე და ავთოს და არცერთმა არ ვიცით, ვინ არის შენი, ან რა ფუნქციები აქვს ფირმაში. მაპატიე, ყოველთვის მეუხერხულებოდა შეკითხვა.

- არაფერი უხერხული ამაში არაა, ჩემო მერაბ, - ხელკავი გაუყარა ბერეხმა ბარათაშვილს. - შეხედე, უკვე წასულა, - თვალებით იქაურობა მოათვალიერა.

- არა, თუ რამე პირადულია...

- ხომ გითხარი, არაფერი განსაკუთრებული და უცნაური. უბრალოდ, თვითონ თათიამ გადაწყვიტა, რომ საიდუმლოდ შეენახა. ვერ გეტყვი, რატომ. ისე, შენც შეატყობდი, ცოტა უცნაური გოგოა.

მოკლედ, თათია, შეიძლება ითქვას, ჩემი გერია. ცხონებული დედამისი, ფაქტიურად, ცოლი იყო ჩემი. რვა წელი ერთად ვიცხოვრეთ. თბილისში გავიცანით ერთმანეთი, ულამაზესი ქალი იყო. ქმარი 4-5 წლის გარდაცვლილი ჰყავდა. შეგვიყვარდა ერთმანეთი. ძალიან მალე მოსკოვში წამოსვლამ მომიწია. ისიც თან წამოვიყვანე. თათია მაშინ, თუ არ ვცდები, მეცხრე კლასში იყო. მისი წამოყვანის წინააღმდეგი არ ვიყავი, პირიქით, მაგრამ ნანამ არ ქნა: მის ასაკში, სულ სხვა სამყაროში გადავარდნა, ცუდად იმოქმედებსო. თათიაც ბებიასთან და დეიდასთან დარჩა. მერე... მერე მოხდა ძალიან ცუდი რამ. ისეთი, ჩემს ცხოვრებას რომ სამუდამო დაღი დაამჩნია. ორი დღით, მივლინებით, ყაზანში ვიყავი. შინ დაბრუნებულს მკვდარი დამხვდა. სავარძელში იჯდა, იქვე მაგიდაზე ძილისმომგვრელი პრეპარატის ცარიელი ფლაკონი და პატარა წერილი იდო...

- თავი მოიკლა? - შეწუხდა მერაბი.

- ჰო, წერილში კი ეწერა, ამას დიდი ხანია ვაპირებდი, უბრალოდ თათიას გამო ვიკავებდი თავსო. ახლა კი, როცა ნაწილობრივ მაინც შეეჩვია ჩემს გარეშე ცხოვრებას, უფრო ადვილად შეეგუება უდედობასო. მეც ბოდიშს მიხდიდა. არ გეგონოს, გამოგიყენე, მეგონა შევძლებდი ახალი ცხოვრების დაწყებას, მაგრამ არ გამომივიდაო.

- კი, მაგრამ რამ აიძულა, რა აწუხებდა ასეთი?

- ზუსტად დღესაც არ ვიცი, რაღაც უცნაური, გულჩათხრობილი ქალი იყო. ბოლო დროს სმა დაიწყო. ბევრს არ სვამდა, მაგრამ სვამდა თითქმის ყოველდღე. როდესაც მეგობრები მეუღლეებთან ერთად ვიკრიბებოდით, მხიარულებაში ვერავინ შეედრებოდა, რამოდენიმე ჭიქის შემდეგ კი, უეცრად მოიწყენდა. ხანდახან თვალებიც აუწყლიანდებოდა. ყველანი ამჩნევდნენ, მაგრამ მე მიწევდნენ ანგარიშს. ბუნებრივია, როცა მარტო ვრჩებოდით, მიზეზს ვეკითხებოდი, მაგრამ კონკრეტული პასუხი არასდროს მიმიღია, ამბობდა, გადავიღალეო, ნერვები არ მაქვს მწყობრშიო. ერთხელ მითხრა, მთები მომენატრაო. ურალში წავიდეთ ერთი-ორი კვირით-მეთქი. ამის გაგონებაზე ჯერ ისე შემომხედა, როგორც იდიოტს, მერე ისტერიული სიცილი აუტყდა, კინაღამ გაიგუდა.

- ტაქსი! - დაიძახა უცებ ბერეხმა. - სასტუმროში მივიდეთ, დაბინავდი.

- სასტუმროში რა მინდა?! საავადმყოფოში ცოლი მელოდება, გარეთ კი - ღმერთივით მეგობარი. ხომ გაიგონე, რა მითხრა ერეკლემ, რომ გათავისუფლდები, დამირეკეო. გეგულება ჩემზე თავისუფალი კაცი მოსკოვში? - გაიღიმა ბარათაშვილმა.

- დაჯექი, დაჯექი, - ტაქსის კარი გამოაღო ბერეხმა. - გზაში გადავწყვიტოთ, სად წავალთ.

- კეთილი, მაგრამ გზა ფიოდოროვის კლინიკისკენ უნდა მიდიოდეს.

- დალოცვილო, მივიდეთ იმ სასტუმროში, დავილაპარაკოთ და ხომ არავინ დაგაბამს, თუ ჩემი ნათქვამი ჭკუაში არ დაგიჯდება, გაიხურე კარი და წადი. გთხოვ, რა მოხდება?

- კეთილი, მასე იყოს, მაგრამ არ გეწყინოს და შენი ასეთი დაჟინება, ჩაციება და თავგამოდება, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მეჩვენება. ჩვენ საკმაოდ თბილი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ მაინც. რას იტყვი, მართალი ვარ? - თვალებში ეშმაკურად ჩახედა მერაბმა რაიმონდს. - ნუთუ ეგეთი საჭირო ვარ?

- აკი გითხარი, მივალთ სასტუმროში და ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნი. - „როსია“, - უთხრა მძღოლს ბერეხმა და მერაბს თვალი ჩაუკრა.

- მერე, მერე? - ამბის თხრობის გაგრძელება სთხოვა მერაბმა ბერეხს. მანქანა დაიძრა.

- ჰო, სად

ვიყავით? გამახსენდა. ურალის ხსენებაზე ისტერიული სიცილი აუტყდა. რა გჭირს- მეთქი, ვკითხე. და იცი, რა მიპასუხა, ჩემს ქმარს ყვქლა მხრიდან ჰქონდა უშბა დაპყრობილი, მყინვარწვერზე კი ერთად ავედითო.

- ახლა უფრო გასაგებია, - ფანჯარაში გაიხედა მერაბმა.

- ეგ ჩემთვისაც გასაგებია, მაგრამ ნუთუ მხოლოდ ეს იყო საკმარისი იმისთვის, რაც ჩაიდინა?!

- იმ ქალისთვის, როგორც ჩანს, საკმარისი იყო. აი, ზაზასნაირებში კი, უშბას და ყაზბეგს თეთნულდი და შხარაც რომ დაუმატო, მოსაკლავს კი არა, თითის გასაჭრელ ემოციასაც ვერ გამოიწვევს.

- ეგ, მეც ვიცი.

- მერე, თუ იცი, რატომ მუშაობ მასთან? არ გეწყინოს, გეხუმრები, რა თქმა უნდა.

- არ მწყინს, თუნდაც იმიტომ, რომ მე მასთან კი არა, სოლიდურ ავსტრიელ ბიზნესმენთან - არნოლდ კრამპესთან ვმუშაობ. მას კი, მერწმუნე, თავისი ალპების თითქმის ყველა მწვერვალი აქვს დაპყრობილი. ალპინიზმი მისი ჰობია. ხვალ დილით აქ იქნება და გაგაცნობ. ძალიან კარგი პიროვნებაა.

მერაბმა მოულოდნელად გაიცინა.

- რა გაცინებს?

- რა მაცინებს და წეღანდელი ეჭვი. ნუთუ ასეთი საჭირო კაცი გავხდი ამ მოკლე დროში?! მერე, მერე, განაგრძე თუ შეიძლება, ძალიან დამაინტერესა იმ ქალის ამბავმა.

- რაღა მერე. თათია ნანას სიკვდილის მიზეზს დღემდე ჩემთან აიგივებს. ერთხელ პირდაპირ მითხრა, შენ რომ არ გადაყროდი, ახლაც ცოცხალი იქნებოდაო.

წარმოიდგინე, სადღაც, გულის სიღრმეში, მეც იგივეს ვგრძნობ და ეს მტანჯავს. ვერ ვხვდები, რაშია ჩემი შეცდომა, მაგრამ სულ ვცდილობ, გამოვასწორო. ვერ ვხვდები, რა უნდა გამოვასწორო, უბრალოდ, ვცდილობ, თათია იყოს კარგად, მივცე მას ყველაფერი, რისი მიცემაც შემიძლია.

- თუ არ ვცდები, თათიას უთქვამს, რაიმონდის ცოლი ვარო.

- კი, ასე გაეცნო სონიჩკას და ავთოს. ზოგიერთ სხვასაც. არ ვიცი, რაში სჭირდება. მითხრა, ასე სჯობსო. ალბათ, ჩემმა გარემოცვამ ზედმეტი ყურადღებით რომ არ შეაწუხოს, იმისთვის.

- მაგალითად მე, ან ავთომ, არა?

- რატომ მაინცდამაინც შენ და ავთომ.

- აბა, სონიჩკა ლესბოსელიც რომ იყოს, უკვე ისეთ ასაკშია, არა მგონია, თათიას ფლირტი გაუბას.

- ოჰ, რა კაცი ხარ! რასაც შენ არ იტყვი, - ისე გადაიხარხარა რაიმონდმა, ტაქსის მძღოლმა ოდნავ დაამუხრუჭა და უკან გამოხედა. - ისე, თეორიულად თათია მართალია, - განაგრძო ბერეხმა.

- რას ნიშნავს, თეორიულად?

- ასე, ორი წლის წინ, საქმეს დასჭირდა და მე და თათიამ ხელი მოვაწერეთ. ფიქტიურად, რა თქმა უნდა.

- აბა, რას ერჩი, მართალი ყოფილა ის ქალი.

- კი, დოკუმენტების მიხედვით, მართალია. სინამდვილეში მართლა იყო გათხოვილი. ქორწილიც დიდებული გადავუხადე, მაგრამ სამ თვეზე მეტი ვერ გაუძლო.

- ვინ?

- ქმარმა, რა თქმა უნდა, - ჩვეულად, ეშმაკურად გაიღიმა ბერეხმა. - იმ ბიჭს ცოლი უნდოდა, თათია კი ქმარი იყო.

- ჰო, იზამდა, - დაასკვნა მერაბმა. - მამა როგორ დაეღუპა?

- ზუსტად ვერ გეტყვი, როგორ. ამაზე საუბარი არც დედას უყვარდა და არც შვილს. როგორც ვიცი, ომში, სადღაც აფხაზეთში!

- აფხაზეთი სადღაც არ არის რაიმონდ! - ამოიოხრა მერაბმა. * * *

გააცილა თუ არა ავთო გელაშვილმა მერაბი და თათია, აეროპორტიდან პირდაპირ წყნეთისკენ აიღო გეზი, სადაც გორგილაძე ეგულებოდა.

საერთოდაც, თუ მერაბი და გოგა გვერდით არ ჰყავდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ძალიან მნიშვნელოვანი აკლდა რაღაც. ორივეს თუ გვერდით დაიგულებდა, მაშინ იყო აბსოლუტურად ბედნიერი.

ეს მერაბმაც იცოდა და გოგამაც. ავთო მათთვის ოჯახის წევრის ტოლ-სწორი კაცი იყო და გოლიათი მეგობარი გამორჩეულად უყვარდათ. დაახლოებით ისე, როგორც ბავშვები უყვართ ხოლმე. ავთო გულუბრყვილო და ალალი იყო. უმნიშვნელო დეტალებიც ძალიან ახარებდა და ამ სიხარულის გამოხატვაც დაუფარავად იცოდა. სწორედ ამით აგონებდა ის ყველას ბავშვს, თორემ სხვა მხრივ, ძლიერი, პრაქტიკული, ყველგან და ყოველთვის ანგარიშგასაწევი კაცი გახლდათ.

გელაშვილს ზუსტად ჰქონდა განსაზღვრული რა შეეძლო, რას შეეჭიდებოდა. არც შრომა ეზარებოდა, პრეტენზიულობითაც არ გამოირჩეოდა, ამიტომ პირადი პრობლემები, ფაქტიურად, არ ჰქონდა. ძირითადად, სხვისი პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული.

უახლოესი მეგობრებისგან განსხვავებით, ნაკლებად იყო გათქვეფილი შემთხვევით ნაცნობებში. ინსტიტუტისდროინდელი მეგობრობა დღემდე მოყვებოდა. არც უბნელების მიმართ იყო გულგრილი, ორი-სამი კაცი სხვაც იყო ასეთი, მაგრამ მერაბი და გოგა მისთვის „მეგობარზე“ გაცილებით მეტს ნიშნავდა. ისინი ღვიძლ ძმებად მიაჩნდა და დამოკიდებულებაც შესაბამისი ჰქონდა.

ბიჭებიც ძმად მიიჩნევდნენ ავთოს, ბავშვად დარჩენილ უმცროს ძმად, რომელიც დაოჯახებული უფროსი ძმებით ამაყობდა.

ეს ურთიერთობები თავისთავად ჩამოყალიბდა, არავის დაუდგენია. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ბარათაშვილიც და გორგილაძეც ავთოს პირად ცხოვრებაში უფრო ხშირად

ერეოდნენ, ვიდრე - ერთმანეთისაში. მას უფრო თამამად აკრიტიკებდნენ, აძლევდნენ რჩევებს.

“ჩარევაც” და “რჩევებიც” ძირითადად ერთ მიზანს ემსახურებოდა, - ორივეს გულწრფელად სურდა, რაც შეიძლება მალე მოეყვანა გელაშვილს ცოლი.

- ის სითბო, ენერგია და ყურადღება, რასაც ავთო ჩვენს ცოლ-შვილს ახმარს, ვიღაც სხვას ეკუთვნის, გოგა და მე, ხანდახან თავს გამომძალველად ვგრძნობ, - უთხრა ერთხელ მერაბმა გორგილაძეს.

- რაღაც მაგდაგვარზე მეც ხშირად მიფიქრია... - უპასუხა გოგამ.

- გირჩევნიათ, თქვენს “ჩასვრილ” საქმეებზე იფიქროთ, - ვითომ გაბრაზებულმა ჩაიგრუხუნა უეცრად საიდანღაც “აღმოცენებულმა” გელაშვილმა. - რაც შეეხება იმათ, ვისაც ჩემი რაღაც-რაღაცეები ეკუთვნით, როცა იქნებიან, არც მათ მოვაკლებ!

ასეა თუ ისე, ბიჭები ერთმანეთის გარეშე „ვერ იყვნენ“ და „არც იყვნენ“.

„ჩვენ ვერავინ მოგვერევა, ჩვენ ბევრნი ვართ: მე, მერაბი და „ბლომად“ ავთო, იტყოდა ხოლმე შეზარხოშებული გორგილაძე.

გარდა იმისა, რომ ღრმა ბავშვობიდან ერთად იყვნენ, ჭირიც და ლხინიც ერთად ჰქონდათ ნაგემი. მათ ერთობას „თეთრზე“ და „შავზე“, ღირსებასა და სულმდაბლობაზე, მოკლედ, ავზე და კარგზე, ერთნაირი წარმოდგენებიც ამაგრებდა.

„სიცოცხლის მანძილზე ადამიანს უამრავი რამ ევალება, ბევრი საქმე აქვს, რომელთაგან ზოგს აკეთებს, ზოგი გაუკეთებელი რჩება. ამდენად, ყოველი საქმე ჩვენი ცხოვრების პატარა ეპიზოდია. მაგრამ არსებობს მთავარი საქმე, ანუ გასაკეთებელი - იარო შენს გზაზე ისე, რომ სხვისი დამძიმების ხარჯზე, არ შეიმსუბუქო საკუთარი ტვირთი! თითოეული ჩვენგანის გასავლელი მანძილიც განსაზღვრულია დაბადებიდან დუეტში მომუშავე ანგელოსების მობრძანებამდე“ - კარგა ხნის წინ, კავთისხევში, ერთი მადლიანი ქართველი კაცის, ზაქრო ბარდაძის ოჯახში სტუმრობისას თქვა მერაბმა.

განუყრელი მეგობრები მაშინ მერაბის პაპასთან მიდიოდნენ ერთაწმინდაში. კავთისხევში ისეთი დიდთოვლობა იყო, რომ გელაშვილის „ლუაზმა“ „დაიჩოქა“. მანქანას ისეთი რამ გაუფუჭდა, რისი გაკეთებაც თბილისშიც საეჭვო იყო და კავთისხევში საშველი საიდან მოვიდოდა?! - ზემოდან მოვიდა.

პაპა ზაქრო, თავისი ჯაჭვებიანი მოსკვიჩით დინჯად მოადგა “მოღალატე” მანქანას. გამარჯობა თქვა. მერე, რა გაგჭირვებიათო, იკითხა. ზუსტი პასუხი რომ ვერ მიიღო, მანქანა გამორთო, გადმოვიდა, „ავადმყოფი ლუაზი“ კარგი თერაპევტივით გასინჯა, დიაგნოზიც უტყუარი დასვა და დანიშნულებაც გამოწერა: “ამას „სვარკა“ უნდაო” - თქვა და თავისი მანქანისკენ წავიდა.

ბიჭებს ხმა არ ამოუღიათ, ერთმანეთს გადახედეს: ეგ ხომ ჩვენც ვიცოდითო, თვალებით გადაილაპარაკეს.

ზაქრო პაპამ მოსკვიჩს საბარგული ახადა, „ტროსი“ ამოიღო: „უკნიდან ჩააბითო“, ჩუმად თქვა. მერე თავისი მანქანა მოხერხებულად მიუყენა ბიჭებისას. „ლუაზი“ ჩაიბა. „აბა, საცა გაუჭირდეს, მოაწექითო“, თქვა და ბებერი „მოსკვიჩი“ ღმუილით შეუყენა მცირე აღმართს. სამასიოდე მეტრის გავლას ათი წუთი დასჭირდა. მანქანა ბარდაძეების ეზოში შეაგორეს.

- აბა, ბიჭებო, შინ შემოდით, ღუმელთან გათბით, ცოტა წაიხემსეთ და ამასობაში თქვენს მანქანასაც მოევლებაო, - თქვა პაპამ და კიბის თავში შემოგებებულმა მეუღლემაც დააყოლა: „მობრძანდით, შვილებო, გენაცვალეთ, ნუ მოგერიდებათ, გაუგონეთ რასაც ეგ კაცი გეუბნებათ. აღარ შეესიტყვოთ, არ უყვარს! ამ ხნისა მოიყარა, გაბრაზებული არავის უნახავს და ამ სიბერეში ნუღარ გამიჯავრებთ“, - ღიმილ-სიცილით შერეკა ოჯახის დიასახლისმა გათოშილი ბიჭები გაღუღუნებულ ოთახში და პირდაპირ სუფრასთან ამოაყოფინა თავი.

- ზაქროს ველოდი და ვახშამი მზად მაქვს, - თვალის დახამხამებაში გაშალა გემრიელი სუფრა ქალბატონმა. - ღორიც ახალი დაკლული გვყავს. თქვენ დაიწყეთ, მწვადსაც უმალ მოგართმევთო, - თქვა და „გაგიჟებულ“”შეშის ღუმელზე დიდი ტაფა შემოდგა.

ზედ უკვე გამზადებული ხორცის დიდი ნაჭრები დააწყო და თავადაც მაგიდას მიუჯდა.

ბიჭები გაოცებულები შეჰყურებდნენ ამ ყველაფერს. თავი უხერხულადაც იგრძნეს. რაღაცის თქმა აუცილებელი იყო. ისევ გოგამ იყოჩაღა:

„ვაიმე, როგორ გაწუხებთო“, - უკეთესი სათქმელი ვეღარ იპოვა.

„შემწუხებელს ოჯახში როგორ შემოვუშვებო“, - განაცხადა ქმარზე უფრო ხალისიანმა დიასახლისმა. “ეგ რა სათქმელია, ჩემ შვილებზე უმცროსები ხართ, მაგრამ თქვენც ჩემი შვილები ხართ. ღვთის მადლით, არაფერი გვიჭირს. ჩემი ქმარი მშრომელი კაცია. არც მე ვარ უმაქნისი, შვილები კი ქალაქიდანაც ხელს გვიმართავენ. კი არაფერი გვაკლია, მაგრამ ჯიგარი არ ასვენებთ. აბა ნახეთ, როგორი ყველია? მწნილი? ისე უყვართ ჩემს შვილებს ჩემი ჩაწყობილი მწნილი, ენაცვალოთ დედა... პური გატეხეთ, ბიჭებო, რაღას ელოდებით. კვერცხები დაამტვრიეთ, კარტოფილი გაფცქვენით, ღუმელში გახუხულს სულ სხვა გემო აქვს.”

ამ დროს ზაქრო პაპაც შემოვიდა, ხელში ვეებერთელა „ქართლური“ დოქი ეჭირა. სუფრის შუაგულში ჩადგა.

„სანამ ამას დალევთ, მეც მოვალ, არ მოიწყინოთ“ - თქვა და ისევ უკან გაბრუნდა.

„ჩვენც წამოვალთ, ეგრე როგორ იქნებაო“ - გააპროტესტეს ბიჭებმა და ფეხზე წამოიშალნენ.

„რო მჭირდებოდეთ, განა მომერიდებოდა! ერთი კაცის საქმეა და ხელის შეშლის მეტს ვერაფერს გამიკეთებთო“, - თქვა მასპინძელმა და კარი ისე გაიხურა, რომ მისი შიგნიდან

გაღების უფლებაც თან გაიყოლა.

გარეთ ხვავრიელად ბარდნიდა. გვერდებმოღიავებული ფარდულიდან შედუღების ხმა ისმოდა, თოვლზე ნაპერწკლები ეცემოდა. ფეიერვერკი იყო ნამდვილი. ოღონდ ბუნებრივი, დაუგეგმავი, თან სასარგებლო.

ბიჭები ფანჯარას გასცქეროდნენ. რაკი მიხმარების უფლება ჩამოართვეს, ამგვარად უცხადებდნენ სოლიდარობას პაპას.

- აქეთ გამაიხედეთ, შვილო, ლუკმა გატეხეთ, იქ სად იყურებით. რა, ამოწმებთ? - ჩაიცინა დიასახლისმა, - ნუ გედარდებათ, რაკი ხელი მოკიდა, საშველსაც დააყენებს, ხელმადლიანი კაცია. იცის საქმის ძალა.

პირველი-ორი ჭიქა ლამის ძალით დაალევინა ბიჭებს. მერე კი თავადაც შეთამამდნენ სტუმრები და მესამე-მეოთხეც მიაყოლეს. დიასახლისიც რამდენჯერმე გულიანად გააცინეს და მერაბმაც სწორედ მაშინ თქვა:

„არსებობს მთავარი საქმე, ანუ საკეთებელი...“

„კარგადა სთქვი, შვილო! “ - საქმე დაემთავრებინა ზაქრო ბარდაძეს. შესადუღებელი აპარატის არითმიული „ზიზინი“ აღარ ისმოდა და მერაბის ხმას უცებ შემოპარულ სიჩუმეში გარეთაც გაეღწია.

- სწორია! - კარი მიხურა პაპამ და მაგიდას მიუჯდა. ბიჭებმა სწრაფად შეუვსეს ჭიქა „თავკვერით“. - ადამიანი რომ სხვისი მოტყუებით სახლში ბარაქას შეხვეტავს, შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი. ამ შუბლის ძარღვსა ყურები უჭირავს. როცა წყდება, ყურები ძირსა ცვივა, იკარგება და ეშმაკის მიერ საავკაცოდ წაქეზებულ ადამიანსა მფარველი ანგელოზის ხმა აღარ ესმის... მორჩა და გათავდა! იყო და არა იყო რა! - დაასრულა ზაქრო პაპამ და ჭიქა გამოსცალა.

- მაგ შუბლის ძარღვს რაღა უწყვეტს ადამიანს? - ჩაეკითხა გოგა.

- რა უწყვეტს და ხომ გაგიგიათ, რომ იტყვიან ხოლმე, „შუბლით” გააქვსო?!“ ჰოდა, შუბლის ხშირად ძგერება სწყვეტს შუბლის ძარღვსა. შუბლით გასატანი რა სჭირს კაცსა, ვისთან რა აქვს სადავო და საჩხუბარი, ან დრო სადა აქვს სამაგისო?! რა, საქმე და ხელის გასანძრევი დაილია ამ ქვეყანაზე?! საქმესთან ჭიდილის ნაცვლად, კაცთან ჭიდილი სწყვეტს შუბლის ძარღვსა, შვილებო! ბევრჯერ გამიგია, თქვენნაირ ჯეელ ბიჭებს უთქვამთ, სიკეთეს გაუმარჯოსო! კარგია, მაგრამ სიკეთე მოყვასისთვის ხელის გამართვაა, დახმარებაა, შენი კუთვნილის სხვისთვის გამეტებაა. აბა, მითხარით, თუ შენი არა გაგაჩნია რა, სხვას როგორ მისცემ?! შენი კი იმასა ჰქვიან, რაც საკუთარი ოფლით მოგიპოვებია. ბევრი სიკეთის კეთებას ბევრი შრომა უნდა. ბევრი, ზედმეტში არ აგერიოთ. ზედმეტი არც შრომა ვარგა, რადგან დროზე ადრე გაგტეხავს, დაგასნეულებს და შენს წუთისოფელს არ ეყოფი. აქეთ გახდები სამადლო და მოსავლელი, სხვისი შრომა დასჭირდება შენს არსებობას. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ სხვა მხრივ თუ შევხედავთ, უნარწართმეული იმდენ მადლს ხომ ვეღარ გასცემ, რამდენის ნიჭიც უფალმა მოგანიჭა.

ზედმეტი არაფერი ვარგა-მეთქი, მაგრამა, ყველაზე მეტად ზედმეტ ღვინოს უნდა ერიდოს კაცი. ღვინოში მზეა. მზე სინათლეა, სითბოა, სიკეთეა. მაგრამ ზედმეტი მზე წვავს და ანადგურებს ყველაფერს. მოკლედ რომ ვთქვა, ზედმეტი მზე მკვლელია.

ახლა თქვენ ისე კი არ გამიგოთ, - გაიცინა ზაქრო პაპამ - თითქო ჭიქების აცლას გიპირებდეთ. საერთოდ ვამბობ, შვილო, თორემ სანამ ამ დოქს მეორესაც არ გამოვცლით, აქედან ფეხსაც ვერ მოიცვლით.

პირდაღებულნი შესცქეროდნენ ბიჭები ამ ბრძენკაცს. უკვირდათ, უხაროდათ, უმადლოდნენ. სასწაული იყო პირდაპირ. თითქოს ის, რასაც ყოველთვის გრძნობდნენ, ვერ ამბობდნენ და ეს სტანჯავდათ, ის რაც მათ აერთიანებდათ, სულ რაღაც ორ წუთში ჩამოაყალიბა ერთმა უბრალო, მაგრამ ფესვმაგარმა ქართლელმა ბერიკაცმა.

იქ, კავთისხევში, მაშინ რაღაც მოხდა... შეთქმულებივით დატოვეს სიკეთით გაჟღენთილმა ბიჭებმა ბარდაძეების ოჯახი გვიან ღამით. მათ მოისმინეს ის, რას სჭირდებოდათ. ნახეს ის, რაც სურდათ, ენახათ. აწი ყველაფერი წინ იყო.

უკვე იცოდნენ, რისთვის უნდა ევლოთ ერთად.

ასე იყო - ბევრი რამ აკავშირებდა ამ სამ კაცს - სკოლა, უბანი, ოჯახების სიახლოვე, საერთო საქმეც ჰქონდათ ოდესღაც, მაგრამ მთავარი სხვა იყო: ისინი ერთად და ერთმანეთის დახმარებით აპირებდნენ „მთავარი საქმის“, ანუ „საკეთებლის“ კეთებას. ერიდებოდნენ „ზედმეტ მზეს“ და ბედნიერები იყვნენ, რომ „ესმოდათ მფარველი ანგელოზის ხმა“.

ამიტომ ეშურებოდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით ყოფნას“.

ამიტომაც მიიჩქაროდა ავთო გელაშვილი წყნეთისკენ.

როცა მისი მანქანა ეზოში შევიდა, გოგა ტირიფის ქვეშ, მაგიდასთან იჯდა. “ბორჯომის” თითქმის დაცლილ ბოთლთან შეამხანაგებული, სპორტულ გაზეთს ფურცლავდა.

- საწყალი ბარათაშვილი, - მანქანიდან გადმოვიდა ავთო, - ფოსტა მოვიდა, ის კი დღევანდელ „სარბიელს“ ვერ წაიკითხავს...

- ნუ წუწუნებ, წავიკითხავ და გავუგზავნი, - უპასუხა გოგამ.

- ხალხი სადაა? - ახლაღა აღმოაჩინა გელაშვილმა, რომ გოგას გარდა არავინ ჩანდა.

- ვინ გაინტერესებს? სონიჩკა დეიდა სამზარეულოშია, - თავაუწევლად უპასუხა გორგილაძემ.

- რას მაიმუნობ, რეზო და ის გოგო სად არიან?

- თუ ლიზა და ის ბიჭი?

- არ გესმის შენ, სადაა რეზო?

- დილით ადგა ჩვენი რეზო,

გადაკვეთა მთელი ეზო, ლიზას თუ სურს, წამომყვესო, თუ არ უნდა ამ...

- აბა, დაამთავრე, ავთო, თუ მაგარი ხარ! - გაზეთი დაკეცა და გვერდზე გადადო გორგილაძემ. - წავიდნენ ბიჭო, წავიდნენ. ლიზამა თქო, თქვენი დიდი ხათრი მააქვს, მაგრამ მეჩქარებაო. გაიგე?

- რეზო რატომ გაუშვი, ხომ გითხარი რომ მალე ამოვიდოდი.

- კაცო, შენ ჩემი ლექსი არ მოისმინე? რეზო მიდიოდა, დაურეკეს. სასწრაფო საქმე გამოუჩნდა და ლიზას შესთავაზა, შენც ხომ არ წამოხვალო. სიმართლე გითხრა, ეს „ხომ არ წამოხვალ“, „ადე, წამოეთრიეს“ უფრო ჰგავდა. ლიზაც ადგა და წავიდა. ჰო, მართლა, წერილი დაგიტოვა ლიზამ, სადღაც დამეკარგა, მაგრამ სულმა წამძლია, წავიკითხე და თითქმის ზეპირად მახსოვს.

ავთო გოგას წინ ჩამოუჯდა, ხელის გულს ნიკაპი დააყრდნო და მომღიმარი სახით მოსასმენად მოემზადა.

- ძვირფასო ავთანდილ, - დაიწყო გოგამ, - როდესაც შენ ჩემთან არ ხარ, ირგვლივ სიბნელეა, ღამეა და ამიტომ მეძინება. ჩემზე არ იდარდო, ხარძიანთან დავიძინებ.

- ო, რა დეგენერატი ხარ! - გადაიხარხარა გელაშვილმა, - რეებს როშავ, არა გრცხვენია?

- არა მრცხვენია! შენ ის მითხარი, სანამ ისინი არ ჩამოვლენ, სულ აქ უნდა იყო?

- ჰო, წესით ეგრეა.

- ცუდია.

- რა არი, რო?

- არაფერი. ჩემთვისაა ცუდი, ,,ჩადი-ამოდი" რომ მომიწევს ხოლმე, თორემ შენ რა გიჭირს. წამოწექი ტახტზე ლუარსაბივით, ხან ერთ გვერდზე გადაგორდი, ხან მეორეზე, ხან ჩიხირთმა შეუკვეთე, ხან ბოზბაში. მე შენ გეტყვი, დაგზარდება სონიჩკა... - და გოგამ უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, თვალებში რაღაცამ გაუელვა. - ვახ, მაგის დედა ვატირე, დღეს ხუთშაბათი არ არი?

- ხუთშაბათია! - შეშფოთდა ავთო.

- აუ, 12 საათზე ჩვენებთან უნდა ვყოფილიყავი, მამაჩემი უნდა წამეყვანა ექიმთან. როგორ გადამავიწყდა... - ფეხზე წამოდგა გოგა. - რო არც დამირეკეს...

- რა სჭირს მამაშენს? - წამოდგა შეწუხებული ავთოც.

- მარცხენა მენჯის შიდა პარკუჭის ქრომოსომებში კლიმაქტერიული წნევის დაცემა აღენიშნება.

- ეგ რაღა უბედურებაა? - დამახსოვრება არც უცდია ავთოს.

- უბედურება რომ არ იყოს, ჩემთან იქნებოდა?! - თავი მოისაწყლა გორგილაძემ. - წავედი მე, წავედი, - თქვა, ავთოს ბეჭზე ხელი შემოარტყა და მანქანისკენ გასწია.

- ბიჭო, მე აქ მართლა დაბმული კი არ ვარ, თუ დაგჭირდე, დამირეკე და ჩამოვალ.

- რაში უნდა დამჭირდე, განსაკუთრებული კი არაფერი ჭირს. უბრალოდ, ყურადღების მიქცევა უნდა. სამოც წელს გადაცილებულ მამაკაცებს ეგ თითქმის ყველას ემართება.

- კაი, აბა შენ იცი, - ხელი აუწია გელაშვილმა.

- არ მოიწყინო, მალე ამოვალ, - გაუღიმა გაბრუებულ მეგობარს გოგამ და მანქანა დაძრა.

გაცდა თუ არა ავთოს თვალთახედვის არეალს, გორგილაძემ მანქანა შეაჩერა და მობილურზე ნომერი აკრიფა.

- გისმენ დაკარგულო კაცო, - გაისმა ახალგაზრდა ქალის ნაზი ხმა.

- ოჰ, როგორა ხარ მარიშკა?

- ცუდად!.. ან კარგად! შენთვის სულ ერთი არაა?

- კაი, კაი, ნუ ბრაზობ. ხომ იცი, ათასი საქმე მაქვს... შენ ის მითხარი, სადაა შენი ქმარი. რადგან ტელეფონი შენ გაქვს, ესე იგი, ახლო-მახლოში იქნება სადმე.

- გამარჯობა ბიძაშვილო, - ყურმილში მამაკაცის ჩახლეჩილი ხმა გაისმა.

- ოჰ, გამარჯობა შენი, პრომეთეს მეტოქევ. როგორა გვყანან ცეცხლოვანი არწივები, ფრთები ხომ არ შეტრუსვიათ, ბიჭო?

- ვაი, შე ლაზღანდარა, შენა, - „ჩაიხირხილა“ ჩახლეჩილმა ხმამ. - რამ გაგახსენა მეხანძრე მამიდაშვილი, ცეცხლი ხომ არ გიკიდია?

- შენი შიშით ცეცხლი გამეკარება? წყლის ძალა მოგცეს ღმერთმა!

- მაგ ძალას არ ვუჩივით. როგორ ხარ, სად დაგვეკარგე. არ გამომივლი?

- შენ წარმოიდგინე, სწორედ მაგას ვაპირებ. სახლში ხარ?

- შენს მოსვლას ველირსო და ფეხს როგორ მოვიცვლი. რამდენ ხანში მოხვალ?

- ნახევარ საათში მანდ ვიქნები, ოღონდ წინასწარ გაფრთხილებ, დრო სულ თხუთმეტი წუთი მაქვს და არ დამიწყო შენებურად „დევის ცრემლებზე“ და „ზალაში“ გაზრდილ დედალზე ტრაბახი. გაიგე, ბალღო? საქმე მაქვს, თანაც სერიოზული!

- რამე ხომ არ მოხდა, გოგა?

- არა, ჯერ არაფერი მომხდარა, მაგრამ თუ მომეხმარები, შეიძლება მოხდეს. მოკლედ, ნახევარ საათში ავჭალაში ვარ. აბა ჰე, წამოვედი! - გოგამ ტელეფონი გვერდითა სავარძელზე დადო, მანქანა დაქოქა და თბილისისკენ დაეშვა.

გეზი დიდუბისკენ აიღო. ჯერ სტადიონთან გააჩერა, ორასი დოლარი გადაახურდავა, მერე უბანში შევიდა, რამდენიმე წუთით სახლში აირბინა, ტანისამოსი გამოიცვალა, სამრეცხაოს გაყიდვით მიღებული ასდოლარიანები ცოლს ჩაუთვალა,“წუხელ რომ ვერ მოვედი, ბოდიშს გიხდი, მაგრამ ჩემი „ბოდიში“, შეიძლება, ორდღიანი იყოსო” - უთხრა, მერე ლოყაზე აკოცა, “დავბრუნდები

და ყველაფერს აგიხსნიო,” - დაპირდა და კიბეზე დაეშვა.

ათ წუთში ავჭალაში იყო. ხუთსართულიან კორპუსს გასცდა, მარჯვნივ შეუხვია. ასი მეტრიც აღარ გაუვლია, მანქანა თეთრი აგურის ორსართულიანი სახლის ეზოსთან გააჩერა.

მანქანიდან რიგიანად გადმოსულიც არ იყო, რომ ჭიშკარში ტანმორჩილი, მაგრამ თვალშისაცემად ბრგე და ჩაფსკვნილი ორმოციოდე წლის შავტუხა მამაკაცი გამოვიდა.

- პომპიერო! - შესძახა გორგილაძემ და მამის დისშვილს გადაეხვია.

გოგას წინასწარი გაფრთხილებისა და ადგილზე გამოთქმული პროტესტის მიუხედავად, ჯანიანმა ბიძაშვილმა ის პირდაპირ გაშლილ სუფრასთან „მიაჯიკავა“.

რძლისა და ბავშვების მოკითხვა-მოფერებას ხუთი წუთი დასჭირდა. მერე ერთად მსუბუქად წაიხემსეს და, რადგან სტუმარმა ალკოჰოლის მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, თან დაიფიცა, მართლა აუცილებელი საქმე მაქვს და მიტომ მოვედიო, სულ მალე ბიძაშვილ-მამიდაშვილი მარტონი დარჩნენ.

- გისმენ! - თქვა მასპინძელმა.

- მოკლედ, ჩემო ამირან, ესეთი საკითხი უნდა გავარჩიოყთ მე და შენ: ამასწინათ რომ ვიყავი შენთან მოსული...

- მოსული, თორემ შენი სურვილით მოხვედი, - გააწყვეტინა ამირანმა. - ჩემი ცოლისდა ჩამოვიდა შტატებიდან და პურმარილზე დაგპატიჟე.

- ჰოდა, სწორედ შენს ცოლისდაზე მინდა დაგელაპარაკო.

- რა უნდა დამელაპარაკო, გათხოვებას ხომ არ უპირებ ირინას. ჰა, ეგრეა? - თვალები მოჭუტა ამირანმა.

- რა, დრო აღარ არის?! რამდენი წლისაა?

- ოცდათორმეტის, მარა, ჯერ ერთი, მაგი ფორტეპიანოზეა გათხოვილი და, მეორეც, გამარჯობას რომ ვეუბნები, მაგიდაზე ვდგები და ისე ვართმევ ხელს. მეტრი და ოთხმოცდაშვიდი სანტიმეტრია გოგო, ამ დროს...

- „ამ დროს გორგასალი მკვდარია, კოლია დერიუგინს ცოლი უკვე ჰყავს“, - დაამთავრა მამიდაშვილის სათქმელი გორგილაძემ. - ეგ ხუმრობა ჩემგან გაქვს გაგონილი და, რაც მთავარია, ძველია.

- ძველია, თუ ახალია, ეგრეა. ირინა მშვენიერი გოგოა: წესიერი, განათლებული, მშვიდი, სახითაც არ დაიწუნება, მაგრამ ძალიან მაღალია, კაცო!

- შენი ცოლიც მაღალია შენზე, შეგიშალა მაგან ხელი?

- ბიჭო, მარინას და ირინას შედარება შეიძლება? მარი შენი სიმაღლეა, ირინა კი, რა ვიცი, ვის შევადარო, აი შენი ძმაკაცი როა, ავთო, ლამის იმხელაა.

- აი, ეხლა და მანდ აგაშენა ღმერთმა! შენ თვითონ თქვი, მე რაც უნდა მეთქვა.

- რა, ავთო?

- ჰო, რა, ცუდი ბიჭია?

- ავთო კიდევ უცოლოა, კაცო? - თავი მოიქექა ამირანმა. - არა, ავთო ძალიან კარგი ბიჭია, თან შენი ძმაკაცია. მე პირადად ძალიან მესიმპათიურება.

- ჰოდა, აბა რაღა გინდა? თუ შენი ცოლის აზრი გაინტერესებს, ვკითხოთ. არა მგონია, უარი თქვას. ის ავთოს შენზე უკეთ იცნობს. დავუძახოთ და ვკითხოთ, აქ არაა? მარიშკა! - ღია ფანჯრიდან ეზოში გასძახა გოგამ რძალს.

- ჰო, გოგა.

- ამოდი, ერთი წუთით, პირადად შენთან გვაქვს საქმე.

- ახლავე! - უპასუხა დიასახლისმა და რამდენიმე წამში მისაღების კარი შემოაღო.

- დაჯე, - სკამი შესთავაზა გორგილაძემ. - მოკლედ, ესე. მითხარი, ავთო გელაშვილი როგორი ბიჭია?

მარინამ ჯერ ქმარს შეხედა, მერე გოგას. ჩაეღიმა.

- ირინას ათხოვებთ?

- რატომაც არა?! - ომახიანად „დაახრიალა“ ამირანმა. მარინა წამით ჩაფიქრდა:

- არ გამოვა ეგ საქმე, - დაასკვნა უეცრად ქალმა.

- ვა, ვითომ რატომაო? - ნამდვილად არ ელოდა ასეთ პასუხს გორგილაძე. - რა, მეგობარს მიწუნებ?

- რას ამბობ! ავთო გადასარევი ბიჭია, ფიზიკურადაც ძალიან შეეფერება ჩემს დას, მარა საქმე სხვა რამეშია.

- მაინც რაში? - ნიშნისმოგებით ჩაეკითხა ქმარი ცოლს.

- რაში და ძალიან განსხვავებული ინდივიდები არიან.

- ინდივიდი არა, მოდი-მიდი, დამიწყო აქა „ფიმფამფო“ ლაპარაკი, - წამოენთო და „აჩხრიალდა“ გოგას წამოწყებით დატყვევებული მასპინძელი. - შენც განსხვავებული იყავი და წითელ დიპლომზეც დაამთავრე ინსტიტუტი. მე კი, ჭიდაობის გარდა, არაფერი ვიცოდი. რატო წამომყევი? რა, იმედი გქონდა, რომ გერმანულს ვისწავლიდი და გოეთეს და შილერს ერთად გავარჩევდით? ან იქნებ, ვინმემ კარიერის მოწყობაში შეგიშალა ხელი?!

- ამირან, მე სხვა ვარ. ჩემი საქმის კეთებას მე ყველგან შევძლებ. თანაც, თუ გახსოვს, სანამ გამოგყვებოდი შემპირდი, რომ ჩემს პროფესიულ ზრდას ხელს არ შეუშლიდი.

- რას ამბობ, გოგო, შენ დას კიდე ზრდა უნდა? იმ დღეს ეზოში იდგა და მეორე სართულის "ბალკონზე" ქოთნის ყვავილებს ისე რწყავდა, მიწისთვის ქუსლები არ მოუშორებია, - ხრიალი ხიხინში გადაეზარდა გაფიცხებულ ამირანს. გოგამ და მარინამ გულიანად გაიცინეს. მათი განწყობა ამირანსაც გადაედო, მაგრამ თავი შეიკავა.

- ამირან, - განაგრძო მარინამ სიცილს რომ მოერია, - შენც ხომ კარგად იცი, რომ ირინა ინსტრუმენტს მონაკოს პრინცზეც არ გაცვლის.

- მონაკოს პრინცი

არა, ის ჩამოგივათ აქა, ესპანეთის მეფე. შუაღამისას თემქას ჭენებით ამოასკდება, თეთრ ცხენს „პადიეზდის ტრუბაზე" გამოაბამს და დილამდე სერენადებს გიმღერებთ. რა თქმა უნდა, შენი და მაინც არ გაყვება და თუ დედაშენმაც უარი უთხრა, იქვე „პართენიჩის" ტალავერზე ჩამოიხრჩობს თავს.

ისევ ჩაბჟირდა რძალ-მაზლი. ისევ მოთოკა თავი ამირანმა.

- პრინცი მომთხოვეს აქა, - ღიმილი მაინც ვერ შეიკავა მასპინძელმა. - უნდა? აგერ არი მხეცივით კაცი. არ უნდა და უტყლაშუნოს მეტრიანი თითები კლავიშებს სიბერემდე.

- კარგი ბიჭო, ამოგვასუნთქე, - როგორც იქნა, ჰაერი "იპოვა" გოგამ, - რა აიწყვიტე?!

- ამას ვინ ეკითხება, - ცოლზე თავით მიანიშნა ამირანმა. - შენ ეს მითხარი, ავთოს ნანახი ყავს ის გოგო?

- არა და საქმეც მაგაშია. ეგ კი არა და, არც იცის, ამ საქმეს რომ ვაპირებ.

- აჰა, ესეც კარქათ არი, აი! ბიჭო, რო მოდიხარ აქა და ჩვენთან აწარმოებ მოლაპარაკებებს, იქნებ იმ ბიჭს სულაც არ მოსწონს შენი ამორჩეული ქალი.

- „პომპიკო", ადამიანის მოსმენა რატომ არ გეხერხება შენ? მე აქ ჩემი აზრი მოვიტანე და თქვენი მაინტერესებს.

- ჩვენ რა აზრიც არ უნდა გვქონდეს, ჩემო გოგა, - თქვა მარინამ, - დიდი მნიშვნელობა არა მგონია ჰქონდეს. ჯერ ერთი, ირინა კატეგორიული წინააღმდეგია გარიგებით გათხოვების. ამას შეურაცხყოფად აღიქვამს. მე პირადად ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მითუმეტეს, მის ასაკს თუ გავითვალისწინებთ, მაგრამ მე - მე ვარ, ირინას კი თავისი პრინციპები აქვს.

- მერე, მე გარიგება ვახსენე? სხვათა შორის, არც ჩემს მეგობარს ხიბლავს ეგეთი რამეები და, ფაქტიურად, იმიტომაც დადის დღემდე უცოლოდ.

- ვაჰ, ეს კაცი გადამრევს, - შეაწყვეტინა მეხანძრემ. - მა, რა ვქნათ, შე ოხერო. უკაცრიელ კუნძულზე ჩავყაროთ თუ დავაძინოთ და ჯვარი ისე დავწეროთ?

- ვითომ შემთხვევით შევახვედროთ, - ცოლ-ქმარს გადახედა გორგილაძემ. - ისე, რომ არცერთმა არ იცოდეს, რა ხდება. უფრო სწორედ, ჩვენ სამის გარდა ამის შესახებ არავინ

უნდა იცოდეს. თუ თვალში მოუვიდათ ერთმანეთი და საქმე გაიჩარხა, ამ ამბავს სამივე კუბოს კარამდე საიდუმლოდ შევინახავთ. თუ არა და, ერთიც თავის გზით წავა და მეორეც. რა უჭირს?

- არაფერიც არ უჭირს, - თქვა მცირე პაუზის შემდეგ ამირანმა.

- შენ რას იტყვი, მარი?

- რა ვიცი, რა უნდა ვთქვა. პრინციპში, მართლაც რა უჭირს? მარა, რო მიხვდეს ირინა?

- ოჰ, კაი ერთი. მიხვდება და მიხვდეს! რა, ცუდი გვინდა მისთვის, თუ როგორაა საქმე?

- ვერაფერსაც ვერ მიხვდებიან. მაგის გარანტიას მე გაძლევთ. ყველაფერი მოფიქრებული მაქვს. სადაა ახლა ირინა? სახლშია? მე გადადებული საქმე არ მიყვარს, მოსახდენი დღესვე მოხდება.

- დღესვე როგორ მოხდება, ირინა ბორჯომშია, ჩემს დედამთილთან. - თქვა დაბნეულმა მარინამ.

- მამიდაჩემთან? ამ გაგანია ნოემბერში ბორჯომში რა უნდა?

- თინიკომ წაიყვანა, ახლა მოუწია შვებულებამ. ირინასაც ორი კვირა თავისუფალი ჰქონდა და ერთად წავიდნენ, გუშინ გავაცილეთ, - აუხსნა ამირანმა.

- თიკოც იქ არის? აბა, მაშინ არხეინად იყავით. მე და ჩემი მდედრი მამიდაშვილი მივხედავთ ამ საქმეს, - ხელები მოიფშვნიტა აღტაცებულმა გოგამ.

- აკი, ჩვენ სამის მეტს არავის გვეცოდინებაო? - ნიშანი მოუგო რძალმა გორგილაძეს.

- თინიკო ხომ ჩვენია, კაცო! რა უჭირს, ისიც რო ჩავრთოთ ამ ოპერაციაში?

- შენ რა, იქ ჩასვლას აპირებ? - იკითხა ამირანმა.

- თანაც, დღესვე!

- რა ვიცი, მგონი თინიკოს გარევა არ ივარგებს. ხომ იცი, ეგ და ირინა მეგობრობენ და, არა მგონია, რამე დაუმალოს.

- ჰოო, ეგეც სწორია. - ცოლს გამჭრიახობა მოუწონა ამირანმა.

- რა პრობლემაა, მეც არ ვეტყვი და ეგ იქნება. ჩვენ სამიც საკმარისი ვართ.

- ოთხი, - შეაწყვეტინა ამირანმა, - დავიჯერო, ბარათაშვილის გარეშე გადაწყვიტე ეგ ყველაფერი?

- ასე მოხდა. მერაბი დღეს დილით მოსკოვში გაფრინდა და არა მგონია, ამ დღეებში

დაბრუნდეს.

- მაინც, რას აპირებ? - მოსვენება დაკარგა რძალმა.

- გეგმა მარტივი და ეფექტურია. ახლა წყნეთიდან მოვდივარ. არ ვიცი, გითხარით თუ არა, იქ ავსტრიული ფირმის ოფისია და ავთო იქ მენეჯერია.

- ავთო? - გაუკვირდა მარინას.

- აბა, თქვენ რა გგონიათ?! თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ისეთ ხელფასს უხდიან, ირინას კი არა, ეკატერინე გამოვას შეინახავს.

მარინას ისევ გაეცინა.

- ეგ ვიღაა? - იკითხა ქმარმა.

- რუსეთის ფრენბურთელთა ნაკრების წევრია. - აუხსნა ცოლმა.

- მერე, მანდ რა არის სასაცილო?

- ის,

რომ ეკატერინე გამოვა მესამე სართულის "„ბალკონზე"," რწყავს ყვავილებს და ცოტა მოხრილი რომ არ იყოს, მეოთხეზეც გაქაჩავდა.

- ვა, ეგეთი მაღალია, კაცო?

- ჰო, მაგრამ ავთოს არ მოსწონს! მოკლედ, დილას, როცა გელაშვილს დავშორდი, ვუთხარი, მამაჩემი მყავს ექიმთან მისაყვანი-მეთქი. მოვატყუე.

- გაგიჭირდებოდა, - ჩააკვეტა სიტყვა ამირანმა.

- მაცალე ერთი წუთი. ახლა დავურეკავ და ვეტყვი, რომ ექიმმა ბალახ-ბულახების წამალი გამოუწერა მამაჩემს და ახალციხეში მცხოვრებ ფიტოთერაპევტთან მივდივარ. ის აუცილებლად მკითხავს, ხომ არ წამოგყვეო. მე ცოტა გავინაზები, მერე კი თავადაც ხვდებით... როცა ბორჯომში შევალთ, გზას ვეღარ განვაგრძობთ. ყველაფერი ლოგიკური და ეჭვგარეშე იქნება. მერე გამახსენდება, რომ მარტოხელა მამიდა იქვე მყავს. დავასკვნი, რომ ჩვენი იქ გაჩერება ღმერთმა ინება, რადგან მე „უსინდისოს", რა ხანია, მშობელივით საყვარელი ადამიანი არ მინახავს და ნუციკოს მივადგებით. იქ კი „შემთხვევით" თინიკო და ირიშკა აღმოჩნდებიან. დანარჩენი განგების საქმეა, როგორია?

მცირე პაუზის შემდეგ, „შეთქმულებმა" გეგმა ერთხმად დაამტკიცეს.

* * ****

როგორც მოსალოდნელი იყო, ავთო ადვილად წამოეგო გორგილაძის ანკესს.

ჯერ სონიჩკა მოძებნა სასწრაფოდ. სთხოვა, იქნებ ამაღამ აქ დარჩეო, რაზეც ქალი სიამოვნებით დათანხმდა. მერე მეზობელ სახლში გადავიდა და იქ მცხოვრებ მამა-შვილს, რომლებთანაც საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა, თავისი პრობლემა გაანდო. მამამ, ‘‘თოფს ავიღებ და ამაღამ აივანზე გავათენებ, შენ დარდი არ გქონდესო.’’

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, წყნეთში ხელმეორედ ასულ გოგას ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. ავთომ თხუთმეტ წუთში მოაგვარა ყველაფერი და ნივა გარაჟიდან გამოიყვანა.

- სწორია, შენი მანქანა ეზოში გააჩერე, - ჩურჩულით უთხრა გოგამ მეგობარს, - ვინც შიგნით შეჭყეტას გადაწყვეტს, დაინახავს, რომ ნივა ეზოში დგას. ესე იგი, ავთო სახლშია.

- არაა პრობლემა, ამით წავიდეთ, ჯობია.

- კაცო, რასაც გეუბნები, გააკეთე. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. თანაც ნივა რად გვინდა, გასისინებული ტრასა მიდის ახალციხემდე.

ავთომ იცოდა, რომ გოგამ „უფრო“ იცოდა.

- ეხლა რვა საათია, ათზე ბორჯომში ვიქნებით, - წამოსცდა ფიქრებში წასულ გორგილაძეს თბილისის გასასვლელთან და ის იყო, უნდა გამოესწორებინა, რომ ავთომ დაასწრო:

- იქიდან ახალციხემდე რაღა დარჩა, ერთი საათიც აღარ უნდა.

- არა, კაცო, ორმოც წუთში ახალციხეში ვიქნებით.

- ცოტა გვიანი ხომ არ იქნება.

- თერთმეტი საათი რა გვიანია. ეგეც არ იყოს, დარეკილი მაქვს და გველოდებიან.

გზაში ავთომ კიდევ „გადაამოწმა“ გოგას მამის ჯანმრთელობის მდგომარეობა. გოგამ ვრცლად აუხსნა, რომ მართალია, საშიში არაფერი იყო, მაგრამ დღესვე წასვლა იმიტომ გადაწყვიტა რომ... და გორგილაძეს არგუმენტებს რა დაულევდა.

გორს რომ გასცდნენ და აღმართს შეუდგნენ, გოგამ აღმოაჩინა, რომ ავთო ‘‘კავშირზე’’ აღარ გამოდიოდა. თავი ჩაექინდრა და ჯერჯერობით მსუბუქად „შიშინებდა“, მაგრამ გორგილაძემ კარგად იცოდა, რომ გელაშვილის „შიშინი“, სულ რამოდენიმე წუთში თერგის ღრიალს ტოლს არ დაუდებდა. ის მეგობარს კარგად იცნობდა. საკმარისი იყო, ავთოს წინა ღამით ძილი დაკლებოდა, ან გადაღლილიყო, მისი ხვრინვა რამდენიმე კილომეტრის რადიუსზეც კი ყურმისაწვდომი გახდებოდა.

ხვრინვაც არის და ხვრინვაც. ავთოს ხვრინვა იმდენად გამორჩეული იყო, რომ ამ თემაზე უამრავი მფრინავი ფრაზა „დაფრინავდა“.

გოგას ახლა მხოლოდ ნაწილი ახსენდებოდა:

რაიმონდ ბერეხი: „კიდევ კარგი, ყოველ ღამე არ ხვრინავს“.

ავთოს მამა: „მისი ცოლი იქნება ის ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად გაეხარდება ქმრის გაღვიძება“.”

ავთოს კედლის მეზობელი: „ჩემზე სუფთა ყურები კაცს არა აქვს დედამიწაზე. რაც მე, ამის გადამკიდეს, ბამბა მაქვს ნახმარი, „მიხაილოვის“ საავადმყოფოს დაარსების დღიდან არ ექნება დახარჯული“.

თათია: „გაიტანეთ „გრენლანდია“, თორემ ჭერს ბზარი გაუჩნდება“.

სონიჩკა: “შვილო, ავთო, მააცილე შენი „კრაოტი“ ფანჯარას, თორე, ერთხელაც იქნება, ფარდას ჩაიხვევ და დაგახრჩობს“.

ამ ორი ქალის ვერსია გორგილაძემ ბარათაშვილისგან იცოდა, თუმცა გოგა მერაბის ვერსიასაც ეთანხმებოდა: „ავთოს და კაცობრიობას რიგრიგობით სძინავთ“.”

და ბოლოს, თავად გოგა: „დარწმუნებული ვარ, რომ ანატომებს ადამიანი ბოლომდე შესწავლილი არა ჰყავთ, ანდა გელაშვილი არ არის ადამიანი“.

არც ახლა მომხდარა რაიმე ახალი. ჰოდა...

უკვე რუისთან ახლოს, გორგილაძემ შაოსანი დედაბერივით დაწყევლა ის ფირმა, რომელმაც მისი მანქანის მაგნიტოფონის ხმის მაქსიმუმი საკმარისად მიიჩნია.

მძღოლმა სკრასთან წყევლა გინებით შეცვალა. ხაშურში მუქარაზე გადავიდა, მაგრამ რად გინდა, საკუთარი ხმა თავად არ ესმოდა.

ახალდაბასთან გორგილაძის „ჟიგულს“ შავი „გაზ 31“ აედევნა. დაეწია, გაუსწორდა, მძღოლმა ჩაწეული ფანჯრიდან გაშლილი საბუთი აჩვენა და გაჩერება სთხოვა.

ემოციებისგან უკვე სრულიად დაცლილმა გოგამ მანქანა გააჩერა და გადმოვიდა:

- შეინახე საბუთი, ბორიკო. სპექტაკლი გადაიდო. მაყურებელს სძინავს, - ხელი ჩამოართვა მერაბის ახლო მეგობარს, რომელთანაც

თავად გოგასაც თითქმის ისეთივე ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ბარათაშვილს.

- მერე, გააღვიძე.

- არ გამოვა. რამე არ „ისქესოს“, თორემ ჩამეშლება ყველაფერი. ეგეც არ იყოს, წუხანდელი უძილოა და ახლა მაგის გაღვიძება არც ისე ადვილი საქმეა.

- მოიცა, ჩუმად, - გოგასთვის ესოდენ ნაცნობი ხმა ბორიასაც შემოესმა. ის ხმას მიუახლოვდა და ფანჯარაში შეიხედა. - აუ, რას ხვრინავს?! აი კაცი! ამას ფილტვები კი

არა, „კამაზის ბალონები“ ექნება. არა, ძმაო, ამის აქ ჩამოყვანა როგორ იქნებოდა.

- რატო? - ორი საათის მანძილზე პირველად გაიღიმა გოგამ.

- რას ამბობ, ბიჭო. ეს იმდენ ჟანგბადს მოიხმარს, ორი დღე კიდევ რომ გაჩერდეს ბორჯომში, გაისად აქ დასასვენებლად კაცი აღარ ჩამოვა.

- თუ გაიღვიძა, დილითვე ვიხსნი ამ ხეობას ეკოკრიზისისგან.

- მოდი, იცი რა ვქნათ, მე ქვევით წავალ, ბორჯომის შესასვლელთან „ჩაგისაფრდები“, შენ ორი წუთის შემდეგ ცხვირზე ხელი მოუჭირე და გაეღვიძება, მა რა იქნება?

- როცა ძინავს, ცხვირს არ ხმარობს, - გადაუწურა გოგამ მეგობარს იმედი.

- მაშინ პირიც დაუხშე.

- ჰო. არა, ისე, ერთი ნახვრეტი კიდევ აქვს, ბარემ იმასაც ამოვუქოლავ, მერე ფეხზე ძაფს შევაბამ და ჰაერში გავუშვებ.

ბორიას ამის გაგონებაზე სიცილი წასკდა.

- მოკვლა რომ მდომოდა, რაღა ახალდაბის ტყეში წამოვიყვანდი. იქვე, ოც მეტრში წყნეთის ტყეა. ოჰ, გზაში ამან მე დღე მაყარა... გორიდან რო ჩართო, ხო ხედავ, ჯერ კიდევ არ გაჩერებულა.

- მერე, ვერ დაუსტვინე?

- ეჰ, ჩემო ბორია, ამან თუ ხვრინვა ამოუშვა, მე კი არა, კოლინამ რომ უსტვინოს ორი ტაიმი, ის ვერ გააჩერებს. თუ მძინარე შეაჯანჯღარე კიდე, ინსტინქტურედ ირტყმეინება. აბა შეხე, მერე რამხელაა... - მერაბიც იცნობს, ალბათ, ხომ?

- ავთოა, ბიჭო, გელაშვილი! რამდენჯერ გვიხსენებია შენთან მე და მერაბს. რაც ის არის ჩემთვის, იგივეა ესეც.

- რას მეუბნები, ესაა ავთო? აღარ მაღირსეთ ამ კაცის გაცნობა.

- შენ კი არა, ნეტა მეც არ ვიცნობდე.

- კაი, კაი, ნუ აყვედრი. თუ საქმეს აკეთებ, მთავარზე იფიქრე, ამის ხვრინვას დაანებე თავი.

- კარგი. წადი ახლა შენ და ბორჯომის შესასვლელთან გამაჩერე. ამას, გავრისკავ და შევანჯღრევ... სადმე ახლოს წყარო არაა? იქ გავაღვიძებ, წყლის დალევას შევთავაზებ და აღარ მივცემ დაძინების საშუალებას.

- წყარო როგორ არ არის, მაგრამ ამ სიბნელეში რას დაინახავ, გზიდან ხუთი-ექვსი ნაბიჯია სიღრმეში. მოდი, იცი რა ვქნათ? მე დავეშვები, შენ უკან მომყევი. წყაროსთან

რომ მივალთ, დავასიგნალებ, ან სულაც გავაჩერებ და როცა იპოვი, მაშინ წავალ.

- ეგრე იყოს, წავედით.

„ვოლგა“”დაიძრა. „ჟიგულიც“”უკან მიჰყვა. წყარო არც ისე ახლოს აღმოჩნდა.

ბორიამ მანქანა გააჩერა. ჟიგულიც შეჩერდა. გორგილაძე გადმოვიდა. წყარო ადვილად იპოვა, მოსვა, სახეზეც შეისხა და უკანვე გამობრუნდა. ავთოს მხარეს კარი გამოაღო და სახეზე წყალი შეაპკურა.

გოლიათი შეიშმუშნა.

- ავთო! - შეანჯღრია გოგამ.

გელაშვილმა თვალები ‘‘რიგრიგობით’’ გაახილა.

- ჰო. მოვედით?

- ჯერ არა. წყალი არ გინდა?

- წყალი? არა, არ მინდა, - გელაშვილი ჯერ „ბოლომდე არ იყო იქ, სადაც იყო.“

- დალიე, დალიე. ნახე, რა წყალია. გაიღვიძე, რა.

- მღვიძავს, - ‘‘იქაურობას’’ „მოუახლოვდა“ ავთო. - მაგრამ წყალი მაინც არ მინდა.

- ამ ჩემს ფეხებს, თუ არ გინდა, - ამოხეთქა გოგას. - გაიღვიძე ეხლავე. ნამუსი არა გაქვს? მთელი გზა გძინავს და ხვრინავ. მაგას წამოყოლა ქვია? მარტო წამოვსულიყავი, არ ჯობდა?

- კაი, ბიჭო, ჩამეძინა, რამ გადაგრია, - ავთო „მოვიდა“. უკვე ნამდვილად იქ იყო. - გაგეღვიძებინე მერე. რა, ძნელი იყო?

- არა, ბებიაშენისამ, ადვილი იყო.

- ოჰო, არ აადუღა. რამ გიკბინა? - მანქანიდან გადმოვიდა გელაშვილი. - ნუ გამლახავ და დავლევ. სად არი წყალი?

- დაჯე, კაცო, დაჯე.

ავთომ ყურადღება აღარ მიაქცია. გზიდან გადაბაჯბაჯდა, წყალი ხმაურით დალია, სახეზეც შეისხა და უკანვე გადმობაჯბაჯებდა. მანქანაში ჩაჯდა.

- ‘‘გოუ!’’ - თითი გზატკეცილისკენ გაიშვირა.

- კაი, კაცო, ყოჩაღ! - ინგლისური მოუწონა გორგილაძემ და გასაღები გადაატრიალა.

მანქანა არ დაიქოქა... გადაატრიალა მეორედ. არც ამჯერად გამოვიდა რამე. მესამე,

მეოთხე, მეცხრე და ყველა დანარჩენი მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა.

- თფუ, შენი დედა ვატირე, რა ჭირი ეტაკა! - მართლა გვარიანად მოეშალა ნერვები გოგას. - გადადი ერთი, ხელი ჰკარი, იქნებ დაგორებით დაიქოქოს. აქ არ ჩანს, მაგრამ თავდაღმართია.

ავთო უხმოდ გადავიდა და ისე მიაწვა, არც აღმართი დააბრკოლებდა მაინცდამაინც.

მანქანა გაგორდა. ავთო უცებ წამოეწია

და ღია კარიდან სალონში მარჯვედ შეხტა. ასეც რამდენჯერმე სცადეს. მანქანას არაფერი ეშველა. "ჟიგულმა" პატარა ხანს კი იგორავა, მაგრამ გზა გასწორდა და მანქანაც გაჩერდა.

- რა ჯანდაბა ვქნა, ახლა, - სერიოზულად ჩაფიქრდა გოგა. ავთომაც გადახედა ტვინში შესაძლო ვარიანტებს. იფიქრა, იფიქრა და უცებ, გონება გაუნათდა:

- ბიჭო, ბორჯომი აქვეა, მამიდაშენთან მივაგოროთ და იმას კიდევ ვინმე ხელოსანი ეცოდინება.

რა, რა, მაგრამ გორგილაძე ამას ნამდვილად არ ელოდა. რამოდენიმე წამი პოზა არ შეუცვლია, მერე ყველაფერი გადახარშა და "მომზადებული" მიუბრუნდა:

- მერე, იქამდე მიყვანა არ უნდა ამ ჯაბახანას, - ამის თქმა ამჯობინა ავთოს "გამჭრიახობით" ძალიან კმაყოფილმა მეგობარმა. - იქამდე ხუთი კილომეტრი მაინც იქნება, მოაწვები?

- ჰოო, ეგეც არის. არადა, ვინ გაგიჩერებს შუაღამისას ამ ტყეში? თან ცივა... - ისევ ფიქრებში წავიდა გელაშვილი.

ცხადია, გოგას "გამოსავალი" უკვე მოფიქრებული ჰქონდა, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისთვის სიტუაციის განმუხტვას არ ჩქარობდა.

ავთოს კი, უეცრად, ისევ გაუნათდა თავი.

- ბიჭო, ბორია!

- ვინ ბორია? - მოულოდნელობისგან წამოიყვირა გორგილაძემ.

- ვინ არის ბორია? ყურები რო გამომიჭედეთ შენ და მერაბმა. ბორჯომელი ბორია, გიტარაზე მაგრა მღერისო, რომ ამბობთ ხოლმე.

- ვაჰ, შენ გენაცვალე! - „გაიხსენა" გოგამაც, - გენიოსი ხარ, ნაღდი გენიოსი, - და, გოგამ ღილაკს თითი დააჭირა. კავშირის მეორე მხარეს რიგიანად ხმის ამოღებაც არ აცალა, პირდაპირ მიახალა: - ბორიკო, გოგა ვარ გორგილაძე, ბორჯომისკენ მოვდიოდით მე და ავთო და ვერ მოვაღწიეთ, სადღაც 5-7 კილომეტრში ვარ ქალაქიდან. ხომ ბორჯომში ხარ, ბიჭო? ჰოდა, ძალიან კარგი, არ ვშაყირობ, მართლა აქ ვართ და მართლა

გაგვიფუჭდა მანქანა, დედას გეფიცები. ჰო, აბა შენ იცი. გზას დაადექი და გვიპოვი, ჩემი მანქანით ვართ, - ტელეფონი გათიშა გოგამ, - აუ, საიდან გაგახსენდა. ყოჩაღ, ძმაო ყოჩაღ! არ შევმცდარვარ შენ რომ წამოგიყვანე.

- შენ მე გადამრევ. თბილისში „ბორჯომის“ ბოთლს რომ დაინახავთ, ბორია გახსენდებათ და ბორჯომში ჩამოსულს რა ჭირი გეტაკა?

- ნერვები მომეშალა და მაგ დროს ტვინი მეკეტება, ხომ იცი?! ხედავ, რა კარგია, შენ რომ ნერვები არ გაქვს. ახლა უკვე დავმშვიდდი და ნათლად ვხედავ უახლოეს მომავალს: მანქანა მამიდაჩემთან კი არა, ბორიას პირდაპირ სახელოსნომდე მივათრევინოთ. ამაღამ მაგის გამკეთებელი მაინც არავინაა. დილით თვითონ მიხედავს. ჩვენ კი მამიდაჩემს ვესტუმროთ. გადაირევა ნუცა, რამდენი ხანია არ მინახავს. ისე, მეც კაი უსინდისო ვარ. მარტოხელა ქალია, ერთხელ არ უნდა მენახა? ზაფხულის შემდეგ არ დამირეკავს. მარტო ზაფხულში გვახსენდება ბორჯომი და იქაური ნათესავები.

- თვითკრიტიკა სწორია და დროული. იცი, რას ვფიქრობ? - ჩაეღიმა ავთოს.

- ვიცი. შენ ფიქრობ, რომ ჩვენი მანქანის მაინცდამაინც აქ გაჩერებაში ციური ძალები ურევია, ხომ ასეა?

ავთომ პირი დააღო. თან ისე, თითქოს ლუკმა გამოაცალესო.

- შენ მესამე თვალი ხომ არ გაგეხსნა? რა იცოდი, რა უნდა მეთქვა?

- ჩემს მიხვედრილობაში საოცარი არაფერია. ეტყობა, უფლის სურვილი აღსრულდა. მას კი სურდა, ეს ორივეს ერთდროულად შეგვეგრძნო.

- ბიჭო, რომელ სკოლაში დადიოდი. ვინ გასწავლიდა ეგრე ზუსტად და ლამაზად რომ ლაპარაკობ?

- იმ სკოლაში, ჩემო ავთო, რომელშიც შენ. უბრალოდ, შენ არ გიზიდავდა ქართული, ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია...

- მა, რაღა მიზიდავდა?

- დედამიწა! შენ დედამიწა გიზიდავდა, ავთო, და თუ შენს გაბარიტებს გავითვალისწინებთ, არც ესაა მთლად ხელწამოსაკრავი ამბავი.

- ვაი, შენს პატრონს, შენსას. ეგ ენა რომ არ გიმუშავებდეს, არაფერი კაცი შენ არ იქნებოდი, - წკიპურტი ჩაკრა მეგობარს თავში გელაშვილმა.

- ენას ტვინი ამუშავებს, ავთანდილ, ტვინი.

და ამ დროს შავი ვოლგაც შემოიჭრა მოსახვევში. ჟიგულს გასცდა, მოტრიალდა და წინ ჩაუდგა.

- ვაა, ამას ვის ვხედავ! - „ძალიან გაუხარდა“ გორგილაძეს მანქანიდან გადმოსული

ბორიას დანახვა.

რა თქმა უნდა, მისი დანახვა ბორიასთვისაც „მოულოდნელი“ და „სასიხარულო“ იყო.

მოკლე მოკითხვის შემდეგ გოგამ მეგობრები ერთმანეთს გააცნო. „აქამდე უნდა გვცნობოდა ერთმანეთიო“, - თქვა ერთმა. „კიდევ კარგი, ეხლა მაინც გვაღირსესო“, - უპასუხა მეორემ.

მანქანა, მანქანამ, მანქანების ხელოსნის სახლთან მიაგორა. ხელოსანიც შინ დახვდათ. ბორიას თხოვნა მოისმინა. გათენდება თუ არა, მივხედავ, მაგაზე არ იდარდოთო, თქვა კაცმა და შავი ვოლგა ქალაქის ცენტრისკენ გაემართა.

მასპინძელმა მანქანა გაჩახჩახებულ სუპერმარკეტთან გააჩერა: „თქვენ აქ იყავით, რაც საჭიროა ახლავე მოვიტანო“.”

გოგა მაინც გადავიდა: “კაპიტნის ხელფასი არ ეყოფა ყველაფერს, რაც მე მჭირდებაო,” - გაეხუმრა მეგობარს.

რაც საჭირო იყო,

ყველაფერი იყიდეს.

ადგილობრივი სამართალდამცავის ავტორიტეტმა გაჭრა და გამყიდველმა გოგონამ ფულიც მხოლოდ მისგან აიღო.

მანქანამ „თბილისთან“ აუხვია, სასტუმროს გასცდა, მარჯვნივ ჩაუყვა და მესამე ეზოსთან შეჩერდა.

ხვალინდელი დღე უკვე დაგეგმილი ჰქონდათ. ხვალამდეო, თქვა ბორიამ და, ბიჭების თხოვნის მიუხედავად, წავიდა.

- ნახევარი თვის ხელფასი მაინც დახარჯა. რანაირი კაცია! ჰქონდეს მაინც, ვინ მამაძაღლი ეჭიდავებოდა, - თვალი გააყოლა შავ ვოლგას გოგამ.

- მეგობარო, - მუხლი მიადო ორივეხელდაკავებულმა ავთომ გორგილაძეს. - რო ამკიდე ამდენი პარკები მაგდანას ვირივით, ერთი ცალი მაინც რომ გამომართვა, მუცელი მოგეშლება?

გოგამ უხმოდ მიიღო შენიშვნა. მერე ორი „პარკი“ ერთ ხელში გადაიტანა და ზარის ღილაკს თითი მიაჭირა.

აივანზე შუქი აინთო, კარი გაიღო და ოცდაათიოდე წლის მომცრო ტანის, გამხდარი, მოხდენილი ქალი გამოვიდა:

- ვინ არის? - სიბნელეში მდგარ ორ სილუეტში ნაცნობის გარჩევა მართლაც შეუძლებელი იყო.

- ბიჭო, მართლა, - ვიდრე მამიდაშვილს პასუხს გასცემდა, გოგამ ავთოს გადაუჩურჩულა, - მამაჩემის წამალზე არაფერი დაგცდეს. - ეე, ამას აქ რა უნდა? - ხმამაღლა „გაუკვირდა“ მამიდაშვილის დანახვა.

- ვაიმე, გოგა! - წამოიყვირა თინიკომ და კიბეზე ონავარი გოგონას სიმარდით ჩამოირბინა. კარი გააღო. გარეთ გამოვიდა.

- ბიჭო, აქ საიდან გაჩნდით? - ყელზე ჩამოეკიდა ბიძაშვილს და რამდენჯერმე აკოცა.

- ამას იცნობ? - ავთოზე მიანიშნა გორგილაძემ.

თინიკო წამით დააკვირდა გელაშვილს.

- ავთო! - უცებ ამოიცნო დიდი ხნის ნაცნობი და ისიც გადაკოცნა, - შენ შემოგევლე... ვაიმე, როგორ გამახარეთ! გაგიჟდება მამიდაშენი. შემოდით, შემოდით, - ეზოში შეუძღვა და კარი გადარაზა. - მოიცა, რამე ცუდი ხომ არ მოხდა? - უცებ შეკრა თვალ-წარბი ლამაზმა მასპინძელმა.

- ისეთი არაფერი. შენმა ძმამ და მისმა სიდედრმა დასცხეს ერთმანეთს.

- რას სულელობ! - კიბესთან შედგა ქალი, რადგან მთლად შეუძლებლად სულაც არ მიიჩნია გოგას ნათქვამი.

- მორიგეობისას ხანძარზე გამოუძახიათ, ადგილზე მისულს აღმოუჩენია, რომ მანქანაში წყალი არ ჰქონიათ. ნახევარი სახლი დამწვარა. უფროსებს, რა თქმა უნდა, საყვედური უთქვამთ. იქიდან თემქაზე ასულა ცოლის წამოსაყვანად. სიდედრისთვის უთხოვია, წყალი დამალევინეო. არ მოდისო, კლარას უთქვამს. გაბრაზებულა, ლოჯიაში წამოწოლილა და დაღლილს ჩასძინებია. ამ დროს ზედა მეზობელს დიდი აკვარიუმი გასტეხია, წყალს იატაკში გაუჟონავს და მძინარე ამირანს პირდაპირ შუბლზე დასწვეთებია, რასაც გაუღვიძებია. გაცოფებული წამოვარდნილა და კლარასთვის მიუხლია, მე შენი დედა... შენ დასალევი წყალი არ გაქვს და შენს მეზობელს ჩამოსაშვებიც მოეპოვებაო!

- ვაი, შე დეგენერატო, - სიცილი აუტყდა თინიკოს. - არ გამიხეთქე გული! მეც კაი შტერი ვარ, ვდგავარ ამხელა ქალი და გისმენ ტუტუცივით...

- ჰო, აბა, აბა, რამხელა ქალი ხარ?! თითქმის ასსამოცი სანტიმეტრი... ავთოსთან მაინც მოგერიდოს, გოგო.

- სხვათა შორის, სიმაღლის დეფიციტს ეს სახლი გუშინდელი დღიდან აღარ უჩივის. რომ იცოდე, აქ ვინ არის...

- ვინ? - გოგას „საიდან“ ეცოდინებოდა.

- ირინა! - ‘‘გაახარა’’ თინიკომ.

- ვინ ირინა? - „ირინას“ მეტს რას იცნობდა გორგილაძე.

- ირიშკა, ჩვენი ირიშკა, მარინას და...

- აქ რა უნდა? - მართლა რა უნდოდა ირინას ბორჯომში, ისიც ნოემბერში.

- ჩუმად, ბიჭო, არ გაიგოს, რას ქვია, რა უნდა? რა, ჯერ არ გინახავს ჩემთან ერთად?

- მით უკეთესი, თუ ირიშკაც აქ არის. უფრო კაი დროს გავატარებთ. ირინა ჩემი რძლის, მარინას დაა, ავთო. ორი წელი ამერიკაში მოღვაწეობდა, პიანისტია. სულ ახლახან დაგვიბრუნდა.

ავთოს სახეზე ის ჰქონდა აღბეჭდილი, რასაც ფიქრობდა: „ალბათ კარგია, რომ ირიშკა აქ არის და აი, დარდი, თუ არ იქნებოდაო“.”

აივნის კარი პირდაპირ მისაღებში შედიოდა.

- ირინა, - თინიკო ოთახში შეუძღვა ბიჭებს. - გოგა ჩამოვიდა. ეს კი ავთოა, მისი და ჩვენი მეგობარი.

ტელევიზორთან მიჩოჩებული სავარძლიდან „ჯიშიანი“”ქალი „წამოიშალა“. დიდი, თეთრი კბილებით სათნოდ გაიღიმა.

- როგორ ხარ, ირინა? - ხელი „აართვა“ და „აკოცნა“ გოგამ.

- გმადლობ, თავად? - ხელი „ჩამოართვა“ და „ჩამოკოცნა“ ირინამ.

- არა მიშავს. ეს ჩემი უახლოესი მეგობარია, ავთო გელაშვილი! - ირინასკენ გზა გაათავისუფლა გოგამ.

- ავთო.

- ირინა.

- თინიკო, შეხედე ამ ხალხს. აი, ასეთები იყვნენ ჩვენი წინაპრები.

ყველას გაეცინა.

- ავთოს უამრავი შესაძლებლობიდან, ამჟამად ყველაზე აქტუალურზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, - დაიქოქა გორგილაძე. - მას შეუძლია ერთი ოჯახისთვის ერთი თვის სამყოფი სურსათი ერთ ხელში ეჭიროს მანამ, სანამ ვინმე არ ეტყვის სამზარეულოში გაიტანეო.

ირინამ ისევ სათნოდ გაიღიმა.

- ერთხელაც იქნება, გაგაყრევინებ მაგ მწიფე აზრებს,

- ჩაიხითხითა გელაშვილმაც. - თინიკო, საითაა სამზარეულო?

- აქეთ, ავთო. მომეცი ბიჭო, შენც, - მიმართა ქალმა ბიძაშვილს.

- ა, ბატონო, - ადვილად შეელია ბარგს გორგილაძე. - კაცო, მამიდაჩემი სად არის?

- სარდაფშია, მურაბის ამოსატანად ჩავიდა. - უპასუხა თინიკომ და კარიც გაიღო.

ოთახში ხმელ-ხმელი, ჭაღარა, სამოც წელს მიღწეული ქალი შემოვიდა. თხელი ნაკვთები და მკაცრი იერი ჰქონდა.

იქვე შედგა. ჯერ სახე გაუნათდა. მერე შეგნებულად მოზიდა წარბები და ჯმუხი გამომეტყველება მიიღო:

- ამათ აქ რა უნდათ? - გოგაზე და ავთოზე თავით მიანიშნა ქალმა.

თინიკოს გაეღიმა. გოგამ თავი ჩაღუნა.

- ამათ აქ რა უნდათ-მეთქი? - გაიმეორა კითხვა მცირე პაუზის შემდეგ მამიდამ.

- ისა, - უცებ „გონს მოეგო“ „დამნაშავე“, - შენმა ბიჭმა ხბო მოიგო, - და მამიდას გაბადრული სახით შეაცქერდა.

ამის გაგონებაზე მამიდას ჯერ ნაოჭები აუმოძრავდა სახეზე. მერე ღიმილი ბაგეზე მოაწვა, თავს ვეღარ მოერია, სიცილი წასკდა და მურაბის ქილიანად გადაეხვია ძმისშვილს.

თინიკომ დედას ქილა გამოართვა. ავთოს ანიშნა მომყევიო და კისკისით და „დეგენერატის“ ძახილით სამზარეულოსკენ გაემართა. ავთომ ნუცა გადაკოცნა და თინიკოს გაყვა.

მამიდამ რამდენჯერმე შეათვალიერა ძმისშვილი. რამდენჯერმე ჩაეხუტა. კარგა ხნის უნახავი ჰყავდა, მაგრამ საყვედური არ დასცდენია. პირიქით, როცა გოგამ მოუბოდიშა, “იმდენი საქმე გაქვთ, შვილო, სულაც არ გაგემტყუნებათო,” - უპასუხა.

მერე ირინას გამოელაპარაკა. მისი და გოგას ურთიერთობიდან პატარა ამბავი გაიხსენა, გოგას საქებრად რომ გამოდგებოდა, ისეთი.

- ახლა მე სამზარეულოს მივხედავ და იმათ აქეთ გამოვუშვებ, - დაიბარა მასპინძელმა და გავიდა.

როცა ნუცა მამიდამ სამზარეულოს კარი შეაღო, იქიდან ორხმიანი სიცილი გამოვარდა. კარი მოიხურა, მაგრამ ახლა რამოდენიმეჯერ ჯახუნის ხმა გაისმა.

- ავთო ხორცს ჩეხავს, - სხვათა შორის თქვა ირინასთან მარტოდდარჩენილმა გოგამ. სკამი ირინას გვერდით მიაჩოჩა და ზედ მხედარივით გადაჯდა. მამიდა ისევ ოთახში დაბრუნდა.

- ჩავალ, ღვინოს ამოვიტან, - გაუღიმა ქალ-ვაჟს. - ვერ გამოვყარე ისინი

სამზარეულოდან, ყველაფერს გაგიმზადებთ და მერე მიხედეო.

- სწორია, უფრო მალე იქნება. მე კი გვარიანად მომშივდა, - გამოეპასუხა ძმისშვილი.

ტელევიზორის ხმა ოდნავ ისმოდა. ირინასთვის საკმარისი იყო.

- რას ვიფიქრებდი, დღეს თუ აქ ამოვყოფდი თავს? - უხერხული სიჩუმე დაარღვია გოგამ.

ირინამ ირონიულად გაიღიმა, ტელევიზორისთვის თვალი არ მოუცილებია.

- გაიღიმე თუ მეჩვენება? - უცებ „დასცხა“ გორგილაძეს.

- დაგაგვიანდათ, - ვაჟისკენ მობრუნდა ქალი. - მე უფრო ადრე გელოდით, - თქვა და თვალები ეშმაკურად, ცოტა დამცინავად მოჭუტა.

- მარინა, - სიმწრით ჩაიცინა გოგამ, - ამას მისგან ნამდვილად არ ველოდი.

- არა, მარინა არაფერ შუაშია.

- შუაში კი არა, თავშია. ამირანი რომ არ დაგირეკავდა, თავს მოვიჭრი. ალბათ, ყველამ ყველაფერი იცის, არა? მე კი აქ მასკარადებს ვმართავ.

- არავინ არაფერი იცის. მე რა უფლება მქონდა, მეთქვა - სალომემ დამირეკა..

- ვი-ინ? - კითხვა გაეწელა მოულოდნელობისგან გოგას.

- ჩემმა დისშვილმა. როცა თქვენ ჩემს მომავალს გეგმავდით, ის გვერდით ოთახში იჯდა და მუსლიტერატურას მეცადინეობდა. მისი იქ ყოფნის შესახებ არავინ იცოდა.

- კი, მაგრამ თუ იცოდა, რომ იქ ვიყავი, რატომ არ გამოვიდა ჩემს სანახავად?

- იმიტომ, რომ ჩემთვის დაერეკა, - ნიშნისმოგებით უპასუხა ირინამ. - სალომე უკვე თექვსმეტი წლისაა და ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. ის მე ჩემს დაზე უკეთ მიცნობს. იცის, რაა ჩემთვის მისაღები თუ მიუღებელი. მე და ის ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ. ამიტომ დამირეკა. რომ არ დაერეკა, მეწყინებოდა. სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, ამიტომ ნუ განსჯი.

- კეთილი, - თავი მოიქექა ნირწამხდარმა გორგილაძემ. - ახლა რა ვქნათ? მოდი ასე ვიტყვი: მე და შენ ნათესავები ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს კარგად არ ვიცნობთ, მაგრამ მაინც ერთი დიდი ოჯახის წევრებად მოვიაზრებით. ხომ ასეა?

- ალბათ.

- „ალბათ“ ამერიკაშია. აქ ასეა, გინდა თუ არა, მაინც.

- დაახლოებით ვხვდები, საით აპირებდი საუბრის წაყვანას, როცა ჩვენი ნათესაობა

ახსენე...

- ერთი ოჯახის შვილობა, - შეუსწორა გოგამ.

- კარგი, მასე იყოს, - გაეღიმა ირინას. - ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. რასაც ვფიქრობ, ოჯახის წევრსაც ვეტყვი და ნათესავსაც: რაც მე აქედან წავედი, ბევრი რამ შეიცვალა, ბევრ რამეს მივხვდი, ბევრ რამეზე ამეხილა თვალი. რაც მთავარია, ზუსტად დავადგინე, რა მინდა. ქალს მუდამ იზიდავს მამაკაცი და პირიქით, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ქალი ისევე ეძებს სიყვარულს, როგორც მამაკაცი. ესეც ბუნებრივია და ნორმალური, მაგრამ

ეს არაა მთავარი. რამდენიმე წლის წინ შენისთანა მამაკაცს რომ ჩემს მიმართ ყურადღება გამოეჩინა, ალბათ შემიყვარდებოდა და ცოლადაც გავყვებოდი. მაშინ ასეთი რამ არ მომხდარა. სერიოზულად ჩემით არავინ დაინტერესებულა. შენ გგონია, ეს ადვილი ასატანი იყო? ჩემთვის სიყვარული არასდროს არავის აუხსნია. მე არ ვიტყვი, რომ ჩემს დანახვაზე კაცებს რეტი უნდა დასხმოდათ, მაგრამ გაცილებით შეუხედავებს, სამი ქმარი და კიდევ ამდენივე საყვარელი ჰყავთ გამოცვლილი.

- შენ მშვენიერი გოგო ხარ, ირინა. დედას ვფიცავარ, მართლა ასე ვფიქრობ და ამიტომაც ჩამოვიყვანე...

- გმადლობ, - შეაწყვეტინა ქალმა, - წინააღმდეგი არ ვარ. - ისევ მოხდენილად გაიღიმა. - მაგრამ, თურმე, ეს არ ყოფილა საკმარისი. თავიდან ვფიქრობდი, ჩემი სიმაღლე აფრთხობდათ ბიჭებს. მერე მივხვდი, რომ ეს არაფერ შუაში იყო. მაღალი გოგოები ამას ნაკლად კი არა, პლუსად აღიქვამდნენ. სიმაღლით ამაყობდნენ კიდეც. ჩემი რეალური ნაკლი კი ის იყო, რომ სხვა სამყაროს ვეკუთვნოდი. სხვა გემოვნება ჩამომიყალიბდა, სხვა მუსიკას ვუსმენდი, სხვა ლიტერატურას ვკითხულობდი. მე ეს მანიჭებდა სიამოვნებას და არა, ჩემი თანატოლებივით, კლასობანას თამაში, ქუჩაში სეირნობა ან, თუნდაც სწავლაში გაჯიბრება. ყოველთვის საშუალო მოსწავლედ ვითვლებოდი და ერთადერთი, რამაც აბუჩად აგდებას და დაცინვას გადამარჩინა, ეს იყო სერიოზული მიღწევები მუსიკაში. არაერთხელ მისახელებია სკოლა და ამისთვის ბევრს მპატიობდნენ. მოკლედ, მე იქ არ ვიყავი, არ ვჩანდი და ვინ დამინახავდა? არადა, კაცი ქალს ბავშვობიდანვე აღიქვამს ქალად და ამას ასაკის შესაფერისად გამოხატავს. მე კი ჩემი თანატოლი ბიჭებისთვის გოგო კი არა, პიანინოს დამატება ვიყავი. მერე კი, როცა გავიზარდე და ჩემში ქალმა გაიღვიძა, როცა აღმოვაჩინე, რომ ბიჭები მხოლოდ ჩაცმულობით და ღონით არ განსხვავდებიან გოგონებისგან, ჩემი დამოკიდებულება უცებ შეიცვალა. სამაგიეროდ, იგივე დარჩა მათი დამოკიდებულება ჩემდამი.

ერთი ბიჭი მომეწონა... რა თქმა უნდა, იმან ამის შესახებ დღესაც არაფერი იცის. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, შეიძლება მიყვარდა კიდეც. დღე და ღამე მასზე ვფიქრობდი, ვოცნებობდი, სიზმარში ვხედავდი. ხანდახან წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ოთახში იჯდა და მისმენდა, როგორ ვუკრავდი. მე ხომ მუსიკის გარდა სხვა ვერაფერს შევთავაზებდი. ერთხელ, რომელიღაც წვეულებაზე მოვხვდით ერთად. უფრო სწორად, მე მოვხვდი, თორემ ის ყველგან „საზოგადოების სული“ იყო - ოთხმოციანელთა თაობის ტიპიური ლიდერი: თამამი, ამაყი, ქუჩური კანონების კარგი მცოდნე და თავისებურად განათლებული. იცოდა მწერლების გვარები, მათი სადაურობა, ნაწარმოებების

სახელები, მაგრამ წაკითხული არ ჰქონდა. ასეთივე „განათლებული“ იყო მხატვრობაშიც, მუსიკაშიც და კიდევ სხვაშიც.

იმ წვეულების მასპინძელი ჩემი მეზობელი, თანაკლასელი გოგონა იყო, რომელსაც ერთადერთს ჰქონდა მცირე ეჭვი ჩემს გატაცებაზე. როცა მთხოვა, რამე შეგვისრულეო, ყველა ყურთასმენად იქცა. კლასიკური მუსიკა იმ აუდიტორიისთვის საკმაოდ უცხო იყო, მაგრამ იმ დროისთვის მე უკვე საკმაოდ წარმატებული პიანისტი ვიყავი, სათანადო სახელით და ეს ყველამ კარგად იცოდა.

მე ასეთ წვეულებებზე იშვიათად დავდიოდი, ისინი კონსერვატორიაში გამართულ კონცერტებზე არ დადიოდნენ, ამიტომ მათთვის ერთგვარი შანსი იყო გაეგოთ, რას უკრავდა ასეთს გოგო, რომელსაც ყველა პედაგოგი განსაკუთრებულად ეპყრობოდა.

თავიდან წინააღმდეგობის გაწევა მოვინდომე, მაგრამ მასპინძელს სხვებიც წამოეხმარნენ და... მუხლების კანკალით მივედი ინსტრუმენტთან. პიანინო წესრიგში იყო. პატრონს სახლში ამეცადინებდა მუსიკის მასწავლებელი. გონებაში უცებ შევარჩიე ნაწარმოები, რომელსაც ის საზოგადოება უფრო ადვილად აღიქვამდა და დავუკარი...

ჩემს ცხოვრებაში ასე ცუდად არასოდეს დამიკრავს. ხელები მიკანკალებდა, პირი მიშრებოდა, მაგრამ როცა ბოლოში გავედი, ისეთი ტაში და ოვაციები დავიმსახურე, მანამდე ჩემს ცხოვრებაში მსგავსი არ ყოფილა.

როგორ დავუკარი, რა თქმა უნდა, ჩემს გარდა ვერავინ მიხვდა.

ყველაზე მონდომებით ტაშს თამადა უკრავდა და „ბრავო“-ს გაიძახოდა. თამადა კი „ის“ იყო.

ჩემს სიხარულს ვერ აღვწერ. წონა დავკარგე და ჰაერში დავფრინავდი.

მაგრამ დავბრუნდი თუ არა სუფრასთან, ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა. მე იმ საღამოს აღარავის გავხსენებივარ. არც მას გამოუხედავს ჩემსკენ. მივხვდი, ყველაზე მეტად იმიტომ აქტიურობდა, რომ მუსიკაში კარგადჩახედული კაცის შთაბეჭდილება დაეტოვებინა, თორემ რეალურად, მისთვის მუსიკა ცალი ხელით დაკრული „შალახოთი“ შემოიფარგლებოდა.

რისი დემონსტრირებაც მან მოგვიანებით, კარგად შეზარხოშებულმა მოახდინა კიდეც.

მე მაშინ უკვე სკოლას ვამთავრებდი.

ჩემი მორიგი ორი თუ სამი გატაცებაც, დაახლოებით, ასეთივე „წარმატებით“ დასრულდა.

- კი, მაგრამ შენს წრეში, ანუ შენს სამყაროში ხომ იყვნენ ბიჭები? - ჩაერთო მონოლოგში თანაგრძნობით და პატივისცემით “შეპყრობილი” გორგილაძე, - თუნდაც კონსერვატორიაში? იქ, რა, ბიჭები არ სწავლობდნენ?

- რა თქმა უნდა, სწავლობდნენ, მაგრამ ისინი იქ „სწავლობდნენ“, გოგონები კი სხვაგან

მოსწონდათ. ერთიც იყო, რასაც მე ჩემს „კოზირად“ ვთვლიდი - მუსიკას, იქ „კოზირად“

სულაც არ ითვლებოდა. თუმცა, კონსერვატორიის მადლობელი ვარ. პირველი ნამდვილი მეგობრები იქ შევიძინე.

ამ ყველაფერს ასე გულახდილად იმიტომ გიყვები, რომ შენ ბავშვობიდან დიდ პატივს გცემ, რადგან ყოველთვის სიცოცხლე და სიხარული შემოგქონდა ჩემი დის ოჯახში. ყოველთვის მიხაროდა შენი იქ გამოჩენა, რადგან ახლო ნათესავად გთვლიდი. მე კი მუდამ გულჩათხრობილი ბავშვის იმიჯი მქონდა. ეს ალბათ, მართლაც ასე იყო. ამიტომ, ჩემთან მეგობრობის ძებნით, არც შენ დაგიღლია თავი. არ იფიქრო, გსაყვედურობდე, მე თვითონ ვიყავი ნაკლებკონტაქტური და ჩემი მარტოსულობა მხოლოდ ჩემი ბრალი იყო.

თავში გითხარი, სიყვარული არ არის-მეთქი მთავარი! უფრო სწორად, ახლა აღარაა მთავარი. როცა გიყვარს, იმის სურვილიც გაქვს, რომ საკუთარი თავი ვინმეს მთლიანად მიუძღვნა, აჩუქო, დაემონო და ამით ბედნიერება მიანიჭო.

აქვს ადამიანს ასეთი ასაკი.

მერე კი დრო გადის, ცხოვრებას უფრო პრაგმატულად უწყებ ყურებას. უფრო მეტს ხედავ, მეტს ამჩნევ, აანალიზებ და ხვდები, რომ ქვეყნად არავინ იმსახურებს მსხვერპლად შეწირვას. სიყვარული საკუთარი „მეს“ მთლიანად გაცემის გარეშე არ არსებობს. უსიყვარულოდ გათხოვებას კი იმედგაცრუების მეტი არაფერი მოაქვს. მე ვიცნობ რამდენიმე ცოლ-ქმარს, რომლებსაც ერთმანეთთან მხოლოდ შვილების ფაქტორი აკავებთ. ცხოვრობენ სკანდალებით და ურთიერთშეურაცხყოფით, რასაც შვილები უყურებენ და განიცდიან.

- ვერ დაგეთანხმები. შემიძლია გაჩვენო ოჯახები, რომლებიც უსიყვარულოდ შეიქმნა და დღეს სიამ-ტკბილობით ცხოვრობენ.

- კი, გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ ასეთ ოჯახებს ტრადიციისადმი უსიტყვო მორჩილება, ან განსაკუთრებული რელიგიურობა უდევთ საფუძვლად. ჩემში კი არც ერთია დიდი დოზით და არც მეორე.

კიდევ ერთხელ გეუბნები, ასე წიგნივით იმიტომ გადაგეშალე, რომ დიდ პატივს გცემ. არ მინდა იფიქრო, თითქოს ჩემს თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს და ამიტომ შენი მეგობარი ჩემს გემოვნებას ვერ აკმაყოფილებს.

შენი ნახვა ძალიან გამიხარდა და მინდა, ყოველგვარი თვალთმაქცობისა და ამოცანების გარეშე, სასიამოვნოდ გავატარო ეს საღამო. შენს იუმორს მართლა მონატრებული ვარ.

სულ ეს არის, - მშვიდად დაასრულა ირინამ „აღსარება“ და გოგას თბილად გაუღიმა.

გორგილაძე რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უცებ ფეხზე წამოდგა, ირინასკენ გადაიხარა, ჩაეხუტა და ნაზად აკოცა.

სწორედ ამ დროს სამზარეულოს კარი გაიღო და ჯერ თინიკო შემოვარდა კისკისით, მერე მას დადევნებული ავთო. მაგიდის ირგვლივ რამდენიმე წრის შემორბენის შემდეგ ავთო „დანებდა“.

- ნახე, რა მიქნა?! - თითი წითლადშეღებილ ზედა ტუჩთან მიიტანა გელაშვილმა. - თითზე ტომატი დაისხა, უსუნე ერთი, გაფუჭებული ხომ არ არისო და რომ დავიხარე, ულვაში გამიკეთა, - როხროხებდა ვითომ გაბრაზებული გელაშვილი.

- ეტყობა, საჭირო სიმაღლეზე არ დაიხარე, ეგ ულვაში ნახტომში შესრულებულსა ჰგავს, - დაასკვნა გოგამ.

- თქვენ რა ხვევნა-კოცნა აგიტეხავთ აქ, - ცალი თვალი მოჭუტა თინიკომ, - ხომ არ დაგავიწყდათ, ნათესავები რომ ხართ?!

- და, ჩვენ ერთმანეთს, სამუდამო ნათესაური ერთგულების ნიშნად, ვაჩუქეთ პირველი კოცნა, - ამის თქმისას გოგა ხან „კოტეს“ ჰგავდა, ხან „ქეთოს“, - შენა, თინათინ, მზად არაფერი გაქვს? ყველი, პური, წნილი...

- “ოლივიეც” მაქვს, შემწვარი თევზიც და ცივად მოხარშული დედალის რამდენიმე ნაჭერიც.

- მერე, მოიტანე, შე დალოცვილო, მოვკვდი მშიერი.

- ახლავე, გენაცვალე, - ადგილზე დაბზრიალდა თინიკო და ირინას ხელით ანიშნა, მომყევიო.

ირინა ისევ „წამოიშალა“ და, კარგახნის წასულ თინიკოს, მეშვიდე ნაბიჯზე სამზარეულოს კართან წამოეწია.

- წადი, ბიჭო, შენც და ჩამოირეცხე ეგ „ნამუსი“, ვერ ხვდები, რა დროში ვცხოვრობთ? - მიუბრუნდა გოგა ავთოს. სათქმელი კი მანამ მოასწრო, ვიდრე გოგოები სამზარეულოში გაუჩინარდებოდნენ.

ავთო მაშინვე მათ მიჰყვა და რამდენიმე წუთში „ნამუსგარეცხილი“ დაბრუნდა.

გოგამ თავისი სკამი მაგიდასთან გადაიტანა და დაჯდა. მეგობარიც გვერდით მიუჯდა.

- ირინა მარღანია არ გაგიგია, ცნობილი პიანისტი? - სხვათა შორის ჰკითხა გორგილაძემ ავთოს, თან დაამთქნარა და ფანჯრისკენ გაიხედა.

- არა, - უპასუხა გელაშვილმა.

- ომარ მარღანია, ყაჩაღი?

- არც ეგ.

- „მაცი ხვიტია“ ნანახი გაქვს?

- მერე?

- ის, რომ იქ ყაჩაღი მარღანიაა. აქ კი პიანისტი მარღანია და შენ მათი ცოლადმოყვანის ერთნაირი შანსი გაქვს. გაიგე?

- რაებს ბოდავ, თავი ხომ არაფერს ხლიწე?

- ირინა ძალიან მომწონს.

- ეე, შენ ხომ არ უბერავ? - ისე შეხედა ავთომ გოგას, ფსიქიატრი რომ შეხედავს ხოლმე ახალ პაციენტს. - გოგო ნათესავად გეკუთვნის.

- შენ?

- რა მე?

- აშენც ნათესავად გეკუთვნის?

- აა! აი, რაში ყოფილა საქმე. შე ავადმყოფო, მე შენი ნათესავების ოჯახში ქალს „ისე“ შევხედავ?!

- ოჰ, სულ დამავიწყდა, რომ წმინდანი ხარ. მარა დებილი წმინდანი რომ არ

არსებობს?!

- ეხლა გცემ! - მართლა გაბრაზდა გელაშვილი.

- არაფერი შენ არ გეშველება...

- რა გინდა, კაცო, შენ დღეს მარცხენა ფეხზე ხომ არ ადექი?

- ვაჟკაცურად, მითხარი, ცუდი გოგოა ირინა?

- ძალიან კარგი გოგოა, მარა მე რაა, რო?

- შენ ის, რომ ჩვენი აქ მოსვლა და მისი აქ დახვედრა, ჩემი აზრით, ბედისწერაა. შენ კი ტვინის განძრევა და თვალების გახელა გეზარება.

- გოგა, რას მელაპარაკები, ჯერ ერთი შენი ნათესავია, მეორეც, მე რა ვიცი, გათხოვილია? გასათხოვარია? და რაც მთავარია, რა, ვეტაკო და ცოლად გამომყევი-მეთქი ვუთხრა?! ქალი პირველად ვნახე... რას ითხოვ ჩემგან?

- ელემენტარულს. როცა აქ მოვლენ, მოიქცე ისე, რომ გასათხოვარ გოგოს ბუჩქი არ ეგონო. დაელაპარაკო, გაუღიმო, ყურადღება მიაქციო. ანუ იყო ისეთი, როგორიც ჩვეულებრივ ხარ ხოლმე მეგობრების წრეში... რა, ძნელია?

- ქალს მირიგებ?

- შე ტუტუცო, ქალის გარიგება რომ მქონოდა გეგმაში და მითუმეტეს, ირინასი, აქ ჩამოვასკდებოდი? იქ არ ჩამოვიდოდა, თბილისში? კი არ გირიგებ, უბრალოდ მინდა შეხედო და კონტაქტში შეხვიდე. იქნებ, ეს სწორედ ის ქალია, რომელზეც ოდესღაც გიოცნებია? რა იცი?

- ბიჭო, ადრე იყო, ნანა ჩერქეზიშვილს მირიგებდი, მაღალიაო, ახლა ირინა... იმიტომ, რომ ესეც მაღალია. ბოლოს და ბოლოს, არ შემეშვები? ქალი კუბო ხომ არ არის, შიგ ვერ ჩავეტიო. იქნებ მე ტანმორჩილი ქალები მომწონს, რა იცი შენ? - ავთოს არ უხუმრია, გულწრფელად გამოხატა თავისი საყვედური, მაგრამ გოგას ისეთი ხარხარი აუტყდა, ხმაურზე სუყველა ოთახში შემოვიდა.

- რა ხდება აქ? - ყველას დაასწრო დოინჯშემოყრილმა თინიკომ.

- ვაიმე, - სული ძლივს მოითქვა გოგამ, - ეს რა თქვა?! რო იცოდეთ, რა თქვაა! - ისევ სიცილით გააგრძელა.

- რა თქვა ამისთანა? - ყველას აინტერესებდა. თინამ იკითხა.

- რა თქვა, და...

- გაჩუმდი, არ თქვა! - დაუბღვირა ავთომ.

- აუ, ეგ არ მთხოვო! ეგ რომ არ ვთქვა, მოვკვდები...

- არ თქვა, თორემ... თორემ წავალ, იცოდე!

- აუ, ავთო, აქედან კი არა, საქართველოდან რომ წახვიდე, ამას მაინც ვიტყვი... მოიცა, ჯერ ამოვისუნთქო...

- გითხარი მე შენ! - ახლა უკვე დაუღრინა გელაშვილმა მეგობარს. - მწარედ ინანებ, გოგა!

- ბოდიში არ შემიძლია... მაღალ ქალებს რომ მირიგებ, ქალი კუბო ხომ არ არის, შიგ ვერ ჩავეტიო, იქნებ მე ტანმორჩილი ქალები მომწონსო!.. - სვენებ-სვენებით "ამოღერღა" გორგილაძემ.

სხვა შემთხვევაში, ალბათ ყველა გაიცინებდა, მაგრამ ავთოს სახეზე ისეთი ბრაზი და რისხვა იყო გამოხატული, გაღიმებაც კი არავის უფიქრია.

დაამთავრა თუ არა გოგამ წინადადება, ავთო ნელი ნაბიჯებით დაიძრა მისკენ, თავზე წამოადგა. გოგამ, რომელიც სკამზე იჯდა, ქვევიდან ახედა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, ავთო ელვის სისწრაფით ეძგერა მის სკამს, გოგასთან ერთად ჰაერში აიტაცა და წინ გაიქნია. სკამი ხელში შერჩა, გოგა - არა. გორგილაძემ სავარძელს გადაუფრინა და პირდაპირ ირინკას ფეხებთან მოადინა ზღართანი.

- გაგიჟდი, შე უპატრონო?! - უცებ დასერიოზულდა გოგა. ახლაღა მიხვდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა. ავთოს სახეზე ალმური ასდიოდა და შეშლილივით შესცქეროდა გოგოს.

- ავთო, დამშვიდდი, შენ შემოგევლე, - ვითარებაში კარგად გარკვეული თინიკო გელაშვილისკენ გაიქცა, წელზე ხელები მოხვია და თავი მკერდზე მიადო. - კარგი, რა მოხდა, ისეთი არაფერი უთქვამს. დაწყნარდი, გეხვეწები. - ტირილი შეეპარა ხმაში ქალს.

- მე წავედი, - ფრთხილად მოიშორა შემოსალტული თინიკო ძლიერი ხელებით. მოტრიალდა. - ბოდიშს გიხდით, ნელი დეიდა. ნახვამდის, ირინა. - და კარისაკენ დაიძრა. საკიდიდან ქურთუკი ჩამოხსნა.

- შენ რა, სულ გარეკე? - კართან დაეწია გოგა და წინ გადაეღობა.

ავთოს ხმა არ ამოუღია. ორივე ხელი მხრებში ძლიერად ჩაავლო და გვერდზე „გადადგა“. კარი გააღო. გავიდა. სწრაფი ნაბიჯებით ჩაირბინა კიბეები. წამიც და უკვე ქუჩაში აღმოჩნდა. მარცხნივ დაუყვა დაღმართს.

- რას უდგეხარ? - ბიძაშვილს დაუყვირა თინიკომ. - სად უშვებ ამ კაცს ამ შუაღამისას. წადი, ახლავე მოატრიალე, თორემ არც შენ გეღირსება ამაღამ აქ ღამის გათევა, შე საზიზღარო.

- ძალიან ვწუხვარ ხალხო, ვერ გავთვალე... მაგრამ, ახლა მაგასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. კარგად ვიცნობ. ძალით კიდე, ავთოს მე კი არა, მთელი პოლკი ვერ მოაბრუნებს.

- უგულო ხარ შენ და ცინიკოსი, - წამოიყვირა თინამ, კედელთან მიირბინა, ქურთუკი ჩამოხსნა, შემოიცვა და გარეთ გავარდა. აქეთ-იქეთ მიმოიხედა. მარცხნივ ვეებერთელა სილუეტი დალანდა. იქით წავიდა.

- ავთო! - დაიყვირა ქალმა და გაიქცა.

- დამელოდე!

გელაშვილი შედგა. არ მობრუნებულა. თავი ჩაქინდრა.

- ავთო, გაფიცებ, ნუ წახვალ. ძალიან გთხოვ...

- ვწუხვარ თინიკო, მაგრამ იქ აღარ მოვბრუნდები. სხვა რაც გინდა, მთხოვე… ამაზე კი ნუღარ ვილაპარაკებთ... უბრალოდ არ შემიძლია.

- ავთო, გემუდარები. რა თქვა ახლა ახლა იმ იდიოტმა ისეთი... მწარე ენა აქვს, ხომ იცი?! ნეტა განახა, როგორ ნანობს თვითონაც...

- თინიკო, დედის სულს გეფიცები, არ დავბრუნდები. ვიცი, უხერხულ მდგომარეობაში გაგდებთ სუყველას, მაგრამ თავს ვერ მოვერევი. უნდა მაპატიო.

- მაშინ, მეც წამოვალ.

- სად წამოხვალ? - პირველად შეხედა გელაშვილმა ქალს თვალებში.

- სადაც შენ მიდიხარ... თუ არ დაბრუნდები, ძმისშვილებს გეფიცები, არც მე დავბრუნდები. და, სადაც წახვალ, გამოგყვები.

- შენ რა, გადაირიე? აბა ჩქარა, სახლისაკენ ჰერი-ჰერი...

- მე უკვე გითხარი.

- თინიკო, მე დავიფიცე და რაც არ უნდა მოხდეს, არ გადავთქვამ.

- სხვათა შორის, თუ დააკვირდი, მეც დავიფიცე და შენ წარმოიდგინე, როცა ვიფიცები, მეც ყოველთვის ვასრულებ.

- რას მიკეთებ, ხვდები?

- შენ, შენ თუ ხვდები?

- თინიკო, მე ახლა ჩემს მეგობარს დავურეკავ და თბილისში წამიყვანს.…

- ძალიან კარგი. მეც მაქვს სახლი თბილისში.

- ნუ გადამრიე, გოგო. გაგიჟდება ის კრეტინი, მომკლავს! გესმის შენ?

- თითსაც ვერ დაგაკარებს. მე არავის ვეკითხები, როდის სად წავალ. უკვე ძალიან დიდი გოგო ვარ.

- თინიკო, მე უკვე გითხარი, რაც არ უნდა მოხდეს, იქ აღარ დავბრუნდები. დედაჩემის სული დავიფიცე.

- ვიცი და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს... დიდხანს ვიდგეთ აქ?! დაურეკე, თუ ურეკავ იმ შენს მეგობარს.

- კარგი, - მცირე დუმილის შემდეგ თქვა გელაშვილმა. - მოხდეს, რაც მოსახდენია. ღმერთმა იცის, რომ ჩემი ბრალი არ არის... შემჭამეთ ამ გორგილაძეებმა. მოკლედ, ცოცხლად შემჭამეთ.

- მე გორგილაძე არა ვარ! დარეკე, ცივა!

- კაი, ბატონო! - ავთომ ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო. ნომერი აკრიფა:

- ბორია, ხომ არ გძინავს? ავთო ვარ. ხუთ წუთში სასტუმრო „თბილისის“ წინ ვიქნები. მანქანით გამოდი.

ათიოდ წუთში ორივენი ადგილზე იყვნენ. ბორია უკვე სასტუმროსთან ელოდათ.

მანქანაში ჩასხდნენ. თინიკო უკან მოთავსდა.

- საით? - ძრავი აამუშავა ბორიამ.

- ტაქსი გვინდა. ვიშოვით ამ შუაღამისას?

- სად მიდიხართ? ან, გოგა სად არის? - კითხვითვე უპასუხა ვაჟმა.

- გოგა იქ დარჩა, სადაც დაგვტოვე. ჩვენ კი წასვლა გადავწყვიტეთ. ჰო, მართლა, ეს თინიკოა, გოგას მამიდაშვილი.

- სასიამოვნოა. მაინც ვერ გავიგე, რა ხდება.

- ვერც მე. მარა, მაინც წავიდეთ.

- ტაქსით წასვლას სად აპირებთ? - მანქანა დაძრა ბორიამ და პატარა დაღმართს დაუყვა.

- თბილისში. შენ ის მითხარი, ვიშოვით ახლა ტაქსის?

- ტაქსის როგორ არ ვიშოვით. შინ მივაკითხავთ და წამოვიყვანთ. მაგრამ აღარ მეტყვი, რა მოხდა? რაღაც შენი სახე არ მომწონს.

- გეტყვი, გეტყვი. ოღონდ ჯერ მანქანა ვნახოთ.

ბორიას აღარაფერი უთქვამს. მანქანა გზატკეცილზე გააქროლა. ცენტრში ხიდზე გადავიდა და მარცხნივ გაუხვია. წუთიც და საკუთარ სახლთან გააჩერა. გადმოვიდა. ეზოს კარებზე ღილაკი მოძებნა და დააჭირა.

კარები მალე გაუღეს. შევიდა.

- ცუდს მეუბნება გული, თინიკო... - სიჩუმე დაარღვია გელაშვილმა. - დაფიქრდი, რა ჰქვია ჩვენს საქციელს. გსმენია სადმე, ამდაგვარი რამ?

- არა, არასოდეს.

- მერე?

- არ ვიცი. ახლა უფრო ვხვდები, როგორ ვიქცევი, მაგრამ უკან დასახევი გზა მხოლოდ ერთი მაქვს. წამოდი და ერთად დავბრუნდეთ უკან.

- მე უკვე გითხარი...

- მაშინ ნუღარაფერს მეკითხები.

ამ დროს კარები გაიღო და ქუჩაში ბორია გამოვიდა.

- დამელოდე, რაღაც მინდა ვკითხო, - ავთო მანქანიდან მკვირცხლად გადმოხტა და

ბორიასთან მივიდა.

- რა ქენი?

- ჩაიცმევს და გამოვა. რა მოხდა? მართლა ვერაფერს ვხვდები.

- ბორიკო, მერე აგიხსნი, შენი ჭირიმე. სხვა დროს. ეხლა კი ის გააკეთე, რასაც გთხოვ: მანქანა რომ გამოვა, უცებ ჩავხტები და წავალ. თინიკო კი სახლამდე მიიყვანე. გოგას მამიდაშვილია, ძალიან კარგი გოგო...

- კარგი, კარგი... ისე, არ გეწყინოს დ შენ, გოგას და მერაბს, მე თუ მკითხავ, ერთნაირად „გაკლიათ“, - ამოიოხრა ვაჟმა. - რაღა მაინცდამაინც აქ ცოფდებით ყველანი. თბილისში პირობები არა გაქვთ?!

- ეგრეა, - გაუღიმა ავთომ. - წამო ეხლა, მანქანაში ჩავჯდეთ და დაველოდოთ. რომ გამოვა, ფულზე მოველაპარაკები-მეთქი ვეტყვი და გადმოვალ.

- კარგი, - ორივენი ვოლგაში დაბრუნდნენ.

- ავთო! - თქვა უცებ თინიკომ ჩუმად. - ღმერთია მოწმე, ყველაფერი ვცადე,

რომ უკან დამებრუნებინე... არაფერი გამოვიდა. მართალი ყოფილა გოგა... ვხვდები, რა უხერხულად გრძნობ თავს... თამაში დამთავრებულია. აღარ გინდა ტაქსიში ჩახტომა და გაქცევა. მე ტაბიძის ქუჩაზე გამიყვანეთ. რადგან ბავშვები დავიფიცე, ამაღამ ბიძაჩემთან დავრჩები.

ავთომ და ბორიამ ერთდროულად მიიხედეს უკან.

- მადლობა, თინიკო. შენ ძალიან კარგი გოგო ხარ... - ხელზე ხელი დაადო ავთომ.

- არაფრის ბატონო, - რატომღაც ამოიოხრა თინიკომ და გელაშვილს გაუღიმა.

- იცი, რა ღვინო მაქვს, ავთო?! - თქვა უეცრად ბორიამ. - მოდი, ვაჟკაცურად, ჩემთან ავიდეთყ და ერთი მაგრად შევუბეროთ. შენ ხომ ჩემს ოჯახში არასოდეს ყოფილხარ. ვხედავ, რაღაც გაწუხებს. წყნარად მომიყევი რა ხდება და პირობას გაძლევ, ყველაფერი კარგად იქნება….

- კარგი აზრია, ოღონდ ჯერ მე მიმიყვანეთ ბიძაჩემთან. გვიანია... - თქვა თინიკომ.

- არა, ბორია. არ გეწყინოს, მაგრამ მე დღეს აუცილებლად უნდა წავიდე აქედან. კაცურ სიტყვას გაძლევ, მე და შენ მალე შევხვდებით... და, ყველაფრისათვის მადლობას გიხდი.

ამ დროს ჭიშკარი გაიღო. მერე მანქანის ძრავის ხმა გაისმა და თეთრი ჟიგული ქუჩაში გამოვიდა. მძღოლი სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან, უკანვე შებრუნდა, ჭიშკარი შიგნიდან ჩარაზა და კარებიდან გამოვიდა. ვოლგას მიადგა:

- აბა, წავედით? - ჰკითხა ბორიას ფანჯრიდან.

- წავედით, - უპასუხა ვაჟმა და მანქანიდან გადმოვიდა. გადმოვიდა ავთოც, თინიკოც.

- აბა, გავქუსლე, - ბორიას გადაეხვია გელაშვილი.

- ეგრე იყოს, რადგან არ იშლი.

- თინიკოს მე მივიყვან, შენ აღარ შეგაწუხებ.

- რა შეწუხებაა, აბა რას ამბობ? თინიკო, დაბრძანდით, გთხოვთ.

თინიკო ავთოსთან მივიდა. ავთო დაიხარა და გადაკოცნა. - ჩემო თინიკო, ვერ წარმოიდგენ, როგორი მადლობელი ვარ შენი... ნახვამდის. ჩვენ მალე შევხვდებით.

- შენ რა ყველას შეხვედრას ჰპირდები, ბიჭო. რამეს ხომ არ აპირებ?

- აუცილებლად. ოღონდ ჯერ არ ვიცი, რას. ყოველ შემთხვევაში, თქვენთან შეხვედრის სურვილი, ჯერ არ წავსულვარ და უკვე მაქვს.

- ნახვამდის, ავთო. შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, - თქვა და ვოლგისკენ დაიძრა თინა.

- ჰო, „ბიჭი“, აბა. აი, ჯერ თმაც არ ამომსვლია, - მოშვლეპილ თავზე გადაისვა ხელი გელაშვილმა.

თინიკომ გაუღიმა და მანქანაში ჩაჯდა.

- აბა, ჰე, - ტაქსიში ჩაჯდა ავთოც.

ჯერ ტაქსი დაიძრა. უკან ვოლგა მიჰყვა.

ისე გაიარეს რამდენიმე კილომეტრი, ავთოს ხმა არ ამოუღია. გაწვიმდა. ჟიგული ნელა მიდიოდა. ავთოს გაბრაზებამ თითქმის მთლიანად გაუარა, როგორც ყოველთვის... მაგრამ, მაინც აფორიაქებული იყო, აღელვებული. გაიხსენა ის დღე, დილიდან ბორჯომიდან წამოსვლამდე. თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თინიკოს კისკისი არ გამოსდიოდა ყურებიდან. „კარგი გოგოა“, - გაიფიქრა.

- ვინა? - გამოაფხიზლა ტაქსის მძღოლმა. - ვინ არის კარგი გოგო?

- რა ვიცი, კარგი გოგოების მეტი რაა, - უპასუხა გელაშვილმა, რომელმაც ახლაღა დააფიქსირა, რომ ფიქრი ხმამაღალი გამოსვლოდა.

- ჰო, ეგრეა, - სხვათა შორის უპასუხა მძღოლმა. თავისთვის კი გაიფიქრა, ეს მთლად ჯანმრთელი არ უნდა იყოსო.

- გიჟია, ეს შობელმაღლი! - თქვა ხმამაღლა.

- ვინა? - წარბები მოზიდა ავთომ.

- აი, ესა, უკნიდან რომ მინთებს. თუ გასწრება უნდა, გამასწროს. რა, გზა არა ჰყოფნის? ავთომ უკან მოიხედა. გარკვევით არაფერი ჩანდა. ფანჯარა ჩამოწია და ისე გაიხედა:

- გააჩერე.

- რა ხდება?

- გააჩერე. ბორიაა, რომ გვინთებს.

ჟიგულმა ნელ-ნელა დააგდო სიჩქარე და გაჩერდა. შავი ვოლგა უკან ამოუდგა. მანქანიდან გოგა გადმოვიდა და სირბილით მივიდა ჟიგულთან.

- შენ აქ რა გინდა? - უკანა კარი თვითონ გაუღო მანქანიდან გადმოსულმა ავთომ.

- ჰო, კაი ახლა, გეყოფა. ზედმეტი მოგდის, ვერ ხვდები? - სწრაფად უპასუხა გოგამ და მანქანაში ჩაჯდა. ჩაჯდა ავთოც.

- წავედით! - გასცა განკარგულება გორგილაძემ.

მძღოლმა ავთოს გადახედა. ამ უკანასკნელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჟიგული დინჯად დაიძრა.

- იცი რა, გოგა? - ხმადაბლა დაიწყო ავთომ.

- კარგი რა, ავთო. აღარ გინდა, გეხვეწები. ვიცი, რომ ცუდად გამოვიდა და ბოდიშს გიხდი. რა ვქნა ეხლა, თავი მოვიკლა?

- ბოდიშს არ გთხოვ. ვინ იცის, იქნებ მადლობაც გითხრა.

- რისთვის?

- რა ვიცი. ალბათ იმისთვის, ბორჯომში რომ წამომიყვანე, ახალციხის მაგივრად...

- რისი თქმა გინდა მაგით? - ეჭვით ჩაეკითხა გორგილაძე.

- ტყუილად გგონია შენ, რომ ყველაფერს ხვდები და ყველას გაცურება შეგიძლია.

- ვერ გავიგე, რას ჩხიბავ. რა რებუსებით მელაპარაკები?! როდის ვცადე შენი გაცურება? ან რას ვერ მივხვდი?

- ჩემი გაცურება ამავე გზაზე სცადე,

იქედან რომ მოვდიოდით. და იმას ვერ მიხვდი, რომ არ მეძინა და ყველაფერი კარგად მესმოდა.

- რა გესმოდა? - თოფნაკრავივით შეხტა სავარძელზე გოგა.

- ყველაფერი. როგორ შეგხვდა ბორია, რა ელაპარაკე, ხელმეორედ დასახვედრად რომ გაგზავნე... კიდევ გაინტერესებს?

- ერთი ამას უყურეთ, - საფეთქელზე მიიდო ხელები გორგილაძემ. - შენ... შენ მე ალალი და უეშმაკო კაცი მგონიხარ... კაი მაწაკი ყოფილხარ, ვატყობ.

- ხარი ხართან დააბიო, ნათქვამია, - ჩაიროხროხა ავთომ. - რაღაცას რომ მაიმუნობდი, თავიდანვე გატყობდი.

- კაი მაგრამ, რატომ წამომყევი, თუ იცოდი, რისთვის მიმყავდი?

- შენთან ერთად სადმე წასვლა მომენატრა... თანაც გული აქეთ მეწეოდა... შენ ეს მითხარი, რომ ჩამიხტი მანქანაში, შენსას ბორჯომში ტოვებ?

- სხვა რა გზა მაქვს, რო?

- მოატრიალე მანქანა, ჯიგარო, - მხარზე ტორი დაადო ავთომ მძღოლს.

- რათა? - მუხრუჭს დაადგა ფეხი ამ უკანასკნელმა.

- რაღაც დაგვრჩა ბორჯომში, - უპასუხა ავთომ. - შენ არ იდარდო, რამდენსაც იტყვი, გადაგიხდი.

- რავი, როგორც იტყვით, - უსიამოვნოდ მოატრიალა მანქანა მძღოლმა.

- შეგიძლია, ცოტა აუჩქარო? - შეეკითხა გოგა. - იქნებ ბორიკოს დავეწიოთ.

- გაგიჟდება, ბიჭო, ის კაცი.

- შენ არ იცნობ, თორემ ის ჩვენზე ნაკლები გიჟი არ არის.

მძღოლმა ოდნავშესამჩნევად თავი გააქნია. თუმცა, ბიჭების სურვილი მაინც დააკმაყოფილა, სიჩქარეს საგრძნობლად უმატა. მიუხედავად ამისა, შავ ვოლგას ბორჯომის შესასვლელამდე მაინც ვერ დაეწია.

- ფარებით ანიშნე, - სთხოვა გოგამ მძღოლს ვოლგის დანახვაზე.

ვოლგა გაჩერდა. მანქანიდან არავინ გადმოსულა. სამაგიეროდ, გოგა გადმოხტა ჟიგულიდან და თავად მიირბინა ბორიასთან.

- არ დავლიოთ? - წინ ჩაჯდა გორგილაძე.

- ერთი პირობით. ჯერ დაიფიცე, რომ ოდესმე წახვალ ამ ქალაქიდან, - გაშლილი ხელი გაუწოდა ვაჟმა გოგას.

- გეფიცები, - ხელი დაურტყა გოგამ და გადაეხვია. - დაუსიგნალე ერთი, ის დათვი

გადმოვიდეს.

ბორიამ საჭეს მუშტი დააჭირა.

ავთო, თითქოს ამას ელოდაო, ჟიგულიდან სწრაფად გადმოხტა და სირბილით გამოემართა ბიჭებისკენ.

- პირდაპირ ჩემთან მივდივართ. თქვენი ხმა არ გავიგო, - მანქანა ადგილს მოსწყვიტა ბორიამ.

- გოგოებს არ გავუაროთ? - გოგასათვის მოულოდნელად, ომახიანად განაცხადა ავთომ.

- შენ რომ მაღალი ქალები არ მოგწონს? - ბორიას თვალი ჩაუკრა გოგამ.

- მე როგორი ქალები მომწონს, როცა დრო მოვა, გაიგებ.

- ნეტა მაგას ვეღირსო და...

- ეღირსები, ეღირსები. შეილება უფრო მალეც კი, ვიდრე შენ გგონია.

- შენ, მე მგონი, მართლა მოგეწონა ის გოგო?! ჰა, ეგრეა?

- არ დაგიმალავ და ეგრეა.

- არა, რა. გენიოსი ვარ, ნამდვილი გენიოსი... - ტაში შემოჰკრა გორგილაძემ. - არ არსებობს, რამე ჩავიფიქრო და ის არ ავასრულო. იცი, სად მივხვდი, რომ გულში ჩაგივარდა?

- სად?

- ჰაერში. სკამიდან რომ მისროლე, მაშინ. იმიტომ არაფერი გითხარი, თორემ ხომ იცი, მაგ კუნთებს რომ დაგაჭრიდი?!

- მაგას რა ცოდნა უნდა?! კიდევ კარგი, მიხვდი. შენნაირი მიხვედრილი კაცი ცოტა შემხვედრია.

- ჰო, კაი ახლა, ნუ ენაწყლიანობ. უბრალოდ აღიარე, რომ ძალიან გაგიმართლა, მშობლებმა ჩემს კლასში რომ დაგსვეს.

- ვაღიარებ.

- მაშინ, ცოტა შეანელე, ბორიკო. აი, აქ უნდა შევუხვიოთ. მამიდაჩემის მაზლი ცხოვრობს. ჯერ თინიკო წამოვიყვანოთ….

- ის რა, მართლა ბიძამისთან დარჩა? - სიამოვნებისაგან გაეღიმა ავთოს.

- ეჰ, შენ თინიკოს არ იცნობ, ავთანდილ. ის ხომ ფაქტიურად, ჩემი გაზრდილია.

- ისე ეტყობა კიდეც, ხომ იცი. შენსავით ნაზი და კდემამოსილია.

- აქ გააჩერე, ბორიკო, - ავთოსთვის ყურადღება აღარ მიუქცევია გოგას. - ახლავე ჩამოვალ, - თქვა და მანქანიდან გადავიდა.

წვიმამ კიდევ უმატა.

- რა მოხდა, ავთო? რაზე იჩხუბეთ, თუ გაიბუტეთ? - იკითხა ბორიამ.

- ისეთი არაფერი. წყობილებიდან გამომიყვანა. ეგ მაგ საქმის დიდოსტატია. ერთადერთი, ვისაც ვერაფერს უხერხებს, მერაბია. ის აქ არ არის და გაიჯეჯილა.

- მომენატრა ბარათაშვილი. კაი იქნებოდა, ისიც რომ აქ იყოს...

- ეჰ, ბარემ კარგი იქნებოდა, მაგრამ... ეხლა ისე მჭირდება, როგორც არასოდეს. ვგრძნობ, რაღაც მნიშვნელოვანი ხდება ჩემს ცხოვრებაში და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ის რომ აქ იყოს, ბევრი პრობლემა მომეხსნებოდა… - ამოიოხრა ავთომ.

- რა ხდება, ავთო? მე ხომ არ შემიძლია, რამით დაგეხმარო?

- შენ უკვე დამეხმარე. თუმცა, ვინ იცის. შეიძლება, ჯერ კიდევ წინ არის ყველაფერი.

- ყოველ შემთხვევაში, შენ უკვე იცი ჩემი ტელეფონი და ისიც იცი, რომ ყოველთვის სიამოვნებით დაგიდგები გვერდით.

- კაი კაცი ხარ...

დიდი მადლობა. არ გაინტერესებს, საიდან ვიცი შენი ტელეფონი?

- რა ვიცი, გოგასგან ალბათ ან მერაბისგან.

- ჰო, ეგრეა. გოგასგან. მაგრამ თვითონ არ მოუცია... შენ რომ გირეკავდა, მე რომ მძინარე ვეგონე, მაშინ გადავხედე ქურდულად.

- შენ რა, არ გეძინა და...

- და ყველაფერი მესმოდა, რასაც ლაპარაკობდით... მეორედ რომ შეგხვდა, ისიც ვიცი. ასე რომ, ვინ ვის „გაუჩალიჩა“, ეს კიდევ საკითხავია.

- ვაი ამის პატრონს, - გაეცინა ბორიას.

- ყოველდღე მაგას არ ვეუბნები?! - აჰყვა ავთოც.

სწორედ ამ დროს მანქანის კარი გაიღო და გოგა ჩაჯდა:

- ცოცხალი თავით არ წამოვიდა.

- როგორ თუ, არ წამოვიდა? - უცებ მიახალა ავთომ.

- აი, ეგრე. არავითარი სურვილი არა მაქვსო...

- უთხარი, მეც რომ დავბრუნდი?

- დაბრუნდი... შენც ეხლა ექვთიმე ხარ, თაყაიშვილი და ერის საგანძური ჩამოიტანე.… ცუდი ის არის, რომ თინიკოს გარეშე, არც ირინკა წამოვიდა.

- ისიც იქ არის?

- იქ არის, მა სად არის. მე და ბორიამ გამოვიყვანეთ წეღან, შენ რომ წახვედი.

- ადი, ბიჭო. სთხოვე წესიერად, იქნებ გადათქვას, - ხავსს მოეკიდა ავთო.

- ეეჰ, მაგას შენ მასწავლი?! შენსავით ჯიხვია ეგეც.

- წამო, წამო, ჩემთან ავიდეთ.…თუ ეგრეა, რა გაეწყობა, - თქვა ბორიამ.

- არა, კაცი ვარ ახლა მე? - თავი გააქნია გორგილაძემ. - იქ მამიდაჩემი მარტო დავტოვე. გოგოები სახლიდან გამოვრეკე...

- ვერაფერი ვერ გავიგე მარა, ძალიან უცნაური ხალხი ხართ. ჰოდა, ჩემი აზრით, დღეს თქვენთან ერთად ქეიფი საინტერესო იქნება, - მანქანა დაქოქა ბორიამ. - ისე უნდა დაგათროთ ორივე, სულ სიბრძნის კბილებში კოცნიდეთ ერთმანეთს, - და ისე, რომ მეგობრების დასტურს არ დალოდებია, მანქანა შინისაკენ გააქროლა.

იმ ღამით მართლა ბევრი დალიეს. გოგა გვარიანად დათვრა. ბორიასაც მოეკიდა ღვინო. არც ავთოს ეთქმოდა ფხიზელი. რამდენჯერმე „გაიპარა“ ფიქრებში და გოგას შეძახილმა მოაბრუნა: „ეე, შენ სადა ხარ, აქ რო არა ხარ?“

გამთენიისას დაიძინეს. ცოტა ხნით მოვატყუოთ თვალიო, თქვეს. მაგრამ, 12 საათამდე ეძინათ.

ჯერ ისევ გაბრუებულებმა საუზმეზე უარი თქვეს და პირდაპირ იმ ხელოსნის სახლისაკენ გაეშურნენ, სადაც მანქანა ჰყავდათ დატოვებული.

მანქანა მზად იყო: „სანთლები ყოფილა დასველებული, მეტი არაფერიო“, - უთხრა ხელოსანმა და ანაზღაურების მიღებაზე ცივი უარი განაცხადა.

ბიჭებმა მასპინძელს დიდი მადლობა გადაუხადეს და გოგას ჟიგული თბილისის გზას დაადგა თუ არა, გამომშვიდობების ნიშნად საყვირი ააჭყვიტინა გოგამ.

ბორიამ მათ დასანახად პირჯვარი გადაიწერა. მერე გაიცინა, ხელი აუწია და თავის ვოლგაში ჩაჯდა.

* * *

* * *

ტაქსი სასტუმრო „როსიასთან“ გაჩერდა.

რაიმონდი მკვირცხლად გადმოხტა მანქანიდან, მერაბს დაელოდა, მერე ხელკავი გაუყარა და შესასვლელისაკენ წაიყვანა.და

მერაბი უცებ შედგა, მოტრიალდა. იქაურობას თვალი მოავლო.

- რა მოხდა? ეძებ ვინმეს? - ხელი გაუშვა ბერეხმა.

- არა. ვის უნდა ვეძებდე? უბრალოდ, დიდი ხანია მოსკოვში არ ვყოფილვარ...

- მოგენატრა?

- ადამიანს ყველა ის ადგილი ენატრება, სადაც კი ოდესმე ცოტა ხანი მაინც უცხოვრია. რა თქმა უნდა, თუ მას იქ ავი არაფერი შემთხვევია.

- შენ მოსკოვში ცხოვრობდი?

- არა, მთლად ასე ვერ ვიტყვი. ისე კი, ხშირად მიწევდა ჩამოსვლა ორი-სამი დღით, ან ცოტა მეტით. სკოლის პერიოდში, ერთ-ერთ საუკეთესო ანსამბლში ვცეკვავდი და საზღვარგარეთ ხშირად ვმოგზაურობდი. მაშინ, მოგეხსენება, მოსკოვის გვერდის ავლით, ვერსად გაემგზავრებოდი. ჰოდა, ჩვენს უცხოეთში გაფრენამდე რამდენიმე დღით აქ ვჩერდებოდით. დაბრუნებისას იგივე ხდებოდა. ასე რომ, მოსკოვი ჩემში ყოველთვის ერთგვარი ტრამპლინის ასოციაციას იწვევდა. ტრამპლინისა, რომლიდანაც ზღაპრულ სამყაროში გადავფრინდებოდი.

მერაბმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ღერი ამოაცურა. წამით გაიყინა. მზერა ერთ ადგილზე შეაჩერა. ჩაფიქრდა. სახეზე ოდნავშესამჩნევი ღიმი გაუკრთა. სიგარეტი ინსტინქტურად პირისაკენ წაიღო. მერე უცებ გამოერკვა, ღერი სწრაფად კოლოფშივე მოათავსა:- წავედით, წავედით, - თქვა და სასტუმროსაკენ დაიძრა.

- გაგახსენდა რაღაც, ხომ? - „გამოიცნო“ რაიმონდმა.

- ჰო, მარსელი. ძალიან ლამაზი ქალაქია. რაღაცით თბილისს გავს.

უხმოდ ავიდნენ მეოთხე სართულზე. ლიფტიდან მარცხნივ გაუხვიეს.

- აი, ეს არის შენი ოთახი, - კარს გასაღები მოარგო ბერეხმა. - გვერდით კი თათიას დავაბინავებთ. სად წავიდა ეს გოგო. სადაცაა დაღამდება.

- ნუ გეშინია, ეგ არსად დაიკარგება, - „დაამშვიდა“ მერაბმა.

რაიმონდმა ამოიოხრა და ორივენი ოთახში შევიდნენ.

- აბა, რას იტყვი? - ოთახის კედლებს გაშლილი ხელები შემოატარა ბერეხმა და გაიღიმა.

- რა უნდა ვთქვა?!

,,ხელები ჩამოუშვი, თუ კაცი ხარო", - დაახლოებით ასე

გაიგო ბერეხმა და ჩამოუშვა კიდეც.

- აბა, ლაბადა გაიხადე, მოეწყვე. ჩავუჯდეთ და, როგორც გითხარი, ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნი.

ბარათაშვილმა ,,დაუჯერა", ლაბადა გაიძრო, იქვე საწოლზე მიაფინა. მერე ჯიბიდან სიგარეტი და სანთებელა ამოიღო. სავარძელში ჩაეშვა.

- მოკლედ, ასე, - ჟურნალების მაგიდის ,,გადაღმა", ,,ბარათაშვილივით მოიქცა" ბერეხი. - დავიწყებ იქიდან, რომ სწორად ვერ გავთვალე, როდესაც პირდაპირ ზაზასთან შეგიყვანე. ეს ბიჭი, თუ ამხელა კაცს კიდევ ბიჭი ეთქმის, ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება. ვერაფრით გამიგია, როგორ მიაღწია იმას, რასაც მიაღწია. საკმაოდ უვიცი და გაუნათლებელი კაცია. არა, ასეთებიც ბევრნი აღწევენ სხვადასხვა სიმაღლეებს, მაგრამ ისინი არაადამიანურად შრომობენ. ყოველდღიურად რაღაც ახალს სწავლობენ, ჭკვიან და მცოდნე ხალხს უჯერებენ, მათ გვერდიდან არ იცილებენ და, რაც მთავარია, ზემდგომთ თვალებში შესციცინებენ. ეს კი აბსოლუტურად საპირისპიროდ იქცევა. არც არაფერი იცის და არც სურვილი აქვს, რამე ისწავლოს. შრომას რაც შეეხება და კეთებას, რა უნდა გააკეთოს, არაფერი იცის და!

- რაიმონდ, თუ ჩვენ საქმეს არ ეხება, ნაკლებად მაინტერესებს იმ იდიოტის სიტყვიერი პორტრეტი და დახასიათება, - შეაწყვეტინა ბარათაშვილმა. - ბოდიშს გიხდი, რომ გაწყვეტინებ. იმაზეც ბოდიშს გიხდი, ამდენი რომ გახვეწნინე აქ წამოსვლაზე. მართლა არ იმსახურებ შენ ჩემგან ასეთ მოპყრობას. გეფიცები, ჩემს თავზე ვბრაზდები. მაგრამ, მე დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ის საქმე, რასაც თქვენი კომპანია აკეთებს, საჩემო არ არის. ვგრძნობ, რაღაც ისეთი შემემთხვევა, რაც შენც დაგაზარალებს და მერწმუნე, ეს ძალიან არ მინდა. უმადური უნდა ვიყო, რომ არ ვთქვა, როგორ რთულ დროს გამომიჩნდა შენი სახით საშველი. ის თანხა, რასაც მე ვიღებ, მომავალშიც ძალიან დამჭირდება, მაგრამ არა იმდენად, რომ სანაცვლოდ საკუთარი ღირსება დავკარგო, ან შენ ჩაგაგდო დიდ უხერხულობაში. ასეთი სამსახური 12-13 წლის წინ რომ მქონოდა, ალბათ ძალიან ვეცდებოდი, არ დამეკარგა. მაგრამ ახლა მე საკუთარ თავზე ისე ვეღარ ვბატონობ, როგორც ოდესღაც. მოყოლა შორს წაგვიყვანს და ძალიან მოკლედ გეტყვი. ბოლო თორმეტ წელიწადში იმდენი ავი შემემთხვა, იმდენჯერ მგვემა ცხოვრებამ და თან ისე მკაცრად, რომ ბევრი, ჩემს ადგილას, ალბათ ვერ გაუძლებდა. ან თავს მოიკლავდა, ან გაგიჟდებოდა. პირდაპირ გეტყვი, ჩემი ნერვების პატრონი ახალ, ჩემთვის უცნობ სამყაროს ვერ შევეწყობი. მითუმეტეს, როგორც დღეს ირკვევა, თურმე საქართველოს დატოვება მომიწევს. ეს კი, უბრალოდ, არ შემიძლია. ხუთ დღეზე მეტს უთბილისოდ ვერ ვძლებ. ერთადერთი ადგილი, სადაც უფრო მეტი ხანი შემიძლია გავჩერდე, მამა-პაპისეული სოფელია. იქაც ჩემი ოჯახია, იქაც ჩემი სახლი დგას და ჩემი ხალხია და იმიტომ. ასე რომ...

- მოიცა, მოიცა, - ხელები გაასავსავა ბერეხმა. - შენ ხომ არ იცი, რას გთავაზობ? შენ ხომ არ იცი, რა ანაზღაურებაზეა ლაპარაკი? იმ ხელფასად, რომელსაც შენ ავსტრიელები გადაგიხდიან, ხალხი ციხეში ჩაჯდომაზეც არ იტყვის უარს რამდენიმე წლით.

- ჰოო? - სიგარეტს მოუკიდა მერაბმა. - აი ეს მესმის! ისე, ყოველთვის მქონდა ეჭვი, რომ ჩემი ფასი მხოლოდ ევროპაში იცოდნენ. გამოგიტყდები და ძალიან მაინტერესებს, მიახლოებით რას უნდა შეადგენდეს ჩემი ანაზღაურება. ღმერთი არ გაგიწყრეს და ათასზე ნაკლები არ შემომთავაზო. იცოდე, მე კარგად ვიცი ჩემი ფასი, - ხუმრობით სცადა აშკარა დაინტერესების შენიღბვა მერაბმა.

- ორიათას ხუთასი, - ცივად, ამაყად თქვა ბერეხმა.

- რაა? - სავარძელში გასწორდა ბარათაშვილი.

- რა და ევრო. ორიათას ხუთასი ევრო.

- თვეში? - ყურებს არ დაუჯერა მერაბმა.

- რა თქმა უნდა, თვეში და ეს, პრემიალურების გარეშე, რაც პირადად შენს მონდომებაზე და ცოტა იღბალზე იქნება დამოკიდებული.

- დაუჯერებელია! - სიგარეტი საფერფლეს დაასრისა მერაბმა და უმალ მეორეს მოუკიდა.

- გარდა ამისა, კომპანია აანაზღაურებს შენი პერსონალური მანქანის საწვავის და მობილური ტელეფონის ხარჯებსაც, - ახლა უკვე რაიმონდი მიესვენა სავარძლის საზურგეს. მერაბი წამით ჩაფიქრდა, თუმცა რაიმონდისათვის თვალი არ მოუშორებია.

- აბა, რას იტყვი, როგორია?

- მოიცა, მოიცა, - ძალიან შორიდან მობრუნდა ბარათაშვილი. - მე არ ვიცი, რისი კეთება მევალება სანაცვლოდ, მაგრამ ჯერ სხვა რამე მაინტერესებს. ავსტრიული კომპანია მზად არის გადაუხადოს დაუჯერებელი თანხა კაცს, რომელსაც არ იცნობს და არ იცის, რა შეუძლია?

- ეს შენთვის არის დაუჯერებელი თანხა... და თანაც, ვინ გითხრა, რომ შენ ავსტრიელები არ გიცნობენ?

- კი მაგრამ, საიდან?

- აქედან, - საჩვენებელი თითი მკერდზე მიიკაკუნა ბერეხმა. - ისინი კარგა ხანია ეძებდნენ ისეთ კაცს, როგორიც შენ ხარ...

- კაი ახლა, ნუ გადამრიე, რაიმონდ.

გაფიცებ ყველაფერს, ნუ დამიმალავ. რა ვარ ამისთანა სანთლით საძებარი და იქნებ

ისიც მითხრა, რა ვიცი ისეთი, ჯერ მეც რომ არ ვიცი, რომ ვიცი.

- დავიწყებ იქიდან, რომ ჰერ არნოლდი, კომპანიის საკონტროლო პაკეტის მფლობელი, მე საკუთარი თავივით მენდობა, რასაც ვერ ვიტყვი ზაზაზე.…

- შენი ჭირიმე, ზაზაზე დროს ნუ დაკარგავ. ილაპარაკე შენზე და, განსაკუთრებით, ჩემზე.

- ჰოდა, ჩემო ბატონო, - განაგრძო კმაყოფილად მომღიმარმა ბერეხმა. - არც ისე დიდი ხნის წინ შეფმა მთხოვა, შემერჩია ისეთი პიროვნება, რომელსაც მე აბსოლუტურად ვენდობოდი და რომელიც ამ საქმეში ნამდვილად გამოგვადგებოდა.

- კეთილი, - ხელი ხელს შემოჰკრა ბარათაშვილმა. - ახლა უკვე მართლა დროა, გადავიდეთ მთავარზე, ანუ „ამ საქმეზე“.

- სიამოვნებით. ვიცი, რომ შენ ყოველთვის დეტალებში გაინტერესებს ყველაფერი. ამიტომ დაწვრილებით აგიხსნი რა, სად და როგორ.

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ შენ კაი ხანია ჩვენს თანამშრომლად ითვლები, მიახლოებითაც კი ვერ წარმოგიდგენია, რა მასშტაბის კომპანიაში მუშაობ. „კ & ფ“-ს, თავადაც იცი, სათავო ოფისი რომ ვენაში აქვს. მაგრამ გარდა ამისა, კომპანიას ავსტრალიისა და, ბუნებრივია, ანტარქტიდის გარდა, ყველა კონტინენტზე აქვს ფილიალები, რომელთა საერთო რიცხვი თოთხმეტს შეადგენს. აქედან სამი - პოსტსაბჭოეთშია: მოსკოვში, თბილისში და ტაშკენტში. სწორედ ამ სამ ფილიალზე მოდის „კ & ფ“-ის შემოსავლების ლომის წილი. ეს არცაა გასაკვირი. საბჭოთა კავშირის დაშლა ჩვენი ბიზნესისთვის ამერიკის აღმოჩენის ტოლფასი იყო. ამის შედეგად გარდაიქმნა ერთი საშუალოზე პატარა ევროპული ფირმა სოლიდურ, ყველასათვის ანგარიშგასაწევ კომპანიად. შუა აზია და კავკასია უმდიდრესი რეგიონებია ხალხური რეწვისა და ხელოვნების ნიმუშების თვალსაზრისით. აქ მოძიებული და შესყიდული გვიანი შუასაუკუნეების ნივთები ჩვენი ანტიკვარიატის მაღაზიებში დიდხანს არ ჩერდება... - უეცრად რაიმონდის მობილური აწკრიალდა.

- Да! ჰო, გისმენ. არ მცალია ეხლა, მოგვიანებით დამირეკე... - აპარატი გათიშა ბერეხმა. - რას ვამბობდი? ჰო, ერთი სიტყვით, როგორც წეღან გითხარი, კომპანიის ძირითადი შემოსავალი ყოფილ საბჭოთა კავშირზე მოდის. ჩვენმა ექსპერტებმა კი დაადგინეს, რომ ამ ტერიტორიაზე კიდევ არის ჩვენთვის სიკეთის მომტანი რეგიონები. მაგალითად, კალმიკეთი, თათრეთი და რუსეთის კიდევ რამდენიმე ავტონომია. უპირველეს ყოვლისა კი, სამხრეთ ვოლგისპირეთია ასათვისებელი.

ტელეფონმა ისევ დარეკა.

- ამას ვის გადავეკიდე, - ისევ აიღო მობილური ბერეხმა. - ბოდიში, ახლავე. რა გინდა, ზაზა? - ბოლო სიტყვა გაწელა უკმაყოფილების ნიშნად. - რას ვაკეთებ და შენს გაფუჭებულ საქმეს ვასწორებ. რას უნდა ვაკეთებდე, შე ჩემა?

„რაიმონდ შეჩემა“, რაიმონდ ბერეხზე უკეთ ჟღერს, მე მგონი“, - გაიფიქრა მერაბმა.

- სად უნდა მოხვიდე? აქ შენ ნამდვილად არა ხარ საჭირო. მე მგონი, გასაგებად გეუბნები. მაცალე საქმის კეთება, გესმის შენ? ვაჰ, ვის გადავეკიდე ამას? - გაბრაზებულმა დაახეთქა ტელეფონი მაგიდაზე რაიმონდმა.

- რა უნდა?

- რა უნდა და მიხვდა, რომ დაერხევა ავსტრიელებისაგან და კუჭი აეწვა. მოსვლა მინდა, საუბარს მეც უნდა დავესწროო. არ „აკლია“ ეხლა მაგას?

- რამდენიც გინდა, - არ „აწყენინა“ ბარათაშვილმა.

- შენ გგონია, ამ საქმეში, - შენთან მოლაპარაკებაზე ვამბობ - შენ გგონია, ვინმემ რამე დაავალა? თვითონ ჩაეჩხირა ჩემი და არნოლდის საუბარში და თვითონ შესთავაზა, ჩემთან დაველაპარაკებითო, თორემ რა, აქ ვერ გეტყოდი, რაც სათქმელი მქონდა?

- ჰოდა, თქვი, თუ კაცი ხარ, ეგ სათქმელი, - შეეხვეწა მერაბი.

- მაცდის რო, ეს ჩემისა! საერთოდ გავთიშავდი ამ ტელეფონს, ბოლოს და ბოლოს. მარა, მერე დააწვება და პირდაპირ მოვა...

- მოვა და მოვიდეს, მაგის ოხერი დედაც ვატირე,- მოთმინების ფიალა აევსო მერაბს. - აღარ იტყვი, ბოლოს და ბოლოს, რას მავალებთ და რა უნდა გავაკეთო?!

- კარგი, ჰო, ახლავე გეტყვი ყველაფერს. ესე იგი, რა ხდება. გიყვები ყველაფერს დაწვრილებით, თავიდან ბოლომდე. ოღონდ გთხოვ, სანამ მოყოლას არ დავამთავრებ, რაც არ უნდა ვთქვა, ნუ გამაჩერებ. ერთი შეხედვით, შეიძლება რამე საჩოთირო გეჩვენოს, მაგრამ ბოლოს მიხვდები, რომ ასე არ არის.…

- გისმენ, - სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა ბარათაშვილი და მოსასმენად მოემზადა.

- ჩვენს კომპანიას, ჩემო მერაბ, რამდენიმე ძალიან მდიდარი მუდმივი კლიენტი ჰყავს. ზოგიერთ მათგანს ათი და მეტი ძვირადღირებული ნივთი აქვს ჩვენგან შეძენილი და ჩვენ მათ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით. შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად, მათზე ვმუშაობთ. ისინი, არც თუ ისე იშვიათად, შეკვეთებს გვაძლევენ. ჩვენ თუ რაიმე მართლა ღირებული ჩაგვივარდა ხელში, ჯერ მათ ვთავაზობთ და ასე შემდეგ.

ერთ-ერთი მათგანია წარმოშობით რუსი, კანადელი მილიონერი, პიერ დავიდოვი. ეს კაცი, ემიგრანტის შვილია. მამამისი

დენიკინთან ერთად იბრძოდა და დამარცხების შემდეგ რუსეთი დატოვა. რამდენიმეწლიანი ხეტიალის შემდეგ კანადაში ამოჰყო თავი. თავისსავით ემიგრანტი რუსი ქალი, გვარად პროტასოვა შეირთო და ტორონტოში დასახლდა. მისი სიმამრი, საშუალო ნიჭის მხატვარი, ილია პროტასოვი, სტიოლიპინთან დაახლოებული კაცი იყო და ბეწვზე გაასწრო კომუნისტებს პეტერბურგიდან. ერთი საათით ადრე შეიტყო, რომ მის დაპატიმრებას აპირებდნენ და, ფაქტიურად, ვერაფრის წაღება ვერ მოასწრო. სახლი

და ქონების უდიდესი ნაწილი, მათ შორის ორმოცზე მეტი ფერწერული ტილო, იმავე დღეს ხანძარმა შთანთქა. ოთხიოდე სურათი, ალბათ ყველაზე გამორჩეული, მაინც გაიყოლა თან. ეს სურათები ახლა მის შვილიშვილს, პიერ დავიდოვს ეკუთვნის და ამ უკანასკნელმაც იცის, რომ მათი ერთადერთი ღირებულება ის არის, რომ ავტორი, მფლობელის ღვიძლი პაპაა. ესეც არ იყოს, პიერი მხატვრობის დიდი ცოდნით არ გამოირჩევა. უფრო მეტიც, მისი შეძლების პატრონს, კაცს, რომელსაც შედევრებზეც კი მიუწვდება ხელი, იმ ოთხი პაპისეულის გარდა, სულ რამდენიმე სურათი აქვს და ისიც ინტერიერის დამატებაა და მეტი არაფერი. მაგრამ არის ერთი ტილო, რომელშიც დავიდოვი მზად არის არნახული თანხა გადაიხადოს. ეს მისი მხატვარი პაპის ერთ-ერთი ავტოპორტრეტია, რომელიც იმან გადაარჩინა, რომ იგი პროტასოვის დის საკუთრება იყო. იმ ქალს ძმა ისე უყვარდა თურმე, რომ ეს სურათი საძინებელში ეკიდა. გაუთხოვარი ყოფილა, მაგრამ გარდაცვალებამდე ძმისათვის წერილი გაუგზავნია, სადაც ისიც იყო ნათქვამი, რომ მისი პორტრეტი ახლაც თან ჰქონდა და აბასთუმანში სამკურნალოდ ჩასულს, ისევ საძინებელში ეკიდა.

პროტასოვმა იმის გაგება როგორღაც მოახერხა, რომ მისი და აბასთუმანში დაიღუპა. მაგრამ, სად დაკრძალეს, ამის შესახებ სიცოცხლის ბოლომდე ვერაფერი შეიტყო.

თავად ილია პროტასოვი თავისი სურათით აღარც დაინტერესებულა. აზრიც არა ჰქონდა უბრალოდ და ამიტომ. მაგრამ ამ დროს უკვე დაბადებული იყო ადამიანი, რომელიც იმდენად ჰგავდა ილიას, რომ მიუხედავად ასაკში ვეებერთელა სხვაობისა, ეს მსგავსება მეტად თვალშისაცემი იყო. ეს ადამიანი, როგორც თავად მიხვდები, ჩვენი კლიენტი, პიერ დავიდოვია, ილია პროტასოვის ქალიშვილის ვაჟი.

მე პირადად, კარგად ვიცნობ პიერს და როცა პაპამისის სურათი მაჩვენა, გავოცდი. ეს, ფაქტიურად, ტყუპისცალთა ტოლფასი მსგავსება იყო.

სწორედ ამიტომაა პიერი ასე დაინტერესებული ამ სურათის ბედით. იგი თურმე უკვე თხუთმეტი წელია ყველანაირად ცდილობს რაიმე შეიტყოს მის თაობაზე. ოთხჯერ იყო საქართველოში სპეციალურად ამ საქმეზე, მაგრამ ამაოდ. სურათის შესახებ არავინ არაფერი იცის. ერთ-ერთი შეხვედრისას, ეს ავსტრიაში იყო, მან გაიგო, რომ საქართველოდან ვიყავი და მთხოვა მომესმინა მისგან აი, ეს ისტორია, რომელიც მე მოგიყევი. თხრობა რომ დაამთავრა, ისეთი სახე ჰქონდა... რაღაცნაირად საცოდავი, მუდარით სავსე. ვიფიქრე, ეს მალე აქვითინდება-მეთქი. რაიმე ნივთის მოპოვების მსგავსი სურვილით შეპყრობილი ადამიანი არასოდეს მინახავს. თან ბევრი კი არაფერი უთქვამს, უმორჩილესად გთხოვთო თქვა და გაჩუმდა. აღარაფერი დაუყოლებია, რას მთხოვდა, ან მე რატომ მთხოვდა. მაგრამ ყველაფერი მის სახეზეც ძალიან ნათლად იკითხებოდა და ამას თვითონაც გრძნობდა ალბათ.

ისე უხერხულად ვიგრძენი თავი, ისე, რომ მეტი არ შეიძლება. მომნუსხა ამ კაცის უხილავმა ძალამ… და ჩემმა სიტყვებმა მე თვითონ გამაკვირვეს: აუცილებლად მოგიძებნი-მეთქი ვუთხარი, მაგრამ ეს ფრაზა ჩემი არ იყო, თავში ამდაგვარი არაფერი მომზადებულა და მოფიქრებულა. თვითონ მაიძულა თითქოს, მეთქვა. თვალებით მიკარნახა და მერე ძალით მათქმევინა.

ამის გაგონებაზე ჯერ სახე გაეშალა, მერე ნელ-ნელა ღიმილი შეეპარა და უცებ მებდღვნა,

ისე მაგრად ჩამიკრა გულში, ძლივს მოვიშორე ის ჩემისა.

რაღა ბევრი ვილაპარაკო და რამდენიმე წელია, კვირაში ორჯერ მაინც მირეკავს და მეკითხება, რას შვრები, ახალი ხომ არაფერიაო.

მთელი საქართველო თავდაყირა დავაყენე, მის მიერ გამოგზავნილი თავისი და პაპამისის ფოტოებით მოვიარე სამხრეთი, დასავლეთი თუ აღმოსავლეთი, მარა გუშინდლამდე არაფერი მსგავსი არ შემხვედრია.

- რა, იპოვნე? - აღტაცებით წამოიყვირა ამ ხნის განმავლობაში სმენად ქცეულმა ბარათაშვილმა.

- მე არა. რომ გითხრა ვინ იპოვნა, გადაირევი.

- ვინ?

- ძაღლის ბედი ვისაცა აქვს, იმან. აბა, ბედი რომ არ ჰქონდეს, აქამდე ცხრაჯერ გააგდებდნენ აქედან.

- არ გადამრიო, ზაზამ?

- სწორედ რომ ზაზამ. ორი კვირის წინ ვუთხარი ისე, სხვათა შორის. ტელეფონზე საუბრისას შევჩივლე, შემჭამა იმ კანადელმა-მეთქი. და აგერ გუშინ დამირეკეს, სასწრაფოდ ჩამოდიო.

- კი მაგრამ, სად? როგორ? მართლა მაგარი ყოფილა ეგ კაცი, ძმაო. რაც მართალია, მართალია.

- შენ ჩემი არ გჯერა? მაგარი კი არა, ეგეთი უცოდინარი და „ფეხზე მკიდია“ ადამიანი ბევრი არ შემხვედრია, მაგრამ ხომ გაგიგონია, იღბალი მომეცი და თუ გინდა, ცივ ქვაზე დამსვიო. თბილისში ძმაკაცი ჰყავს ერთი. ვიღაც მომხატვრო

ტიპი. იმისათვის დაურეკავს და უთქვამს, ასე და ასეო. იმასაც თავისიანებში გაუკითხავს და აჰა! არ არის ბედი? თორემ მხატვარი კი არა, „მალიარიც“ არ დამიტოვებია, ამის შესახებ რომ არ მეკითხოს.

- და სად არის ეს პორტრეტი?

- თბილისში, ერთ-ერთ ოჯახში იყო.

- მერე?

- მერე ის, რომ როდესაც ზაზამ ამ პორტრეტს მიაკვლია, იმის მაგივრად, რომ ჩემთვის დაერეკა და შეეტყობინებინა, დამოუკიდებლად გადაწყვიტა მისი მოპოვება. ისევ თავის ძმაკაცს დაურეკა და იმ ოჯახში მიაგზავნა. იმანაც დაადო თავი, პირდაპირ მივიდა და ყველაფერი იმ ოჯახის უფროსს მოუყვა: უთხრა, თუ როგორ ეძებს იმ სურათს უცხოელი მილიონერი. ხვდები, ამის შემდეგ რაც მოხდებოდა?

- დიდი ფული მოითხოვა ალბათ?

- დიდი! არც მეტი, არც ნაკლები, ასი ათასი დოლარი! ამ თანხას ჩვენ კიდევ გადავიხდიდით, მაგრამ ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა: თანხის მასშტაბურობით აღფრთოვანებულმა ზაზასავით ერთუჯრედიანმა შუამავალმა სურათი ერთ ნაცნობ კრიმინალს მოაპარინა და თანაც, ვისაც მოაპარინა, იმასაც ყველაფერი ჩამოუჭიკჭიკა.

- ის კი, ალბათ, სურათიანად აორთქლდა?

- არა, თავის ნაცნობ კანონიერ ქურდთან მიიტანა. ეს უკანასკნელი კი ზაზას დაუკავშირდა და უთხრა, რომ სურათი მასთან არის, მისია და იგი მილიონი დოლარი ღირს.

- აუჰ!..

- ჯერ სადა ხარ. ფინალი საერთოდ შედევრია. დაუნმა ზაზამ შეცდომის გამოსწორება კიდევ ერთხელ განიზრახა და მოსკოველ ქურდებს მიაკითხა დასახმარებლად….ისინიც დაეხმარნენ… თბილისელ „კოლეგას“ დაუკავშირდნენ და...

- და თანხა გააორმაგეს?

- არა, გაასამმაგეს. გარდა ამისა, შეგვატყობინეს, რომ თუ თანხა ერთ კვირაში გადახდილი არ იქნება, ის კიდევ გაიზრდება.

- ეგ ეგრეც იქნება. შავებმა კარგად იციან - რა, რა ღირს. ჭკვიანი ხალხია.

- გეთანხმები. ჭკვიანი და წინდახედული. მათ იმ სურათის მფლობელთან კაცი მიაგზავნეს და უთხრეს, რომ თუ გაჩუმდებოდა, სანაცვლოდ ასორმოცდაათ ათასს მიიღებდა. თუ იჩივლებდა და, იმ ქონებასაც დაკარგავდა, რაც დარჩა. ისინიც გვარიანად შეშინდნენ და, რა თქმა უნდა, ბედს დაემორჩილენ... აი ასე, ამ დღეში ჩაგვაგდო ამ იდიოტმა ზაზამ.

- ავსტრიელმა იცის ეს ყველაფერი?

- მე შევატყობინე, სხვა რა გზა მქონდა?!

- მერე, არ გადაირია?

- არნოლდს ვერასოდეს შეატყობ, გადარეულია თუ გახარებული. მან ერთი რამ გვითხრა მხოლოდ. რომ ხვალ აქ იქნება და მის ჩამოსვლამდე არაფერი არ უნდა მოვიმოქმედოთ. ერთადერთი რამ დამავალა: სასწრაფოდ მომეძებნა კაცი, რომელიც თბილისური ცხოვრების წესს კარგად იცნობს და რომელსაც ჩვენ ასი პროცენტით ვენდობით.

- და ასეთი კაცი მე ვარ!

- ჰო, ასეა! შენ ოდესღაც მითხარი, რომ არ არსებობს მოღვაწეობის სფერო, რომელშიც

„შენიანი“ არ მოიძებნება. ვფიქრობ, არც შავი სამყარო უნდა იყოს გამონაკლისი. თანაც...

- თანაც შენ იცი, რომ ბიძაჩემი, ოთარ ბარათაშვილი ზემოხსენებულ სამყაროში სერიოზული ავტორიტეტია. ასეა?..

- გამოგიტყდები და ასეა. მაგრამ, გეფიცები, მარტო ამ ერთჯერადი აქციისათვის არ გვჭირდები. თითქმის გადაწყვეტილია, რომ სამხრეთ ვოლგისპირეთის ფილიალის ხელმძღვანელად შენ დაინიშნები. ფილიალი ასტრახანში იხსნება და რაც ზემოთ გითხარი, ყველაფერი რეალურია. უბრალოდ, მანამდე ეს ერთი დავალება უნდა შევასრულოთ.

- ახლა ყველაფერი გასაგებია. თუ გამოცდა ჩავაბარე, მაღალანაზღაურებადი ასტრახანელი გავხდები. თუ არა და, ალბათ იმასაც დავემშვიდობები, რაც თბილისში მაქვს.

- არავითარ შემთხვევაში. მე ვარ ამის გარანტი, რომ შენ ვერავინ შეგეხება. უბრალოდ იმიტომ, რომ შენ მე საკუთარი თავივით გენდობი და ეს ჩემს საქმეს და მოღვაწეობას სჭირდება. მთავარია, ავსტრიელს დახმარებაზე უარი არ უთხრა. ჩაერთე ამ საქმეში და მიუხედავად იმისა, რა შედეგს მივიღებთ, მე ვეცდები, შენი დაწინაურება არ შეფერხდეს. აბა, რას იტყვი?

- ჩემო რაიმონდ, - დაიწყო მცირე პაუზის შემდეგ ბარათაშვილმა. - პირველ რიგში, გეტყვი იმას, რომ ბიძაჩემთან მე, ასეთი თხოვნით, არასოდეს მივსულვარ. საქმე იმაშია, რომ მე მისი ცხოვრების წესი არასოდეს მხიბლავდა და ეს თავადაც კარგად იცის. მე რომ მას რამე ვთხოვო, იგი აუცილებლად „თავისიანებს“ დაიხმარს. ერთ მშვენიერ დღეს მათაც შეიძლება ჩემი დახმარება დასჭირდეთ და დავალებული თუ ვიქნები მათგან, მეც უნდა გავუმართო ხელი. სხვანაირად, უსინდისო კაცად ვიგრძნობ თავს. აი, იმათ რაში დავჭირდები, მე არ ვიცი. თვითონ, ბიძაჩემის ხათრით, დარწმუნებული ვარ, არაფერს მთხოვენ. მაგრამ, მე თუ გავიგე, რომ უჭირთ და არ დავეხმარები, მთლად ღირსეული საქციელი ვერ იქნება.

- არ გეწყინოს მერაბ, მაგრამ რაც დრო გადის, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზიხარ და თხზავ კანონებს, რომლებიც ცხოვრების გართულებაში დაგეხმარება. მერე კი მათ ასრულებ და ამით ერთობი, - უსიამოვნოდ, უხერხულად, მაგრამ

გულწრფელად აღმოხდა ბერეხს საყვედური.

- მე კანონებს არ ვწერ. არც დაწერილი კანონების ბრმა შემსრულებელი ვყოფილვარ ოდესმე. არც შენ გეწყინოს, მაგრამ ერთი ამბით გავიმართლებ თავს. თუ არ ვცდები, სამოციან წლებში, საფრანგეთში ფსიქოლოგებმა გამოკითხვა ცაატარეს თურმე. ათას ქალს ჰკითხეს, თუ რას აფასებენ ყველაზე მეტად მამაკაცში. და იცი, რა უპასუხა მათმა 70-მა პროცენტმა? ღირსებას! არც გარეგნობას, არც სიმდიდრეს, არც ინტელექტს, არამედ ღირსებას! - ჩვეულებრივზე ნელა, პედაგოგივით თქვა ყოველივე ბარათაშვილმა და სიგარეტს მოუკიდა.

- მერაბ, იცი, - ძალიან შეაწუხა მერაბის რეაქციამ ბერეხი. - გეფიცები, მე შენი განაწყენება აზრადაც არ მომსვლია. უბრალოდ...

- უბრალოდ, იმდენად მნიშვნელოვანია შენთვის იმ სურათის ხელში ჩაგდება, რომ ემოციები ვერ მოთოკე და ის თქვი, რასაც დიდი ხანია ფიქრობდი.

- არა, არა, დედას გეფიცები.…

- კარგი, არ არის საჭირო. ისეთი არაფერი გითქვამს, თავის მართლება გჭირდებოდეს. შენ თქვი, რასაც ფიქრობდი. მეც გიპასუხე, რასაც ვფიქრობ. ამით დავამთავროთ.

- რა უნდა დავამთავროთ? - შეშფოთდა ბერეხი.

- ჩვენი არასასიამოვნო დიალოგი, რაიმონდ. საქმეს დავუბრუნდეთ.

- აგაშენა ღმერთმა! - ხასიათი მოუბრუნდა ბერეხს.

- ესე იგი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ. ბიძაჩემი და მისი ამქარი გამოვრიცხოთ. თუ ამის გათვალისწინებით კიდევ არსებობს ამ საქმეში ჩემი ჩართვის საჭიროება, მზად ვარ მოგისმინო.

რაიმონდი ჩაფიქრდა, ძალიან დაძაბა გონება, სახეზე ნაკვთები „აულაპარაკდა“. ტანჯვა გამოეხატა.

მერაბს ძალიან შეეცოდა ბერეხი იმ წუთში. უფრო მძაფრად შეიგრძნო, რაოდენ მასშტაბური იყო მისთვის ეს პრობლემა. ძლიერი თანაგრძნობით განიმსჭვალა. ძალიან საცოდავი და უბედური ეჩვენა და იმიტომ.

- იცი რა, რაიმონდ... - დაიწყო ბარათაშვილმა რიხიანად.

- რა? - თითქმის წამოიყვირა უეცრად გონსმოსულმა ადრესატმა.

- მოდი, ერთად მოვიფიქროთ, რისი გაკეთება შეიძლება ისე, რომ არც მწვადი დავწვათ და არც შამფური. რატომღაც მგონია, გამოსავალი არსებობს. შინაგანი ხმა მეუბნება.

- რა ვიცი, რა ვიცი, რა გითხრა. ეგ ხალხი იმ სურათს ფასს არ დააკლებს. ასე მგონია. თავისი სიტყვიდან „შავები“ ფაქტიურად არ გადადიან, შენც კარგად იცი. ერთადერთი ის იყო, რომ ვინმეს, ავტორიტეტულს...

- რაიმონდ, ხომ გთხოვე?.. - სიტყვა შეაწყვეტინა მერაბმა.

„სამარე ვარო“, - ტუჩებზე ხელი მიიფარა ბერეხმა და ამოიოხრა.

- ჯერ ერთი, რატომ გგონია, რომ ფასს არ დააკლებენ? ანდა, ფასის დაკლებას რატომ თვლი სიტყვიდან გადასვლად? ის კაცი ამბობს, სურათი ჩემია და ღირს სამი მილიონი. ესე იგი, ყიდის. რადგან ყიდის, ქურდია თუ პროკურორი, შევაჭრებაც შესაძლებელია. ვთქვათ, არ დაუკლეს ამ თანხას და ვერ იყიდა თქვენმა კომპანიამ. რა, კიდევ

გამოჩნდება ვინმე, ვინც ათას დოლარს მაინც გადაიხდის მასში? რა თქმა უნდა, არა.

- გამოჩნდება. ისინი შეეცდებიან თავად მოძებნონ ის კანადელი მილიონერი. ამას, რა თქმა უნდა, დრო დასჭირდება. მაგრამ, ადრე თუ გვიან, იპოვნიან და შენ წარმოიდგინე, შეიძლება გაცილებით მეტიც კი მიიღონ. საბედნიეროდ, დღეს მათ არც იმ კაცის სახელი და გვარი იციან და არც მისამართი. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩავლენ იმ კანადაში, ჩაიტანენ იმ სურათსაც და იპოვნიან იმ კაცს. ეგენი ესეთ საქმეებს ახერხებენ და თანაც ბევრზე უკეთ.

- ტელეფონი იცი, იმათგანის ვინმესი?

- ჩვენ არა, იმათ იციან ჩემი და ზაზას ტელეფონები. რა არის?

- როდის დაგიკავშირდებიან პასუხზე?

- არ ვიცი. ერთი კვირა მოგვცეს. ალბათ, ერთი კვირის თავზე.

- ეგ ერთი კვირა თქვენ კი არა, თავის თავს მისცეს. ეგენი ამ დროს თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ: ეცდებიან იმას მიაკვლიონ, ვინც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული იმ პორტრეტით და თავად გამართონ მოლაპარაკება. თუ ვერაფერი გამოუვიდათ, ,,დღევანდელი კვერცხის" პრინციპით იმოქმედებენ და იმ თანხას აიღებენ, რასაც თქვენ რეალურად გადაუხდით. ეს ორჯერ ორივით არის.

- დასაშვებია, ხომ იცი შენ?! რატომაც არა?!

- დასაშვებია კი არა, როგორც შენ მითხარი, თუ ყველაფერი ისეა, წყალი არ გაუვა, უკვე მოძრაობენ.

- რა უნდა ვქნათ?

- როგორმე დღეს-ხვალ, უკიდურეს შემთხვევაში, ზეგ მაინც უნდა დავუკავშირდეთ.

- რანაირად? ტელეფონი ჩვენ არ ვიცით და მისამართი.

- ზაზამ იცის იმის ტელეფონი, ვინც ქურდებზე გავიდა. ჰოდა, დაუკავშირდეს და უთხრას, რომ დალაპარაკება გვინდა.

- რომ დამირეკავენ, რა ვუთხრა? სამი მილიონი მზად მაქვს და თბილისში მოვფრინავ-მეთქი? სხვა შემთხვევაში საუბარს არ გააგრძელებენ.

- რამდენის გადახდა შეუძლია კომპანიას?

- კომპანიას ბევრის გადახდა შეუძლია. მთავარია, რა რამდენი უღირს.

- რა გჭირს რაიმონდ? მე ხომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში

გეკითხები. რა საჭიროა ეს სიტყვაკაზმულობა. მაინტერესებს, რამდენია მაქსიმუმი ამ

სურათის ხელში ჩასაგდებად? კომპანია რამდენს გაიღებს ისე, რომ ხეირიც ნახოს?

- მაგას ახლა ვერავინ იტყვის. უფრო სწორად, ეს არავის ეცოდინება მანამ, ვიდრე ავსტრიელი არ ჩამოვა და პირადად არ გაარკვევს პიერ დავიდოვთან საუბარში. ის, რა თქმა უნდა, ჯერ კბილს მოუსინჯავს, მერე თავად კანადელს ათქმევინებს, რა უღირს. ამის შემდეგ აწონ-დაწონის ყველაფერს და... მოკლედ, ჩვენ არ ვიცით, რამდენის გადამხდელია ის კაცი. ოჰ, - ამოიოხრა უცებ რაიმონდმა და ცრემლებით გაევსოოო თვალები.

- რა გჭირს, რაიმონდ? ტირი კაცო? - მხარზე ხელი დაადო ბარათაშვილმა.

- არა, - თვალები ცხვირსახოცით შეიმშრალა ბერეხმა. - კი არ ვტირი, ნერვებს ვეღარ ვთოკავ. ასეთი საქმე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არა მქონია. ასეთი შანსი ჩემისთანა ადამიანების ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ჩნდება და აჰა, დამღუპა იმ ნაბიჭვარმა. სამი მილიონი ის თანხა იყო, რომელზეც დავიდოვი ულაპარაკოდ წამოვიდოდა. ამას, ალბათ, ერთსაც მივამატებდით და მარტო ჩემს წილად, მინიმუმ ნახევარი მილიონი მრჩებოდა. წარმოგიდგენია, ეს რა თანხაა?! ამ თანხით, ამდენი ფულით... არც კი ვიცი... ბევრს შევცვლიდი... ყველაფერს! სახელსა და გვარსაც კი! - აღელვებული, ხელების ქნევით, ერთ ადგილს ჩაშტერებული ლაპარაკობდა ბერეხი. ცრემლები აღარ მოსდიოდა, მაგრამ ახლა უფრო ჰგავდა მტირალს.

- ზაზას დაურეკე. უთხარი მოვიდეს, - თქვა მტკიცედ ბარათაშვილმა და მაგიდაზე დაგდებული ტელეფონი პატრონს გაუწოდა.

- ჰა? ზაზას? - ისევ გამოერკვა რაიმონდი. - შენ ასე ფიქრობ? - ტელეფონი ჩამოართვა და მერაბის უფრო დამაჯერებელ ფრაზას დაელოდა.

- დაურეკე, დაურეკე. თუ არაფერში გამოგვადგება, დაშავებით რომ ვერაფერს დაგვიშავებს, მაგის გარანტიას მე გაძლევ.

ბერეხს აღარაფერი უთქვამს, დარეკა. ზაზას სართული და ოთახის ნომერი უკარნახა და „მხოლოდ დროულად, შე ჩემაო“, დააყოლა.

- ეხლა იმაზე მითხარი, რაც წეღან გკითხე და შეეცადე, უფრო კონკრეტული პასუხი გამცე: მიახლოებით რამდენს გადაიხდის კომპანია ისე, რომ უღირდეს თავად და არც ისინი დააფრთხოს თბილისში?

- აკი გითხარი, ვერ გეტყვი-მეთქი. ჩამოვა არნოლდი და ის გადაწყვეტს. შეიძლება ისეც მოხდეს, ერთი ცენტიც ვერ მოვიგოთ, მხოლოდ ხარჯები ავინაზღაუროთ და დავიდოვისთვის ის პორტრეტი მაინც მოვიპოვოთ, რადგან ესეთი კლიენტის დაკარგვა კომპანიას არ აწყობს. გარდა ამისა, ის კაცი ისეთ საზოგადოებაში ტრიალებს, არნახული რეკლამა იქნება ჩვენთვის. წარმოგიდგენია, ის რომ თავისი ამდენი ხნის ოცნებას აისრულებს, რამდენ თავისნაირს მისცემს ჩვენს მისამართს?

- რა დროს ჩამოდის ავსტრიელი?

- ეგ არ ვიცი, მაგრამ დღის პირველ საათზე რომ ოფისში მივა, ეს ფაქტია.

- აეროპორტში არ ხვდებით ბოსს?

- არა და არც არასოდეს დავხვედრივართ. არ უყვარს რატომღაც. ხომ გეუბნები, ძალიან თავისებური კაცია.

რაიმონდმა კიდევ რამდენიმე უცნაურობა თუ მახასიათებელი აღნიშნა საკუთარი უფროსისა და ზაზამაც არ დაახანა, კარი ისე შემოაღო, თითქოს სიგარეტის გადასაგდებად იყო გასული და შემობრუნდაო.

- ეხლა, სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, - რიხიანად დაიწყო მოსულმა. - ორივემ კარგად მომისმინეთ.

- ეხლა შენ, სანამ ფანჯარას გავაღებდე და გარეთ გაგისროდე, აგერ საწოლზე ჩამოჯექი. თანაც შენი ხმა არ გავიგო, სანამ რამეს არ შეგეკითხები, - უეცრად ფეხზე წამოვარდნილმა ბარათაშვილმა ზაზას ხელი მკლავში წაავლო და საწოლზე დაახეთქა.

- შენ... ბიჭო,…მე... - ფეხზე წამოწევა სცადა ნირწამხდარმა, ასეთ მოპყრობას მიუჩვეველმა, განცვიფრებულმა ზაზამ, მაგრამ მერაბმა უეცრად ისეთი ძალით ჩაარტყა გაშლილი ხელი თავში, რომ ტყლაშუნის ხმაზე რაიმონდი შეხტა და სავარძლის საზურგეს აეკრა.

დარეტიანებული ზაზა ლოგინზე გადაწვა. ინსტიქტურად ხელები აზრიალებულ თავზე წაიფარა და ქვემოდან სულელივით ამოხედა დოინჯშემოყრილ ბარათაშვილს.

მერაბს უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა თავში და ისევ ზაზასკენ დაიხარა. გაახსენდა, რომ შეიძლებოდა, ეს უკანასკნელი შეიარაღებულიც ყოფილიყო. ჯერ ისევ შოკში მყოფ ზაზას ეგონა, ისევ მირტყამსო და „ჩანასახის“ პოზაში მოიკრუნჩხა. ბარათაშვილმა წელის ის ნაწილი შეუმოწმა, რომელიც ზევით მოხვდა, მერე კუტივით გადააგორა და მეორე მხარეც უნახა. გულმკერდზეც მიუტყაპუნა ხელები.

ზაზა „სუფთა“ იყო.

მერაბი ისევ სავარძელში ჩაჯდა. ოდნავ ათრთოლებული ხელით კოლოფიდან სიგარეტი ამოაცურა და მოუკიდა.

- სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, შენს გასაგონად ვამბობ, - მიმართა საწოლის მესამედზე „განთავსებულ“ ზაზას. - გირჩევ, ისე მოიქცე, როგორც გონიერ არსებას შეშვენის. სანამ მე აქ ვარ, თავხედობაზე და ტუტუცურ გამოხდომებზე უარის თქმა მოგიწევს. ჩემი წასვლის შემდეგ შეგიძლია, ისევ მოახტე ცოცხს და იფრინო შენთვის ზღაპრად ქცეული ქალაქის ცაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საიდანაც მოგიწევს გადაფრენა, წეღან უკვე გაჩვენე. მე მგონი, ყველაფერი გავარკვიეთ.

ახლა მე გავალ, ათიოდ წუთში დავბრუნდები და როცა დავბრუნდები, დავჯდებით და

კაცურად ვილაპარაკებთ საქმეზე. თუ ვინმეს წასვლა უნდა, წავიდეს. რაიმონდ, თუ შენ თვლი, რომ მე აღარა ვარ აქ საჭირო, წავალ.

- არა, არა, მერაბ, რა სისულელეა! შენ რომ დაბრუნდები, აქ სულ სხვა სურათი დაგხვდება. პირდაპირ საქმეზე გადავალთ, გპირდები, - სწრაფად „ჩამოყარა“ ბერეხმა და სავარძლიდან ისე წამოდგა, თითქოს ზაზა უნდა „აელაგებინა“ და „გაესწორებინა“.

- კეთილი. მე მალე დავბრუნდები, - ბარათაშვილი გავიდა და კარი ფრთხილად მიიხურა.

ჰოლში ჩავიდა, გაიარ-გამოიარა. იქაურობა დიდი ხნის უნახავი ნაცნობივით შეათვალიერა. მერე გარეთ გავიდა. გაჩახჩახებული ქალაქის სინათლეებს გაუშტერა თვალი. ისევ ჩაფიქრდა… და ისევ გაუკრთა ღიმი სახეზე: ბარსელონაც ძალიან მოეწონა მაშინ, ოცი წლის წინ...

უეცრად გააკანკალა. სიცივემ „მოაბრუნა“ კატალონიიდან. ახლაღა დააფიქსირა, რომ ლაბადის გარეშე იყო გამოსული. უმალ შეტრიალდა და ძუნძულით შებრუნდა სასტუმროს ჰოლში.

როდესაც ოთახის კარი შეაღო, ხელში მხოლოდ საწოლზე ჩამომჯდარი, თავჩაქინდრული რაიმონდი შერჩა.

- ეე, წავიდა? - ცოტა არ იყოს გაუკვირდა მერაბს.

- ჰო, - საწყალი, ნაგვემი სახით შეაცქერდა ბერეხი.

- რა თქვა, სანამ წავიდოდა?

- არაფერი. ადგა უხმოდ და წავიდა. კიბემდე მივყევი. ვეხვეწე, ვემუდარე... შენც არ მომიკვდე. ისე დაეშვა, პასუხიც არ გაუცია.

- კაცო, მე გარეთ ვიდექი. თუმცა... - გაახსენდა რომ გარეთ კი იდგა, მაგრამ „იქ არ იყო“. - როგორ, აი ეგრე, არც ავი უთქვამს, არც კარგი. ადგა და წავიდა?

- ზუსტად ეგრე, - მოღლილი სახე სულ „დაეჩუტა“ ბერეხს.

- ხვალ შენი შეფი რომ ჩამოვა, ზაზაც ხომ შეხვდება?

- რასაკვირველია. ის ოფისში მივა და ზაზა რომ არ დახვდეს, გამორიცხულია.

- მაშინ ყველაფერი რიგზეა. იქ ვათქმევინებთ, რაც უნდა თქვას. ის ავსტრიელი, როგორც შენ ამბობ, საღად აზროვნებს. ჰოდა, როცა საქმის ვითარებას კარგად გაეცნობა, ვფიქრობ, თავად მივა იმ აზრამდე, რომ თბილისთან დაკავშირება საჩქარო საქმეა.

- მეც ასე ვფიქრობ. აი, ლაპარაკით კი...

- მე დაველაპარაკები, რა პრობლემაა. ჩვენ ჩამოვყალიბდეთ, დავადგინოთ რამდენის

გადამხდელია კომპანია და დარწმუნებული ვარ, იმათ იმდენს დავაკლებინებთ, შენი ხასიათი ცოტათი მაინც რომ გამოასწოროს.

- შენ გაიხარე! შენ რომ ლაპარაკობ, ასე მგონია...

- კანონს ვადგენ, არა?

- კარგი, რა. აღელვებული ვიყავი და წამომცდა, შე კაი კაცო. აღარ უნდა დაივიწყო?

- გეხუმრე რაიმონდ, გეხუმრე, - ჩაიცინა მერაბმა. - მოკლედ, ესე. ხვალამდე ჩვენ სანერვიულო აღარაფერი გვაქვს. შეგვიძლია დავისვენოთ და მოვემზადოთ.

- რა თქმა უნდა, - წამოდგა ბერეხი. - მე წავალ. შენ დაისვენე, დაიძინე და ხვალ დილით გამოგივლით. სად არის ეს გოგო ამდენი ხანი, კაცო?! - ჭაღარა თავი უკმაყოფილების ნიშნად გააქნია ბერეხმა და ისევ ამოიოხრა.

- ტელეფონზე რატომ არ ურეკავ?

- არ პასუხობს. ხუთჯერ მაინც დავურეკე. სად არის ამისთანა ადგილზე, რომ არ ესმის? გადის და არ პასუხობს.

- ნუ ნერვიულობ. მოვა, სად წავა?

- წასასვლელის მეტი რა აქვს?! ცხონებული დედამისის მეგობრები აქ არ ცხოვრობენ?

- ჰოდა, აბა რა გინდა? მოინახულებს იმათ და დაბრუნდება, - დაამშვიდა ბარათაშვილმა.

- კაი, კაი, რა გაეწყობა. წავედი ახლა მე და.. რა მინდა გთხოვო. რომ მოვა, იქნებ უთხრა, რომ დამირეკოს..

- მე თავად დაგირეკავ, მაგრამ გვიანობამდე რომ არ მოვიდეს? უფრო სწორად... უფრო სწორად, მე რომ მეძინოს და ვერ გავიგო მისი დაბრუნება? ან იქნებ, სულაც იქ დარჩეს, სადაც არის.

- ჰო, რა ვიცი.. მოკლედ, თუ გაიგე რომ დაბრუნდა, დამირეკე. თუ არა და, რაც იქნება, იქნება. ის კი იცის, ხვალ პირველზე რომ ავსტრიელი ოფისში იქნება და მოვა.

- რა იცი? იქნებ არც იქ მივიდეს? თათიასაგან გასაკვირი არა მგონია, იყოს.

- შანსი არაა. ავსტრიელმა მთხოვა მისი აქ ჩამოყვანა და ეს თავადაც კარგად იცის.

- ავსტრიელმა გთხოვა?

- ჰო. ნუ ეტყვი, რომ გითხარი და არნოლდს ძალიან მოსწონს ეგ გოგო... უცოლო კაცია. არაა გამორიცხული, სერიოზული შედეგით დამთავრდეს ეს ყველაფერი.

- ვა, ყოჩაღ თათია! მე თარჯიმანი მეგონა, თურმე საპატარძლო ყოფილა.

- ეგრეა, თორემ მაგის თარჯიმნობა მე რაში მჭირდება. უცხო ენები მაგაზე მეტი ვიცი და თან, ზოგიერთი - უკეთესადაც.

- მოიცა, მოიცა. დიდი ხანია, ეგ ამბავი დღის წესრიგში დგას?

- წელიწადი იქნება. არნოლდმა პირველად თბილისში ნახა და ძალიან მოეწონა. მერე მოსკოვშიც შეხვდა. ორჯერ ავსტრიაშიც დაგვპატიჟა თითო

კვირით, ვითომ ოფიციალურ საქმეზე, მაგრამ იქ ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია.

- თათია, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იქნება?!

- ნურას უკაცრავად! შენ მაგას არ იცნობ. ისე ცივად ეპყრობა, თითქოს მილიონერი კი არა, მედუქნე იყოს ის კაცი. მაგან არ მომინელა?! ვეუბნები, რა გინდა შე კაი ქალო, მეტი. ამისთანა ბედი დაგიწერა ბედის მწერალმა. შენს ადგილზე ნებისმიერი, ცას ეწეოდა სიხარულისგან-მეთქი. მოხუცი ის არ არის, ქონებით შეიხს არ ჩამოუვარდება, თანაც საკმაოდ სიმპატიური კაცია-მეთქი. იცი, რა მითხრა? თუ ეგრე მოგწონს, გითმობო. ნორმალურია ეხლა ეგ?

- მე ვამბობ, რო? შენ ამბობ! - ისევ გაეცინა მერაბს. - ყოჩაღ გოგო! არა, არა, მართლა არის მასში „რაღაც ანტიკური“. ისე, იქნებ თავს იფასებს, უნდა რომ მეტად დააინტერესოს ის კაცი. ბოლომდე გადარიოს და მერე წაჰყვება, ალბათ. ხელი არ უთხოვია არნოლდს?

- ბიჭო, საშუალებას არ აძლევს. ის კომპლიმენტს ეუბნება, ამას რეაქცია არა აქვს. არც მადლობა, არც გაღიმება. თითქოს ტელევიზორში ესმოდეს იმის ლაპარაკი. ის ჩემისა კიდე, დგას და მე მკერავს: შენი ჭირიმე, იქნებ რამე მიშველოო.

- არა, თათია ნამდვილად ლამაზი გოგოა, ეფექტური. მარა დავიჯერო, მილიონერ კაცს უკეთესი არსად უნახავს?

- რა ვიცი, ბედია ალბათ. რაღაც თვალში მოხვდა. მერე იმით გადარია კიდევ, ავსტრიაში ზამთრის კურორტზე წაგვიყვანა. ეს, რვა წელი, სათხილამურო სპორტზე დადიოდა და ქაჯივით დაჰქრის თოვლზე. არნოლდმა რომ დაინახა, ყმუილი დაიწყო.

- ვაა, ეგეთი მაგარია?

- მაგარიც არის და რისკიანიც. ორჯერ ხელი აქვს მოტეხილი, მაგრამ მაინც არ ეშინია. თანაც უყვარს ძალიან. ისეთი ბედნიერი სახე აქვს, თხილამურებზე რომ დგას, ისეთი კარგი სანახავია. იმ დროს სულ ცხონებულ დედამისს მაგონებს, - მესამედ და უფრო ძლიერად ამოიკვნესა რაიმონდმა. წამით ჩაფიქრდა. - აბა, წავედი, წავედი. შენი თქმისა არ იყოს, ეგ არ დაიკარგება.

- კარგად, რაიმონდ და მომიტევე, თუ რამით გული გატკინე.

- ზაზაზე იძახი? თუ სიმართლე გინდა, კი არ მატკინე, მომფხანე! იმდენჯერ მქონია აი ეგრე, თავში ჩაფარების სურვილი, ვარ დავთვლი. მაგრამ ჩემგან არ გამოდიოდა. მოიცა კაცო, კი აღარ დავფიქრდი. რამე გოთვერნობას არ გიმზადებდეს. ეგ ის კაცი არ არის, ეგეთი რამე გადაყლაპოს. შეიძლება თავისი ტუტუცები მოიყვანოს და მოვიდეს.

- ხატვა იცის?

- ვინა, ზაზამ? არა მგონია. არა, არ იცის. რა არი რო?

- მაშინ ნურაფრის გეშინია. თუ პროფესიონალი არ არის კაცი, ბუზის დახატვა ძალიან გაუჭირდება, განსაკუთრებით მამრის.

- რაღაცას, იმას შვები შენ ეხლა, შაყიროობ...

- ნუ დარდობ, ამ სასტუმროს სერიოზული დაცვა ჰყავს. თუ ვინმე ჩემს ჯანმრთელობას დაემუქრა, ადმინისტრაციას მივმართავ, - თვალი ჩაუკრა მერაბმა.

- ეე, კარგად გიცნობ, რისი მიმმართველიცა ხარ. როგორც შენ იტყვი. ისე კი ძალიან გთხოვ, ხვალ პირველი საათისათვის ცოცხალი იყავი. მოსულა?

- პირობას გაძლევ.

- აბა, ჰე! მე შენი მჯერა. კარგად, - ხელი ჩამოართვა რაიმონდმა და სწრაფად გავიდა.

მერაბიც გაჰყვა, ლიფტამდე მიაცილა და უმალ უკანვე მობრუნდა. სააბაზანოში შეიხედა. შეათვალიერა. მერე სავარძელთან დაგდებული ჩანთა გახსნა, საჭირო ნივთები ამოიღო. ვიდრე შხაპს მიიღებდა, ერეკლეს დაურეკა და 40 წუთის შემდეგ სასტუმროსთან დაიბარა.

აბაზანიდან გამოსულმა მერაბმა სწრაფად ჩაიცვა, თავზე შავი ნაქსოვი ქუდი დაიხურა, დერეფანში გამოვიდა, კარი დაკეტა და ჰოლში დაეშვა.

ერეკლე ჯერ არ ჩანდა. გარეთ გასვლა გადაწყვიტა, მაგრამ უმალ უარი თქვა განზრახვაზე; მოსკოვში უკვე გვარიანად ციოდა. იქვე სავარძელში მოკალათდა.

ალბათ ცოტა თუ მოიძებნება ადამიანი, რომელზეც სასტუმრო და მისი აურა დადებითად არ მოქმედებდეს. არც ბარათაშვილი იყო გამონაკლისი. უფრო მეტიც, ის იმათ რიცხვს განეკუთვნებოდა, ვინც სასტუმროში მეტად კომფორტულად გრძნობდა თავს. გარკვეულწილად ეს იმის ბრალიც იყო, რომ ბავშვობაში და ჭაბუკობისას არა ერთი გამორჩეული ქალაქის არანაკლებ გამორჩეული ოტელის ხშირი სტუმარი იყო.

გონებაში ახლაც რამდენიმე ათეული ამოუტივტივდა: საფრანგეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, მალტა, კუბა, კანადა, ირლანდია, გერმანია...

სხვა ქვეყნებიც იყო... თითოეულ ქვეყანაში რამდენიმე ქალაქი. განსხვავებული იერით, ღირსებით და ისტორიით, აწმყოთი და წარსულით, მზით და თოვლით. საკუთარი, გამორჩეული, სხვისგან განსხვავებული ადგილით მიწის ზედაპირზე. მაგრამ იყო ერთი

რამ, რაც თითქმის ერთგვაროვან ემოციას იწვევდა მერაბში, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ევროპაში, აზიაში, თუ ამერიკაში: ეს იყო სასტუმრო. თავისი წესით, პეწით თუ გაზეპირებული, მაგრამ მაინც თავაზიანობით... მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი შედარებითია.

მერაბს ახლაც კარგი განწყობა ჰქონდა. გრძნობდა, რომ გუნება ნელ-ნელა უკეთდებოდა. ზაზასთან

დაკავშირებულმა უსიამო წუთებმა უარყოფითად დამუხტეს იგი და სწორედ ამ ავი მუხტისაგან იცლებოდა. ეს კი იმაზე სწრაფად ხდებოდა, ვიდრე სხვა ყოველდღიურ სიტუაციებში.

აღარ გავდა მოსკოვი იმ მოსკოვს, ბარათაშვილს რომ ახსოვდა. ძალიან შეცვლილი იყო ეს უკიდეგანო ქალაქი და, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ. მანქანის ფანჯრიდან ბევრის დანახვა ვერ მოასწრო, მაგრამ რაც დაინახა, ისიც კმაროდა. თუმცა, უფრო თვალშისაცემი, შეცვლილი ხალხი იყო. მოსკოველების უწინდელი გულუბრყვილო და ცოტა სასაცილო ამბიციურობა, საფუძვლიანი თვითდაჯერებულობით შეცვლილიყო. ამას ბარათაშვილი ხალხის სახეებზე კითხულობდა. მიზეზი ნათელი იყო - ფული! მოსკოვი რეალურად მდიდარი ქალაქი გამხდარიყო. იქ ახლა დიდი ფული ტრიალებდა. ასეთი ფულით კი იმის გაგებაც შეიძლება, რა ითვლება კარგ ტონად და მისი დამკვიდრებაც ფულითვე ხერხდება.

თბილისს არასოდეს ჰქონია ამხელა ფული. თუმცა ალბათ არც სჭირდებოდა, რადგან იმას რასაც სხვები ყიდულობდნენ, ეს ქალაქი სხვებს აძლევდა და თანაც უანგაროდ.

თბილისს ოდესღაც არ სჭირდებოდა... ახლა?

- დამაგვიანდა? - უეცრად წამოადგა თავზე ფიქრებში წასულ მერაბს მაკარენკო. - ეს მოსკოვია, ძმაო. აქ გადაადგილება ჭირს.

- სუნთქვაც, - უპასუხა ბარათაშვილმა და ფეხზე წამოდგა. - წავედით?

- წავედით და არ მკითხო, სად! თუ, რა თქმა უნდა, ჩემს გემოვნებას ისევ ენდობი.

- ჯერ საავადმყოფოში შევიაროთ. ნატას ვნახავ. იქნებ იმანაც მოახერხოს წამოსვლა.

- არავითარ შემთხვევაში. თავიდან იქ მივიდეთ, სადაც საჭიროა და მერე ნატას პრობლემასაც მოვაგვარებთ.

- გაგიჟდი, ხახოლი ბიჭი?! საუკუნეა ცოლი არ მინახავს. იმის გარეშე სად უნდა წამოვიდე?

- კაცო, ხუთი წუთით ერთ ადგილზე მივიდეთ. იქნებ, რა მაქვს ჩაფიქრებული. და მერე პირდაპირ ნატასთან გავფრინდეთ.

- საინტერესოა, რა უნდა მოხდეს იმ ხუთ წუთში? კაი ბატონო, წავედით....

- აი, ეგრე. ხომ იცი, მე შენს საქმეს არასოდეს გავაფუჭებ.

მერაბს აღარაფერი უთქვამს.

ერეკლემ ხელკავი გაუყარა და გარეთ გავიდნენ.

ვეებერთელა მანქანას ნახევარი საათი მაინც დასჭირდა, სანამ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ერთ ფეშენებელურ სამსართულიან შენობას მიადგა.

- რესტორანი ,,იუჟნაია ვოლნა“ - ხმამაღლა ამოიკითხა ელექტრონული წარწერა მერაბმა. - ბიჭო, შენ გადამრევ. ხომ გითხარი, ნატას გარეშე...

- მეც ხომ გითხარი, 5 წუთით-მეთქი. რა გჭირს, ჩემო მერაბ, რა?!

ბარათაშვილს აღარაფერი უთქვამს. ბედს დამორჩილდა და მანქანიდან უხმოდ გადმოვიდა.

ერეკლემ კარი მიხურა. მანქანა დისტანციური პულტით ჩაკეტა. სტუმარს ზურგზე ხელი დაადო და რესტორნისაკენ წაიყვანა.

- ჩვენთან ყველაფერი რიგზეა, კირილ? - ღიმილით ჰკითხა კარის ზღურბლზე შემოგებებულ ადმინისტრატორს.

- რა თქმა უნდა, ირაკლი ნიკოლაევიჩ, - ღიმილითვე უპასუხა კირილმა. - გთხოვთ, მობრძანდით.

ხვეული, ფართო კიბით, მეორე სართულზე ავიდნენ. ადმინისტრატორმა წინ გადაუსწრო და მუხის ხის კედელში ძლივსშესამჩნევი მუხისავე მასიური კარი დინჯად შეაღო.

- გთხოვთ! - ხელი სიღრმეში გაიშვირა კირილმა.

- ჰე, შედი, რაღას უყურებ?! - მსუბუქად უბიძგა მაკარენკომ მერაბს. ბარათაშვილმა ზღურბლს გადააბიჯა. მომცრო, კომფორტულ დარბაზში, ერთადერთ მდიდრულ მაგიდას, ერთადერთი ადამიანი უჯდა - ეს ნატა იყო.

- ვახ, შენ რა გითხარი?! - მიუტრიალდა და მკერდში მჯიღი დაჰკრა აშკარად კმაყოფილმა ბარათაშვილმა მეგობარს. - ხედავ, ნატალია, როგორი ცელქია ჩემი ,,პირადი ხახოლი“?!

- ლაბადა მომეცით, თუ შეიძლება? - მოწიწებით მიმართა ადმინისტრატორმა მერაბს.

- ლაბადას თავად გაიხდის, შენ კი თუ შეიძლება, საბილიარდოში ჩადი და ვასილიჩს დაუძახე. როგორც ვიცი, ერთი სული აქვს, ჩემს მეგობარს როდის გაიცნობს.

- კეთილი, - თქვა კირილმა, ოცდაათიოდე წლის თვალშისაცემად გამხდარმა კაცმა და მძიმე კარს უკან გაუჩინარდა.

ლაბადა მართლაც თავად გაიხადა მერაბმა, თუმცა ერეკლეს მიაწოდა.

- ჰა, დაკიდე. შენ დაიმსახურე ჩემი ყურადღება. - ნატას თვალი ჩაუკრა და გაუღიმა. - რა თქმა უნდა, კიდევ ერთი სიურპრიზი მელოდება. თუმცა, არა მგონია, პირველზე სასიამოვნო იყოს. ვინ არის ვასილიჩი?

- ვერ გეტყვი. მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. დაჯექი, დაჯექი.…

მერაბი მაგიდას მიუახლოვდა. ფეხზე წამომდგარ, ცოტა გადაღლილ, მაგრამ მაინც ბედნიერად მომღიმარ ნატას წინ აღემართა, მხრებზე ხელები შემოაჭდო და თვალებში ჩახედა:

- მე აქედან უშენოდ აღარ წავალ. და თუ წავალ, უკანვე დავბრუნდები, რათა წაგიყვანო და შინ ერთად დავბრუნდეთ, - თქვა ჩუმად და ცოლს შუბლზე აკოცა.

ნატას არაფერი უთქვამს. თვალები აუწყლიანდა, მერაბს წელზე ხელები მოხვია და მკერდში ჩაეკრა.

- მე ახლა გავალ. როცა დავბრუნდები, დავაკაკუნებ. ასე რომ, შეგიძლიათ გრძნობები უფრო ემოციურად და საინტერესოდ გამოხატოთ, - გადაიხარხარა მაკარენკომ და კარის სახელურს ხელი წაატანა, მაგრამ ნატას ხმამ შეაჩერა:

- არ არის საჭირო, ერეკლე.

მერაბმა უკვე ყველაფერი თქვა, რის თქმასაც აპირებდა, - ქალმა ქმარი „გაათავისუფლა“ და ისევ თავისი ადგილი დაიკავა.

ბარათაშვილმა ცოლის გვერდით გამოსწია სკამი, დაჯდომა კი ვერ მოასწრო. კარი ისევ გაიღო და ჯერ კირილი გამოჩნდა, შემდეგ კი ოთახში ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლის, საშუალოზე მაღალმა, ხმელმა და თმაშევერცხლილმა სიმპათიურმა მამაკაცმა შემოაბიჯა.

- ოთარ?! - უმალ გასწორდა ბიძის დანახვით გაოცებული მერაბი.

- გამარჯობა, ჩემო მერაბ, - ძმიშვილისაკენ გაემართა ოთარი. - გაგიკვირდა ჩემი დანახვა?

მერაბმა სკამი გამოსწია, თუმცა შესაგებებლად ნაბიჯის გადადგმა ველარ მოასწრო, გადაეხვია.

- შენ მოსკოვში ხარ? - ჰკითხა მერაბმა მას შემდეგ, რაც ბიძამ მზრუნველად შეათვალიერა.

- სამი საათის წინ ჩამოვედი. საავადმყოფოში შენი სიმამრი მოვინახულე და გავიგე, რომ შენც აქ იყავი. ნატას ვთხოვე, არაფერი ეთქვა შენთვის. მაინტერესებდა, ძალიან გაგიხარდებოდა ჩემი ნახვა, თუ ისე-რა.

მერაბმა წამით ნატას გადახედა. ამ უკანასკნელმა მხრები აიჩეჩა და გაიღიმა.

- შენი ნახვა მე ყოველთვის მიხარია, ოთარ! შენ ეს კარგად იცი. მითუმეტეს იქ, სადაც არ გელი.

- რომ არ გეტყობა? - ხელები გადაიჯვარედინა ბიძამ. გაუღიმა. - თუმცა ბარათაშვილების სახეზე ტკივილი უფრო მკაფიოდ იკითხება, ვიდრე სიხარული.

- დასხედით, ხალხო, - ჩაერია ერეკლე. - დასხედით და ისე ილაპარაკეთ. „ივერიის“ სახინკლეში ხომ არა ვართ?! აქ სკამებიც გვაქვს!

მერაბმა ბიძას სკამი გამოუწია, დასვა. მერე თვითონაც დაჯდა. მარჯვნივ ნატა ჰყავდა, მარცხნივ ოთარი, პირდაპირ ერეკლე.

- აბა, კირილ, დიდი მადლობა ყურადღებისათვის, - მიმართა მაკარენკომ ამ ხნის განმავლობაში შორი-ახლოს უტყვად მდგომ ადმინისტრატორს. - თუ რამე დაგვჭირდება, შეგატყობინებთ. ყოველი შემთხვევისათვის ასე, ოც წუთში მიმტანი გამოგვიგზავნე.

- მოსკოვში შენს სანახავად ჩამოვედი, - დაიწყო დინჯად ოთარმა. - მე შენი აქაური მისამართი არ ვიცოდი. თბილისში მამაშენი ვნახე, მითხრა ტარიელი და ნატა ფიოდოროვის კლინიკაში არიანო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ნატასთან მოხვიდოდი. მას კი უთუოდ ეცოდინებოდა შენი ასავალ-დასავალი.

- ჩემს სანახავად? - გაუკვირდა მერაბს.

- ჰო, შენი დახმარება მჭირდება. მაგრამ, ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

- რატომ მერე? ახლავე იყოს. თუ აქ გეუხერხულება, ქვევით ჩავიდეთ და იქ მითხარი. ნატა და ერეკლე ჩემები არიან, გაგიგებენ. ამაში უხერხული არაფერია.

- ცეზარ არდია გეცოდინება? - პირდაპირ დაიწყო ოთარმა.

- ცეზარი მე კი არა, მთელმა საქართველომ იცის. რაც მაგას საქმეები აქვს ნაკეთები... - ირონიულად გაიღიმა მერაბმა.

- ხუთი დღის წინ ჩემს ხელში დალია სული... ეკატერინბურგში ჩამომაკითხა სამი თვის წინ. სიმსივნე ჰქონდა. ბოლო წლებია, ძალიან დამიახლოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ხმაურიანი წარსული ჰქონდა, არ იყო ცუდი ადამიანი. სიკვდილამდე ორი საათით ადრე რაღაც მთხოვა. მე უარი ვერ ვუთხარი. შევპირდი, შეგისრულებ-მეთქი და შენ უნდა დამეხმარო.

- სიამოვნებით, თუკი რამე შემიძლია. მე გისმენ.

- ცეზარს ერთადერთი ვაჟი დარჩა. სიცოცხლეში ბევრი ვერაფერი მამობა გაუწია. ან „იჯდა“, ან გაქცეული იყო და არც არის გასაკვირი. ასეა თუ ისე, ბიჭი დედის ოჯახში გაიზარდა. კარგი განათლებაც მიაღებინეს. იურიდიული დაამთავრა. უცხო ენაც

კარგად იცის.…

მოკლედ, როგორც გითხარი, სიკვდილის წინ არდიამ პირობა ჩამომართვა, რომ ყველაფერს ვიღონებ მისი ვაჟის გზაზე დასაყენებლად.

ჩავედი თბილისში, ვკითხე რა უჭირდა, რა ულხინდა. მართლა კარგი ბიჭი აღმოჩნდა. ნიჭიერი, თავაზიანი. მაგრამ, რად გინდა. მეორე წელია, სამსახურს ვერ შოულობს. სადაც მივიდა, ყველამ მიმალვაში მყოფი მამამისი შეახსენა. ისიც უთხრეს, ვიცით შენი ბრალი არ არის, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებითო.

ერთმა მღალჩინოსანმა პოლიციელმა თურმე ისიც შესთავაზა, მამაშენზე გაგვიყვანე, დაგვაჭერინე და პირდაპირ თანამდებობაზე დაგნიშნავთო... ამის მერე აღარც უცდია ბედი. ახლა მეზობელ დურგალს ეხმარება და თვეში ასიდან ასორმოცდაათ ლარამდე შოულობს. პაპა, ბებია და დედა ჰყავს სარჩენი. მე ჩემს ბიჭებს დავუკავშირდი, პატარ-პატარა ბიზნესები აქვს რამდენიმეს. უარი არც ერთს არ უთქვამს მის სამსხურში მიღებაზე, მაგრამ ამ ბავშვს ოცნებად თავისი სპეციალობით მუშაობა აქვს ქცეული. გულგატეხილია. არ ამბობს, მაგრამ თავისი უბედურების მიზეზად, ეტყობა, რომ მამამისი მიაჩნია.

- იქნებ ცდება? - ჩუმად გამოსცრა მერაბმა.

- მაგას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. არც ის მაინტერესებს, მე თუ ვერ დავეხმარე, მერე რას იზამს. მთავარი ისაა, რომ მე კაცს სიტყვა მივეცი და ამ სიტყვის საქმედ საქცევად არაფერზე დავიხევ, - ოთარის ბარიტონს წყენის ბზარი შეერია. - ასე რომ არ ყოფილიყო, მე შენთან არ მოვიდოდი. ეს შენც იცი... - ოთარი გაჩუმდა. სიგარეტს მოუკიდა. გააბოლა. დიდი შუშის კედლის მიღმა, გაჩახჩახებულ

ქალაქს გახედა.

სიჩუმემ ერთ წუთს გასტანა.

- მითხარი, რაც სათქმელი გაქვს, ბოლომდე. რაც საჭიროა, გავაკეთებ.…

- ბაჩილავა, როგორც მე ვიცი, ისევ მინისტრის მოადგილეა.

- ბაჩილავა ადგილზეა, მაგრამ მე მისთვის არასოდეს არაფერი მითხოვია. - კონიაკის ჩამოსხმას შეუდგა მერაბი.

- ვიცი! - მოკლედ თქვა ოთარმა.

- რაც მინისტრის მოადგილე გახდა, ერთხელაც არ დაურეკავს. არც მე გამიცხელებია მისი ტელეფონი. რამდენიმე თვის წინ გასვენებაში შემხვდა. ძალიან შეცვლილია, „დაყენებული“ საუბარი აქვს. აღარ იღიმება... მოკლედ რომ გითხრა, აღარ მომწონს ეგ კაცი.

- ესე იგი, აღარ ძმაკაცობთ?

- განუყრელი მეგობრები არც უწინ ვყოფილვართ. ჯგუფში უფრო უკეთესი ბიჭებიც იყვნენ.

- არ ვიცი, ადრე შენს მზეს ფიცულობდა და...

- მზეს მაშინ ფიცულობენ, როცა სცივათ, - მოულოდნელად თქვა ნატამ. - ბაჩილავას ახლა მერაბის დაცვა აღარ სჭირდება. მას უკვე სავარძელი იცავს. გურამს რომ სინდისის ნატამალი ჰქონოდა, აგერ ერთ წელზე მეტია, ამხელა თანამდებობაზეა და ერთხელ არ დაინტერესებულა იმ კაცის ბედით, რომელიც მისი გულისთვის სერიოზული მტრების შეძენასაც არ ერიდებოდა.

- ბოდიშს გიხდი, ნატა, მაგრამ როცა დახმარება დამჭირდება, პირადად გეტყვი, - შეაწყვეტინა მერაბმა მეუღლეს ისე, რომ მისკენ არც გაუხედავს.

- შენ დახმარება არასოდეს გჭირდება, თანადგომა კი ნამდვილად გეკუთვნის...

- რასაც შესანიშნავად ახერხებ, აგერ მეორე ათეული წელია და ჩემთვის ესეც სრულიად საკმარისია. აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკი.

- არ ყოფილა კაი კაცი ეგ კაცი, ესე გამოდის, - ჩაერია ოთარი. - მე არ ვიცოდი, თუ ასეთი სიტუაცია იყო. რა გაეწყობა. ალბათ სხვა გზებიც არსებობს იმ ბიჭის საქმეში ჩასაყენებლად. ვიფიქრებ და რაღაცას მოვიფიქრებ. ეს ამბავი რომ მცოდნოდა, არაფერს გთხოვდი. ჩავთვალოთ, რომ არც მითხოვია. აბა, რას გაუმარჯოს? - ფუჭერი წამოსწია ბიძამ.

- ჩვენს შეხვედრას, ალბათ, - გამოცოცხლდა ერეკლე.

- ერთი წამით, - ტელეფონი ამოიღო ჯიბიდან მერაბმა.

- არ დარეკო, - მაჯაში ხელი წაავლო ოთარმა.

- მაცადე, - მეორე ხელში გადაიტანა აპარატი მერაბმა. - ემზარს ჩემი ბევრი ვალი აქვს. მე კი გადახდას მხოლოდ იმათ არ ვთხოვ, ვინც ამას აღიარებს.

ოთარმა ხელი გაუშვა, გაეღიმა. ნატას გადახედა. თავი გააქნია რატომღაც.

- გურამ, მე ვარ, - თქვა ჩუმად მერაბმა... * * * * * *

ფიოდოროვის კლინიკის წინ ხუთიოდ წუთი ილაპარაკეს მერაბმა და ნატამ. მერე ცოლს ლოყაზე აკოცა ბარათაშვილმა, ხვალ დაგიკავშირდებიო, უთხრა და მას შემდეგ, რაც ნატა შენობაში შევიდა, მანქანაში დაბრუნდა.

რამდენიმე წუთში ოთარი მის მიერ დასახელებულ მისამართზე მიიყვანეს. მადლობას სხვა დროს და სხვანაირად გეტყვიო, თქვა ბიძამ, ძმიშვილს გადაეხვია და წავიდა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა მანქანა „როსიასთან“ შეჩერდა.

- ნერვიულობ შენ. თუ ეგრე გიმძიმდა ეგ ზარი, სულ ნუ დარეკავდი. რა, ვერ გაიგებდა ოთარი?

- ვერა, - მოკლედ უპასუხა ბარათაშვილმა.

- თვითონ არ გთხოვა, არ დაურეკოო?!

- ოთარს ეს ძალიან სჭირდებოდა. თანაც კარგად იცოდა, რომ მაინც დავრეკავდი. ასეა, თუ ისე, ყველაფერი რიგზეა. ბიძაჩემის გულისათვის უფრო მეტზე წავალ. ოთარი მართალი კაცია, თუმცა სიმართლეზე თავისი წარმოდგენა აქვს. უფრო სწორად, ჰქონდა. ახლა კი ხვდება, რომ მისმა ცხოვრებამ წყლის ნაყვაში გაიარა. რისი დამტკიცებაც სურდა, დაამტკიცა. ადვილად ავიდა მწვერვალზე. მიმოიხედა და მიხვდა, რომ იქ არ იდგა, სადაც მისი ღირსების, ნიჭის და შესაძლებლობების პატრონი კაცი უნდა იდგეს. ეს კი მისთვის სიკვდილზე უარესია. მე ვგრძნობ ამ ყველაფერს და ვერ წარმოიდგენ, როგორ მტკივა გული. ოთარი ყველაზე უბედურია, ვისაც ამ ქვეყნად ვიცნობ.

- კაი, თუ ძმა ხარ. არც მასეა საქმე. იმას უბედურების არაფერი ეტყობა.

- ვერც ვერავინ შეატყობს. არც მე მითქვამს, რომ შევატყვე. მე ვთქვი, ვგრძნობ-მეთქი. ეჰ, წავედი, წავედი, - მანქანიდან გადმოვიდა ბახუსშეპარული მერაბი. ერეკლეც გადმოყვა.

- ხვალ სად იქნები? პირველზე იმათ შეხვდები, ვიცი. მერე რას იზამ?

- აბა რა ვიცი, ჩემო ერეკლე, რას მეტყვიან, რას გადავწყვეტ.

- იმედია, საქმეს რომ მორჩები, ეგრევე დამირეკავ. თუ, რა თქმა უნდა, ჩემთან ყოფნას, იმასთან ყოფნა არ გირჩევნია. რა ჰქვიაო, რა თქვი? ჰო, ზაზა.

- როგორ გეკადრება, ჩემო ერეკლე?! - ხელი ჩამოართვა მერაბმა მეგობარს. - სად ერეკლე, სად…- ზაზა. ხედავ, რა ძლიერი ფოლკლორი გვაქვს ქართველებს, შე ხახოლო! აბა, ჰე! - თქვა და შესასვლელისაკენ წავიდა.

- ხვალამდე, - დააწია მომღიმარმა ერეკლემ. - მორჩები თუ არა, დამირეკე.

- არის! - ხელი აუწია ბარათაშვილმა და სასტუმროში შევიდა.

ის იყო ნომრის კარი მიხურა, რომ კაკუნის ხმა შემოესმა.

- მობრძანდით, - თქვა რუსულად.

კარი გაიღო და ოთახში თათიამ შემოაბიჯა.

- ოჰ, ბუენოს ნოჩეს, სენიორიტა, კე ტალ ლა ვიდა?…- ხელები გაშალა მერაბმა.

- ესპანური იცი? - გვერდი აუარა ქალმა და სავარძელთან შეჩერდა.

- დაბრძანდით, დაბრძანდით, ქალბატონო თათია. აი, მაგ სავარძელში დაბრძანდით. სიმართლე გითხრა, შენი დანახვა ასე არასოდეს გამხარებია.

- ეს რაღაც სიახლეა. მე კი მეგონა, ჩემი დანახვა გაგაღიზიანებდა.

- და ამიტომაც შემოხვედი, არა? - ჩაიხითხითა ბარათაშვილმა. - სტილი დაცულია! დაჯექი, რა!

თათია სავარძელში ჩაეშვა.

- აი, მეც აგერ დავჯდები, ქალბატონო, - დაჯდა მერაბიც. - და სანამ რაიმონდი გამოსასყიდ ფულს არ მომიტანს, ვილაპარაკოთ და ვილაპარაკოთ.

- ნასვამი ხარ? - მზერას არ აცილებდა ქალი ბარათაშვილს.

მერაბმა რატომღაც ვერაფრით ვერ მოატრიალა სავარძელი ისე, რომ თათიასთან პირისპირ დამჯდარიყო.

- კი, ნასვამი ვარ. თანაც, ცუდ ხასიათზე ვარ. აი, ესეც ასე, - მოირგო სავარძელი მერაბმა. - მაგრამ, როგორც გითხარი, შენი დანახვა გამიხარდა. სხვათა შორის, შენი დანახვა ყოველთვის მიხარია, მაგრამ როგორც კი ჩვენს „ტკბილ“ საუბარს შენი გაქცევა მოჰყვება ხოლმე, რომ ვეღარ გხედავ, ისიც მიხარია. ესე იგი, გხედავ მიხარია, ვერ გხედავ, მიხარია. მოკლედ, ქალი-სიხარული ხარ, ჩემო თათია.

- რაღაც მინდა გკითხო, - თავი ჩაქინდრა უეცრად თათიამ.

- გისმენ გაფაციცებით. თუმცა, მოდი ერთ ბოთლ კონიაკს ან შამპანურს შევუკვეთავ და შენი შეკითხვებიც უფრო რომანტიული გამოვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩემს პასუხებზე. კარგი? - ტელეფონს გადაწვდა ბარათაშვილი. - წინააღმდეგი ხომ არა ხარ?

- რომც ვიყო, ამას შენთვის მნიშვნელობა აქვს?

- ჩემთვის მნიშვნელობა იმას აქვს, კონიაკი გირჩევნია, თუ შამპანური, - გაუღიმა მერაბმა.

- სულ ერთია, - ღიმილი „მოთოკა“ თათიამ.

- რა ვთქვი ახლა სასაცილო, მითუმეტეს თავშესაკავებელი,… - ვითომ სხვათა შორის თქვა მერაბმა. - მოიცა, მოიცა, შენ თუ კატეგორიული წინააღმდეგი ხარ, არც მე დავლევ, - ყურმილი დადო ბარათაშვილმა. - მითხარი, ნამდვილად არ გინდა დალევა?

- ნამდვილად.

- კეთილი. ნუ დავლევთ. ოჰ, ტანისამოსი გამოგიცვლია. ესე იგი, შენ ჩემზე ადრე მოსულხარ. აუჰ, კინაღამ დამავიწყდა. რაიმონდმა მთხოვა შენთვის გადმომეცა, რომ როგორც კი დაბრუნდებოდი...

- ვიცი. ერთი საათის წინ ველაპარაკე.

- ძალიან კარგი. მაშინ, გისმენ. მკითხე, რაც გინდა, ნუ დამზოგავ, - საზურგეს მიეყრდნო და მკერდზე ხელები გადაიჯვარედინა მერაბმა.

- მე ვიცი, რომ შენ არ გძულვარ, თუმცა შეიძლება ამას ვიმსახურებდე კიდეც.

- ჩემო თათია, გინდ დამიჯერე, გინდ არა. მაგრამ, არ არსებობს ადამიანი, რომელიც მე მძულს. უბრალოდ, მე პირდაპირი კაცი ვარ, თანაც ცოტა იმპულსური. როდესაც რაღაც მომწონს ან არ მომწონს, ხმამაღლა ვამბობ ან ვმოქმედებ. კაცს შეიძლება გძულდეს ადამიანი, რომელმაც რაიმე დაგიშავა და სამაგიეროც ვერ მიუზღე და ვერც აპატიე. მე კი არც ერთის კეთება მიჭირს და არც მეორის. ასე, რომ...

- ჩემი ნება რომ იყოს, ყდაში ჩაგსვამდი, - ამჯერად აღარ უცდია ღიმილისაგან თავის შეკავება ქალს.

- ვერ გავიგე?

- მოსიარულე წიგნი ხარ, პირდაპირ. შენი კითხვები თავსატეხებია, პასუხები - აფორიზმები!

- მონოლოგები - იგავ-არაკები, - თითი საფეთქელთან მიიტანა მერაბმა. - ისე, ძალიან მაინტერესებს, ჩემს წაკითხვას როდის დაამთავრებ. თუ მოგწონს აღიარე, თუ არ მოგწონს დაკეცე და გვერდზე გადადე.

- ვთქვათ, მომწონს და ვაღიარე კიდეც, შეიცვლება ამით რამე? ვფიქრობ არაფერი... არ იფიქრო, თითქოს სიყვარულს გიხსნიდე. უბრალოდ, შენ ის ადამიანი ხარ, რომელთანაც პირდაპირ ლაპარაკი უხერხული არ არის. რაც ყველაზე მეტად მომწონს შენში, ზედმეტი რევერანსებისგან მაქსიმალურად განთავისუფლებული კაცი ხარ. ამას ჩემთვის ბევრჯერ უტკენია გული, მაგრამ როცა კარგად დავფიქრდი... - თათია შეყოვნდა.

- საინტერესოა, რა მოხდა, როცა კარგად დაფიქრდი?

- ერთ რამეს მივხვდი. შენი ხასიათი მხოლოდ ამბიციურობის პროდუქტი არ არის. ასე რომ იყოს, პრეტენზიულიც უნდა იყო და ბევრ ისეთ რამესაც უნდა თაკილობდე, რასაც არ თაკილობ. ვერც რაღაცის შეცვლის და აღზევების დაუოკებელი სურვილი შეგამჩნიე. არადა, მონაცემების ნაკლებობას რომ არ განიცდი, პირველივე დღიდან მქონდა ეჭვი.

მერაბი, ცოტა დაძაბული იყო თავიდან, მაგრამ თათიას სიტყვებმა აშკარად დადებითად იმოქმედეს მასზე. ადრეც ბევრჯერ უფიქრია და უთქვამს კიდეც, ეს გოგო მთლიანობაში ცუდი გოგო არ არისო, მაგრამ ახლა მისი მოსმენა ძალიან ესიამოვნა. არა იმიტომ, რომ

მის მიმართ ნათქვამი, ერთგვარი კომპლიმენტებისგან შედგებოდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ თათია ახლა თითქოს ამბობდა იმას, რაზეც მართლა ეფიქრა.

კიდევ იმიტომ, რომ რაღაცით მართლა აგონებდა საყვარელ ქალს, ნატას. მასავით ძლიერი, გონიერი და ამაყი იყო თათიაც.

აკი, გოგასთანაც თქვა ამის შესახებ წინა დღით მერაბმა. გოგამ, ჩვეულად, კუდი მოაბა ამ ნათქვამს და „იციგნა“. გაახსენდა და გაეღიმა.

- რა გაცინებს? - სახე შეეფაკლა ქალს.

- არა, არა, ეს ის არ არის რასაც შენ ფიქრობ, - ორივე ხელი გაასავსავა მერაბმა. - უბრალოდ, გოგა გამახსენდა. რაღაცა თქვა და ახლა გამახსენდა. გოგას კარგი იუმორი აქვს.

- ვიცი, მაგრამ მაინც მგონია, შენი ღიმილის მიზეზი აქვეა საძებნი...

- კარგი ეხლა, როდემდე შეიძლება. არ დაიღალე? როდის მიხვდები ბოლოს და ბოლოს, რომ მე ადამიანების გულის ტკენას ვერიდები. მაშინაც კი, როცა ამას იმსახურებენ. მეორე საქმეა, რამდენად გამომდის.

- კარგი, მჯერა. მოკლედ, რაღაც მინდა გკითხო. შენ ძალიან გავხარ ერთ კაცს...

- ჰოო, ძალიან კარგი! მზად ვარ გემსახურო. სიმართლე გითხრა, თუ ასე მალე მოგიბრუნდებოდა ჩემსკენ გული, ნამდვილად არ მეგონა. ვიფიქრე, გუშინდელი საღამოს შემდეგ, ჩემი დანახვა კიდევ დიდხანს არ მოგინდებოდა. თუმცა შენი ხასიათიდან გამომდინარე, აღარც ეს შენი ვიზიტი და ასეთი უეცარი გარდაქმნა არ მიკვირს. რაც არ უნდა იყოს, მიუხედავად ყველაფრისა, შენ პატივისცემას იმსახურებ. ძლიერი და ჭკვიანი ქალი ხარ. მე ვფიქრობ, რაღაცას მალავ, მაგრამ, ალბათ ასეა საჭირო.

- ჰოდა, სწორედ მაგაზე მინდა გითხრა. ოღონდ გთხოვ, კარგად მომისმინე და გულწრფელად მიპასუხე, კარგი?

- პირობას გაძლევ, - მერაბმა გრაფინიდან ჭიქაში წყალი დაისხა და მოსვა.

- მე ქმარი მყავს. - თქვა თათიამ.

მერაბს მოულოდნელობისგან წყალი გადასცდა და ხველა აუტყდა. გაწითლდა, ძლივს მოითქვა სული. კარგა ხანს ახველა. თათია მოთმინებით ელოდა. ხმა არ ამოუღია.

მერაბმა როგორც იქნა, ამოისუნთქა.

- შე კაი ქალო, რო მაკვირდები საცდელი ბოცვერივით, ან ხელი დამარტყი, ან რამე მითხარი, ან ისე მაინც შეწუხდი, ზრდილობისთვის. კინაღამ დავიხრჩვი კაცი... - გაიცინა მერაბმა და აწყლიანებული თვალები მოისრისა. - რა თქვი, ქმარი მყავსო?

- სწორად გაიგე, - ისევ სერიოზულად თქვა ქალმა.

- მერე, მაგას მაგ ტონით ამბობენ? კაცს რომ გამოუცხადებენ, შენგან ბავშვი მყავსო, იმას

გავდა.

- მოდი, მე წავალ! - ფეხზე წამოდგა თათია. - როგორც ჩანს, დღეს შენ ჩემს მოსასმენად მზად არ ხარ.

- მოიცა, დედას გაფიცებ, დაჯექი, - ფეხზე წამოიჭრა ბარათაშვილი და თითქმის ძალით დასვა ქალი. - ნუ ფეთქდები ყველაფერზე დენთივით. მიეცი ადამიანებს საშუალება იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან. ნუ ფიქრობ, მათ ნაცვლად, რა გჭირს? შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ შენ ჩემთვის უკვე ახლობელ ადამიანად იქეცი. ან სხვანაირად როგორ შეიძლებოდა. ჩვენ ხომ ფაქტიურად ერთ ოჯახში ვცხოვრობთ და მიუხედავად კონფლიქტისა, ერთმანეთის შეძულება, როგორც ჩანს, ვერ შევძელით.

- შენ თურმე, ნასვამი უკეთესი ხარ, - კმაყოფილება გამოეხატა სახეზე თათიას. - ეს რომ მცოდნოდა, გამოფხიზლების საშუალებას არ მოგცემდი.

- ნასვამი კიდევ არაფერი, მთვრალი ვარ, - ჩამყლაპავ!

- კარგი, მჯერა. მაშ, მომისმინე და თან გთხოვ, სანამ არ დავამთავრებ წყალს ნუ დალევ.

- გისმენ. სერიოზულად გისმენ.

- წეღან გითხარი, ერთ კაცს გავხარ-მეთქი... ის კაცი ჩემი ქმარია.

- არ გეწყინოს, მაგრამ რომელ ქმარზეა ლაპარაკი. როგორც შენ თქვი, ორჯერ ხარ გათხოვილი.

- მე ქმარი ერთი მყავს. თუმცა მასთან ხელი არ მომიწერია. მეორე ქორწინება, ფიქტიური იყო. საქმეს დასჭირდა და რაიმონდთან მოვაწერე ხელი. რატომ და რისთვის, მნიშვნელობა არა აქვს.

- გასაგებია.

- რვა თვეა, რაც მივატოვე. ეს უკვე მესამედ მოხდა. ამჯერად ალბათ სამუდამოდ, რადგან მიბრუნება რომც მოვინდომო, აღარ მიმიღებს და მართალიც იქნება.

როდესაც მოვდიოდი, მითხრა, თუ კიდევ წახვალ, იცოდე ამჯერად ყველაფერი დამთავრდებაო. მაინც წამოვედი.

- რატომ? არ გიყვარს?

- მიყვარდა! ძალიან მიყვარდა! ცოლად არ გავყვებოდი, ასე რომ არ ყოფილიყო. მერე გავთხოვდი, ვიცხოვრეთ ერთი წელი და მომეჩვენა, რომ აღარ მიყვარდა... და, როგორც გითხარი, წამოვედი...

- მერე მივხვდი, რომ, თურმე ისევ გიყვარს, არა?

- ჰო, ასეა, - თავის დაქნევით დაუდასტურა თათიამ.

- მერე ისევ მიბრუნდი. მერე, გადაგიყვარდა... ისევ მიატოვე, ისევ შეგიყვარდა... დაბრუნდი, წამოხვედი და ახლაც გიყვარს, ასეა?

- ზუსტად!

- მე მაინტერესებს, რის კითხვას აპირებ ასეთი აღსარების შემდეგ და თანაც ერთიც მინდა გითხრა, ტყუილად გგონია, რომ

მე და ის კაცის ერთმანეთს ვგავართ.

- გავხართ, გავხართ! უბრალოდ, ის შენგან განსხვავებით შეყვარებულია.

- ოჰო! კარგია! ესე იგი ჩემგან განსხვავებით?! რატომ გგონია, რომ მე არ შეიძლება ვიყო შეყვარებული?

- მე არ მითქვამს, რომ არ შეიძლება. უბრალოდ, შეყვარებული კაცები სხვაგვარად იქცევიან.

- როგორ? სახლიდან თვეობით წასულ ცოლებს აივანზე გადმომდგარი ელოდებიან? იქნებ ფიქრობ, რომ როცა კაცი სიყვარულს იძენს, თავმოყვარეობას კარგავს?

- ჩემი ქმარი, გარწმუნებ, თავმოყვარეობის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის...

- ესე იგი, მე და შენ, განსხვავებულად გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა.

- შენ გიყვარს შენი ცოლი?

- რა თქმა უნდა! განსაკუთრებით მაშინ, როცა სახლშია.

- როცა სახლში არ არის?

- მაშინაც სახლშია.

- შენ ალბათ არ გაგიჭირდება, სულ სახლში ამყოფო... როგორც თავად ამბობ, მაშინაც კი, როცა სახლში არ არის.

- იცი შენი პრობლემა რაშია? - მცირე დუმილის შემდეგ თქვა მერაბმა. - შენ ერთდროულად შეყვარებულიც გინდა იყო და თავისუფალიც. ეს კი შეუძლებელია. არ მკითხო, რატომ. უბრალოდ, ესეა და მორჩა.

- შენ შეყვარებული ხარ თუ თავისუფალი?

- შეყვარებული რომეო იყო, თავისუფალი - ერნესტო ჩეგევარა. მე მერაბი ვარ ბარათაშვილი და საყვარელი ქალი სახლში მყავს.

- ბედნიერი ხარ?

- მართალი ვარ! ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ! რაც შეეხება ბედნიერებას - ბედნიერება წამით იმის დავიწყებას ნიშნავს, რომ წუთისოფელია სწორედ ჯოჯოხეთი. და არც ეს არის უბედურება.

- მართალი ხარ. ის კაცი, მე რომ მიყვარს, ალბათ კი არ გგავს, მე მინდა, რომ გგავდეს! და რომც არ უნდა გგავდეს, მეც ვიქნებოდი სახლში. მაშინაც კი...

- მაოცებ პირდაპირ! საყვარელ კაცს სახლიდან გაურბიხარ და დამნაშავე თურმე ის ყოფილა.

- დამნაშავე ჩემი უცნაური სიყვარულია... - ამოიოხრა თათიამ.

- უცნაური სიყვარული არ არსებობს, იმიტომ რომ ყველა სიყვარული უცნაურია...

- ლექსებს თუ წერ?

- არა, კითხვას ვამჯობინებ, იმიტომ, რომ როგორი ლექსებიც მომწონს, ისეთს ვერ ვწერ.

- ამბობენ, ყველა შეყვარებული წერს ლექსებსო.

- ლექსის წერის სურვილი, ალბათ მართლა ყველა შეყვარებულს აქვს, მაგრამ რისი ნიჭიც ღმერთს არ მოუცია, არც შეყვარებულმა უნდა აკეთო და არც შთაგონებულმა. ბლიც შეკითხვები, იმედია დასრულებულია.

- დასრულებულია. მე წავედი, - ისევ წამოდგა თათია, მაგრამ ამჯერად მის სახეს წყენა არ დატყობია.

- რაღაც მინდა გკითხოო, მითხარი?! - მერაბი მიხვდა, რომ თათიას ახლა მართლა წასვლა ერჩია.

- მე უკვე გკითხე და პასუხიც მივიღე. შენგან უბადლო მოსამართლე დადგებოდა.

- მაშინ განაჩენიც მოისმინე: სიყვარული, ჩემო თათია, უნარია, მიუძღვნა თავი ადამიანს, რომელშიც ღმერთი ჩასახლდა. გავა დრო და როცა ღმერთი მას მიატოვებს, თუ ადამიანმაც მიატოვა, აუცილებლად დაიღუპება.

- ვისი სიტყვებია მერაბ, ეგ? - შუა გზაში შეჩერებულმა თათიამ მართლა განაჩენივით მოისმინა მერაბის ნათქვამი.

- კაცის, რომელიც სიყვარულისთვის კი არა, საყვარელი ადამიანებისთვის ცხოვრობს. რომელიც ვალდებული დაიბადა და ვალმოხდილი აპირებს სიკვდილს.

თათია ნელა შეტრიალდა. მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგა კარისკენ. შეჩერდა. უკან მოიხედა: მკერდზე ხელებგადაჯვარედინებული ბარათაშვილი სავარძლიდან

წამომდგარიყო და ქალს მშვიდი, კეთილი თვალებით უყურებდა. მერე ნელი ნაბიჯით წამოვიდა. მხოლოდ მისი ფეხსაცმლის მონოტონური კაკუნი ესმოდა ახლა თათიას. გრძნობდა, ან მოტრიალება იყო საჭირო ან წასვლა... ან ხმის ამოღება.

ვერც ერთი ვერ შეძლო... კაკუნი ისე გაიწელა, თითქოს საიდანღაც ძალიან შორიდან მოდიოდა მერაბი. თითქოს გაჩერებული თუ გაწელილი დრო, დროს აძლევდა მოსაფიქრებლად: წასულიყო, მობრუნებული ან ეთქვა... დრო კიდევ ბევრი იყო, მაგრამ უკვე გვიანი იყო თითქოს...

რით ვეღარ მოაღწია...

მერაბმა მხრებზე ხელები მოკიდა, მოატრიალა, მსუბუქად, ნაზად ჩაიხუტა მკერდში:

- შენში ბევრი სინათლეა, თათია, - თქვა ხმადაბლა ბარათაშვილმა. - სინათლე, რომელიც ვიღაცას ძალიან სჭირდება. მე დარწმუნებული ვარ, შენ იცი, ვინც არის ის ვიღაცა... მიდი მასთან და უთხარი, რომ ბაკურიანში წაგიყვანოს. ალპების სათხილამურო ტრასები თრიალეთისას ვერ შეედრება, თრიალეთი ხომ ყველა მხრიდან ქართულია შენსავით.

- მე შენ არ მიყვარხარ, დედას გეფიცები, - თავის მოცილება არ უცდია ქალს.

- ვიცი.

- მაგრამ მე შენ ძალიან მიყვარხარ.

- ეგეც ვიცი.

- როცა ძალიან გამიჭირდება, გნახავ ან დაგირეკავ, შეიძლება?

- ერთი პირობით. თუ შენც მოიცლი ჩემთვის, ანალოგიურ სიტუაციაში.

- და მაინც, ძალიან გგავს დათუნა შენ.

- მგავს კი არა, ამასწინათ მთვრალმა სარკეში ჩავიხედე და ვერაფრით მივხვდი მერაბი ვიყავი თუ დათუნა.

- უჰ, შე ცინიკოსო! - თავი გაითავისუფლა

და მკერდში მჯიღი მიჰკრა თათიამ მერაბს. გადაიკისკისა. ცრემლიანი თვალები ერთი ხელით მოიწმინდა. შეხედა. ლოყაზე აკოცა და სწრაფი ნაბიჯებით გაემართა კარისკენ. გამოაღო და მოტრიალდა.:

- დღესვე დავურეკავ!

- ახლავე! - უპასუხა ბარათაშვილმა, გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

- ყურმილი რომ არ აიღოს?

- ესე იგი, აივანზეა და არ ესმის.

- აივანი არ გვაქვს, - გულიანად გადაიკისკისა თათიამ და კარი გაიხურა.

მერაბი ისევ სავარძელს მიუბრუნდა. დაჯდა. წამით ჩაფიქრდა. მერე მობილური ამოიღო და ნომერი აკრიფა.

- ნატა, მე ვარ. გულწრფელად მიპასუხე. ოდესმე ჩემი მიტოვების სურვილი თუ გაგჩენია?

- რატომ მეკითხები, გადაირიე? - გაისმა ყურმილში ქალის ხმა.

- მიპასუხე, რომ გეკითხები. გესმის შენ?

- არა, მერაბ, აზრადაც არ მომსვლია, იმიტომ რომ შენ ავადმყოფი ხარ და სანამ არ განიკურნები, ვერ მიგატოვებ.

- ესე იგი, დათუნა ჯანმრთელია... - სხვათა შორის თქვა ბარათაშვილმა.

- ვინ დათუნა?

- ჰა? ვინ დათუნა? არის ერთი დათუნა, ჩემი მეგობარია, შენ არ იცნობ... ჯერ მეც არ ვიცნობ.

* * ***

ბერეხი 12 საათზე უკვე სასტუმროში იყო. დილიდან ორჯერ უკვე დაურეკა მერაბს. პირველად - გასაღვიძებლად, მეორედ - ახალი და მეტად უცნაური ინფორმაცია მიაწოდა: ავსტრიელი ვერ ჩამოდისო, უთხრა. მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბავი ნომრის კარის გაღებისთანავე მიახალა:

- იმჩემისამ თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა. აზრზე ხარ, რა დღეში ვარ? - სწრაფად, ქოშინით თქვა ბერეხმა.

- ვინ შენისამ. ვინ გამოაგზავნა და რა დღეში ხარ? დაჯექი და დალაგებულად მომიყევი, - უპასუხა მერაბმა და თავად საწოლზე ჩამოჯდა.

- დილას დამირეკა არნოლდამ. მე ვერ მოვდივარ, მარა პრობლემა არ არისო. პიერის კაცს ვენაში შევხვდიო. სამი მილიონი ადგილზე დევსო. დაუკავშირდით იმ ხალხს, როგორ ურჩევნიათ თანხის მიღებაო...

- მიკვირს, თვითონ არ ჩამოვიდა ეგ პიერი, - შეაწყვეტინა მერაბმა.

- რას ჩამოვიდოდა?! მოიცა, არ გითხარი? ორი კვირაა საავადმყოფოში წევს. ყინულის მოედანზე დაეცა, მაგარი ტვინის შერყევა აიკიდა. მოკლედ, თავისი კაცი გაუგზავნია სასწრაფოდ ავსტრიაში, ეს ამბავი რომ გაიგო, რა! ჰოდა, არნოლდამაც ეს კაცი აქ გამომიგზავნა. ეხლა იმათ უნდა დავუკავშირდე თბილისში, მარა სანამ დამირეკავდნენ,

დავგეგმოთ მინდა, რა, როგორ, რანაირად, გაიგე?

- მოიცა, მოიცა. ვთქვათ, ფული არის, ვინ უნდა ჩაიტანოს თბილისში?

- თუ აწყობთ, ბანკიდან გადავრიცხავო, თუ უნდათ ისე მივაწვდი, ეგ თქვენი პრობლემა არ არიო, არნოლდამ. დაუკავშირდით, გამიგეთ და შემატყობინეთო. ჩვენ მარტო ამ კანადელი კაცის ჩაყვანა, სურათის ნახვა და წამოღება გვევალება, გაიგე?

- ეგ რა პრობლემაა?

- შენ და ეგ უნდა წახვიდეთ! - მოკლედ მოჭრა რაიმონდმა.

- სულ ეგ არის ჩემი საქმე?

- ეგ არის. მიხვალ, ჯერ იმათ ნახავ, მერე სურათს ამასაც აჩვენებ. ეს იმას უკავშირდება და ეტყვის, სურათი ავიღეთო. ისინი ფულს მიაწვდიან. თქვენ თქვენთვის წამოხვალთ, ისინი თავისთვის წავლენ.

- ვთქვათ, ის სურათი არ არის?

- როგორ თუ არ არის! ეს ჩემისა ხო იცნობს, არის თუ არ არის?! იმან აუხსნა, როგორიც უნდა იყოს და თანაც ამის ბოსს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა-მეთქი, ხომ გითხარი, პაპამისი. ამ კაცს მაგიტომ აგზავნის ის ჩემისა, თორე სურათს ხო ჩვენც ჩამოვიტანდით. ექსპერტია, რა!

- აგწყობია საქმე და ეგ არი.

- ვაჰ, რას ამბობ, მერაბ. მეშინია, ისე კარგად წავიდა ყველაფერი, მარა... - ცხვირი მოხრილი საჩვენებელი თითით მოიქავა ბერეხმა.

- რა მარა?

- მარა ის, რომ ერთი ასი ათასი საჩვენოდ უნდა მოვახსნევინოთ როგორმე. როგორც კი ვეტყვი, ზაზა დაკავშირებას შეეცდება და იმასაც ეტყვის, ჩვენ კაპიკი აღარ გვრჩება და თუ ასი ათასს არ დაგვიტოვებთ, საქმეს ჩავშლითო. მაგრამ თავის სახელით ვერ ეტყვის.

- ჩემი სახელით ეტყვის!

- ჰო, რა ვიცი, თუ წინააღმდეგი არა ხარ.

- შენ წარმოიდგინე, არა ვარ. გუშინ ხომ გითხარი, რასაც შევძლებ, ყველაფერს გავაკეთებ-მეთქი.

- ვაჰ, შენ გენაცვალე! ჯიგარი ხარ, მხოლოდ ერთია კიდევ, თანაც მთავარი და როგორ გითხრა, არც ვიცი.

- პირდაპირი გზა უმოკლესია.

- ესე იგი, რა ხდება. ბიძაშენს საერთოდ არ ვეხებით, უბრალოდ, ზაზა ეტყვის იმათ, რომ ოთარის ძმისშვილი ხარ. ამით რა დაშავდება? ხო, მართლა ხარ, ხომ არ ვიტყუებით. თანაც შენ კი არ ეტყვი, ზაზა ეტყვის. იმათ თუ ბიძაშენს ჰკითხეს, ეგეთი კაცი შენი ძმისშვილიაო, იმას ნაღდი არ ეტყვიან, რატომ ეკითხებიან. ჩვენ კი საქმეში გამოგვადგება. ვეღარ გადაგვაგდებენ, გამიგე?

- არ

ეშვები, ესე იგი, ბიძაჩემს?

- კარგი რა, მერაბ? შეშვებული არა ვართ, კაცო? შენ ის არ გინდოდა, მისთვის რამე რომ გეთხოვა, ხოდა, არცა თხოვ. კრინტსაც არ დავძრავთ. ჩვენ ვეტყვით ვინცა ხარ და ეგ არი!

- კარგი, კარგი, რაკი შეგპირდი, ეგრე იყოს. შენ ის მითხარი, თუ ის ასი ათასი ავიღეთ, როგორ უპირებ განაწილებას?

- ზუსტად სამ კაცზე გატყდება, შენზე, ჩემზე და ზაზაზე. კაცზე 33-33 ათასი.

- არ მაწყობს! - უცებ მოჭრა მერაბმა და ფეხზე წამოდგა.

- ვა! - ყივილი გაერია ხმაში რაიმონდს, - მაშ, რამდენი გინდა?

- ოცდაათი!

- კიდევ ოცდაათი? - უფრო იყივლა ბერეხმა.

- არა მხოლოდ ოცდაათი. შენც ოცდაათი და კრეტინსაც, რაც ჯამში 90 გამოვა.

- ვაჰ, მეც არა ვთქვი, რას ამბობს-მეთქი?! და ის 10 რაც რჩება?! დავხარჯოთ, არა?!

- არა, თათიას მივცეთ.

- აი, ყოჩაღ, კარგი აზრია. მარა, თათია ალბათ მალე ავსტრიელი მილიონერი გახდება და...

- თათია არანაირი ავსტრიელი არ გახდება. გადაწყვიტა ქმარს დაუბრუნდეს.

- დათიკოს? მართლა იძახი? გააგიჟებს ეგ იმ ბიჭს. მაიცა, თვითონ გითხრა?

- ჰო, თვითონ მითხრა.

- ეგ თან კარგი საქმეა, თან როგორ გითხრა... რაღაც ეჭვი მეპარება ეგ იქ დიდხანს გაჩერდეს. „მოუვლის“ და ისევ წამოვა.

- წამოვა და ისევ დაბრუნდება. როგორც ჩანს, იმ კაცს ეგეთი უყვარს.

- მე მგონი, მართალი ხარ, ხო იცი შენ, - სადღაც გაიხედა რაიმონდმა და შუბლი შეჭმუხნა. მერე, უცებ გამოერკვა. ისე, როგორც იცოდა ხოლმე. - მოკლედ, კი ბატონო. რაკი ეგრეა, ათი თათიასი იყოს... - და ისევ გაჩუმდა.

- კიდევ რაღაცის თქმა გინდა, გატყობ.

- ორასი რომ ვუთხრათ? - მორიდებით იკითხა ბერეხმა.

- კაცო, თუ გინდა სამასი უთხარი და თუ გინდა ხუთასი. ისინი დაითანხმე, მე რას მითანხმებ.

- არავითარი ხუთასი. რაკი შენ თვითონ თქვი, სამასს ვეტყვით და ეგ არი. თუ დაკლებაა, ასს ისედაც დააკლებენ. თუ არა და ას-ასი შეგვხვდება, გესმის შენ?

- ოთხმოცდაათ-ოთხმოცდაათი.

- ხო-ხო, თათია სულ დამავიწყდა. ისე, აკი 10 ათასი მივცეთო?!

- კარგი, რა, რაიმონდ, შენ და სიძუნწე? თათია 10 პროცენტში ჩაჯდება. წყალი არ გაუვა.

- არ გაუვა და ძალიანაც კარგი. ეგრე იყოს.

- სასაცილოა პირდაპირ. ჩვენ ხომ უკვე ჯიბეში გვიდევს ფული და სხვებსაც ვუნაწილებთ. არ დაგიმალავ და ამხელა თანხებზე ასე ადვილად რომ ვლაპარაკობთ, ასე მგონია, ვთამაშობთ ახლა მე და შენ. ასი ათასი, ორასი ათასი, სამასი... უკვე ისიც ვიცი, რაში უნდა დავხარჯო. მხატვრების ჯგუფს დავიქირავებ და პიერ დავიდოვის უამრავ პორტრეტს დავახატვინებ. რა იცი, იქნებ მისმა შვილიშვილმაც მოიწადინოს პაპის სურათების შეძენა?! ასე რომ, ორი-სამი ათწლეულის შემდეგ ისეთი სოლიდური თანხა მომიგროვდება, ჩემი შვილიშვილებიც დაკიდებენ სახლში ჩემს პორტრეტს.

- შენ შაყირობ და თუ რაიმე იაღლიში არ მოხდა, ჩათვალე, რომ ის ფული მართლა ჯიბეში გაქვს.

- იცი რა, ჩემო რაიმონდ, სასწაული წინათგრძნობა მაქვს, როცა საქმეს კარგი პირი უჩანს ხოლმე. ჰოდა, რაღაც ახლა მაგდაგვარი არაფერი მემართება.

- მაიცა ეხლა, ეგეთები არ იყოს, - ცუდად ენიშნა ბერეხს.

- არა, მე ცდას არ დავაკლებ, მაგრამ ღმერთი როგორც გადაწყვეტს, ისე იქნება. ყოველ შემთხვევაში, მინდა გთხოვო, რომ თუ ამ ამბიდან არაფერი გამოვიდა, სასოწარკვეთას ნუ მიეცემი. მომავალი შენს ხელშია. მოკლედ, მე მზად ვარ. იმოქმედე.

- მაშინ ეხლა ზაზას დავურეკავ და ვეტყვი, დაუკავშირდეს.

- ეგრე ქენი.

- ოჰ, ოღონდ ეხლა რამე გამოვიდეს, ოღონდ ეხლა რამე გამოვიდეს... - და ბერეხმა ცაში აიხედა, მაგრამ მხოლოდ სასტუმროს ჭერი შერჩა „თვალში“.

***

* * *

დიდიე გარნიეს თბილისის აეროპორტი თვალში მაინცადამაინც არ მოუვიდა, თუმცა მერაბმა თათიას დახმარებით დაამშვიდა: საქართველოში ინფრასტრუქტურის კომპენსაცია უამრავ უფრო მნიშვნელოვანში ხერხდებაო, - უთხრა.

შემოდგომის თბილი, მზიანი დღე იდგა დედაქალაქში.

„მესურათეებთან“ შეხვედრამდე კიდევ სამი საათი იყო დარჩენილი, ამიტომ ბარათაშვილმა ტაქსის მძღოლს რიყეზე, რესტორანში მიყვანა სთხოვა. მიმართულებაც თავად უკარნახა: ისნიდან ორთაჭალით გააგრძელეს გზა. მეტეხთან, კლდეზე შეფენილი ძველი ქალაქის ფრაგმენტზე უნდოდა კანადელის ყურადღების მიპყრობა მერაბს. არც შემცდარა, „ფრანგულ-ინგლისურად“”აღფრთოვანდა სტუმარი.

ამაზე უკეთესებიც არსებობს ამ ქალაქშიო, „თარგმნა მერაბი“”თათიამ და მერე ქართულად დაუბრუნა კითხვა, ეგ სად გეგულებაო?

- წარსულში, ჩემო თათია, ახლო წარსულში და ამაში თავადაც დარწმუნდებოდი, მეფე ერეკლესთვის აღა-მაჰმად-ხანის დედა რომ არ დაემალათ მოღალატეებს.

თათიამ ისევ გაიცინა.

კანადელმა ისევ ჰკითხა, რა ხდებაო.

- უთხარი, ანეკდოტს მომიყვა-თქო და რამე მოკლე ანეკდოტი მოუყევი, - დაარიგა ბარათაშვილმა.

- მე ვიცი ერთი მოკლე, მაგარი ანეკდოტი, უთარგმნი? - ჩაერია ტაქსის მძღოლი.

- მა რას იზამს. აბა, მიდი, - შეაგულიანა მერაბმა.

- სეროჟას ეკითხებიან „კატაკლიზმები“ ქართულად როგორ იქნებაო და ამან უპასუხა „კოშკაოყნებიო“. ჰა-ჰა-ჰა-ჰა! - გულიანად გადაიხარხარა შოფერმა. - ჰა, როგორია?

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მერაბი და თათია ჯერ ტაქსის შოფერს მიაშტერდნენ, მერე ერთმანეთს შეხედეს და უეცრად ქალს ისეთი ხარხარი აუტყდა, სავარძლის საზურგეზე არხეინად გადასვენებული შოფერი შტიკივით გაიჭიმა, საჭეს ორივე ხელით ჩააფრინდა და ისე დაამუხრუჭა, წინ მჯდომი უცხოელი საქარე მინას შუბლით ეკვეთა.

ნატკენ თავზე ხელი მიიდო და სამივე ქართველი სათითაოდ შეათვალიერა. მერე

რაღაცა ფრანგულად ჩაილაპარაკა და დემონსტრაციულად გაიხედა მარჯვენა ფანჯარაში.

- რა თქვა? - იკითხა ბარათაშვილმა.

- არაფერი მესმისო მგონი, - სვენებ-სვენებით უპასუხა ქალმა.

- ხო მაგარი იყო? - კმაყოფილი იერი დაუბრუნდა მძღოლს.

- ძალიან. მაგრამ არ გამოგვადგება, - დამაჯერებლად თქვა მერაბმა.

- რატო?

შეწუხდა მძღოლი.

- ,,სეროჟა" ფრანგულად არ ითარგმნება.

- კიდევ ვიცი ერთი მაგარი, მარა უკვე მოვედით, - რიყეზე ჩაუხვია მანქანამ. - რომელ რესტორანთან გინდათ?

- აი, აქ გაგვიჩერე, შავი ჯიპი რომ დგას, - ხელით მიუთითა მერაბმა. - აქ კარგი რაღაცეები კეთდება. იქნებ, ამასაც მოეწონოს და შეგვირიგდეს.

ტაქსის მძღოლს მადლობა გადაუხადეს და შეფერილშუშებიან პატარა დარბაზში შევიდნენ. კუთხის მაგიდა აირჩიეს. მერაბმა მწვადი, ხინკალი და ხაჭაპური შეუკვეთა.

- ეჰ, ნეტა ჩემი ბიჭებიც აქ იყვნენ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, ჩუმად გამოვეპარე.

- მერე, დაურეკე, რა პრობლემაა?! - სხვათა შორის თქვა თათიამ.

- არ გამოვა. მერე მაგათ ვეღარ მოვიცილებ. დაგეგმილ შეხვედრაზე კი, ზედმეტი ხალხის ხლება საჭირო არ არის. არადა აქ, იმათ გარეშე, არასოდეს მოვდივარ.

დაელაპარაკე მაგ კაცს, უხერხულია, - თემა შეცვალა ბარათაშვილმა.

- არ მოგწონთ თბილისი? - ინგლისურად ჰკითხა თათიამ.

,,ძალიანო", - უპასუხა ირონიულად მომღიმარმა ფრანგმა და შეწითლებულ შებლზე კიდევ ერთხელ მოიკიდა ხელი.

,,იმ ტაქსის, უსაფრთხოების ღვედები რატომ არ ჰქონდაო?"" - იკითხა თავის მხრივ, თათიამ იგივე კითხვა მერაბისთვის გადმოაქართულა.

- უთხარი, რომ 06-ის მარკის ჟიგულებში უამრავიდამცავი ჰაერის ბალიშია ჩამონტაჟებული, - ზემოხსენებულ მარკას მარკა აუწია მერაბმა.

თათიამ თარგმნა.

„დამცავი ბალიში მარტო საჭეს ექნებოდა და ის მხოლოდ მძღოლს იცავსო“ - გააპროტესტა დიდიემ.

- გვერდზე მჯდომისთვის, „ბარდაჩოკში“ ოცთეთრიანი მონეტები ყრია, შუბლზე მისადებად-თქო.

- გაჩერდი, კიდევ არ გამეცინოს, - ძლივს შეიკავა თავი თათიამ.

სწორედ ამ დროს დარბაზში ოთხი მამაკაცი შემოვიდა. ერთი მათგანი - ტანმორჩილი, შუახნის ჭაღარა - ძვირფას კოსტუმში იყო გამოწყობილი. ძვირფასივე ფეხსაცმელი ემოსა და ხელშიც სოლიდური კეისი ეჭირა. დანარჩენები გაცილებით ახალგაზრდები იყვნენ.

მოსულებმა მიმტან გოგონას უხმეს. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ძალიან მოკლედ უთხრა, რისი მოტანა ევალებოდა მას და ის იყო, გოგონამ წასვლა დააპირა, რომ ასაკოვანმა სტუმარმა იგი ხელით შეაჩერა. მიმტანმა თავი დახარა და სმენად იქცა. რამდენჯერმე თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად. მერე წელში გაიმართა, ახლავე მოვალო, თქვა და ვიწრო დერეფანს მიღმა გაუჩინარდა.

მერაბი ისე იჯდა, ყოველივე ზემოხსენებული კარგად დაინახა.

ერთ-ერთმა მოსულთაგან, რამდენჯერმე მათი მაგიდისკენ თვალი გამოაპარა და ბარათაშვილს მოეჩვენა, რომ ეს არ იყო უბრალო ცნობისმოყვარეობა.

მიმტანი მობრუნდა. ისევ წელში მოიხარა და ჭაღარას პასუხი ჩასჩურჩულა. ამ უკანასკნელმა თავი დააქნია, კმაყოფილების ნიშნად და პირველად გამოიხედა „უცხოელიანი“”მაგიდისკენ. ეს გამოხედვა არც ქურდული იყო და არც მორიდებული: მან სამივენი კარგად შეათვალიერა, მერე ისევ თავისიანებს მიუბრუნდა და ძალიან მოკლედ და ჩუმად რაღაც თქვა.

მაღალი, ზორბა, მკრთალსახიანი, ლამაზნაკვთებიანი ვაჟი დინჯად წამოდგა ფეხზე და გარეთ გავიდა.

მიმტანი მიბრუნდა. ორიოდ წუთში ხონჩით ხაჭაპური, საწებელა და ლუდი მოიტანა და ბარათაშვილის მაგიდაზე ფრთხილად გადმოაწყო.

- გაამოთ, - თქვა ნაზი ხმით სასიამოვნო გარეგნობის მიმტანმა.

- გმადლობთ. გინდა, მობილურის ნომერი გითხრა? - ხელოვნურად გაუღიმა მერაბმა.

- მობილური? თქვენი? - დაიბნა ქალი და ინსტინქტურად მეზობელი სუფრისკენ გაიხედა, თუმცა უმალ ბარათაშვილს „დაუბრუნდა“, - თქვენი მობილური? მე რად მინდა?

- მერაბ, რა ხდება? - რაღაცა იგრძნო თათიამ.

- განსაკუთრებული არაფერი, ეხლა გარეთ კაცი დგას და ჩემს ტელეფონზე რეკავს. ის კი

დამჯდარია. ამიტომ შენს ნომერს მივცემ. დამირეკავს და მეტყვის, როგორ უნდა მოვიქცე, - საჭიროზე ხმამაღლა თქვა მერაბმა. - ასე

არ არის, ბატონებო? - მიუბრუნდა მეზობელ მაგიდას.

- ეგრევე გეტყობა, შენ იქნები ოთარის ძმისშვილი, - ჩაიცინა ჭაღარამ. - წადი ბიჭო, იმას დაუძახე, შემოვიდეს. - გასცა განკარგულება. - ხო ეგრეა? ხო ბარათაშვილი ხარ?

- „ვინ იცის მტკვარო, რას დუდუნებ, ვისთვის რას იტყვი...“” - უპასუხა მერაბმა და ფეხზე წამომდგარ ჭაღარას „მიბაძა“. - არ ვგავარ?

- გამარჯობა შენი! - ხელი ჩამოართვა ჭაღარამ. - მე ნუგზარი მქვია. ბიძაშენი და მე, შეიძლება ითქვას, შინაურები ვართ.

- სასიამოვნოა, ნუგზარ. მერაბი! რაო, ცარიელი კუპე გვაქვსო?

- რა კუპე? - შუბლი შეჭმუხნა ნუგზარმა და თვალები მოჭუტა.

- შეიძლება რაღაც ვერ გამოვიცანი, მაგრამ სცენარის მიხედვით მე ეულად უნდა შეგხვედროდით. უნდა მოგველაპარაკა, დეტალები დაგვეზუსტებინა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთვებოდა კომედიაში „საზიზღარი კაპიტალისტი“, - თავით კანადელზე მიანიშნა ბარათაშვილმა.

- შენ რაღაც გაუგებრად ლაპარაკობ, - არ მოეწონა ნუგზარს მერაბის ტონი და ტანმაც რაღაც არასასიამოვნო უგრძნო. - რა კომედია, ვინ კაპიტალისტი?

- აი, ესა! - ხელი დიდიესკენ გაიშვირა მერაბმა.

- მე რა ვიცი, ეგ ვინ არი? ვიცნობ, რო?!

- კაი ბატონო, რადგან არ იცი და არც იცნობ, გაგაცნობ: ეს კაცი კანადიდან თავისი პატრონის დავალებით ჩამოვიდა, ექსპერტია. ასე ვთქვათ, სპეციალისტი, რომელმაც იმ პორტრეტის...

- მოიცა, მოიცა, - იდაყვში შეავლო ხელი ნუგზარმა, - უკან, კუპეში შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთ.

- აი, ხომ ვთქვი, კუპე შეკვეთილი იქნება-მეთქი, - დერეფნისკენ მიმავალ ჭაღარას უკან გაჰყვა ბარათაშვილი. - თათია, არ მოიწყინო, მალე მოვალ.

თათიამ მხრები აიჩეჩა. ხმა არ ამოუღია. გემორჩილებიო, ანიშნა.

- დაჯექი, ერთი, დაჯექი, - თავადაც სკამი გამოიწია ნუგზარმა, მაგრამ მერაბის დაჯდომას დაელოდა. - მე გვიან გავიგე, რომ ოთარ ბარათაშვილის ძმისშვილი წამოვიდა საქმეზე. თავიდან კინაღამ გადავირიე, მერე დავფიქრდი და მივხვდი, რომ უფრო უკეთესია. ოთართან დაკავშირება უამრავჯერ ვცადე, არაფერი გამომივიდა. პრინციპში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არცა აქვს, ალბათ. შენ თავადაც კარგად ხვდები

ყველაფერს, როგორც ვატყობ. თუმცა, ერთი რამე ვერ გამიგია: იმ ახვარმა თუ იცოდა, ოთარა რომ ბიძაშენი იყო, შენს მეტი ვერავინ ნახა აქ გამოსაგზავნად? „ლოხების“ მეტი რა ყრია მოსკოვში?! თანაც, როცა ზაზას ველაპარაკებოდი, ვიღაცა მის გვერდით ყვიროდა, უთხარი ოთარ ბარათაშვილის ძმისშვილი რომ არისო. ერთი სამჯერ მაინც თქვა, ამან კიდევ ისე დაასრულა ბაზარი, ცოცხალი თავით არა თქვა. ბოლოს მე თვითონ ვკითხე, მართლა ოთარას ძმისშვილი მოდის-მეთქი და არც მე ვიცოდი, ეგრე ყოფილაო - მითხრა. რა, არ იცოდი, შე ნაბიჭვარო, კაცი ყურში ჩაგყვიროდა-მეთქი. მანამდე არ ვიცოდი და ეხლა რაღა აზრი აქვსო. ეგ რომ მითხრა, მივხვდი, ვერ მოხარშა, რამხელა იაღლიში დაუშვა და მეც აღარაფერი ვუთხარი, საქმე არ გააფუჭოს-მეთქი. კურდღლისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. მორჩება ეს საქმე და ეგ თავისას მიიღებს. ეხლა მთავარი, - მე როგორც ვიცი, შენი გაფრთხილება ვერ მოასწრეს. თვითონ ხვდები რაღაც-რაღაცეებს...

თუ იმას გულისხმობ, რომ სურათი არ არსებობს, თავიდანვე მქონდა მცირე ეჭვი, მაგრამ...

- სურათი არ არსებობს, მაგრამ ის ხალხი არსებობს, ვინც იტყვის რომ სურათი არსებობს!

- რა? დიდიე შეკერილი გყავთ?

- არა და საქმეც ამაშია. ახლა უნდა შევკეროთ. ამას კი შენზე უკეთ ვერავინ გააკეთებს.

- ჰოო? ძალიან საინტერესოა! მაინც როგორ გესახებათ ამ კაცის „შეკერვა“? ალბათ, ფულს შესთავაზებთ, მაგრამ ნუთუ არ გესმით, რომ ეგ მაგ გარიგებაზე არ წამოვა. განა რამდენი უნდა გადაუხადოთ?! უსინდისოც რომ აღმოჩნდეს და დაგთანხმდეთ, თქვენ იმდენ ფულს ვერ გადაუხდით, მაგას ქვეყნის და ოჯახის მიტოვებად უღირდეს. ეგ კანადაში ვეღარ დაბრუნდება.

ნუგზარმა სიგარეტი ამოიღო. წამით გაირინდა. მერაბს თვალებში შეხედა. სიგარეტს მოუკიდა.

- შენს მაგივრად სხვა რომ ჩამოყოლოდა, - განაგრძო პირველივე ნაფაზის მოქაჩვისთანავე, - ის სხვა, ვერაფერს გაიგებდა, ისე გადმოვიბირებდით მაგ დიდიეს. მერე კი, როცა თავის ბოსს დაურეკავდა და ეტყოდა, სურათი მე მაქვსო, ფულს მივიღებდით და პატარა თავდასხმის სცენასაც მოვაწყობდით. მაგ კანადელსაც კარგად მოხვდებოდა და იმასაც, ვინც შენს მაგივრად გვერდზე ეყოლებოდა. ეს პირველი ვარიანტი იყო და ამ ვარიანტის, შენი არ იყოს, არც მე მჯეროდა მაინცდამაინც. მეორე უფრო რეალური მეჩვენა: ორივეს „გავკვანძავდით“. კანადელს კანადაში საფეთქელზე იარაღმიდებულს დავარეკინებდით და ფულის მიღების შემდეგ სადმე ბუნების წიაღში დავტოვებდით ხელ-ფეხშეკრულებს.

წეღან გითხარი, შენი წამოსვლის ამბავი თავიდან მეწყინა, მერე დავფიქრდი და კიდეც გამიხარდა-მეთქი. იმას ვგულისხმობდი, რომ პირველი ვარიანტის ამუშავების მეტი

შანსი გაჩნდა. სიმართლე გითხრა, მეორე მაინცადამაინც არ მხიბლავს. ბუნებით არ ვარ

მოძალადე.

- ერთი ეს მითხარი, ვთქვათ დათანხმდა. როგორც მე მივხვდი, ფულს მაინც ვერ მიიღებს?!

- რა თქმა უნდა! თუ დათანხმდა, დარეკავს, ფულს მივიღებთ და მერე საზეიმო ვითარებაში გამოვაცხადებთ, რომ მისი კუთვნილი თანხა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ფონდში გადაირიცხა და რო იგი დიდი მეცენატი და თავისი ქვეყნის ღირსეული შვილია... შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ ამაზე მანამ უნდა ეფიქრა, ვიდრე საკუთარ წილს საქველმოქმედო ფონდში გადარიცხავდა. შენც იგივეს გეტყვით იმის გასაგონად, ოღონდ შენ, რა თქმა უნდა, შენს წილს რეალურად მიიღებ.

- კარგი და თუ ვერ შეახვიეთ, მაშინ, ესე იგი, ორივეს მოგვიტაცებთ, იმას იარაღს დაადებთ და დაარეკინებთ, არა?

- ჰო, ეგრე მოგვიწევს!

- შენ, რაიმონდ ბერეხს თუ იცნობ?

- არა, მსოფლიო მოქალაქეა? - ჩაეღიმა ნუგზარს.

- სანამ საქმეზე ლაპარაკს გავაგრძელებდეთ, მართალი მინდა ვიცოდე, იცნობ თუ არა ბერეხს.

- არა-მეთქი, ხო გითხარი. შვილებს გეფიცები, არ ვიცნობ. ისე კი ვიცი, ვინც არის, ზაზასგან ვიცი.

- რა თქმა უნდა, ამ საქმეში არ ურევია?!

- აი, ეგ „ლოხიღა“ მაკლია, რა! მაგაზე შენ ნუ დარდობ, არაფრის აზრზე არ არის და ვერც ვერაფერს ისქესებს.

- იცი, რას ვფიქრობ, - მერაბმაც მოუკიდა სიგარეტს, - მე მგონი, მესამე ვარიანტის დამუშავება მოგვიწევს.

- რა მესამე ვარიანტის? შენ ცოტა უცნაური ლაპარაკი იცი, ბიძაშენივით, - სახე დაეძაბა ჭაღარას.

- ბიძაჩემმა პაპაჩემისგან ისწავლა. იცი, რა მითხრა ერთხელ პაპაჩემმა, როცა ექვსი წლის ვიყავი?

- ეგ არ მაინტერესებს, შენ ისა თქვი, რა მესამე ვარიანტზე ლაპარაკობ?

- ბერეხისთვის წილის მიცემა აზრად არ მოგსვლია?

- იცი რა, ჯიგარო. მართალია, ბიძაშენი ქურდია, მარა არც „კაკალოა“ კურტნის მუშა. მე აქ იმის სახელით ვლაპარაკობ. სხვათა შორის,“კაკალომ თვითონ თქვა, იმ ბიჭს გული

არ ვატკინოთ, რაც ეკუთვნის უნდა მიიღოსო. შენ ეხლა კიდე ვიღაცა ,,ლოხისთვის“ წილს ითხოვ აქა. იცი, რას გეტყვი...

- ჯერ მე გეტყვი! - ფეხზე წამოდგა მერაბი, - იმ კაცმა მე ხელი მაშინ გამომიწოდა, როცა მიჭირდა. მე არ ვიცი, შენ ვის ეძახი ,,ლოხებს“, მაგრამ არ მომწონს ეგ სიტყვა და არ მსიამოვნებს, როცა მისი მისამართით ამბობ. ეს ერთი! ეხლა მეორე და მთავარი: წეღან გითხარი მესამე ვარიანტის მოძებნა მოგიწევს-მეთქი და იცი რატომ? იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მიზეზი მაქვს, რომელსაც შენ ვერ მიხვდები. მესამე ვარიანტი ალბათ ის იქნება, რომ ჩვენ ორივეს "გაკვანძვა" მართლა მოგიწევთ, მაგრამ ეჭვი მეპარება გამოგივიდეთ... მოკლედ, მე თანახმა არა ვარ! ერთადერთი, რისი გაკეთებაც შემიძლია, ის არის რომ მოსკოვში ვიტყვი, სურათის პატრონებმა ჩემი ნახვა არ ისურვეს-მეთქი. ეს არის და ეს.

- ეხლა მე ბიძაშენს დავურეკავ! - გაცეცხლებული წამოვარდა ნუგზარი, ჯიბიდან მობილური ამოიღო და კარში გავიდა.

- პედსაბჭოზე დაიბარე და გააწითლე. უთხარი, ყოფაქცევაში ნიშანს ვერ ეღირსება-თქო! - გზად დააწია მერაბმა და თავადაც კვალში ჩაუდგა.

- არ გადის, მე ამისი... - უკვე თავის მაგიდასთან თქვა ნუგზარმა. მისი რეაქციით გაოცებული ახალგაზრდები ფეხზე წამოდგნენ.

ამასაბოში მერაბიც დაუბრუნდა ,,თავისიანებს“. თათია უკვე მიმხვდარიყო, რომ ,,იქ“ არასასიამოვნო საუბარი შედგა. დიდიე კი წუთის წინ მოტანილ ცხელ ხინკალს ისე აკვირდებოდა, როგორც ჰერბარიუმში აკვირდებიან ხოლმე იშვიათი ჯიშის პეპელას და მასში საკვების აღმოჩენას ლამობდა. ისე ჩაუარა გვერდზე გაცოფებულმა ნუგზარმა, მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

- არ უწერია ამას ხინკლის გასინჯვა. წავედით თათია, - თქვა მერაბმა და თავით კარისკენ მიუთითა, - რამდენია ჩვენზე? - გასძახა მიმტანს.

- მოიცა, მოიცა, ჯერ ნუ წახვალ. ჩვენ რაღაც-რაღაცეები გასარკვევი დაგვრჩა, - სწრაფად მოტრიალდა და წინ გადაუდგა ჭაღარა. ბიჭებიც გვერდით ამოუდგნენ.

- იმედია, აქ ძალით გაჩერებას არ მიპირებთ... - მერაბმა ყველა მათგანი შეათვალიერა. - არა მგონია, მომგებიანი საქმის ძალიან წამგებიანად დასრულება გაწყობდეთ. - ჩუმად, თუმცა მკაფიოდ წარმოთქვა მერაბმა.

თათიაც და დიდიეც უკვე ფეხზე იდგნენ. კანადელი ნამდვილად ვერ ხვდებოდა რაში იყო საქმე. მაგრამ კარგი რომ არაფერი ხდებოდა, გრძნობდა და ეს სახეზეც ნათლად აღბეჭდვოდა.

- მომისმინე რა, - თავის მოთოკვაში ძალიან დიდი ძალა დახარჯა ნუგზარმა, - მოდი, ერთი-ორი წუთი ნუ წახვალ. მე მეცი პატივი. ბიძაშენს დავურეკავ, დაველაპარაკები და როგორც იტყვის, ისე ქენი.

- შენ მე არ მიცნობ, ჩემო ნუგზარ. სათქმელი უკვე გითხარი, აღარაფერი შეიცვლება, თუ პატივს

დაგვდებთ და გაგვატარებთ, დიდად მადლობელი დაგრჩებით. თქვენი სახით მტრების შეძენა ნამდვილად არ მინდა. გარწმუნებ, არც მე ვარ საჩუქარი, ამიტომ დავიშალოთ, ჯობია...

- შენ იცი, რას მიკეთებ? შენ წარმოგიდგენია, რა შარში მაგდებ? - ოფლმა დაასხა შუბლზე ნუგზარს. - მოდი, ესე მაინც გავაკეთოთ. მე და შენ კაკალოსთან ავიდეთ, დავილაპარაკოთ. გნახოს იმ კაცმა თავის თვალით. იმას უთხარი, რასაც ფიქრობ და გადაწყვიტეთ, ძმაო, ყველაფერი, მე რატო უნდა შევეწირო ამ საქმეს.

- ნუგზარ, შევდივარ შენს მდგომარეობაში. ვხედავ, რა დღეში ხარ და ამიტომ შემიძლია აქ კიდევ ერთი საათი გავჩერდე. შენ ვისაც გინდა რომ შემახვედრო, აქ შევხვდები. ამასობაში დიდიე ხინკალს გასინჯავს... მერე სვეტიცხოველს და ჯვარს ვაჩვენებ. წეღან რომ მოვდიოდი, აფიშა დავინახე, სუხიშვილების კონცერტი ყოფილა დღეს. თუ ბილეთი ვიშოვე, საღამოს იქ წავიყვან. რატომღაც ძალიან მინდა, რომ საქართველო მოეწონოს, - ისევ მშვიდად თქვა ყოველივე ეს ბარათაშვილმა.

- კარგი, ეგრე იყოს! ბესო, წადი და კაკალო მოიყვანე, სასწრაფოდ! ხო იცი, სადაც არი.

ლამაზსახიანმა თავი დაუქნია და სწრაფად გავიდა.

- მაინც არ მესმის შენი. მომკალი და არ მესმის! ბევრი ფული გაქვს, ძმაო?

- შენ წეღან არ მათქმევინე, პაპაჩემმა რა მითხრა. დაჯექი ჩვენთან, - სკამი შესთავაზა თავის მაგიდასთან მერაბმა ჭაღარას. - დასხედით, თათია.

- მიდით, მოვალ! - გასცა განკარგულება ნუგზარმა და მისი „ამალა“ თავის მაგიდას დაუბრუნდა.

მერაბი დაჯდა. სხვებიც დასხდნენ.

- 6 წლის ვიყავი, პაპამ ტყეში წამიყვანა. სარი მოჭრა ვაზისთვის. მეზობლის ცხენი წამოიყვანა თან. სარი სულ ორი კონა იყო, მეტი კი არა, გადაკიდა ცხენს, მე კისერზე შემისვა და სოფლისკენ დავეშვით.

თბილისიდან ჩასული ბავშვი ვიყავი. ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდოდა იმ ნაცრისფერ ცხენზე შეჯდომა. თან ისიც გავიფიქრე, ორი კონა სარი ამხელა ცხოველისთვის არაფერია, იქნება პაპა დაიღალოს და ცხენზე გადამსვას-მეთქი, მარა მას აზრადაც არ მოსვლია, ვერც მე ვუბედავდი, მაგრამ სოფელი რომ გამოჩნდა, ისე მომეძალა სურვილი, გავბედე და ვუთხარი, შემსვი პაპა ცხენზე, მაგისთვის სულ ერთი არ არის-მეთქი? იცი, რა მიპასუხა? მაგისთვის სულ ერთია, ჩემთვის არაო! შენი მხედრობა ჩემს კისერს ემახსოვრება, ცხენისას არაო. გესმის შენ? მერე უცებ შედგა. დაიხსომე, რაც გითხარიო? - მკითხა. კი-მეთქი, ვუთხარი. მერე კისრიდან ბუმბულივით ამიტაცა და ცხენზე გადამასკუპა.

- მერე? - სხვათა შორის იკითხა ნუგზარმა და სიგარეტს მოუკიდა.

- შენ პაპა გყავდა?

- პაპა ყველას ყავდა.

- თუ გახსოვს?

- შიგადაშიგ...

- კისერზე თუ შეუსვიხარ?

- არ მახსენდება... რა არი, რო?

- არაფერი, უბრალოდ იქიდან სამყარო სხვანაირი მოჩანს...

- ცხენზე ბევრჯერ ვმჯდარვარ! - ამაყად განაცხადა ნუგზარმა. - მარა, რა შუაში იყო ეხლა ეგ ამბავი იმასთან, რაც მე გკითხე? მოვა ეხლა „კაკალო“ და იგივე კითხვა დაებადება? ფული არ გჭირდება?

- შენ იცნობ ადამიანს, ფული რომ არ ჭირდებოდეს?

- ჰოდა, დალოცვილო, მეც მაგას არ ვიძახი?! აგერ ფაქტიურად არაფერში გვთავაზობენ ამხელა მაყუთს. ღმერთი გვიგზავნის და უარს ამბობ?!

- ღმერთი რომ მიგზავნიდეს, თქვენი ხელით არ იზამდა. არ გეწყინოს და ეშმაკის გამოგზავნილს უფრო ჰგავს.

- რად გინდა ეგეთი ლაპარაკი? არ მიცნობ, არ გიცნობ, რატო მაყენებ შეურაცხყოფას. რა იცი, ხვალ რა ხდება? - ძალიან არ მოეწონა მერაბის ნათქვამი ჭაღარას. მეტის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევ შეიკავა თავი.

- არც ხვალ, არც ზეგ და არც ასი წლის შემდეგ არაფერი შეიცვლება. შენც ისევ ის იქნები, ვინც ხარ და არც მე გარდავიქმნები. ჩვენ საერთო არასოდეს არაფერი გვექნება, თუ რა თქმა უნდა, დღევანდელივით რაიმე გაუგებრობამ არ გადაკვეთა ჩვენი გზები, - თქვა ბარათაშვილმა, ნუგზარას თვალებში ჩახედა და უმალ თათიას მიუბრუნდა.

- რას შვება ეგ გაჭირვებული? - დიდიეზე ჰკითხა, - ვერ რისკავს ხინკლის გასინჯვას? გამოახედე აქეთ, - ხინკალი აიღო მერაბმა. - აი, ასე. უყურე. აიღე ხელით, ფრთხილად ჩაკბიჩე... ოჰ, რა კარგია, კაცო...

კანადელი ყურადღებით დააკვირდა მერაბს. მერე თათიას გადახედა. ამ უკანასკნელმა გაუღიმა და „მიირთვითო“ - უთხრა ინგლისურად.

დიდიემ კიდევ ერთხელ შეხედა მერაბს, მერე მოკბეჩილი ხინკლიდან ამოხეთქილ ოხშივარს შეხედა მშიერი თვალით და „რაც არის, არის“ პრინციპით ეკვეთა „ცხრამეტნაოჭიანს“.

- მიირთვი, ნუგზარ, გთხოვ. მაგარი ხინკალია, - შესთავაზა მერაბმა ჭაღარას. - თათია, მიეცი სტუმარს მაგალითი.

თათიამ დაბრაწული ხაჭაპურის მოზრდილი ნაჭერი გადააცურა თეფშზე და "„ქალურად"" შეექცა.

- მე ბიჭებთან გადავალ,

გმადლობთ! - თქვა ნუგზარმა და ფეხზე წამოდგა.

- როგორც გენებოს! - მოკლედ თქვა ბარათაშვილმა და მეორე ხინკალი აიღო. - ჰა, როგორია? - გადახედა სტუმარს. - რას ატყობ თათია, მოსწონს?

- მერაბ, რა ხდება? - კითხვითვე უპასუხა თათიამ, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა, კარგი არაფერი ხდებოდა, მაინც შინაგან სიმშვიდეს ინარჩუნებდა და თითქოს არც ღელავდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდებოდა: მერაბი იქ იყო.

- არაფერი განსაკუთრებული. ამ ხალხს დიდი პრობლემა აქვს. მათ ჰგონიათ, რომ ამის მიზეზი მე ვარ. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე არ არის. მთხოვეს, იგივე მათთვის ავტორიტეტულ პირთან დავაფიქსირო. სიმართლე გითხრა, ამის დიდი სურვილი არ გამაჩნია, მაგრამ ხანდახან თავს ზევით ძალა არ არის. ამაში თავადაც დარწმუნდები, როცა ჩემს ასაკს მიაღწევ... ყოველ შემთხვევაში, მჯერა, ბოლო აუცილებლად კეთილი იქნება.

- შენ ბიჭებს რატომ არ ურეკავ?

- ამის აუცილებლობა არ არის. თუ საჭიროებამ მოითხოვა... დამშვიდდი, ჩემო თათია, დამშვიდდი!

- შენ რომ ღელავ?

- ჰოო? ნუთუ ასე შესამჩნევია... არა უშავს. შეიძლება ცოტას ვღელავ კიდეც, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, ყველაფერი კარგად იქნება. - თათიამ თითქოს ის პასუხი მიიღო, რომელიც სჭირდებოდა და რამოდენიმე წუთით სიჩუმემ დაისადგურა.

- აი, მოვიდა! - ფეხზე წამოვარდა ნუგზარი გვერდზე მაგიდასთან მას შემსდეგ, რაც საბურავების ღრჭიალის და დამუხრუჭების ხმა შემოიჭრა ქუჩიდან. ჭაღარა და მისი მხლებლები გარეთ გაცვივდნენ.

მერაბიც წამოდგა.

- თათია, მათხოვე ტელეფონი! - თათიამ უმალ მიაწოდა. მერაბი გასასვლელისკენ დაიძრა. ვეება ფანჯარასთან შეჩერდა, ნომერი აკრიფა.

- ალო, რაიმონდ...

- გისმენთ! - გაისმა ყურმილში.

- რაიმონდ, არავითარი სურათი არ არსებობს, გესმის?

- მესმის, მაგრამ რაიმონდი ახლა ქალაქგარეთ ისვენებს. ტელეფონი მე მათხოვა, - გაისმა ყურმილში. - ზაზა ვარ, ბატონო მერაბ, ვერ მიცანი?

- ჰოდა, ზუსტად შენი დედა... - ხმამაღლა შეიგინა ბარათაშვილმა და ტელეფონი გათიშა. - ყველაფერი წვრილმანებში გაუთვლიათ. რაიმონდი ეტყობა, სადმე ჩაკეტეს. სანამ ფულს არ აიღებენ, მისი მოძებნა შეუძლებელია.

- როგორ თუ, ჩაკეტეს. რა ხდება, მერაბ? რა უბედურებაა ჩვენს თავს? - ფეხზე წამოდგა თათია.

მერაბმა პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო. დარბაზში ნუგზარი და მისი ბიჭები შემოვიდნენ. ახალი არავინ შემოჰყოლიათ. გარეთ მანქანა დაიქოქა და სწრაფად მოწყდა ადგილს.

- მოკლედ, ასე, ჩემო მერაბ... ბიძაშენს ვერაფრით დავუკავშირდით... ამ საქმის გაფუჭების უფლებას ჩვენ არავინ მოგვცემს. ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ, ასე გადაწყდა. - კარებში ჩადგა ნუგზარი.

გვერდით მხლებლები ამოუდგნენ.

- მე ახლა რაიმონდს დავურეკავ და ვეტყვი, რომ სურათი არ არსებობს, - თქვა ბარათაშვილმა და მობილური მოიმარჯვა.

- კი ბატონო, დაურეკე, - ღიმილით დათანხმდა ჭაღარა.

მერაბმა ნომერი აკრიფა.

- ალო, მერაბი ვარ!

- გვარი უთხარი, გვარი, სხვა მერაბი არ ეგონო! - ჩაიხითხითა ნუგზარმა.

- რაიმონდ, მომისმინე. მე ეხლა თბილისში ვარ, რიყეზე. დიდი პრობლემა მაქვს. ვა, რაღაც რაიმონდის ხმას არ გავს, - თქვა სხვათა შორის ბარათაშვილმა ვითომდა თათიას გასაგონად. - რაიმონდი ხარ? რა ხმა გაქვს? მოკლედ, რა კარგი იქნებოდა ახლა შენც აქ რო იყო. ყველაფერს უკეთ გავარკვევდით. სადა? აქა? არ ვიცი, ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჰო, კარგი, შევეცდები... შენ არ იცნობ, ალბათ, ნუგზარი ქვია. „კაკალოს“ ახლობელია... რაღაც არ მომწონს მე ეს ხალხი. უბრალო შეხვედრაზე შეიარაღებულები მოვიდნენ. ეტყობა იარაღით შოულობენ ფულს, თორემ, ძვირფასი თეთრი კადილაკის ყიდვა პატიოსანი გზით თითქმის შეუძლებელია...

- კარგი, ახლა გეყოფა, - ღიმილი არ მოშორებია სახიდან ნუგზარს. - ნუ გაუხეთქე გული იმ კაცს, თავისი გაჭირვება ეყოფა.

- ჰო, კაი, კაი, ნუ გეშინია. სად არი ამათი შესაშინებელი ბარათაშვილი... აბა, კარგად, შენ იცი, ფრთხილად იყავი, ქუჩაში მარტო არ გამოხვიდე, წავედი. თუ ვეღარ დაგირეკე, არ შეგეშინდეს. - და მერაბმა ტელეფონი დაკეცა. - ხედავ, მაინც ვერ გაგიმეტე, ჩემო ნუგზარ. სურათი რომ არ არსებობს, არ ვუთხარი. ასე, რომ მოდი დავჯდეთ და მოვილაპარაკოთ.

- ვა, შენ რა სხვანაირად აჭიკჭიკდი, რაშია საქმე. ხომ არ შეგეშინდა, კაცო... ,,კაკალომ" ოთარასთან მე მოვაყომარებო, ესე თქვა, შენი პრობლემა არ არისო. ასე, რომ ახლა ჩვენ დავრეკავთ კანადაში და ეგ თქვენი ექსპერტი იტყვის, რომ სურათი გადმოგეცით. მერე კი, ცოტას გავისეირნებთ, ფულის მიღებას დაველოდებით. სინდისს გეფიცები, ძალიან არ მინდოდა ესე მომხდარიყო, მაგრამ სხვა გზას არ გვიტოვებ და...

- მოდი, ჩემო ნუგზარ, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ. ეხლა შენ რომ ძალა იხმარო და ის გამაკეთებინო, რაც არ მინდა, ხომ შეიძლება, ის ფული რომელიც შენ გერგება, ოხრად დაგრჩეს? როგორ გგონია, ამ ქალის თანდასწრებით, ესეთ შეურაცხყოფას გაპატიებ?

- აბა, ეხლა ეგეთები არ იყოს. მე არ მეშინია! - აღელვება დაეტყო ჭაღარას. - თუ კარგად დაფიქრდები, მიხვდები, რომ მე ჩემი სურვილით არ ვმოქმედებ. წეღან გითხარი, წამომყევი კაკალოსთან-მეთქი? არ ისურვე! ჰოდა, არც იმან ისურვა შენ გხლებოდა. მე იმას ვაკეთებ, რაც დამავალეს...

- რას უბოდიშებ, ნუგზარ? - პირველად ამოიღო ხმა ,,ლამაზმა" მორბედმა - მოვკიდოთ ხელი სამივეს და ჩავტენოთ მანქანაში.

- შენ სარკე გაქვს, ბიჭო? - მიმართა აგრესიულს ბარათაშვილმა. - პირობას გაძლევ, ეს ამბავი როგორც არ უნდა დამთავრდეს, კაი ხანი არ მოგინდება შიგ ჩახედვა.

- მოკეტე შე ახვარო! - იღრიალა ,,ადრესატმა" და წელიდან შავი ,,ტეტე" ამოაძრო. - აბა, ჩქარა ,,დავაი"! სუყველა მანქანაში! - სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა მაგიდას. დიდიეს ქეჩოში ხელი ჩაავლო, სკამიდან წამოახტუნა და კარისკენ წააბუნძულა. - რას დგახართ, ბიჭო. მოკიდეთ იმ გოგოს ხელი და წამოათრიეთ.

ბოლო სიტყვები მაშინ თქვა, როდესაც მერაბს გაუსწორდა და გვერდით ჩავლა დააპირა, მაგრამ გვერდულად მდგარმა ბარათაშვილმა ცალ ფეხზე ნახევარი ბრუნი გააკეთა და მთელი ძალით მოქნეული შეკრული მუშტი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცხვირში დაჰკრა. ამოყმუვლების მსგავსი ხმა ძალიან მოკლე იყო, რადგან მერაბმა წაბარბაცებულ ვაჟს იგივე მუშტი არანაკლები ძალით ახლა წარბში დააწია და... თათიას კივილმა იქაურობის ფერი შეცვალა. ჯერ ყველაფერი აჭრელდა, მერე გათეთრდა, მერე გამუქდა, მერაბს ტკივილი არ უგრძვნია. პისტოლეტის ტარის ყრუ ჭახანის ხმა გაიგო მხოლოდ... მერე ის მუქი ფერიც ჩაქრა.

***

- თეთრი ჟიგული არანორმალური სისწრაფით შევარდა რიყეზე. სამუხრუჭე ხუნდების წივილის ხმა გაისმა. მანქანა დაბზრიალდა, თითმის ორი წრე შემოხაზა და ირიბად

გაჩერდა. გოგა გორგილაძე თოფიდან ნასროლივით გამოვარდა მანქანიდან. ირგვლივ მიმოიხედა. ოციოდე მეტრში ხალხი იყო შეკრებილი, იმათკენ გაიქცა.

- კადილაკი, თეთრი კადილაკი. - გზაშივე დაუყვირა გოგამ შეკრებილთ. - სად არის? ვინ დაინახეთ?

- პოლიციიდან ხართ? - ჰკითხა კარგად ჩაცმულმა და სიმპათიურმა შუახნის მაღალმა ქალმა.

- არა, პროკურატურიდან... მითხარით, რასაც გეკითხებით! - იღრიალა გორგილაძემ.

- ორი წუთია წავიდა... - მყისვე უპასუხა შეშინებულმა ქალმა.

- სანაპიროს გაუყვა, მარცხენა სანაპიროს... - დაამატა იქვე მდგარმა 16-17 წლის გოგონამ.

- გასაგებია... - თქვა გოგამ და ისევ მანქანისკენ გაიქცა.

- მეგობარო! - შემოესმა მამაკაცის ბოხი ხმა ზურგიდან. - აქ კაცი დატოვეს... უგონოდაა...

- ვინ კაცი? - უფსკრულის პირას შეჩერებულივით გაასავსავა ხელები გორგილაძემ და მოტრიალდა. - სად არის?

- ჩემს ოთახში წევს...

- აბა, სად არის, მაჩვენეთ. - ძუნძულით მობრუნდა უკან გორგილაძე.

- აქეთ მობრძანდით, - თავადაც აუჩქარა ფეხს ზორბა, ღიპიანმა, სამოც წელს გადაცილებულმა მამაკაცმა.

სწრაფად გადაჭრეს პატარა დარბაზი და ვიწრო დერეფანი ბოლომდე გაიარეს.

კარი კაცმა შეაღო:

- შებრძანდით.

- მერაბ, ბიჭო... - დაიყვირა დივანზე გულაღმა გაშხლართული ბარათაშვილის დანახვაზე გოგამ. - მერაბ! - მუხლებზე დაეშვა მეგობრის თავთან. - მერაბ! - იღრიალა მთელი ხმით.

***

რკონიდან თავაწყვეტილი ჭენებით მოაგელვებდა ნაცრისფერ მერანს თეთრჩოხიანი მხედარი. ჩაჩუბეთამდე ისე უცებ ჩამოიფრინა, თავადაც გაუკვირდა. სადავე მოზიდა, იქაურობა მოიარა თვალით. არავინ ჩანდა...

ჯავრი მოუვიდა საკუთარ თავზე: ისე ღრმად რა ჯანდაბამ ჩამაძინა, რომ მაყრიონის წამოსვლაც ვერ გავიგეო...

ანდა უჩემოდ როგორ წამოვიდნენ, ნუთუ იასონს მაინც არ გავახსენდი. ვთქვათ, სხვები დათვრნენ, ეგ ხომ მაინც არ სვამს ღვინოსო...

ცხენს მათრახი გადაუჭირა და აღმართზე შეაგდო. აიარა. მარცხნივ მოზიდა სადავე. თეძამს გადახედა რატომღაც.

„იასონ“ - შეჰყვირა მეგობრის დანახვაზე. - „შეჩერდი, დამელოდე, ბევრნი არიან...“”

მდინარისკენ ჩამავალ დაღმართზე ხმალშემართული ჩარბოდა თეთრ კიმონოში გამოწყობილი ეული სამურაი.

ისინი უსაშველოდ ბევრნი იყვნენ. თეძმის პირზე ჩამწკრივდნენ. არც თავი უჩანდა მათ რიგს და არც ბოლო, მწვანე ხალათები ემოსათ და წითელი ჩალმები ეხურათ. ღონიერ ცხენებს ძლივს აკავებდნენ...

წამიც და სამურაიმ მიაღწია თეძამს, შედგა. ხმალი ორივე ხელით ჩაბღუჯა.

„იასონ, დამელოდე, უკვე შენთანა ვარ“ - ისევ გადაჰყვირა გორაკიდან თეთრჩოხიანმა და ცხენს გამეტებით გადაჰკრა მათრახი. - „მოვდივარ, მოვდივარ, იასონ!“”

საშინელმა ყიჟინამ დაახშო და გადაყლაპა მისი ხმა: წითელჩალმიანები ღრიალით შეცვივდნენ კამკამა მდინარეში. აიმღვრა თეძამი, ტალახის ფერი გახდა...

„იასონ!“”

სამურაიმ თავი დახარა, კბილებით

მისწვდა კისერზე დაკიდებულ ვერცხლის ჯაჭვს, დაქაჩა და მტკაველისოდენა ვერცხლის ჯვარი ამოაგდო უბიდან... უკან მოიხედა:

„ნუ გეშინია, მერაბ!..“ - გაიღიმა სამურაიმ.

- ნუ გეშინია, მერაბ! აქა ვარ, ბიჭო! - ჩაესმა ყურში ბარათაშვილს და საფეთქელთან ხელის შევლება იგრძნო. თვალები გაახილა. კეფასთან საშინელი ტკივილი იგრძნო. სახე შეჭმუხნა. ისევ დახუჭა თვალები.

- მერაბ, გესმის, ბიჭო?

- მესმის, გოგა, მესმის! - თქვა ოდნავგასაგონად. მეგობარს შეხედა.

- როგორა ხარ? დაჭრილი ხარ? რა გტკივა? - მიაყარა კითხვები გორგილაძემ.

- თავი მტკივა საშინლად...

- სხვა, სხვა არაფერი?

- ერეკლე მაკარენკოს მოსკოვის ტელეფონი თუ გიწერია მობილურში?

- კი, მიწერია. რად გინდა?

- დაურეკე. სასწრაფოდ დაურეკე და ყურმილი მომაწოდე.

- რა ხდება, მერაბ, მითხარი?

- გააკეთე, რასაც გეუბნები...

გოგამ ჯიბიდან მობილური ამოიღო და ნომერი მოძებნა. დარეკა:

- აჰა, გავიდა! - ყურთან მიუტანა აპარატი.

- ერეკლე, მერაბი ვარ. კარგად მომისმინე. რასაც გეტყვი, დაუყოვნებლივ და ზედმეტი კითხვების გარეშე უნდა გამიკეთო, მერე აგიხსნი ყველაფერს... ბიძაჩემის ტელეფონი ხომ გაქვს, ოთარის? ჰოდა, დაურეკე. სასწრაფოდ მოძებნე. სადაც მე და თათია მოგვიყვანე, უსაჩოვის ქუჩაზე, იქ მიიყვანე... ზაზა მოძებნოს ბერიძე... დაიმახსოვრე, ბერიძე. იქ თუ არ იქნა, ტელეფონი გაიგოს და დაურეკოს... ზაზას და მის ხალხს ბერეხი ყავთ სადღაც გადამალული. შეიძლება იქვე ჰყავდეთ, ოფისში. მოკლედ, ბერეხი მოძებნოს და რაც შეიძლება მალე დამალაპარაკოს, გაიგე? ძალიან კარგი. აბა შენ იცი. გელოდებით... ჰო, ამ ტელეფონზე დამირეკეთ. გოგასია, გორგილაძის. აბა, შენ იცი!@ - დაამთავრა საუბარი მერაბმა და მერეღა მოკიდა ხელი ტელეფონს. ეკრანს დახედა, ნომერი აკრიფა. დაკავება იყო. - უკვე რეკავს! - თქვა და აპარატი პატრონს გაუწოდა.

- რა მოხდა, აღარ მეტყვი, ბიჭო? - ხელზე ხელი მოკიდა გორგილაძემ.

მერაბი დივანის კიდეს დაეყრდნო ერთი ხელით, წამოიწია...

- ნუ ადგები, სასწრაფოს გამოვიძახებ!

- სასწრაფო უკვე გამოძახებულია! - პირველად ამოიღო ხმა იქვე მდგარმა მამაკაცმა.

მერაბს არაფერი უთქვამს. წამოჯდა. ფრთხილად მოისვა ხელი კეფაზე. დახედა:

- სისხლი მოგდის, ბიჭო! - ფეხზე წამოდგა გოგა.

- ვხედავ! - ჯიბეში ჩაიყო მეორე ხელი და ცხვირსახოცი ამოიღო. ხელი შეიწმინდა.

- მაჩვენე, აბა, თავი! - ზურგიდან მოუარა გოგამ.

მერაბმა თავი ოდნავ დახარა.

- კაი გვარიანი ჭრილობაა. რა ჩაგარტყეს, მე მაგათი დედა... - ხმამაღლა შეიგინა გორგილაძემ.

- არ ვიცი, არ დამინახავს... მომე ხელი! - მერაბი გოგას მაჯას დაეყრდნო და ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე.

- თავბრუ ხომ არ გეხვევა?

- წყალი მწყურია.

- ახლავე! - დერეფანში გავარდა ზორბა.

- თავბრუ არ გეხვევა? - გაუმეორა კითხვა გოგამ.

- არ ვიცი. არა...

- გული გერევა?

- კარგი, რა, ნუ შემაღონე... - ხელკავი გაუყარა მეგობარს ბარათაშვილმა და ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს, კარისაკენ დაიძრა მძიმედ.

- მოდი, რა, დაველოდოთ სასწრაფოს, გაგსინჯონ და მერე...

- ხო ხედავ, დავდივარ, წამო რა!..

გოგას აღარაფერი უთქვამს. ჯერ თავად გავიდა კარში და მერაბიც გაიყოლა.

წყალი დერეფანშივე შეაგებეს.

სულმოუთქმელად გამოსცალა მაღალი ჭიქა. მადლობაო, თქვა და ნელი ნაბიჯით წავიდა გასასვლელისკენ.

***

- მართალია, უხეშად მოგეპყარით, ქალბატონო, მაგრამ დამიჯერე, შენმა მეგობარმა სხვა გზა არ დაგვიტოვა! - ვეებერთელა, ახლადგალესილ ოთახში ბოლთას სცემდა ნუგზარი და სიგარეტს ხარბად ეწეოდა.

პოლიეთილენგადაფარებულ ტახტზე ორნი ისხდნენ - თათია და დიდიე.

მათ წინ, ალაგ-ალაგ ამომწვარ და გახუნებულ უშნო მაგიდას ასევე ორი კაცი მიჯდომოდა. ზედ შუშის მოზრდილი გრაფინით შეფერილი არაყი იდგა. გაშლილ გაზეთზე დატეხილი თონის პური, დაჭრილი ძეხვი და კიტრის მწნილიანი თეფში ეწყო. იქვე, ყველას დასანახად, ლულით ტახტისკენ იდო შავი „ტეტე“.

მთელს ამხელა ოთახში, არათუ ავეჯს, პატარა ნივთსაც კი ვერ შეავლებდა კაცი თვალს.

- წადი, კუკურ, ერთი სკამიც ჩამოიტანე ზევიდან! - წეღან წამოწყებული საუბარი ამგვარად გააგრძელა ჭაღარამ. მერე გზისკენ გამავალ ფანჯარას გახედა, მობრუნდა.

კუკურად წოდებული ვაჟის სკამზე ჩამოჯდა:

- მოსახდენი მაინც მოხდა, არა?! და ეს, ყველა ვარიანტში ასე იქნებოდა... ჰა, დარეკა ამ პატიოსანმა კაცმა და უთხრა, რაც სათქმელი იყო ფულის „მეშოკს“. ვის დააკლდა რამე, იმ მერაბის გარდა... დაეჯერებინა, რასაც ვთხოვდით. მაყუთსაც მიიღებდა და არც იქ იწვებოდა თავგაჩეხილი... არა, არა, სუფთა საქონელი ხარ რა, ლაზარე! - ამოიოხრა ნუგზარმა. - ვინ დაგავალა, კაცი გათიშეო... გთხოვა ვინმემ?! სამი მუტრუკი იყავით, იმ ერთ კაცს სხვანაირად ვერ მოუვლიდით?

- რას ამბობ,

ნუგზარ, „კუკლას“" ცხვირი აღარა აქვს ფაქტიურად. თავზე კიდე ექვსი ნაკერი დაადეს. საავადმყოფოში უგონოდ დავტოვე... ღმერთმა იცის, კიდე რა სჭირს! წაქცევისას ისე მაგრად ხია თავი სკამის კუთხეს, რაღაცა ჩატეხილი ექნება.

- ვისი ბრალია, მერე?! რაღას მიხტებოდა წინ, მე, რა, ბაზარი მეშლება, თუ ჩემზე უკეთ „კუკლამ“ იცის, როდის რა არის საჭირო! ეხლა იმ ბიჭს რო რამე სერიოზული დაემართოს, როგორ გგონია, ოთარა ბარათაშვილი თავზე ხელს გადაგვისვამს?!

- ერთი ის მაყუთი დროზე დაჯდეს ანგარიშზე და სუ ფეხებზე მკიდია, იმას რა მოუვა... ჩემს ძმაკაცს სიფათი გაუნგრია და მადლობა მეთქვა? მართალი ვარ და სადაც გინდა და ვისთანაც გინდა, იქ ვიბაზრებ.

- მე ჩემი გითხარი და დანარჩენი შენ იცი! ოთარამდე კაკალოსთან მოგიწევს ბაზარი... რო ვუთხარი, რაც მოხდა, ერთი მაგრად მაგინა და ტელეფონი გამითიშა.

- ჩემი თავის „ატვეჩაი“ მე ვარ... - ტეტე ადგილზე დააბზრიალა ლაზარემ და არაყი დაისხა. გადაკრა.

ამ დროს კანადელმა თათიას რაღაც გადაუჩურჩულა.

- რა უნდა მაგას? - არ გამოპარვია ნუგზარს.

- აქ როდემდე უნდა ვიყოთო, იკითხა, - უთარგმნა ქალმა. ოდნავ გაბზარული, ნამტირალევი ხმით.

- დაგვირეკავენ! დაჯდება თუ არა ფული ანგარიშზე, ეგრევე დაგვირეკავენ. იმედია, ვის სახელზე და რომელ ქვეყანაში, არ აინტერესებს...

თათიამ ნუგზარის ნათქვამი რატომღაც ჩურჩულითვე დაუბრუნა დიდიეს.

- შენ რაღას ჩურჩულებ? - ფრთხილობდა შეშინებული ნუგზარი.

- ხმამაღლა რომ ვთქვა, გაიგებ? - კვლავ ტირილი გაერია ხმაში თათიას.

- სანამ კუკურა არ ჩამოვა, ინგლისურად ნურაფერს ეტყვი. მე რა ვიცი, რას ეუბნები. ის კიდე, რას აკეთებს ამდენი ხანი, აქამდე, რაც მამკოდაში სკამებია, სუყველას

მოვზიდავდი. - ნუგზარმაც დაისხა არაყი. მერე ჯიბიდან დანა ამოიღო, გახსნა, კიტრი სამ ნაწილად გაჭრა. არაყი დალია და მწნილის მოზრდილ ნაჭერს უკბიჩა.

კარი გაიღო, კუკურამ სკამი შემოდგა და მერე ისევ უკან გავიდა. მალევე შემობრუნდა.

- სადღა წახვედი?

- მანქანის ხმა შემომესმა.

- საიდან? - ყურები ცქვიტა ჭაღარამ.

- ზევით, ტრასაზე გაიარა, - უპასუხა ვაჟმა. სკამს ხელი წამოავლო და მაგიდასთან მივიდა.

- აქ იყავი და ნუღარსად გახვალ. ესენი რაღაცეებს ლაპარაკობენ და მოუსმინე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა...

კუკურას აღარაფერი უთქვამს. მანაც არაყი დაისხა, დალია და ძეხვის ნაჭერი „მიახმარა".

- როგორ ფიქრობთ, დღეს დაჯდება ის თანხა? - იკითხა თათიამ.

- ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს. შენზე ძალიან მეჩქარება მე. არც ჩემთვისაა სასიამოვნო აქ ეკლებზე ჯდომა. - უპასუხა ნუგზარმა.

- მერე, რას გვიპირებთ?

- რას უნდა გიპირებდეთ?! გაგიყვანთ სადმე მოშორებით და იქ დაგტოვებთ. რა, ხომ არ დაგხოცავთ?! ჩვენ მკვლელები არა ვართ, ჩემო კარგო. ჯერ არ მოჭრილა ისეთი ფული, კაცის მოკვლად რომ ღირდეს. თუ ენას კბილს დააჭერთ, კაცი არ შეგეხებათ. მოკლედ, სათანადო ინსტრუქციას მოგვიანებით მიიღებთ.

- მე აქ დიდხანს ვეღარ გავძლებ! - ცრემლები წამოუვიდა თათიას და აქვითინდა.

- კარგი რა, შენი ჭირიმე. ისედაც სული მეხუთება... - შუბლზე ხელი მიიდო ნუგზარმა. - შენი ტირილის მოსმენაღა მინდა აქა.

თათიამ ამის გაგონებაზე უფრო უმატა.

- გაჩუმდი, გოგო, თორე „ჩულანში" ჩაგკეტავთ ორივეს. - შეუღრინა ლაზარემ.

დიდიე მიხვდა, დაახლოებით მაინც რაში იყო საქმე და თათიას თავის ხელში აყვანა ურჩია. ხელზე ხელი დაადო. დამშვიდდიო, უთხრა...

- გაანებე ბიჭო, თავი. იტირებს და გაჩუმდება, მა რა იქნება?! - თავისიანს შეეპასუხა ჭაღარა.

ლაზარეს აღარაფერი უთქვამს. ერთი ჭიქაც დაისხა და გადაჰკრა.

***

გოგამ თავად გაუღო მანქანის კარი მერაბს. ჩაჯდომაში მიეხმარა. მერე სწრაფად შემოურბინა ჟიგულს, თავადაც ჩაჯდა და მანქანა სწრაფად დაძრა.

- საით მივდივართ და რა მოხდა? შეგიძლია მომიყვე?

- ნელა იარე, ახლა აღარსად გვეჩქარება. ჯერ ზუსტად არ ვიცი, სად მივდივართ. მარა, მალე მეცოდინება.

- საით წავიდე?

- გლდანში ადი. ჩხიკვაძეს თოფს გამოვართმევ...

- ომს ვიწყებთ? - გაუღიმა გოგამ.

- ომი უკვე დაიწყეს. მე არავინ შემკითხვია.

- თოფი რად გინდა, პისტოლეტი სახლში არა გაქვს? თუმცა, მე დამჭირდება, სწორია.

- სახლში არ ავალ, ნატას შევპირდი, უშენოდ არ დავბრუნდები-მეთქი...

- ოჰ, ღმერთო, გადამრიე შენ მე! ეტიკეტების დროა ახლა?

- ეს ეტიკეტი არ არის. ეს კაცის სიტყვაა და შესრულება უნდა. მითუმეტეს, ამით არაფერი შეიცვლება.

- მომიყევი, რა მოხდა!

- მომიკიდე! - სიგარეტი მოიძია ჯიბეში მერაბმა. გოგამ უმალ მოუკიდა. - აეროპორტიდან პირდაპირ აქ

მოვედით. - დინჯად დაიწყო ბარათაშვილმა...

თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს უახლოეს მეგობარს. სიტყვა-სიტყვით გაიხსენა ნუგზარის ტექსტები, კაკალო ახსენა...

- კაკალოს ვიცნობ! - წამოიძახა უცებ გოგამ. - შენ ის მითხარი, ეგ ნუგზარა როგორი ტიპია, როგორ გამოიყურება?

- ჭაღარა კაცია, საშუალო სიმაღლის...

- მომწვანო-მონაცრისფრო თვალები აქვს, არა?!

- ჰო. იცნობ?

- რას ქვია „ვიცნობ“, სამრეცხაო მაგისგან ვიყიდე ორი წლის წინ. იმ კაკალოს „პადელნიკია“. მუხიანში ცხოვრობს აგარაკებზე...

- სახლი იცი?

- სახლი აღარ მახსოვს, ერთხელ ვარ ნამყოფი. ღამე იყო, თან მთვრალი ვიყავი... მარა პრობლემა არ არის, მუხიანის პოლიციის განყოფილებაში ნაცნობი მუშაობს. იმას აუცილებლად ეცოდინება... ნუგზარა შავ სამყაროში საკმაოდ ავტორიტეტული ბებერია...

- მე არც პოლიციის დახმარება მჭირდება და არც ქურდების. არც არასოდეს დამჭირვებია.

- ეეჰ, გაუტიე ეხლა შენებური! რა დახმარებაზეა ლაპარაკი. მისამართი რომ გვითხრას, დახმარებაა? იმას კი არ გეუბნები, ძებნა გამოვაცხადებინოთ-მეთქი.

- გითხარი უკვე, გასაგებად! ჩემი საქმეა და მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო.

- ისა, უკაცრავად და ხელს ხომ არ გიშლით, ბატონო! - ცოტა გაბრაზდა გორგილაძე.

- არა, პირიქით... - ჩუმად უპასუხა მერაბმა. - აი, აქ შეუხვიე და ბოლო სადარბაზოსთან გააჩერე.

- როგორმე უშენოდაც მახსოვს ხვიჩას სახლი.

- ჰოდა, თუ გახსოვს, აირბინე და თოფი გამოართვი. ხვიჩა ალბათ, ახლა სახლში არ იქნება. ჯონდო ბიძიას უთხარი და მოგცემს. ამ ამბავზე რომ არაფერი თქვა, არ გესწავლება. პატრონებიც გამოართვი. უთხარი, ქსნის ხეობაში მივდივართ დათვზე სანადიროთ-თქო.

- არის, ბატონო მაიორო! - უკმაყოფილოდ უპასუხა გოგამ და მანქანიდან გადმოვიდა.

- ისა, კიდე... - ფანჯრიდან გასძახა ბარათაშვილმა.

- გისმენ! - სადარბაზოს შესასვლელთან შედგა გოგა.

- ნუ იჯღანები, თუ ძმა ხარ და ნუ მებუტები. გაითვალისწინე, რომ ძალიან ცუდად ვარ... კარგი?

- კარგი, ბატონო მაიორო! - მხედრული სალამი მისცა გოგამ.

- ეგრე მიმართე ბებიაშენს! - ოდნავ გაღიმება „მოახერხა“ მერაბმა.

- არ მომხედავს. ის რიგითია, ბატონო მაიორო! - მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა გორგილაძემ.

- წადი, წადი, შე ქუჩის არტისტო!

გოგა უხმოდ მიტრიალდა და სადარბაზოში შევიდა.

ხუთიოდე წუთში მობრუნდა უკან. ერთ ბეჭზე შალითებში მოთავსებული ორი თოფი ჰქონდა გადაკიდებული, მეორეზე პატრონტაში.

მანქანის უკანა კარი გააღო და ფრთხილად დააწყო სავარძელზე.

- რად გინდოდა ორი თოფი? - ჰკითხა მერაბმა მას შემდეგ, რაც გოგა საჭეს მიუჯდა. - სულ განაიარაღე ჩხიკვაძეები?

- რაც ნაკლები იარაღი ექნებათ გურულებს, მით უფრო მშვიდი იქნება პოლიტიკური ამინდი ქვეყანაში, - თქვა გოგამ და მანქანა დაძრა. - ახლა საით?

ამ დროს გოგას მობილურმა დარეკა.

- ავთოა, ვუპასუხო?

- იცის რამე?

- არაფერი! ვინ ეტყოდა? აქ რომ ხარ, ისიც არ იცის.

- მომე, მე ვუპასუხებ.

გოგამ ტელეფონი გადასცა.

- ავთო, მეტრო ახმეტელთან რამდენ ხანში იქნები?

- მერაბ, შენა ხარ, ბიჭო? - გაისმა ყურმილში ავთოს აღტაცებული ხმა.

- არა, ალ პაჩინოა. ოღონდ ამას კეფაზე აქვს შრამი. - გოგას ყურსაც მისწვდა ავთოს ხმა.

- რა უნდა მაგ მაიმუნს? - ჩაიროხროხა გელაშვილმა. - ოფისში ვარ, მერაბ. დავახტები მანქანას და 20-25 წუთში მანდა ვარ. ხო მშვიდობაა? ქეიფობთ?

- ჰო, და თამადა არა გვყავს. მალე მოდი, ერთი შენი ოქროპირობით დაგვატკბე, - არ ცხრებოდა გორგილაძე გვერდიდან. - სუფთა ტუფლია, რა!

- კარგი, ავთო. ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ. გელოდებით.

- მოვფრინავ!

- ნელა იარე!

- ახმეტელთან გავჩერდეთ? - იკიხა გოგამ.

- ჰო, მუხიანის გასახვევთან გააჩერე სადმე.

სამიოდ წუთში თეთრი ჟიგული მშენებარე ნაგებობასთან გაჩერდა.

- ერთი გადავალ, სიგარეტს ვიყიდი, - სწრაფად გადავიდა გოგა მანქანიდან. სირბილით გადაჭრა გზა და დიდი სუპერმარკეტისკენ წავიდა.

უკან ხუთიოდე წუთში მობრუნდა. ხელში ორი კოლოფი სიგარეტი ეჭირა.

- ცივა, ხო იცი, უკვე! - თქვა სხვათა შორის და ერთი კოლოფი მერაბს გაუწოდა. ამ უკანასკნელმა უხმოდ ჩამოართვა.

- აბა, ეხლა მითხარი, რას მიპირებ? - მეგობრისკენ შემობრუნდა გოგა და სიგარეტს მოუკიდა.

- აბა, რა გითხრა? ჯერ სახლი ვიპოვოთ. ვნახოთ ვინ დაგვხვდება შინ...

- ეჭვი მეპარება, თავისთან წაეყვანა ისინი...

- ოჰ, კაი კაცო! როგორ მიხვდი?!

- ესე იგი, ტყვეების აყვანას და ჩვენს ტყვეებში გადაცვლას აპირებ...

- რა სისულელეა! უდანაშაულო ხალხთან რა საქმე მაქვს. რა ვიცი, შევეცდები ნუგზარას ნომერი გავიგო.

სწორედ ამ დროს გოგას ტელეფონმა დარეკა.

-

გრძელი ნომერია, მოსკოვი იქნება. ერეკლეს ტელეფონი არ არის. - მერაბს გაუწოდა აპარატი გოგამ.

- გისმენთ!

- მერაბ, ოთარი ვარ... - გაისმა ბოხი, ხავერდოვანი ხმა. - ყველაფერი ვიცი. ეხლა ველაპარაკე კაკალოს. ყველაფერი რიგზე იქნება. პირველივე რეისით მოვფრინავ. შენ არაფერი გააკეთო. ამაღამვე შენს ფეხებთან დავკლავ ჩათლახ ნუგზარას. - უჩვეულოდ სწრაფად ლაპარაკობდა ოთარი. ძალიან აღელვებული ეჩვენა მერაბს ბიძა.

- ბერეხი სად არის? - მშვიდად იკითხა მერაბმა.

- აგერ მიდგას გვერდით. ეხლავე დაგალაპარაკებ. შენ ის მითხარი, როგორა ხარ? სადა ხარ? რამე სერიოზული ხომ არა გჭირს, ბიჭო?

მერაბს ბურთი მოაწვა ყელში. ხმის ამოღება გაუჭირდა.

- ნუ ნერვიულობ, კარგადა ვარ! - მცირე პაუზის შემდეგ მოახერხა ხმის ამოღება. შენი ჩამოსვლა საჭირო არ არის. მე თვითონ მივხედავ ამათ.

- დედას გაფიცებ, არაფერი ჩაიფიქრო... დამელოდე, ძალიან გთხოვ...

- ბერეხი დამალაპარაკე! - შეაწყვეტინა მერაბმა.

- გამიგონე რაც გითხარი, გესმის? მერაბ...

- დამალაპარაკე ბერეხი და მერე გავაგრძელოთ.

- ჰო, მერაბ, გისმენ გენაცვალე!

- რაიმონდ! არავითარი პორტრეტი არ არსებობს. მაგ არაკაცის, ზაზას მოგონილია ყველაფერი...

- მივხვდი, მერაბ, მივხვდი... - ტირილს აღარაფერი უკლდა რაიმონდს. - მე რომ ოთახში გამომკეტეს, მაშინ მივხვდი, რომ რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა.

- დანარჩენი შენ იცი. გინდა დაურეკე შენს შეფს, გინდა ნუ ეტყვი ნურაფერს. კანადაში ალბათ, უკვე დარეკილი ექნება დიდიეს. ძალით ათქმევინებდნენ, რომ სურათი მასა აქვს. მაგრამ არა მგონია, ესე უცებ ფულის გადმორიცხვა მოსწრებულიყო.

- მე ვერ დავურეკავ, მერაბ, გენაცვალე... მე ისეთი რამე მითხრეს, მე ვერ დავურეკავ. სანამ ბატონი ოთარი აქ მოვიდოდა, სხვები იყვნენ...

- მერე, დაგაშინეს?

- კი არ დამაშინეს, დაიფიცეს, თუ დაგირეკეს და ჩაგვიშვებ, ყელს გამოგჭრითო. - ახლა კი ნამდვილად ტიროდა ბერეხი.

- ზაზა სად არის? - ამოიოხრა ბარათაშვილმა.

- ზაზა გაიქცა... აი, ბატონმა ოთარმა იმასუქნა და...

- რა უქნა, კაცო? - გამოცოცხლდა მერაბი.

- აი, როგორა ვთქვა...

- მომეცი აქა! - გაისმა ოთარის ხმა. - ნახევარი ყური მოვაჭერი, სამწუხაროდ გამექცა და ფანჯრიდან გადახტა... ნუგზარა ვერსად გამექცევა...

- გაგიჟდი, კაცო, შენ! - წამოიყვირა აღშფოთებულმა მერაბმა.

- მაცადე ერთი წუთი, შევეშვათ იმ ღორიშვილს...

- რას ჰქვია, შევეშვა. სულ გადაირიე ამ ხნის კაცი...

- მომისმინე, მერაბ...

- არ გამოფრინდე, გესმის შენ... თუ ჩემი პატივისცემა გინდა, მაგ უბედურს მიხედე. არ

არის ცუდი კაცი. ხელი შეუწყვე მოიქცეს ისე, როგორც სინდისი ეტყვის. ამათ კი მე მივხედავ, შენ ვეღარაფერს შეცვლი.

- მერაბ, კაკალოს ბრალი არაფერია. იმან ეგ ახვრები გააფრთხილა თურმე, რომ შენ არავინ შეგხებოდა. ისიც კი უთხრა, რომ თუ შენ ძაან გაჯიქდებოდი, შეშვებოდნენ ყველაფერს... ათი ზარი მაინც იყო შემოსული ჩემს ტელეფონზე, მაგრამ თან არ მქონდა. ოთახში დამრჩა. გამიგე მერაბ?

- შენ რა იცი, რომ ეგრე იყო?

- მე კაკალოს კარგად ვიცნობ! რასაც გეუბნები, წყალი არ გაუვა.

- ესეც რომ არ იყოს, მე ეგ კაცი თვალითაც არ მინახავს, იმასთან საქმე არა მაქვს. დანარჩენებს კი, როგორც გული და სინდისი მეტყვის, ისე მოვექცევი. შეიძლება არც ისე წვიმდეს, როგორც ქუხს. შენ ის მითხარი, თუ გითხრა კაკალომ, ჩემი მეგობარი გოგო და კანადელი ექსპერტი რომ ყავს ნუგზარას გატაცებული და გადამალული?

- ტელეფონში დაწვრილებით ვერ მეტყოდა ყველაფერს, მაგრამ, რაც მთავარია, უკვე ყველაფერი კარგად არის. ოთხი საათი დრო მთხოვა კაკალომ. სანამ ის ახვრები საქართველოდან დატყდებიან. მერე მისამართსაც გეტყვი, სადაც არიან შენი მეგობრები. მიხვალ და წამოიყვან...

- ესე იგი, მისამართი შენ უკვე იცი?!

- მე კი ვიცი, მარა, სანამ კაკალო არ დამირეკავს, ვერ გეტყვი! თვითონაც მიხვდები, სხვანაირად არ გამოვა...

- ესე იგი, არ მენდობი?

- ვინ გითხრა, რომ არ გენდობი? თუ სიტყვას მომცემ, რომ სანამ მე არ დაგირეკავ, არ მიხვალ, ეხლავე გეტყვი.

- შენ იცი, რომ იქ ოცდახუთი წლის გოგო ეხლა საშინელ დღეშია და თანაც ის ჩემი მეგობარია?

- მე ჩემი გითხარი, მერაბ, სხვაგვარად არ შემიძლია...

- იმიტომ, რომ შენს თავს არ ეკუთვნი... მაპატიე, მაგრამ ეხლა გეტყვი, რასაც მთელი ცხოვრება ვფიქრობ შენზე და რაც გულს მიკლავს. შენი სათითაოდ ყველას ეშინია, შენ კი - ყველასი ერთად! შენ ძლიერი და მშიშარა კაცი ხარ, ოთარ. შენი და შენისთანების ძალა კანონის მორჩილებაშია. კანონისა, რომლის მიხედვითაც არ

ისჯება ქალის მძარცველი, მოხუცის გამლახავი, ბავშვის უმიზეზოდ ამტირებელი და უდანაშაულო ადამიანის მკვლელიც კი, თუ ეს საქმეს სჭირდება. და რას ეძახით თქვენ საქმეს? რა მოაქვს სასიკეთო იმ საქმეს? ბედნიერება? სინათლე? სიხარული? იქნებ, სიმართლე? არც ერთი მათგანი. და იცი, რატომ? იმიტომ, რომ თქვენ არ იცით რა არის ნამდვილი, ანუ მთავარი საქმე. არ იცით ის, რაც იცის ერთმა ჩვეულებრივმა მადლიანმა

კავთისხეველმა მოხუცმა გლეხმა: „კაცმა ისე უნდა იცხოვრო, რომ არასოდეს შეიმსუბუქო საკუთარი ტვირთი, სხვისი დამძიმების ხარჯზე“. აი, ეს არის თურმე მთავარი საქმე და საკეთებელი. მაგრამ მშიშარა და მორჩილი ადამიანი ასე ვერასოდეს იცხოვრებს. აი, ეს არის, რაც უნდა მეთქვა... მე შენი მოცემული მისამართი არა მჭირდება. და ბოლოს გეტყვი, ისინი საქართველოდან კი არა, პლანეტიდან რომ წავიდნენ, მაინც ვიპოვი და იმ გოგოს ფეხებთან დავაჩოქებ. არა იმიტომ, რომ შურისძიების სურვილი მახრჩობს. ალბათ, არც უამისობაა, ყველა მეგობარმა მინდა იცოდეს, ცოცხალი იმიტომ ვარ, რომ მათთვის სიკვდილი შევძლო! - მერაბი გაჩუმდა.

- მამკოდის ქვევით, მდინარის პირზე ვასო ჭიჭინაძის სახლი იკითხე. ახალი აშენებული სახლია, გაულესავი... - გაისმა უეცრად ოთარის ხმა. - ოღონდ, ერთი თხოვნა უნდა შემისრულო, - ოთხი-ხუთი საათი ისინი პოლიციამდე არ მიუშვა... სიტყვა მაქვს მიცემული.

მერაბი ამას არ ელოდა. ვერაფერი თქვა. უხერხული პაუზა გაჩნდა.

- და კიდევ: შენ უფლება გაქვს, ისე დამინახო, როგორც მხედავ, მაგრამ ერთი იცოდე: მე არასოდეს არავისი შემშინებია. ისიც კი არ ვიცი, ვისი შეიძლება მეშინოდეს. ჩემი ცხოვრების წესზე არც მე ვგიჟდები, მაგრამ ამ გზაზე მე შიშმა კი არა, სიძულვილმა დამაყენა. და რაც მე მძულდა, ნამდვილად იმსახურებდა სიძულვილს. კარგად იყავი, თავს გაუფრთხილდი. იცოდე, ბეწვიც რომ გაგვარდეს... - ოთარი წამით შეყოვნდა. თითქოს რაღაცის თქმას კიდევ აპირებდა, მაგრამ როგორც ჩანს, ფრაზის დამთავრება ეუხერხულა...

კავშირი შეწყდა.

- რამ გაგაცოფა, ბიჭო? - პირდაღებული შესცქეროდა გოგა მთელი ამ ხნის განმავლობაში მერაბს. - ეს რეები უთხარი იმ კაცს?! მოკალი ფაქტიურად.

მერაბს ხმა არ ამოუღია. სიგარეტს მოუკიდა. ფანჯარა ბოლომდე ჩამოწია. საშინლად დასცხა. კარი გააღო.

აღარც გოგას გაუგრძელებია ლაპარაკი. მკერდზე ხელები გადაიჯვარედინა და საპირისპირო მხარეს გაიხედა.

რამოდენიმე წუთმა გაიარა ასე.

- ჰა, არწივებო! - უკანა კარი გამოაღო და მანქანაში შეხტა რეზო ხარძიანი. - აბა, როგორ ხარ „კამანდირ“? დამენახვე ერთი! - წინ გადაიწია, - ძველებურად გამოიყურები... ყველაფერი რიგზეა!

- ამას აქ რა უნდა? - ძლივს მოატრიალა თავი მერაბმა. - შენ დაურეკე, ბიჭო? - ქურთუკზე დაქაჩა გოგას.

- არა, კაცო, ეტყობა გულმა უგრძნო!

- ჯოჯოხეთს ერთი მაშხალაღა აკლდაო... - კმაყოფილების დამალვა არც უცდია ბარათაშვილს.

- ერთი არა, ორი! - უპასუხა გოგამ. - მეორეც აქ იქნება წუთი-წუთზე.

- ჰოდა, სანამ მეორე მოვა, მომიყევით რა მოხდა და რა უნდა მოხდეს. აბა, ჰე! გისმენთ ორი ყურით და ერთი თვალით.

- მოდი, ჩემო რეზო, ავთოს დაველოდოთ და ორივეს ერთად მოგიყვებით, თორემ ეს ხმის ამომღები არ არის და მე კიდე ცოდვა ვარ. ხომ იცი, როგორი ენერგიული მოყოლა ვიცი. ისე განვიცდი, როგორც რამაზ ჩხიკვაძე მეფე ლირში, - ესეც საკმაოდ მხატვრულად წარმოთქვა გორგილაძემ.

- კარგი, ეგრე იყოს! ეს რაზე დავჯექი? აჰა, თოფები ყოფილა! გასაგებია! გორგილაძემ იმიტომ დამირეკა, რომ თვითონ ცალი თვალის დახუჭვით არ შეწუხდეს... „დიდი ამბავი იქნება, აბა, ამაღამ საყველიაში“.

- ცუდი ამბავი იქნება, ცუდი! - „ილიკო პერტია“ გოგა იყო.

- შეიძლება, მაგრამ არა ჩვენთვის! ავაწყო, შეიძლება?

- აბა, რა უნდა ქნა?! დაშლილი და შეფუთული თოფით შეშინებული კაცი გინახავს? - უპასუხა ბარათაშვილმა.

- ვა, რა კაი თოფია? ვისი იყო?

- რას ქვია, ვისი იყო? რატომ, „იყო“?!

- მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ იცის ამისმა პატრონმა, ის უკვე მაჩუქა.

- შანსი არ არის! მაგისი პატრონი ფეხმძიმე ცოლთან ერთად დადიოდა სანადიროდ და ამითი ირჩენდნენ თავს საწყლები.

- აქ მეორე თოფიც არის, არც ამის პატრონმა მაჩუქა?

- არა. მაგისი პატრონი ის ბიჭია, ვისზეც მონადირის ცოლი იყო ფეხმძიმედ. არ დამიჯერებ და ნიკუშა სწორედ მაგ თოფით დაიბადა და თვითონვე გაისროლა ამ ქვეყანაზე ვაჟად მოვლენის ნიშნად, - მერაბს წაეხმარა გოგა.

- აა, ვიცი, ვიცი. ფილმიც მაქვს ნანახი მაგათზე, მონადირე მამა-შვილი რომ არიან, ვინეტუ და ინჩუჩუნი...

- ჰო, სწორედ ეგ არის, ოღონდ ქართულ

თარგმანში ინჩუჩუნის ხვიჩუჩუნი ჰქვია, - არ დატოვა უპასუხოდ გორგილაძემ.

რეზომ ორივე თოფი ააწყო, ორივეს კიდევ ერთხელ „მოეფერა“ ცალი თვალით, კიდევ

შეაქო და ავთომაც დარეკა. გოგამ ზუსტად აუხსნა, სადაც იდგნენ. წუთიც და გელაშვილის ნივა ამოუდგათ გვერდით.

- გააჩერე და შემოდი შტაბში! - ფანჯრიდან გასძახა გორგილაძემ.

***

სოფელი გლდანი გაიარეს და მარჯვნივ აუხვიეს. წინ გოგას ჟიგული მიდიოდა. რა თქმა უნდა, გვერდით ისევ მერაბი ეჯდა. უკან ავთოს ნივა მოყვებოდა, იქაც ორნი ისხდნენ. უკვე შებინდებულიყო. პატარა მდინარეს გადასცქეროდნენ ზევიდან. რამდენიმე კილომეტრი გაიარეს და პირველი სახლებიც გამოჩნდა. ისე გაიარეს მთელი გზა სოფლიდან აქამდე, ერთადერთი მანქანა შეხვდათ მხოლოდ საპირისპირო მიმართულებით მიმავალი.

- ვის გინდა კითხო, ვასო ჭიჭინაძის სახლი?! - თქვა მერაბმა, - კაცის ჭაჭანება არ არის. შეანელე ცოტა.

გოგამ სიჩქარე საგრძნობლად დააგდო. თავადაც გადახედა მარჯვნივ ჩამწკრივებულ სახლებს.

- მოიცა! - ხელი დაადო საჭეს მერაბმა - აბა, გააჩერე. აი, გაულესავი სახლი... სხვა ყველა, ძველი აშენებული უნდა იყოს, მე მგონი.

- რას ხედავ აქედან, თუ ძმა ხარ?!

- სულ ათი სახლიც არ იქნება... მამკოდის ქვევითო, ოთარმა, ჰოდა, ეს ადგილია უეჭველი! ჩავიდეთ ნელ-ნელა და იქ, ადგილზე ვნახოთ.

- ყველას ჩამოსვლა არ ივარგებს, შეგვამჩნევენ. მოდი ჯერ მე ჩავალ, შევათვალიერებ და თუ ვიპოვე, მოვბრუნდები. თუ ვერ ვიპოვე, იქნებ ვინმე შემხვდეს და ვკითხავ.

- მარტო არ გაგიშვებ! ავთო გაიყოლე!

- კარგი, მასე იყოს! - კარი გააღო და გადმოვიდა გორგილაძე. უკან მომდგარ ნივასთან მივიდა.

- ჩამო დაბლა! - ფანჯრიდან უთხრა გელაშვილს.

- რა ხდება, მოვედით? - გამოსძახა ხარძიანმა.

- არ ვიცი. შენ მერაბთან გადადი, მე და ეს დაბლა ჩავალთ და გავარკვევთ ყველაფერს.

- თოფები წავიღოთ? - თითქმის ჩურჩულით იკითხა ავთომ.

- თოფები არა, ბებიაშენისამ, მიმინო დაისვი კიდე მაჯაზე, არ გინდა?! წამომყევი და ფეხაკრეფით იარე... - ჩუმადვე დაუცაცხანა გორგილაძემ და შეტრიალდა.

- ავთოს არ ესიამოვნა, მაგრამ, ახლა გაპროტესტების დრო არ არისო, გაიფიქრა და მორჩილად გაყვა უკან. მერაბის მანქანას ჩაუარეს.

- აბა, დავეშვით ჩვენ. „ციკლოპა“ შენთან გადმოვა და იარაღი მზად გქონდეთ, უთხარი.

- მიდი, მიდი, აქა ვართ! - ზურგიდან შემოესმა რეზოს ხმა.

ფრთხილად ჩაუყვნენ პატარა დაღმართს. მარჯვნივ გაუყვნენ გზას. ისევ დაღმართი დაიწყო. გოგამ მოკლეზე ჩასვლა არჩია, ავთოც უკან მიჰყვა. გაივაკეს. ორმოციოდე მეტრი კიდევ გაიარეს და მერაბის მიერ ნაჩვენები სახლის ეზოს მიადგნენ. გარშემო ბეტონის დაბალ ღობეში რკინის მილები იყო ჩასმული. სამომავლოდ მესერის ან ხის ღობის გასამართად.

გოგამ გვერდით ამომდგარი ავთო ხელით შეაჩერა.

- მარცხნიდან შევიდეთ, ყრუ კედელია, - ჩასჩურჩულა ყურში. ავთომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

გორგილაძემ ზევით ამოიხედა. რეზო და მერაბი მანქანასთან იდგნენ.

ფრთხილად გადააბიჯეს დაბალ ღობეზე. ფეხი არ აუჩქარებიათ. დაპატიჟებულებივით გაიარეს ეზო და კედელთან შეჩერდნენ.

- შენ აქ იყავი, მე ფანჯარასთან მივალ და შევიხედავ, იქნებ რამე დავინახო, - ისევ უჩურჩულა გოგამ. ისევ დაუქნია თავი ავთომ.

გორგილაძე ფანჯარას მიუახლოვდა. ფანჯრის ქვედა კიდე თითქმის მისი თავის სიმაღლეზე მთავრდებოდა. გოგამ კუთხისკენ წაიგრძელა კისერი და ცალი თვალით შეიჭყიტა: შიგნით არაფერი ჩანდა, ბნელოდა. დაიხარა და ქვევიდან გაუარა ფანჯარას. მეორე ფანჯარასთან მივიდა, იქაც ისევე შეიხედა, როგორც პირველში, იგივე სურათი დახვდა. გზის მხარეს მეტი ფანჯარა აღარ იყო. უკან მოტრიალდა და ისევ ავთოსთან მოვიდა.

- ამ მხარეს ორივე ფანჯარა ჩაბნელებულია. არც ხმა ისმის რამე. არადა, მე მგონი, მართლა ეს სახლია. გაულესავიც არის და არც არავინ ცხოვრობს, როგორც ვატყობ. უკნიდან შემოვუვლი, წინაც ფანჯრები აქვს და ალბათ ამის პარალელურ მხარესაც ექნება. ეხლა იქით ვნახავ. წამომყევი, უკანა მხრიდან შემოვუაროთ და იქ დამელოდე.

ყრუ კედელი სწრაფად გაიარეს. გოგა ისევ მიეპარა პირველივე ფანჯარას და შეიჭყიტა. მეორე ფანჯარასთან უფრო თამამად მივიდა. არც იქიდან ისმოდა ჩამიჩუმი. ავთოსთან მობრუნდა.

- ბიჭო, ბნელა, არაფერი ჩანს. ხმაც არ ისმის არსაიდან.

- კარგად მოუსმინე?

- როგორ, კარგად? შუშაზე ყური არ მიმიდია, მარა რაც შეიძლებოდა მივაყურადე. არანაირი ხმა არ ისმის, პატარა გაფაჩუნებაც კი.

- წინა მხარეს ვნახოთ.

- წინა მხარეს კარებიც არის. დიდი აივანი კიდე, ხო დაინახე? ჰოდა, იქ ცოტა ფრთხილად უნდა შესვლა. შეიძლება ვინმე იდგეს კიდეც, ან იმ ფანჯრიდან იყურებოდნენ.

- არა მგონია, აქ ვინმე იყოს. - დაასკვნა გელაშვილმა.

- რატომ, შუქი რომ

არსად უნთიათ?

- შუქი შეიძლება არც აანთონ, ან სულაც არ იყოს ჯერ დენი შეყვანილი.

- აბა, ეს მავთულები როა ბოძიდან გამოჭიმული, რა, სარეცხის გასაფენად არის?

- ო, რა ხუმარა ხარ?! ვთქვათ, დენი აქვთ, მაგრამ შენ რომ იყო იმათ ადგილზე, აანთებდი შუქს? მე არ ავანთებდი. ასეა თუ ისე, ეს ხალხი ყურადღების მიქცევას მოერიდება. ესე იგი, რა გამოდის? თუ აქ არიან, წინა ოთახებში იქნებიან. იმ წინა ოთახებს, გვერდის ფანჯრები, ეტყობა არა აქვთ.

- რაზე შეატყვე?

- რაზე და წინა ფანჯრების მერე, კაი მოზრდილი კედლებია აქეთ-იქიდან.

- ვერ გავიგე, რას ბოდავ. რა, შენი დაპროექტებულია ეს სახლი, თუ როგორაა? იქნებ საპირფარეშოც იცი სად არის, რამისაა გავსკდე.

- ეგ შიშისაგან დაგემართა.

- რისგან? - ჩურჩული დაამთავრა ავთომ - აბა, მომყევი უკან! - თქვა და სწრაფი ნაბიჯებით დაიძრა წინა მხრისკენ.

- ეე, იდიოტო, მოიცა. სად მიდიხარ, ბიჭო? გესმის შენ - ისევ ჩურჩულით"უყვიროდა გოგა, მაგრამ ავთომ კედელი ჩაათავა და შეუხვია. გოგაც სირბილით დაედევნა.

სამიოდე კიბე აირბინა გელაშვილმა, მოკლე აივანიც სწრაფად გადაჭრა და კარის სახელური ჩამოსწია...

კარი გაიღო. ავთომ შეაბიჯა და უკნიდან გოგაც დაეჯახა.

- არის აქ ვინმე?

- თათია, აქ ხარ? - ბანი მისცა გორგილაძემ მეგობარს და უმალ ყმუილის მსგავსი ხმა

გაისმა.

- ვიღაცაა აქ, აანთე ბიჭო სანთებელა, - მიმართა ავთომ გოგას სილუეტს.

- მანქანაში დამრჩა. თათია, აქ ხარ? - სიბნელეში გასძახა გორგილაძემ. ყმუილი განმეორდა, ამჯერად უფრო ძლიერად და თან ორ ხმაში გაისმა.

- აქ არიან! ეტყობა, პირი აქვთ აკრული.

- შუქი არ გინდათ, ბიჭებო? - შემოესმათ უცებ უკნიდან და სანთებელამ წყვდიადი შეანგრია.

- თფუ, შენი! გული გამისკდა! - ხმა იცნო გოგამ. - ნახე მანდ, ჩამრთველი იქნება სადმე.

რეზომ კარის გვერდზე, კედელთან აატარ-ჩამოატარა სანთებელა. წკაპუნის ხმა გაისმა და დიდი ოთახი განათდა.

იქ არავინ იყო.

- ოთახებში, აბა ჩქარა! მოძებნეთ! - თავად გვერდით ოთახში გამავალი კარი შეაღო გოგამ. არც იქ დახვდა ვინმე.

- აქ არიან, საპირფარეშოში, მე მგონი! - თქვა ავთომ და დაიძახა - თათია, აქ ხართ?

- გააღე შე უპატრონო და ნახე, რა იმათი დასტური გინდა.

ავთომ ეს შენიშვნა სამართლიანად ჩათვალა და კარი გააღო.

- აქ არიან, აქ! წყლის მილებზე მიუბიათ იმ დამპლებს. დანა მონახეთ სადმე.

- დანას ძებნა არ უნდა, ყოველთვის თან მაქვს, - შუა ოთახიდან გამოვიდა ხარძიანი.

- ნახეთ, რამე ხომ არ დაუშავდათ, - ღია კარის დარბაზში შემოაბიჯა მერაბმა.

- ამათი ფაშისტი დედა ვატირე, აბაზანაში ჩაკეტეს, დააბეს და თან პირებიც რო აუკრეს... გეგონება, აქედან ვინმეს რამეს გააგონებდნენ - ბეჭზე გადაკიდებული თოფი იქვე მიაყუდა რეზომ და „სკოტჩების“ გადაჭრას შეუდგა.

თათიაც და დიდიეც იატაკზე ისხდნენ. ზურგსუკან შეკრული ხელებით მართლაც წყლის მილებზე იყვნენ მიბმულები.

- ოხ, მაგათი სისხლი დამალევინა ერთი, - აღმოხდა გოგას, როცა თათიას მიბნედილი, ნატანჯი სახე და ჩაწითლებული თვალები დაინახა.

რეზომ მალე გაუხსნა ხელები დატყვევებულებს. დიდიე სწრაფად წამოდგა და დამფრთხალი მზერა მოატარა სამივე უცნობზე. ჯერ კიდევ კარგად ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა. მერაბი შიგნით არ შესულა. დიდ ოთახში სკამზე ჩამოჯდა. არ უნდოდა,

თათიას უხერხულად ეგრძნო თავი. ეს უკანასკნელი კი ისევ იატაკზე იჯდა თავჩაქინდრული და დაბუჟებულ თითებს ნელ-ნელა შლიდა და კუმშავდა.

გოგა დაიხარა, თავი ოდნავ წამოუწია და პირზე აკრული „სკოჩი“ რაც შეიძლებოდა ფრთხილად მოაცალა.

- თათი, როგორა ხარ? აბა, შემომხედე.

თათიამ თავი ასწია და შეხედა. ცრემლები წამოუვიდა.

- აბა, რაღა გატირებს? წამოდექი, გავიდეთ. იქით მერაბი გელოდება - უთხრა და ორივე ხელი გაუშვირა. თათია რობოტივით დაემორჩილა. გოგას ხელები გაუწოდა და მისივე დახმარებით ნელ-ნელა წამოდგა. ოთახში გამოვიდნენ.

მერაბი ჯერ დიდიემ დაინახა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ აკრულმა პირმა შეუშალა ხელი. ფრთხილად მოიძრო და რამდენიმე წინადადება ელვის სისწრაფით ჩაატლიკინა. აღშფოთებული ჩანდა და შეშინებული. აშკარა იყო უკმაყოფილებას გამოხატავდა.

მერაბი ფეხზე წამოდგა, დიდიეს გვერდით ჩაუარა და თათიასთან მივიდა.

ქალს უეცრად ტირილი წასკდა და ბარათაშვილს მკერდში ჩაეკრა. უფრო უმატა ტირილს.

- კარგი, თათი, დაწყნარდი. ყველაფერი დამთავრდა, - თქვა მერაბმა.

დიდიე არ ცხრებოდა. რაღაცას გაუთავებლად ლაპარაკობდა და თან ხელებს იქნევდა.

- გოგა, თუ ძმა ხარ, ეგ გააჩერე ცოტა ხანს, - თავი არ მოუტრიალებია მერაბს.

- როგორ

გავაჩერო? ინგლისური მე არ ვიცი და ფრანგული. თუ გინდა, ისევ პირს ავუკრავ, - უპასუხა გოგამ, მერე ისევ დიდიესთან მივიდა, წინ აღემართა და ხმამაღლა შესძახა: - სუსკაც!

დიდიე დადუმდა.

- ვა, სომხურიც სცოდნია!

ავთოს და რეზოს ხარხარი აუტყდათ. მერაბსაც გადაედო, თავის შეკავება სცადა, თუმცა სხეული მაინც აუკანკალდა.

თათიას მონოტონური ტირილიც სწრაფად შეიცვალა ისტერიული სიცილით.

იდგა დიდიე ოთახის შუაში გაოგნებულ-გაოცებულ-შეღონებული და აღარაფერს ამბობდა: მის სახეზე უსიტყვოდაც კარგად იკითხებოდა, რასაც ფიქრობდა.

- წავედით, ვიჩქაროთ! - თქვა მერაბმა მას შემდეგ, რაც სიცილი შეწყდა. - გოგა, მომეცი ტელეფონი. ბიჭებო, ესენი მანქანაში აიყვანეთ. მე და გოგა წამოგეწევით.

ავთომ თათიას ხელკავი გამოსდო და სახლიდან პირველი გამოვიდა. მერაბმა დიდიეს თავით ანიშნა, გაყევიო. ეს უკანასკნელი სწრაფი ნაბიჯებით აედევნა მათ უკან.

- რას აპირებ? - ჰკითხა გოგამ ბარათაშვილს.

- ჩემს ბიჭებს დავურეკავ საზღვრებზე. ისინი ან აეროპოტიდან წავლენ, ან ყაზბეგიდან ან წითელი ხიდიდან. სხვაგანაც რომ სცადონ, ყველგან ჩემები არიან. ჰოდა, ვთხოვ ჩემს მისვლამდე შეაჩერონ.

- ამდენ ხალხს როგორ დაურეკავ?

- მე ერთს დავურეკავ, დანარჩენებს ის გადასცემს. შენ ის მითხარი, ნუგზარის გვარი სად გავიგოთ? მოგვიწევს მუხიანში ასვლა.

- მოიცა, ნუგზარის გვარი ვიცოდი... გაგლოშვილი! ჰო, გაგლოშვილია, ჩემი ჯგუფელის მოგვარეა.

- ძალიან კარგი! - თქვა მერაბმა და ტელეფონზე ნომერი აკრიფა. - ალო, ბესო, მე ვარ, მერაბი... ბოჭორას, შენგელიას და ცისკარას დაუკავშირდი, ძალიან მჭირდებით.

***

ათი წუთის შემდეგ ორივე მანქანა უკვე თბილისისკენ მიმავალ გზატკეცილს დაადგა.

ამჯერად წინ რეზო და ავთო მიდიოდნენ ნივით, დანარჩენები გოგას მანქანაში ისხდნენ. მერაბმა თავისი ადგილი თათიას დაუთმო და თავად უკანა სავარძელზე იჯდა დიდიეს გვერდით.

„პოლის“, „პოლის!“ - წამოიძახა ქალაქში შემოსვლისას კანდელაკმა.

- „პოლის“ არა, დიდიე, იატაკის! ქართული სულ დაგავიწყდა? - უპასუხა გოგამ და სტუმარი ისევ დადუმდა.

- გოგა, პირდაპირ წყნეთში შეუბერე. ამის გაშვება ჯერ არ შეიძლება. ოთარის თხოვნა უნდა შევასრულო.

- ჰო, მაგრამ, მერე შენც გიჩივლებს. პოლიციისთვის დროზე რომ მიმემართა, იმის საშუალება არ მომცაო.

- იქ ავიყვანოთ უნდა! მერე რამენაირად დავათროთ და დავაძინოთ. როცა გაიღვიძებს, წავიდეს და ამტკიცოს, რომ დალევა არ უნდოდა და ძალით დაალევინეს. ჩვენ ვიტყვით, რომ ისე იყო შეშინებული, დალევა შევთავაზეთ და სიამოვნებით დაგვთანხმდა-თქო.

- როგორც შენ იტყვი, მაგრამ რომ არ დალიოს...

- დალევს! შენ და ხარძიანი მოახერხებთ მაგას...

- კაი, ბატონო, როგორც გინდა... მაგრამ შენ რომ ძალადობის წინააღმდეგი ხარ? თუ შენი კანონები მარტო საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდება?

- ჩემი კანონები ყველაზე ვრცელდება. სხვათა შორის, მე რომ არა, ეგ მინიმუმ ხვალ შუადღემდე, ისევ იქ იქნებოდა, სადაც იყო. ამიტომ, რასაც ვაპირებ, ამისთვის სინდისის ქენჯნა ნამდვილად არ მექნება.

- მე არ წამოვალ ოფისში, - ამოისლუკუნა თათიამ. - სახლში მიმიყვანეთ, სოლოლაკში. წყნეთის დანახვაც აღარ მინდა.

- სადაც გინდა, იქ მიგიყვანთ, თათია, მაგრამ მარტო დარჩენა არ ივარგებს შენი, - გამოეპასუხა ბარათაშვილი.

- ლიზას დავურეკავ და ამოვა.

- კი ბატონო, მარა, ეს რომ შენს გარეშე წყნეთში ავიყვანოთ, რას იფიქრებს? სულ გაგიჟდება! - აღნიშნა გოგამ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა. დიდიემ დრო იხელთა და ისევ ატიტინდა: ერთ წინადადებაში სამჯერ მაინც თქვა მისი "საყვარელი" სიტყვა - „პოლის".

- კაცო, გაჩუმდები შენ თუ დავუძახო პოლიციას! - ისევ დაუცაცხანა გოგამ დიდიეს და ისევ გააჩუმა.

თათიას გაეცინა.

- თათი, სულ ცოტა ხნით ავიდეთ წყნეთში. ეს ჩვენ ყველას გვჭირდება. თუ შეძლებ და ძალას გამონახავ, ძალიან დაგვავალებ, - გააქტიურდა თათიას გაცინებით გათამამებული გორგილაძე.

- კარგი, გოგა, შეეშვი. ამას თავის გაჭირვება ეყოფა... - ჩაერია მერაბი.

- წავედით, ოღონდ ლიზაც წავიყვანოთ, კარგი? - პირველად შემოტრიალდა მერაბისკენ თათია.

- რა თქმა უნდა! - დაეთანხმა მერაბი - მადლობა, თათია!

- არაფრის, თუმცა... პირიქით, - ხელი გაუწოდა ქალმა მერაბს. ბარათაშვილმა მისი ხელი თავისაში მოიქცია და მაჯაზე აკოცა.

- მე და შენ მაგრები ვართ! ეგრე არ არის?!

თათიამ აღარაფერი უპასუხა, ორივე თვალი ჩაუკრა და მიტრიალდა.

- გოგა, ჩვენ ხვალ აუცილებლად მოგვიწევს იქ მისვლა, სადაც ამას ახლავე აქვს მოხვედრის სურვილი - დიდიეზე მიანიშნა. - გვკითხავენ, ეს თუ დათვრა, თქვენ რატომ არ განაცხადეთ მომხდარის შესახებო. მე ვეტყვი, რომ დამირეკეს და სასტიკად დამემუქრნენ. ჯერჯერობით უკეთესი არაფერი მომდის თავში.

თქვენ იტყვით, რომ ის გააკეთეთ, რაც მე გთხოვეთ. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. მთელი ღამე წინ არის. ეს მივაძინოთ და დეტალებში ავაწყოთ სათქმელი.

- ჰო, ეგრე ჯობია!

დიდიემ კიდევ ერთხელ შეახსენა თანამგზავრებს თავისი უფლებების შესახებ, თუმცა თათიას დახმარებით აუხსნეს, რომ ოფისში ავიდოდნენ და იქ გამოიძახებდნენ პოლიციას.

როგორც იქნა, დიდიე დამშვიდდა. ვაკეში გოგამ ავთოს ნივას გადაუსწრო და გაჩერება ანიშნა.

მანქანასთან რეზომ მოირბინა.

- რეზო, ჩვენ ზევით წავალთ. მაგას უთხარი, კარგი კონიაკი, ვისკი, ხიზილალა და რამე სხვაც აიღოს. მეცხრესთან ჩადით. ჩვენ ლიზას გავუვლით და მალე ამოვალთ.

რეზო უხმოდ გატრიალდა. მანქანაში დაბრუნდა და თეთრმა ნივამ ასოთხმოცი გრადუსით მოუხვია.

„რა ხდებაო?“ - იკითხა დიდიემ, როცა გოგამ მანქანა დაძრა.

ხიზილალას და კონიაკს იყიდიანო, უთხრეს.

- ოჰ, ხიზილალა კარგია, მაგრამ შამპანური უფრო უხდებაო!” - ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა კანადელმა.

- ერთი ამ მამალ თხას უყურე, - გახალისდა გოგა, - ჯერ ვენები გადაიჭრა „იატაკი“, „იატაკიო“, ეხლა კიდე შამპანურის შეკვეთებს იძლევა. ჰა, დავურეკავ, გასკდა შენი მუცელი! - თქვა და ავთოს ნომერი აკრიფა მობილურზე.

- ჰო, გოგა! - უპასუხა ავთომ.

- შამპან, ვი მოსიე დიდიე? - შემოუტრიალდა გორგილაძე სტუმარს.

- ოო, პარლე ვუ ფრანსე? - ჩაიღიღინა კანადელმა, მაგრამ მაინც ფრანგმა და სახე გაებადრა.

- კამაც-კამაც დიდიეჯან! ტოისტ, სოუ, სოუ.

- რას ამბობ, ბიჭო, შამპანურიც გინდათ? - ყურმილში ავთოს ხმა გაისმა.

- ჰო, ჰო, ავთო. დიდიემ - შამპანური მინდაო. წამოიღე ასე ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი ბოთლი, გაიგე?

- ჰო, კაი, კაი! კიდევ რამე ხომ არ უნდა.

- რა ვიცი, აბა, ლოკოკინა და ბაყაყი აქ არ იყიდება და თუ მაინცადამაინც, ხვალ ავიყვან კუმისის ტბაზე. - გოგამ ტელეფონი გათიშა.

* * *

***ავთომ და რეზომ ისე უცებ გაშალეს სუფრა, სონიჩკასაც გაუკვირდებოდა.

თათია დივანზე იჯდა და თავი ლიზას მკერდში ჰქონდა ჩარგული. ეს უკანასკნელი თავზე ნაზად ხელს უსვამდა და დროდადრო შუბლზე კოცნიდა... თათია ჩურჩულებდა, იმდღევანდელს უყვებოდა.

დიდიეს შემოსვლისთანავე გაუვსეს ფუჟერი შამპანურით. ისიც იქვე, ბიჭების ახლო-მახლო დაბორიალობდა და ცქრიალა ღვინოს წრუპავდა. ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გადაუსვამდა პურზე ხიზილალას.

- აბა, მობრძანდით, ყველაფერი მზად არის, - გოგონებს მიმართა ავთომ. - მე ჩავალ და რაიმონდის „საფერავს“ ამოვიტან. დარწმუნებული ვარ, არც იმაზე იტყვის უარს პატარა დიდიე.

- ავთო, მოიცა ერთი წუთი, - ოთახში მერაბი შემოვიდა. ეზოში კი მანქანის დაქოქვის ხმა გაისმა. - დამელოდე.

- გოგა სად მიდის?

- იქ, სადაც საჭიროა. - უპასუხა ბარათაშვილმა და ავთო ოთახიდან გაიყვანა. - კარგად მომისმინე, ავთო. არ დამიწყო ეხლა კამათები და ეგეთები. რასაც გეტყვი, ის უნდა გააკეთო. ბიჭებმა დამირეკეს, ჩემებმა. ეს წუთია, ისინი სამივე, წითელ ხიდზე გააჩერეს. ზაზას ყავს გაჩერებული, - ჯადოს.

- დაიჭირეს?

- არა, რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ გააჩერეს, მანქანას უმოწმებენ, ვითომ. ჩემს მისვლამდე არ გაუშვებენ. უნდა ვიჩქარო, აქ კი ვიღაც უნდა დარჩეს. დიდიე ხვალ დილამდე აქ უნდა დარჩეს. შენ ოფიციალურად მუშაობ აქ და შეიძლება ხვალ იმის თქმა დაგვჭირდეს პოლიციაში, რომ კანადელმა თავად მოითხოვა იმ ფირმის ოფისში ღამის გათევა, რომელთანაც თანამშრომლობს. ანუ ალიბი გვჭირდება, გესმის?

- მესმის!

- ჰოდა, აქ უნდა დარჩე და იმ კაცს უნდა მიმიხედო! ჩვენ რომ წავალთ, ეტყვი, რომ

პროდუქტებზე წავედით. შენ კი რაც შეიძლება მაგრად უნდა დაათრო. ეს ყველაფერი თათიას და ლიზას უთხარი. მე ახსნა-განმარტების დრო აღარა მაქვს, ისინიც მოგეხმარებიან.

- კარგი, რაკი შენ ასე თვლი საჭიროდ, დავრჩები, მაგრამ იქ რომ დაგჭირდე?

- შენ მე ყველგან მჭირდები, მაგრამ ახლა ესეა საჭირო, ანუ აქ უფრო მჭირდები. იქ კი ჩვენ სამიც საკმარისი ვართ. გასაღები მომეცი! - ავთომ უხმოდ ამოიღო გასაღები ჯიბიდან.

***

საჭესთან გოგა დაჯდა. გვერდით მერაბი მიუჯდა, რეზო უკან გადავიდა თავისი თოფებით. მერაბმა ბაგებში ისევ გამოართვა გოგას ტელეფონი და ნომერი აკრიფა:

- ოთარ, მე ვარ!

- ჰო, მერაბ, გისმენ. მოხდა კიდევ რამე?

- არაფერი, ისინი წამოვიყვანე. კანადელი ჩემთან არის და დილამდე არ გავუშვებ...

- მე თვითონ ვაპირებდი ახლა დარეკვას. მაგარი ყოფილა ეს კაცი, რას ერჩი. ბერეხზე გეუბნები. დაურეკა თავის შეფს და ყველაფერი უთხრა.

- კაი, კაცო! მერე?

- რა, მერე?! ფული პატრონთან დარჩა, როგორც შენ

გინდოდა.

- მე ეგ არ მინდოდა. უფრო სწორად, ეგ არ იყო ჩემთვის მთავარი.

- მაგას ეხლა მნიშვნელობა აღარა აქვს. ბლომად ხალხი დარჩა უფულოდ, მაგრამ როგორც შენ გგონია, ყველაფერი ისე არ არის. შენს მერე სამი ზარი იყო ჩემთან. მათ შორის კაკალომაც დამირეკა, კიდევ ერთხელ. სამჯერვე ერთი და იგივე მითხრეს: ყველაფერი კარგად არისო. იმ ფულის დედაც ვატირეთო... ასე, რომ „ჩემს სამყაროში“, როგორც შენ იტყვი ხოლმე, ზოგიერთი სხვა სამყაროსგან განსხვავებით, ფული მთავარი არ არის.

- რაიმონდი შეშინებული იქნება...

- ვინც შეაშინა, იმათი სახელით ვუთხარი ნურაფრის ნუღარ გეშინია-მეთქი, მაგრამ აზრი არა აქვს. მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ავსტრიაში უნდა დავბრუნდეო. უფროსს უკვე ველაპარაკე და ხვალვე გავფრინდებიო. ისე შენი სჯერა, ვატყობ და უთხარი, რომ არავინ თითის დამდები არ არის. იქნებ გადააფიქრებინო.

- კარგი, მაგას მოევლება. მეც გავაკეთე, რაც მთხოვე. შეიძლება ისეც გამოვიდეს, რომ

კანადელმა არც იჩივლოს. მითუმეტეს, თუ მის დამქირავებელს ფული არ დაუკარგავს. მაგრამ ეხლა სხვა რამის გამო გირეკავ. პირველ რიგში, ბოდიში მინდა მოგიხადო. ვიცი, მაგრად გატკინე გული.

- გულის ტკენა, ეგ არაფერი. შენ არაფერ შუაში ხარ! და დაივიწყე. რაღაც გინდა კიდევ... გისმენ!

- კაკალოს დაურეკე, შეხვედრა მინდა.

- რად გინდა?

- ის ხალხი მინდა ვნახო და ვუთხრა რაღაც. იქ ვერ მივუსწარი, სადაც ესენი ჰყავდათ დამწყვდეული.

- ისინი ახლა ალბათ, თბილისიდან უკვე შორს იქნებიან. თანაც კაკალოსგან ვერაფერს გაიგებ.

- შენ შემახვედრე, დანარჩენი ჩვენ ვიცით. მე იმას ვეტყვი, რაც მჭირდება! იმასაც, რა მოხდება, თუ მე თვითონ მოვძებნე ისინი. არადა, შენ ხომ კარგად იცი, რომ ამ წუთიდან მე სხვა საქმე არ მექნება. თანაც, არ დაგიმალავ და მე მათ ძალიან მალე ვიპოვი.

- კარგი, მერაბ! ეხლავე დავურეკავ. შეხვედრაზე უარს არ გეტყვის. დანარჩენი იქ თქვი. შენ რომ არაფერი შეგეშლება, დარწმუნებული ვარ.

- ოთარ!

- ჰო, გისმენ.

- იცოდე, ოდესმე, სადმე, შენ რომ ბეწვი გაგვარდეს...

- ვიცი, მერაბ, ვიცი! მჯერა და სხვა ყველაფერი ფეხებზე მკიდია.

***

წითელ ხიდთან თითქმის მისულები იყვნენ, როცა მოყავისფრო ოპელმა, საპირისპირო მხრიდან, გაჩერება ანიშნათ.

- ჯადოა, ალბათ, - თქვა ბარათაშვილმა. - გააჩერე!

მერაბი ფრთხილად ჩამოვიდა მანქანიდან. წელში გასწორება ვერ მოასწრო რიგიანად, რომ მესაზღვრეს ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი გადაეხვია.

- ზაზა, როგორ ხარ, ძმაო! - დაასწრო ბარათაშვილმა.

- შენა, მერაბ, შენ რას შვრები? - აათვალიერ-ჩაათვალიერა კარგა ხნის უნახავი მეგობარი ოფიცერმა.

ბიჭებიც გადმოვიდნენ. გოგა ზაზას იცნობდა. რეზოს გააცნეს.

მოკითხვა დიდხანს არ გაგრძელებულა. მერაბმა საქმის ვითარება იკითხა.

- მანქანას ათვალიერებენ ჩვენები. კიდევ კარგი, მალე ჩამოხვედი, თორე უკვე დაშლას ვიწყებდით, - გაიცინა „ჯადომ“.

- მე რაღაცა მაქვს მოფიქრებული...

- გისმენ!

- ოღონდ, დედის სულს გაფიცებ, თუ დიდი პრობლემა შეგექმნება, პირდაპირ მითხარი. მე არ ვიცი, საზღვრის ამ ნაწილზე რა ხდება.

- არა გრცხვენია, მერაბ?! კაცები ვართ. შენი გულისთვის, თუ გინდა, ფეხებით დავკიდებ სამივეს. იცი, კობამ რა თქვა? არ შეეკითხოთ რა სჭირდება, რასაც გეტყვით, გააკეთეთ. ბარათაშვილი ისეთს არაფერს იზამს, რომ შევრცხვეთო. ცისკარა, ბესო, ზვიადი, ლეკო, დათო, ზურა, გუცაევი... ყველა მზად არის, რა წუთშიც დაგჭირდება, აქ გაჩნდებიან.

- რა ხდება, განგაში გამოაცხადეთ? - ესიამოვნა მერაბს ზაზას ნათქვამი.

- გუცაევი რომელია? - გაუკვირდა გორგილაძეს, - დანარჩენს ყველას ვიცნობ.

- გუცაევი, მამუკა შენგელიას მეტსახელია. აი, ბარათაშვილმა შეარქვა, - აუხსნა „ჯადომ“. - აა! - გაეცინა გორგილაძეს, - გასაგებია!

- რაკი ასეა, მომისმინე, ზაზა. მიდი იმათთან და უთხარი, რომ მათი მანქანის გატარება ჯერჯერობით შეუძლებელია: ინფორმაცია გვაქვს, რომ უცხოელ კრიმინალებს უნდათ საზღვრის გადალახვა და სანამ თბილისიდან ოპერატიული ჯგუფი არ ჩამოვა, ვერ გაგატარებთ-თქო. თან გოგაც გაიყოლე, ლაპარაკს რომ დაიწყებ, ესეც გვერდზე გყავდეს, ვითომ სამოქალაქოში ჩაცმული ერთ-ერთი თქვენგანია. მერე თქვენ გამოეცალეთ და ეს დატოვეთ მათთან. გოგა, - მიუტრიალდა გორგილაძეს, - როგორც კი ესენი საკმარის მანძილზე მოგშორდებიან, ჩუმად უთხარი, რომ შეგიძლია, შემოვლითი გზით გადაიყვანო საზღვარზე და რომ ეს საქმე 1000 დოლარი დაუჯდებათ. არა მგონია, არ წამოეგონ. თუ დაკლება გთხოვეს, რაშიც ეჭვი მეპარება, ცოტა წაიწუწუნე და გაუნახევრე. მერე უთხარი, ჩემს მანქანას გამოყევით-თქო და წინ გამოუძეხი. აქედან ორას-სამას მეტრში თბილისის მიმართულებით, მარცხნივ გადასახვევია. მიწის გზა იწყება, იქით შეუხვევ. პრინციპში, ჯობია, ჯერ ჩვენ წავიდეთ და ის

ადგილი, სადაც მათი მოყვანა მოგიწევს, წინასწარ გაჩვენო.

- ჰო, ეგრე აჯობებს! - დაეთანხმა ზაზა, - დანარჩენი პრობლემა არ არის, მერაბ. როგორც თქვი, ყველაფერს ისე გავაკეთებ.

- კი, მაგრამ, არ გაინტერესებს, ვინ არიან და რას ვერჩით? - ღიმილით მიმართა მერაბმა ჯადოს.

- როცა დრო მოვა, ალბათ, თავად მომიყვები. თანაც, ხომ გითხარი, გადაწყვეტილია, არაფერი გკითხოთ, - მხარზე ხელი დაადო ოფიცერმა.

- კეთილი, მადლობელი ვარ! - გადაეხვია მერაბი მეგობარს. - აბა, წავედით.

ბიჭები სწრაფად ჩასხდნენ ნივაში და გორგილაძემ მანქანა საპირისპირო მიმართულებით გააქროლა.

* * *

დილის ხუთ საათამდე ასვა და აჭამა ავთომ დიდიეს და მისდა გასაკვირად, კანადელმა მასპინძელს ტოლი თითქმის არაფერში დაუდო. ოთხი საათიდან თარჯიმანი აღარ დასჭირვებია, რადგან დიდიე მხოლოდ ერთი სიტყვის თქმასღა ახერხებდა და იმასაც ქართულად: ,,გაუმარჯოს“.

გოგოებიც სწორედ ამ დროს წავიდნენ დასაძინებლად. თათიამ ლიზას ხელი ჩაჰკიდა და ისე ავიდნენ მეორე სართულზე.“ერთი წუთით არ მომცილდე გვერდიდანო” - უთხრა და საძინებლის კარი შიგნიდან დაკეტა.

ექვსი იყო დაწყებულ, როცა გელაშვილმა უკანასკნელ ბოთლს ,,დაუმიზნა“ ხელი, ჩაბღუჯა და დასხმა დააპირა, მაგრამ დიდიეს ჭიქის გვერდით უეცრად თავი აღმოაჩინა. ბოთლი იქვე დადო. წამოდგა. თანამეინახეს, რატომღაც კარგი გვარიანი წკიპურტი ჩაჰკრა კინკრიხოში. დიდიეს რეაქცია არ ჰქონდა.

ავთომ ბარბაცით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და რაიმონდის კაბინეტის კარი შეაღო. შუქი აანთო. დივანს გაუსწორა თვალი. მერე ისევ უკან მობრუნდა, დიდიე პატარძალივით აიყვანა ხელში და კაბინეტში წაბანცალდა.

ღია კარში თავისუფლად შევეტევიო, იფიქრა და მართალიც იქნებოდა, მაგრამ მარტო რომ არ იყო?!

მესამე ცდაზე, დიდიეს თავი აღარაფერს დაჯახებია! დივანთან ხელნაკრავივით მივიდა ავთო. ოდნავ მოიხარა და ტვირთი დაუშვა.

“დილამდე არსად უნდა წავიდეს!” - გაახსენდა მერაბის ნათქვამი. ისევ მისაღებში გამოვიდა. კაბინეტის კარს გასაღები გამოაცალა, გარედან ჩაკეტა და ვალმოხდილი ავიდა თავის საძინებელ ოთახში.

***

- ლიზი, გღვიძავს? - ლიზას საწოლისკენ გადაყო ხელი თათიამ და თავზე შეეხო. ცხრა საათი იქნებოდა.

- ჰო, ახლა უკვე მღვიძავს, - გაიზმორა ქალი და თათიასკენ გადმოტრიალდა. - შენ რა, არ გეძინა?

- სიმღერის ხმამ გამაღვიძა. მე მგონი, ბიჭები დაბრუნდნენ და სვამენ ქვევით. ჩადი რა,

ნახე, გეხვეწები.

- დამაცადე ერთი წუთი, გავახილო თვალები წესიერად.

- ჩადი, ჩადი. გზაში გაახილე, ნახე ისინი არიან, ნამდვილად?

- ოჰ, რა მშიშარა ხარ, - უსიამოვნოდ წამოდგა ლიზა და ჩაცმას შეუდგა. - აბა, ვინ იქნება?!

ლიზამ ჩაიცვა, იქვე „ტრილიაჟის“ სარკესთან თმები გადაივარცხნა და ქვევით დაეშვა.

- ვაა, ვინც მოვიდა, რა ქალია! - შესძახა ხარძიანმა, რომელიც მაგიდის თავში ფეხზე იდგა. აქეთ-იქიდან შეზარხოშებული მერაბი და გოგა უსხდნენ.

- დაბრუნდით, ბიჭებო? სად იყავით მთელი ღამე? - მაგიდასთან მივიდა ლიზა.

- მოდი, მოდი, ჩვენთან დაჯექი და გეტყვით. - უპასუხა რეზომ.

- ახლავე, პირს დავიბან და მოვალ.

- მოიცა, ლიზა! მოდი ჩვენთან ერთი წუთით. მოასწრებ პირის დაბანას.

- კარგი, თათიას ავძახებ და მოვალ, - ლამაზი თეთრი კბილები გამოაჩინა ქალმა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ხვეულ კიბესთან მივიდა: - თათი, ჩამოდი, ბიჭები არიან! - ასძახა ზემოთ. მერე მაგიდასთან მივიდა და რეზოს ამოუდგა გვერდით. ხარძიანმა ხელი გადახვია.

- ხელმა აიღე, შხუბი გახდება! - რეზოს მიმართა გოგამ.

- მოდით, ბიჭებო! - ჭიქა აიღო ხელში რეზომ, - ზევიდან მოვლენილ ახალგაღვიძებულ, უღმერთოდ ლამაზ ქალს გაუმარჯოს. ლიზა, მე არ ვიცი, შენ გათხოვილი ხარ თუ არა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. წამომყევი რა ცოლად.

- ოჰო, აი ჭეშმარიტი სვანური განცხადება! - თქვა გოგამ. - შენ რა, მე აქ ვერ მამჩნევ? გზაში რომ მოგატყუე,, ცოლს გავშორდი-მეთქი, როგორ გგონია, ვის გამო გადავდგი ეს ნაბიჯი.

- მერაბ, შენ რას იტყვი? - გაიცინა ლიზამ.

- მე იმას ვიტყვი, რომ ორი კრეტინი ერთი მაგიდისთვის მეტისმეტია.

ამ დროს კიბეზე ფეხის ხმა გაისმა.

- თათიაც მოდის, - მერაბს გადახედა გოგამ.

- რა, დრო აღარ არის? - უპასუხა ბარათაშვილმა.

- გამარჯობა, ბიჭებო! - თქვა ქალმა. იქ მყოფთ თვალი შეავლო და სააბაზანოსკენ გაემართა.

მერაბი ფეხზე წამოდგა. ბიჭებს გადახედა და თათიას უკან გაჰყვა.

- ვაიმეე! - გაისმა უცებ თათიას კივილის ხმა და ყველანი იქით გაიქცნენ.

ყველას ლიზამ მიასწრო, სააბაზანოს ღია კართან გაქვავებულ თათიასთან მივარდა:

- რა მოგივიდა, გოგო? - შეანჯღრია მეგობარი.

- შეიხედე? - თავით

სააბაზანოსკენ მიუთითა თათიამ.

სააბაზანოში, ორ თუჯის მილზე „სკოტჩით“ პირაკრული სამი მამაკაცი იყო მიბმული. ნუგზარი და მისი „ამალა“ ძირს ისხდნენ და არ იძვროდნენ.

***

* * *

- ნატა, მე ვარ!

- საიდან მირეკავ, მერაბ.

- თბილისიდან. მამა როგორ არის?

- 5 დღეში გამოწერენ. თბილისში რა გინდა?

- ასე მოხდა, რა მნიშვნელობა აქვს?! 5 დღეში შენთან ვიქნები.

- მერაბ, ცუდი სიზმარი ვნახე გუშინ, თავს გაუფრთხილდი, გეხვეწები.

- მაინცდამაინც თავს? კარგი, გავუფრთხილდები.

***

“არა, ეს კაცი ნამდვილად „არანორმალურიაო“, უკვე მესამედ გაიფიქრა ძლიერი ემოციებისგან გადაღლილმა, ჯერ ისევ გაოგნებულმა თათიამ მერაბზე და მერაბისვე თხოვნით, ლიზასთან ერთად ისევ თავის საძინებელს მიაშურა.

დაბმულების გათავისუფლება აქაც რეზომ აიღო თავის თავზე და როცა საქმე მოათავა, გასამრჯელოდ უკვე მრავალჯერ ნახსენები „ტეტე“” და ბარათაშვილის „კეფაგამოვლილი”მაკაროვი“ მოითხოვა. მაგრამ არც ამჯერად „აჩუქეს“ სვანს იარაღი: მერაბმა ორივე პისტოლეტიდან გამოყარა ვაზნები და „კანონიერ“”მფლობელებს მიაჩეჩა.

- აქ დამელოდეთ ცოტა ხანი, - თქვა ბარათაშვილმა და ეზოში გავიდა. მობილური ამოიღო, ნომერი აკრიფა, - რაიმონდ, მე ვარ!

- გისმენ, მერაბ, გისმენ!

თხოვნა მაქვს ერთი, შენთან.

- რაც გაგიხარდეს, გენაცვალე. სხვათა შორის, ხუთი წუთის წინ დამირეკა ავსტრიელმა, შენთვის სერიოზული სიურპრიზი აქვს.

- რაიმონდ, მე არც ავსტრიელების სიურპრიზი მჭირდება და არც შვეიცარიელების საკრედიტო ბარათები. თუ მაინცდამაინც ჩემი პატივისცემა გინდათ, დავიდოვს დაუკავშირდით და სთხოვეთ, მისმა წარმომადგენელმა ყოველგვარი ჩივილისა და სკანდალის გარეშე დატოვოს თბილისი. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- ვეცდები! ვეცდები კი არა, რა თქმა უნდა. ახლავე დავურეკავ და პირადად ვთხოვ.

- აბა, შენ იცი, გელოდები!

მერაბს სახლში მისვლა არ უნდოდა. ეზო გაიარა და კარი გააღო.

- სად მიდიხარ? - ფანჯრიდან გადმოსძახა თათიამ.

- სიგარეტს ვიყიდი და მოვალ. გინდა რამე? - ღია კარში შედგა ბარათაშვილი.

- კი, მინდა. თუ კიდევ კაცების მოსატაცებლად მიდიხარ, იქნებ, ამჯერად ჩემი გემოვნება გაითვალისწინო და დათუნა მოიტაცო, - ირონიულად გაიღიმა ქალმა და მის ზურგსუკან ლიზას კისკისიც გაისმა.

- მაგას შენ უჩემოდაც მოახერხებ. „კარგად ვიცნობ თქვენს მოდგმას“, - თვალი ჩაუკრა მერაბმა და ქუჩაში გავიდა.

კარგა ხანს იდგა შეურაცხყოფილი და ნირწამხდარი გაგლოშვილი ცივ უარზე, მაგრამ ხარძიანმა მაინც თავისი გაიტანა და არც მეტი, არც ნაკლები, ტკბილი მოგონებების სადღეგრძელო დაალევინა სამივე „ტყვედყოფილს“ მოზრდილი კათხებით.

იძულებითი წესითვე შეისვა მანდილოსნების სადღეგრძელო. არც ამჯერად შეუცვლია ნახევარლიტრიანი სასმისები რეზოს და როცა მერაბმა კარი შემოაღო, უკვე ყველანი ფეხზე იდგნენ: წასულებს მიაგებდნენ პატივს.

- რატომ ხელები არ გაგვიხმა, ბარათაშვილო, ამათი შეფუთვისთვის. ეს რა ოქროს ბიჭები ყოფილან, კაცო, - კარშივე შეაგება სვანმა.

- არ გვინდა რა, ეგეთი ბაზარი! - შეძლებისდაგვარად გააპროტესტა სამთაგან ყველაზე ახალგაზრდამ, ფიცხმა და მთვრალმა.

- ჰა, ცოტა „პარს“ დაუწიე ჯიგარ! - სწრაფადვე გამოეპასუხა არანაკლებ

შეზარხოშებული გოგა. - არ დაგავიწყდეს, რომ დღეს ძალიან ცუდად მოიქეცით და მოგვეცით საშუალება ეს ყველაფერი დავივიწყოთ.

- ახლა მომისმინეთ! - მაგიდასთან მივიდა მერაბი. - ორიოდე წუთის წინ დამირეკეს და მითხრეს, რომ თქვენი გატაცებული უცხოელი არ იჩივლებს, ისე დატოვებს საქართველოს, ვითომც არაფერი მომხდარა. ასე რომ, გაქცევა საჭირო აღარ არის, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა და რამდენიმე დღე ნუ გამოჩნდებით.

- რა გარანტიაა, რომ არ იჩივლებს?! - თითქოს გამოფხიზლდა გაგლოშვილი.

- რადგან გეუბნები, ესე იგი, არ გიჩივლებს. მე ჩემი გითხარით, დანარჩენს „ინსტრუქტორი“ გეტყვით.

- ვინ ინსტრუქტორი?

- კაკალო! აქედან პირდაპირ იმასთან მიდით, სახლში გელოდებათ. ისიც იცოდეთ, რომ ამას თქვენთვის და კაკალოსთვის არ ვაკეთებ. ბიძაჩემს უმადლოდეთ, თორემ რისიც გეშინოდათ, სანატრელი გაგიხდებოდათ.

- მოიცა, რა, ძმაო! - ისევ გაიბრძოლა ფიცხმა და მთვრალმა.

- მე შენი ძმა არა ვარ. არც არასოდეს ვიქნები და თუ კიდევ ხმას ამოიღებ, ვერც ის გიშველის სტუმარი რომ ხარ, რადგან აქ აღარც მე ვარ მასპინძელი! - ხმას აუწია ბარათაშვილმა და მოპასუხეს თვალი თვალში გაუყარა. არც ამ უკანასკნელს და არც სხვას ხმის ამოღება აზრადაც არ მოსვლია. - მოკლედ, ეს ამბავი დამთავრებულია, მაგრამ ვერ შეგპირდებით, რომ სხვა, თანაც უარესი არ დაიწყება, თუ სადმე კიდევ გადაგეყრებით. მე დავამთავრე, შეგიძლია წახვიდეთ.

- სად უნდა წავიდნენ?! - ‘‘გაბრაზდა’’ ხარძიანი. წასულებზე გაჩერება ვის გაუგია.

- მერაბ! - კიბეზე ჩამოირბინა თათიამ. - დავიდოვი რეკავს კანადიდან, დიდიე მალაპარაკეთო.

***

- გახსოვს, მერაბ, - თქვა გოგამ, როცა თეთრი ჟიგულის ექვსკაციანი „ეკიპაჟი“ საბურთალოს ბაზარს გასცდა, - ერთხელ „გაზაფხულში“ სამ სეანსს ზედიზედ რომ დავესწარით? ექვსი ფილმი ვნახეთ შეუსვენებლად. ბოლო სურათი „მენავთობე ქალები“ იყო.

- აუ, რას ისვრიან მაგ ფილმში. ბახ-ბახ-ბახ, - და რეზომ ქამრიდან ერთდროულად დააძრო „ტეტე“ და „მაკაროვი“.

- შენ, რა, გაგიჟდი?! - წამოიყვირა აღშფოთებულმა მერაბმა.

- მაჩუქეს, დედას გეფიცები! - გულუბრყვილო სახე მიიღო ხარძიანმა. - თუ გინდა, დაურეკე ავთოს და ჰკითხე.

ამის შემხედვარე დიდიემ ჯერ წამოიყვირა. მერე ახარხარებულ ქართველებს გულდასმით დააკვირდა და პირჯვარი გადაიწერა, ოღონდ უკუღმა, „კანადურად“”მარცხნიდან მარჯვნივ.

* * *

7 იანვარს, დილით, თეთრმა ნივამ სოფელი ახალქალაქი გაიარა, გარიყულაც მალე ჩათავდა და დაკიდებულ აღმართს აუყვა. მეორე, მესამე აღმართი და ერთაწმინდაც გამოჩნდა.

მერაბმა მანქანა გააჩერა, გადმოვიდა, წმინდა ესტატეს ბუმბერაზ ტაძარს იქვე, თოვლზე მოუყარა მუხლი, პირჯვარი გადაისახა. გზა განაგრძო. წუთიც და მოედანზე შევიდა. მარცხნივ გაუხვია.

გაუქმებული მაღაზიის გვერდით შეკრებილ ბიჭებთან შეაჩერა მანქანა. ისევ ჩამოვიდა, ყველა გადაკოცნა, შობა მიულოცა და ქვევით დაეშვა.

ის იყო, მანქანა ეზოსთან შეაჩერა, რომ უკნიდან მორბენალის ფეხის ხმა შემოესმა. უმალ იცნო, აბესალომი იყო. იქაური ჩვიდმეტიოდე წლის ბიჭი. „გიჟი აბე“, როგორც იქაურები იცნობდნენ.

- ვაჰ, აბესალომს გაუმარჯოს! რა მოგარბენინებს ბიჭო, კი არ მივდივარ, მოვედი.

- ეეჰ, შენ რომ იცოდე... - ისე შეახტა მერაბს აბე, კინაღამ წააქცია. - შენ რომ იცოდე... მაიტა, ჯერ გაკოცო! - და მაგრად გადაკოცნა მერაბი. - შენ რომ იცოდე, რამდენი ხანი გელოდები, მაგას არ მეტყოდი.

- რა მოხდა, აბესალომ, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

- ცუდი კი არა და, აი! - ჯიბიდან ასდოლარიანი ამოიღო ბიჭმა.

- ეგ რა არის, კაცო, ნამდვილია?

- არა, გარიყულაზე დავახატვინე მხატვრებსა! ნამდვილია, მა რა ჯანაბაა. ზურამ მომცა.

- ვინ ზურამ, კაცო?

- ხანდაკელმა!

- ვინ არის ხანდაკელი ზურა?

- აბა, უყურე ეხლა ამასა. ვინ არის ხანდაკელი ზურაი, ქვრივიშვილი, უშანგის ბიჭი?

- აა, ზურამ! კარგი უქნია... სად იშოვა, თავკვერი ხომ არ გაუყიდა მამამისს?

- არ ვიცი მე, სად იშოვა. ორი თვის წინ, ცოტა რომ ავურიე, მაშინ მაჩუქა, იმკურნალეო.

მერე ჩამიყვანა მამიდაჩემმა ქალაქში, გამსინჯეს და ამასა არაფერი ეშველება, რაც არი, ეგ არიო, უთხრეს.

- სისულელეა, ეხლა ყველაფრის მკურნალობა შეიძლება, თანაც შენ სამკურნალო არაფერი გჭირს! - თავზე ხელი მოუთათუნა მერაბმა.

- აი, დარდი, კიდეცა თუ მჭირს. რომელს გამოგიდექით ქვითა? ვისაც არ მოვწონვარ, განზე გაიაროს. ჰოდა, ჩემო მერაბ, ეს ფული რახან არ დამჭირდა, უკან მოვუტანე უშანგიჩსა. ბიჭო, თავი მაიკლა არაფრის დიდებით არ გამომართვა და იცი, რა მითხრა?

- რა გითხრა? თქვენ ადვილად გაუგებდით ერთმანეთს.

- რა მითხრა და, შენ რო ლექსებსა სწერ, ძაან მომწონსო. ჩადი ქალაქში და ერთი ასი ცალი დააბეჭდინე, მერე მოდი და დაგვირიგეო.

- ვაჰ, ყოჩაღ ზურა, კარგად მოუფიქრებია!

- იმან კი კარგად მოიფიქრა, მაგრამ... გადავხედე ჩემს ლექსებსა და თორმეტი ცალის მეტი, დასაბეჭდად არ ივარგებს, სირცხვილია... ჰოდა, თორმეტს ხო არ დავბეჭდავდი მარტო. ჩავედი ისევ ზურიკოსთან, ვუთხარი ესე და ესეა-მეთქი.

- კაცო, შენ რა შამაღონეო... აი, მერაბა სწერს კიდე შენნაირ ლექსებსა და შეუამხანაგდი, ერთი თორმეტი ცალი იმასაც მოუგროვდებაო... მერე მე ვკითხე, მე და მერაბს კი დაგვიბეჭდავენ-მეთქი?.. და იცი, რა მითხრა? რა თქმა უნდა, დაგიბეჭდავენ, ეხლა თქვენი დროაო!

მერაბს სიცილი აუტყდა: - სწორი უთქვია აბე, სწორი!

- მაშ, გავიქცევი ეხლა მე და ჩამოვიტან ლექსებსა - თქვა და სირბილით გაბრუნდა უკან.

მერაბმა ეზოს კარი შეაღო, შევიდა, იქაურობა მოათვალიერა, მერე უკანა მხარეს გავიდა. ის იყო კიდესთან მიგდებულ ჯირკზე ჩამოჯდა, რომ ისევ აბესალომის ხმა შემოესმა. რა უნდა ექნა, ისევ წინა ეზოში გამობრუნდა:

- რა ქენი, ესე უცებ ჩამოიტანე, კაცო?

- კი არ ჩამოვიტანე, ჩამოვიყვანეი. აგე, ერთი კაცია შენთანა და ერთიც გოგოი.

მერაბი კარისკენ წავიდა და მარჯვნივ გაიხედა:

- ავთო? - მართლა გაუკვირდა მერაბს, ორიოდე საათის წინ თბილისში დატოვებული გელაშვილის იქ ხილვა, მაგრამ უფრო საკვირველი ის აღმოჩნდა, რომ მის თანმხლებ მომცრო ტანის გოგონაში თინიკო ამოიცნო, გოგა გორგილაძის მამიდაშვილი.

მერაბმა სწრაფად გაიარა კარი და გზიდანვე გასძახა:

- ცუდი ხომ არაფერი მოხდა, ბიჭო?

- ჯერ არ ვიცი! - უპასუხა ავთომ.

-

რა ხდება თინი, გოგა სად არის? - ქალი გადაკოცნა მერაბმა.

თინიკომ თვალი აარიდა და ავთოს ახედა. ამ უკანასკნელმა მერაბს უხერხულად გაუღიმა და გაწითლდა.

- მოიცა, მოიცა! - ღობეს ხელი მოკიდა ბარათაშვილმა. - აქ რაღაც ხდება... წამოდით, წამოდით, სახლში შევიდეთ, - უკნიდან მოუარა ქალ-ვაჟს და გაშლილი ხელებით "შერეკა" ეზოში. - ვახ, თქვენ რა გითხარით.

- ბიჭო, რა ვქნა. გაგიჟდება, რომ გაიგებს, ის ცოფიანი! - შუა ეზოში შედგა ავთო.

- მოიცა, გორგილაძემ არაფერი იცის? - შემობრუნდა მერაბი.

- ბევრჯერ დავაპირე, მაგრამ ვერ გავბედე. არადა, მეტი აღარ შემეძლო, ისევ ასე ვამჯობინე.

- გამოიპარეთ, კაცო? - სიცილი აუტყდა მერაბს. - კი მარა, როდის? სად? როგორ? შენ ვინ ყოფილხარ? ერთი რომ არაფერი დაგცდენია. როგორ ვერაფერი შეგატყვეთ, ჰა?!

- ხომ გითხარი, ვერ გავბედე-მეთქი! - თავი ჩაქინდრა გელაშვილმა.

- მე მაინც ვერ მითხარი, ბიჭო? რას იტანჯავდი თავს, შე დათვო. გეთქვა ჩემთვის და მოვაგვარებდი ყველაფერს. თუმცა, არც ეხლაა გვიან, - მუჯლუგუნი ჰკრა მერაბმა მეგობარს.

- მართლა? - უცებ გამოცოცხლდა ავთო.

- მართლა! მართლა! ამას რაღა ატირებს? - თავი წამოაწევინა ამ ხნის განმავლობაში ჩუმად მდგომ თინიკოს. - გაგიჟდი, გოგო?! აბა, შემომხედე! დედას გეფიცები, ყველაფერი კარგად არის!

- არ დამიჯერა, - ასლუკუნდა თინიკო და მერაბს ჩაეხუტა. - მეც ეგ ვურჩიე, ვუთხრათ გოგას-მეთქი, მარა არ დამიჯერა. ახლა რომ გაიგებს, სულ გაგიჟდება. - ხმით ატირდა ქალი.

- გაგიჟდება და აგერ ამ ვაშლის ხეზე მივაბამ. ამაში მაინც გამოვიყენებ, ამის მოსხმული ნაყოფი მე არ მახსოვს. აბა, ტირილი არ გავიგო! შობა დღეა... ყველაფერი კარგად იქნება და ამ წუთში დარწმუნდებით, - და მერაბმა ჯიბიდან მობილური ამოიღო. ღიმილი არ შორდებოდა სახიდან.

- რას შვები, ბიჭო? - ხელი წაატანა ტელეფონს ავთომ - გადაირიე? ეგრევე დაგვადგება.

- გაწიე ხელი, რომეო!

- არ დაურეკო-მეთქი, არ გესმის შენ?! - წამოენთო ავთო.

- დაწყნარდი, შე ბოთე! პირობას გაძლევ, ყველაფერი კარგად არის.

- რა იცი, შენ?

- რომ გეუბნები, დამიჯერე! ჩემს თავზე ვიღებ! - ავთო ბედს დამორჩილდა, გაშეშდა, ტყისკენ გაიხედა და სმენად იქცა.

- ალო, გოგა, მამიდაშვილს არ გაათხოვებ? ერთი კარგი ბიჭი ვიცი...

ავთომ ტუჩზე იკბინა. თინიკომ სახეზე აიფარა ხელები.

- ვარიანტი არ არის! - გაისმა ყურმილში. - მე ავთოს გარდა, თინიკოს არავის გავატან! მანდ არიან?

- გესმის ბიჭო, რას ამბობს? ვარიანტი არ არის, მე ავთოს გარდა, თინიკოს არავის გავატანო? ისა, შეგიძლია გოგა, ეს ყველაფერი გაიმეორო?

- რა თქმა უნდა!

- აბა, მიდი! - და მერაბმა ტელეფონი ავთოს მიაწოდა. გელაშვილმა ისე ჩამოართვა, თითქოს აპარატი კი არა, გავარვარებული რკინა ყოფილიყოს.

- ალო! - ისევ გაისმა გორგილაძის ხმა.

- ჰო! - მოკლედ უპასუხა ავთომ.

- ჰო შენა და ჯანდაბა! რად გინდოდა, ბიჭო, ეგ მოწრიპული ქალი? გულის ჯიბით უნდა ატარო? - და გოგას ხარხარი აუტყდა.

- თქვენ რა, იცოდით?! - ტელეფონი ყურიდან მოიცილა გელაშვილმა და ინსტინქტურად მერაბს გაუწოდა. თინიკო ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ხდებოდა.

- ჩვენ კი არა, მე მგონი, ნახევარმა ქალაქმა იცის, - სიცილით უპასუხა მერაბმა. - ამ ბოლო დროს ჩვენ რომ გაგვირბოდი, როგორ გგონია, არ დავინტერესდებოდით, სად მიდიოდი?!

- ალო, ალო! - ისმოდა ყურმილში გოგას ხმა.

- ჰო, რა გინდა, ბიჭო? - სული მოითქვა ბარათაშვილმა.

- ღვინო რომ გაქვს, ვიცი. რა წამოვიღო?

- ყველაფერი! დღეს ჩიტის რძეც არ უნდა აკლდეს სუფრას, - უთხრა მერაბმა და ისე,

რომ ტელეფონი არ გაუთიშავს, მოულოდნელობისაგან გაშეშებულ ქალ-ვაჟს გადაეხვია.

***

მთელი დღე ხვავრიელად ითოვა.

თეთრად შემოაღამდა ერთაწმინდას.

დოინჯშემოყრილი გოლიათივით იდგა თრიალეთის ქედზე წმინდა ესტატეს დიადი ტაძარი და ისე გადაჰყურებდა მტკვარს, როგორც გორაზე შემდგარი ჭაღარა ხევისბერი საომრად მიმავალ ლაშქარს.

თეთრი სინათლის შარავანდედით იყო შემოსილი ვეებერთელა ოქროსფერი ნაკურთხი ქვა და ვინც მას ისეთს იხილავდა, უმალ მიხვდებოდა, რომ ცასთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე მიწასთან.

ამაყი იყო ერთაწმინდა ტაძრით და ტაძარი ხვედრით: რვაასი წელი ემსახურა ღვთისა და კაცის სიყვარულს.

ორსართულიანი სახლის ეზოში სამი კაცი იდგა. მხოლოდ კარგი ღვინით შემთვრალთ შეუძლიათ ცალი ხელის ერთმანეთზე ასე მოხერხებულად გადახვევა: მეორეში ლალისფერი თავკვერით სავსე თიხის ფიალები ეჭირათ და ზედ დანთებულ სანთლებს ბელტებივით ფიფქები რომ ვერ აქრობდნენ, ან

ვერ ამჩნევდნენ, ან არ უკვირდათ.

- შეხედეთ, ამაზეა ნათქვამი, ,,სიმართლე სინათლეაო". წმინდა ესტატეს მადლი გვეწეოდეს, ხალხო, ჩვენა და ჩვენს ქვეყანას. შეგვეწიოს უფალი! - ეკლესიისთვის თვალი არ მოუწყვეტია მერაბს, ვიდრე მოყუდებული ფიალა არ აეფარა წინ.

- გვეწეოდეს! - თქვა ავთომ და თოვლით გაჯერებულ ღვინოს დაეწაფა.

- ამინ! - გოგას ხმა, ფიალა და სანთელიც შეუერთდათ.

მერე ერთმანეთი ჩაიხუტეს, რკალი შეკრეს, ერთმანეთს თავები მიაბჯინეს.

- მე ვიცი, შენ როდის ამოდიხარ ერთაწმინდაში, - თქვა ჩუმად გორგილაძემ. - როცა აღარ იცი, აწი რა აკეთო!

- და, როცა ერთაწმინდაში თოვს... - დააყოლა მერაბმა.

უეცრად ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

ბარათაშვილმა "რკალი დაშალა" და ჯიბიდან აპარატი ამოიღო.

- ლეკიშვილს გაუმარჯოს! გისმენთ, ბატონო მაიორო!

- ვაა, ძლივს არ დაგიჭირე, მამაძალი. მთელი დღეა „გასულია მომსახურეობის ზონიდანო“, გაიძახის შენი ტელეფონის ქალი.

- სარდაფში არ იჭერს, ჩემო დათო. სოფელში ვარ და ნეტა, შენც აქ მყავდე!

- მაგ ნატვრას უახლოეს მომავალში შეგისრულებ. ახლა კი პირიქით, შენ უნდა მყავდე აქ და რაც მალე, მით უკეთესი.

- რამე ხომ არ გიჭირს, ბიჭო?

- უმუშევარი შენა ხარ და კიდე მე მიჭირს, მამაძალი?! მოკლედ, ხვალ თორმეტ საათზე ჩემთან უნდა იყო.

- რა ხდება, აღარ იტყვი?

- განსაკუთრებული არაფერი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაუმჯობესებლად შენნაირი ხალხიც საჭირო ყოფილა.

- როგორი, პრინციპული სულელები?

- არა, პატიოსანი გიჟები. დროა, სამსახურს დაუბრუნდე...

- რაკი ასეა, ხვალ შენთან ვარ.

- აბა, ჰე, გელოდები! - კავშირი თბილისიდან შეწყვიტეს.

მერაბმა ტელეფონი დინჯად მოიცილა ყურიდან. ინსტიქტურად ჯიბეში ჩაიდო. ოდნავშესამჩნევად გაიღიმა. ბიჭები შეათვალიერა რიგრიგობით.

- ვინ იყო? - ავთოს წამის მეასედით დაასწრო გოგამ.

- დამისხით! - მოკლედ თქვა მერაბმა და ფიალა გორგილაძისკენ გაიშვირა.

- რაღა უნდა დაგისხათ. ღმერთი შევიწიეთ, დავამთავრეთ.

- მერე, რა გვიშლის ხელს, თავიდან დავიწყოთ.

ავთომ ფიალა რატომღაც ძირს დადო, ძუნძულით გაიქცა სახლისკენ და უმალ მოზრდილი დოქით მობრუნდა. ჯერ მერაბს დაუსხა.

- ჰა, ამოღერღე, რა მოხდა? - ვეღარ ითმენდა გორგილაძე.

- თინიკოს სძინავს, მე კი ყვირილი მინდა. რომელს გთხოვოთ უფლება, შენ თუ ავთოს?

- ეს, მე მგონი, გიჟია! - ავთოს გადახედა „სიკეთის“ მოსასმენად გამზადებულმა გოგამ.

- სხვათა შორის, წეღან დათომაც ეგა თქვა თბილისში. ნუთუ ასე ძალიან მეტყობა:

„ის, რაც მართლა ვარ, კიდეც მაჩნია, -

ქართლის სისხლი ვარ, ჩქეფით გართული,

მცირეა, მაგრამ რაც გამაჩნია,

თრიალეთივით მხოლოდ ქართული.

ხოდა, აქა ვარ, სხვაგან სად წავალ?!

მე ქვად დახვედრა მიჯობს სეტყვობას!

ხოლო ვინცა ვარ, ხოლო რაცა ვარ,

სადაც არა ვარ, იქაც მეტყობა“.

ორივე სტროფი იყვირა მერაბმა და ფიალას დაეწაფა.

***

შუაღამემ გადაიარა. ისევ გულიანად თოვდა. ლამპის მკრთალი შუქით „უკმარისად“ განათებულ ოთახში გვარიანი სითბო ტრიალებდა. თუნუქის დიდი ღუმელის საჭვრეტში ჯერ კიდევ გამოკრთოდა ნაკვერჩხლის მოლურჯო სინათლე.

ყველას ეძინა მერაბის გარდა.

წამოდგა, ჩუმად ჩაიცვა. მძიმე ქურთუკი მოისხა და გარეთ გამოვიდა. აივნის ქვეშ გაჩერდა. სიგარეტს მოუკიდა და ჯიბეში ტელეფონი მოიძია:

- რაიმონდ, ვიცი გაგაღვიძე, მაგრამ არ შემეძლო ახლავე არ დამერეკა, ბოდიშს გიხდი.

- ვაიმე, რას ამბობ, ჩემო მერაბ?! რომ იცოდე, როგორ გამახარე, არც მეძინა. რა ქენი, მოიფიქრე ალბათ, ხომ?

- ჰო, მოვიფიქრე და თუ ჩემი პასუხი მოგეწონება ძალიან დამავალებ.

- გისმენ.

- მე რამდენიმე საათის წინ დამირეკეს, რაიმონდ. მე ოფიცერი ვარ, სამხედრო ვარ. ჩემი გადაკეთება ძალიან გვიანია. დამირეკეს და ის სამსახური შემომთავაზეს, რომლის გარეშეც ჩემი მომავალი ვერ წარმომიდგენია.

- ესე იგი, უარს ამბობ? - ამოიხვნეშა ბერეხმა. - არადა, რა იმედი მქონდა. შეფმა დღეს საღამოსაც დამირეკა, რას შვებითო, მკითხა. სანამ მანდ ჩემი შემცვლელი არ დაინიშნება, მე მოსკოვის ოფისს არავინ ჩამაბარებს. ამასობაში კი შეიძლება სხვაც დასვან იქ.

- ავთო, რაიმონდ, ავთოზე უთხარი შენს არნოლდს. ავთო უპატიოსნესი კაცია და დამერწმუნე, არ შეგარცხვენს.

- ეეჰ, ეგ მეც ვიცი, მარა, არ გეწყინოს და ცოტა ზანტია. ფითილი არა აქვს, მოტორი, გესმის?

- შენ, რასაც გთხოვ, გააკეთე და ისეთ მოტორს დავუყენებ, ფერარის ბოლიდი მიმიქარავს. ჩემს გოგას ხომ იცნობ, გორგილაძეს? ეგეთი ბიჭები არც ისე ბევრია ჩვენს ქალაქში. ავთო და გოგა ერთად მთას გადააბრუნებენ.

- შენ ასე ფიქრობ? - იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა ხმაში რაიმონდს.

- ვფიქრობ კი არა, ასი პროცენტით დარწმუნებული

ვარ. უფრო მეტიც. სიტყვას გაძლევ, რომ ასე იქნება. ოდესმე გამიწბილებიხარ? თანაც, თავისუფალ დროს, მეც სულ მათთან ვიქნები. შენ ხომ იცი, ჩემი და მათი საქმე ერთია!

- კარგი, კარგი, ყოველ შემთხვევაში, ალბათ უკეთესი გამოსავალი არც არსებობს.

- აგაშენა ღმერთმა! - აღტაცება ვერ დამალა ბარათაშვილმა. - მოახერხებ არნოლდის დაყოლიებას?

- ჩათვალე, რომ უკვე მოვახერხე. ოღონდ პირობა მომეცი, რომ მართლა წაეხმარები.

- მე მგონი, უკვე მოგეცი! - ხმაში მცირე წყენა შეაპარა მერაბმა.

- კაი, შე კაი კაცო, რა მოგივიდა? - ვიხუმრე. მე შენ თვალდახუჭული გენდობი, ხომ იცი.

- ვიცი, ვიცი. მადლობელი ვარ, რაიმონდ. ყველაფერს რომ მოაგვარებ, დამირეკე, კარგი?

- რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ გითხარი, ჩათვალე, რომ ყველაფერი მოგვარებულია. შეგიძლია, მიულოცო ბიჭებს.

- ნახვამდის, რაიმონდ! დიდი მადლობა.

- ნახვამდის, ჩემო მერაბ!

მერაბი მოტრიალდა. თითქმის ჩამწვარი სიგარეტი ბზრიალით მოისროლა და ოთახში შებრუნდა. ყველას ეძინა.

- თუ ასეა, მივულოცოთ, - თქვა თამამი ჩურჩულით. - გილოცავ, ჩემო ავთო! ღირსი ხარ შენ სიკეთის და ღმერთმა აგერ, ერთდროულად, ორი გამომიგზავნა, დაგაწინაურა და ცოლიც შეგრთო. მაგრამ ერთია, მზითევში გორგილაძე გერგო.

შენც გილოცავ, ჩემო გოგა. ყველაზე მაგარი კაცი ხარ. დაიძინე უსაქმურმა და გაიღვიძებ დასაქმებული.

უეცრად ტელეფონმა დარეკა. მერაბი სირბილით გავარდა გარეთ.

- ჰო, რაიმონდ, გისმენ!

- მერაბ, ერთი გოგას გვარი გამახსენე.

- გორგილაძე, რაიმონდ, გორგილაძე.

- დაბადების წელი?

- სამოცდარვა. მე, ავთო და გოგა ერთ წელში ვართ დაბადებულები, კლასელები ვართ.

- ახლაც კლასელები ხართ, კაცო? - ჩაიხითხითა ბერეხმა.

- რა თქმა უნდა, ახლაც და მუდამ. ჩვენ სულ ერთად ვართ. ამ წუთშიც აქ არიან, ჩემთან.

- სად, შენთან?

- თრიალეთის ქედზე, ზღვის დონიდან ცხრაას მეტრზე.

- მეტრაჟებში ვერ ვერკვევი. ეგ მაღალია თუ დაბალი?

- ეს არც მაღალია და არც დაბალი. ზუსტად ის სიმაღლეა, რაც აქაურ კაცს სჭირდება.

- რისთვის?

- იმისთვის, რომ ქვევიდან ამოსულებს და ზევიდან ჩამოსულებს შეეგებოს, უმასპინძლოს, გაათბოს, მოეფეროს და წინ გასავლელი გზა დაულოცოს.

- დიდი მადლია!

- ეს ვალია! მადლი კი იმას ქვია, რაც ვალს გადააჭარბებს! მე ახლა აქ ვდგავარ, ჩემს მიწაზე, ჩემს სიმაღლეზე და აქ ვარ ვალდებული. სხვა სხვაგან გააჩინა და დაამკვიდრა გამჩენმა. რა სიმაღლეზეც არ უნდა იდგეს თითოეული ჩვენგანი, თუ კაცური ვალის მოხდა აქვს გადაწყვეტილი, ღმერთი აუცილებლად დაეხმარება. ის ჩვენ ცაში გვეგულება. ცა კი მთაშიც და ბარშიც მიწიდან იწყება!

2005.20.11